

წმინდა ილარიონ ქართველი

ცხოვრებანი
გალობანი
გამოკვლევა

თბილისი
2025

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს „საზოგადოება ივერიისა“ და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შორის არსებული ინსტიტუციური თანამშრომლობის შედეგს. აღნიშნული თანამშრომლობა მიზნად ისახავს ხელნაწერი მემკვიდრეობის ძეგლების კვლევას, დაცვასა და პოპულარიზაციას.



საზოგადოება ივერიისა

წიგნი გამოიცა „საზოგადოება ივერიისას“
ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორები

თამარ ოთხგუშური, მაია მაჭავარიანი

გარეკანის დიზაინი და რუკა

გიორგი ჯინჭარაძე

დაკაბადონება და დიზაინი

ლანა ბრძელიშვილი

წიგნში გამოქვეყნებული ფოტოებისა და განმარტებითი ტექსტების რაიმე ფორმით (ელექტრონული, ბეჭდური) გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი ნებართვის საფუძველზე.

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-8-8340-8

© კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2025

შინაარსი

წინასიტყვაობა	v
Introduction	x
„ცხოვრებანი“ და გალობანი	
• ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისა (ჯ)	3
• ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისა (ჴ)	35
• ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონ ახლისა (ლ)	47
• ამასვე დღესა ... წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისა (ო)	89
• ამასვე დღესა წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისა საკრველმოქმედისა (უ)	91
• საგალობელი I	92
• საგალობელი II	100
• საგალობელი III	114
• იამბიკო	115
საკუთარ სახელთა საძიებლები	
პირთა სახელები	116
გეოგრაფიული სახელები	118

მანანა დოლაძიძე

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“

ძველი ქართული რედაქციები

• წინასიტყვა	121
• საკითხის ისტორიისათვის	122
• ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ წარმომავლობის საკითხისათვის	131
• „ცხოვრების“ რედაქციები და მათი ურთიერთმიმართება	148
• ილარიონ ქართველის ბიოგრაფიის საკითხები	194
• ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილი საგალობლები	197
• სამონასტრო კოლონიზაციის საკითხები ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ მიხედვით	216

The Ancient Redactions of the <i>Life</i> of Hilarion the Iberian (Summary)	245
--	-----

ბიბლიოგრაფია	254
---------------------	-----

წინასიტყვაობა

ქართველ სასულიერო მოღვაწეს, მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანს, ილარიონ ქართველს (822-875 წწ.) განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული ეკლესიისა და კულტურის ისტორიაში.

წმინდა ილარიონის ამქვეყნიური ღვაწლი მრავალმხრივია. მნიშვნელოვანია მისი წვლილი ქართველთა სამონასტრო ცხოვრების განვითარებაში; მის სახელთან არის დაკავშირებული ქართველების დამკვიდრება ბითვინიის ოლიმპოზე, ასევე კონსტანტინოპოლის მახლობლად რომანას ქართველთა მონასტრის დაარსება. ილარიონ ქართველის ქტიტორული მოღვაწეობა უკავშირდება კახეთის სამ ძეგლს: ფერისცვალების ეკლესიას დავით გარეჯის ლავრაში, ე. წ. ილარიონ ქართველის სავანეს იმავე ლავრაში და აკურის მამადავითის დედათა მონასტერს. წმინდა ილარიონის ბიოგრაფები მიუთითებენ მის უფლისგან ბოძებულ ნიჭზე, სწეულთა — მკელობელთა, განრღვეულთა, სულით ავადმყოფთა — სასწაულებრივ განკურნებაზე. თუმცა ილარიონის განსაკუთრებულობა მაინც მის ცხოვრების წესში — მის მუდმივ „უცხოობაში“, უცხო ქვეყნებში მოგზაურობასა და სხვადასხვა წმინდა ადგილებზე დამკვიდრებაში მდგომარეობს. წმინდა ილარიონმა, რომელიც წარმოშობით კახეთის დიდებულთა ოჯახიდან იყო, თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი საქართველოს ფარგლებს გარეთ წმინდა ადგილების მოლოცვასა და იქ მოღვაწეობას მიუძღვნა. მან მოიხილა და იმოღვაწა როგორც ქრისტიანულ ახლო აღმოსავლეთში (იერუსალიმი, იორდანის უდაბნო, ბეთლემი, ბითვინია), ისე ბიზანტიასა (თესალონიკე) და რომში. საბოლოოდ ის თესალონიკეში დამკვიდრდა, იქ გარდაიცვალა და თავდაპირველად იქ დაიმარხა.

„უცხოობა“ შუა საუკუნეების ძეგლებში, ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ თხზულებებსა თუ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში, ხშირად დადასტურებული ტოპოსია, რომლის თავადაპირველი წყარო იოანე სინელის „კლემაქსი“ უნდა იყოს (სათნოებათა კიბის მესამე საფეხური: „უცხოობისათვის“). ის გულისხმობს სამშობლოსა და ახლობლების — ამქვეყნიური ცხოვრების — დატოვებას, განმარტოებას,

საკუთარ თავში ჩაღრმავებას, „მყუდროებით ცხოვრებას“ და ღმერთი-სადმი საკუთარი თავის მიძღვნას. ეს, ცხადია, არ გამოორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ შორეულ ქვეყნებში მოგზაურ წმინდა ილარიონში მაძიებელი სულისკვეთების, უცხოთა მიმღებლობითა და უცხოურის მიმართ ცნობისნადილით გამსჭვალული შუა საუკუნეების მეტად საინტერესო ადამიანი დავინახოთ. ამ მხრივ მისი ნამდვილი მემკვიდრე იოანე მთაწმინდელია, რომელმაც თითქმის საუკუნე-ნახევრის შემდგომ ათონის მთიდან გაპარვა და შორეული ქვეყნის, ესპანეთის მონახულება განიზრახა, თუმცა, წმინდა ილარიონისგან განსხვავებით, მან ეს ვერ შეძლო. სწორედ ამიტომ არის, რომ ფაქტობრივად მუდმივ უცხოობაში მყოფი წმინდა ილარიონი თავის ქადაგებებში ყველაზე ხშირად „უცხოთმოყუარეობისაკენ“ — უცხოთა მიმართ თანალმობისა და შეწყნარებისაკენ მოუწოდებდა ადამიანებს.

წმინდა ილარიონსა და ქართველ ათონელებს კიდევ ერთი რამ აკავშირებთ. ეს არის ლათინთა — იტალიელთა — მიმართ განსაკუთრებული ინტერესი და სიმპათია: ილარიონის ორწლიანი სტუმრობა რომში და ათონზე ჩასული იტალიელი ბერებისა და ქართველი მთაწმინდელების გამორჩეულად თბილი ურთიერთობები, ასევე, გიორგი მთაწმინდელის მიერ ლათინთა სარწმუნოების დაცვა ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე X დუკას წინაშე; დაბოლოს, ორი ათონელი ბერი — გაბრიელ ქართველი და ბენედიქტელთა ორდენის წარმომადგენელი ლეონი, რომლებმაც ერთმანეთის ენები არ იციან, თუმცა ლაპარაკის გარეშეც ესმით ერთმანეთის, და ბერძნულ ენაში არც თუ განაფული წმინდა ილარიონი — ბერძენთა სათაყვანებელი მოძღვარი.

საზოგადოდ, ქართული ქრისტიანული ტრადიცია ქრისტიანობის შემოღების ადრეული პერიოდიდანვე იყო დაკავშირებული ახლო აღმოსავლეთისა და ბიზანტიის სამონასტრო ცხოვრებასთან. ქრისტიანულ სამყაროში საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად ქართველი ბერ-მონაზვნები ადრეული პერიოდიდანვე მკვიდრდებოდნენ უცხოეთის მნიშვნელოვან სამონასტრო კერებში. ჯერ წმინდა მინაზე, ხოლო შემდგომ — კონსტანტინოპოლში ქართველები ეზიარებოდნენ ქრისტიანულ სწავლებასა და იდეალებს და ქართულ სამყაროში, ქართულ ნიადაგზე გადმოჰქონდათ ისინი.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იყო ცალმხრივი პროცესი. უცხოეთში ჩასული ქართველი სასულიერო მოღვაწენი თავიანთი წმინდა

ცხოვრებით, სულიერებითა და ინტელექტით იმთავითვე იპყრობდნენ ბერძნების ყურადღებას, რისი საუკეთესო მაგალითი სწორედ ილარიონ ქართველია. ილარიონის, როგორც სასულიერო მოღვაწის დამსახურება და ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო ბერძენთა შორის, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიის იმპერატორმა, ბასილი I მაკედონელმა, თავისი შვილები — ბიზანტიის მომავალი იმპერატორი ლეონ VI და მისი ძმა ალექსანდრე — აღსაზრდელად ილარიონის მოწაფეებს, ქართველ ბერებს მიაბარა. მან ასევე კონსტანტინოპოლის მახლობლად სპეციალურად ქართველთათვის ააგო მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის რომანას ეკლესია, სადაც თესალონიკედან ილარიონის წმინდა ნაწილები გადაასვენა, რითაც ქართველი წმინდანის დიდი თავყვანისმცემლების, თესალონიკელების რისხვა დაიმსახურა.

წმინდა ილარიონ ქართველის უდიდეს პოპულარობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მისი გარდაცვალებიდან მოყოლებული გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით შეიქმნა მისი „ცხოვრების“ ხუთი ვერსია, სამი საგალობელი და იამბიკო, რომლებიც 50-ზე მეტ X-XVIII საუკუნეების ქართულ ხელნაწერშია დაცული.

თავდაპირველი, ე. წ. მოკლე ათონური რედაქცია (V) უნდა შექმნილიყო X საუკუნის პირველ ნახევარში ქართულ ენაზე უცხოეთში, სავარაუდოდ, კონსტანტინოპოლში, საბერძნეთის საიმპერატორო სამსახურში მყოფი ქართველის მიერ ქართველთა იქაური სათვისტომოსათვის. ეს ტექსტი დაედო საფუძვლად ე. წ. ვრცელ ათონურ რედაქციას (C), რომელიც შეთხზული უნდა იყოს ასევე X საუკუნის პირველ ნახევარში. წმინდა ილარიონის „ცხოვრების“ მეტაფრასული (L) და სვინაქსარული (D) რედაქციები უნდა შედგენილიყო XII საუკუნის დასაწყისში და ისინიც ეფუძნება თავდაპირველ, ანუ მოკლე ათონურ რედაქციას. კიდევ ერთი სვინაქსარული რედაქცია (T) გვიანდელია, თარიღდება XVIII საუკუნით.

რაც შეეხება საგალობლებს, ერთ-ერთი, რომლის ავტორი უცნობია, შეთხზული ჩანს მალევე წმინდა ილარიონის გარდაცვალებიდან, IX-X საუკუნეების მიჯნაზე, სავარაუდოდ, მისი მოწაფის მიერ. ხოლო მეორე, რომლის ავტორია ზოსიმე, ათონის მწიგნობრულ წრეში უნდა იყოს შექმნილი 1072-1074 წლებში. მესამე გვიანდელია და ანტონ I კათოლიკოსის (1720-1788 წწ.) სახელთან არის დაკავშირებული. იამ-

ბიკო ეკუთვნის ქართველ სასულიერო პირსა და მწერალს, ნიკოლოზ თბილელს (1672-1732 წწ.).

ილარიონ ქართველის „ცხოვრებათა“ ციკლი და საგალობლები მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლია. გარდა იმისა, რომ ის გვანდის მნიშვნელოვან ცნობებს IX საუკუნეში ქართული სამონასტრო კოლონიზაციის შესახებ, ეს არის ფასდაუდებელი წყარო IX საუკუნეში ბერ-მონაზონთა მიმოსვლის შესახებ ბიზანტიასა და ახლო აღმოსავლეთში; მასში წარმოდგენილია ინფორმაცია იმ გზების შესახებ, რომლებზეც ძველი მოგზაურები გადაადგილდებოდნენ, იმ წმინდა ადგილების შესახებ, რომლებსაც ისინი მოიხილავდნენ. დღეს ეს თემატიკა ბიზანტინისტთა და ორიენტალისტთა — შუა საუკუნეების ისტორიკოსთა, ისტორიული გეოგრაფიისა თუ ეკლესიის ისტორიის შემსწავლელთა საყურადღებო კვლევის სფეროა.

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ რედაქციათა და საგალობელთა კვლევას საკმაოდ ხანგრძლივი და მდიდარი ისტორია აქვს. ამ ძეგლს შეეხნენ ქრისტიანული მწერლობისა და კულტურის ისეთი ცნობილი მკვლევრები, როგორებიც იყვნენ: მარი ბროსე, მიხეილ საბინინი, ნიკო მარი, პაულ პეეტერსი, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე. ცნობები ილარიონ ქართველის ბიოგრაფიის შესახებ წარმოდგენილია დიმიტრი ბაქრაძის, ალექსანდრე ცაგარელის, მოსე ჯანაშვილის ნაშრომებში. „ცხოვრების“ ესა თუ ის რედაქცია სხვადასხვა დროს გამოიცა და ითარგმნა ლათინურ, რუსულ, ინგლისურ თუ ბერძნულ ენებზე.

გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ორი რედაქციის, ასევე ორი ადრეული საგალობლის კრიტიკული ტექსტები დაადგინა და გამოსცა ხელნაწერთა ინსტიტუტის (დღეს — ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის) მეცნიერმა, მანანა დოლაქიძემ. ტექსტების პუბლიკაციას მალევე მოჰყვა მის მიერ ილარიონ ქართველის სახელთან დაკავშირებული მასალების მონოგრაფიული შესწავლა. მკვლევარმა ერთიანობაში გააანალიზა ილარიონის „ცხოვრების“ ყველა რედაქცია და საგალობლები, ის ისტორიული კონტექსტი, რომელშიც უნდა შექმნილიყო ეს რედაქციები; დაადგინა ძეგლის წარმომავლობა, რედაქციათა ურთიერთმიმართება, შექმნის თარიღი და ადგილი, ასევე დააზუსტა ილარიონის ბიოგრაფიის თარიღები; წმინდანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის განხილვის ფონზე გამოკვეთა IX საუკუნეში საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართველ-

თა სამონასტრო კოლონიზაციის სურათი, ახლებური თვალთახედვით, ფართო თვალსაწიერით წარმოაჩინა ამ დიდი წმინდანის ადგილი და როლი შუა საუკუნეების ქართულ ეკლესიასა და კულტურაში, ასევე ის ლიტერატურულ-მნიგნობრული პროცესები, რომლებმაც ამ წმინდანის კულტის შექმნასა და დამკვიდრებას შეუწყო ხელი.

წინამდებარე ნაშრომში თავმოყრილია ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ხუთივე რედაქცია, სამი საგალობელი და იამბიკო: მანანა დოლაქიძის მიერ გამოცემულ ტექსტებთან და საგალობლებთან ერთად წარმოდგენილია „ცხოვრებათა“ სოლომონ ყუბანეიშვილისა და ენრიკო გაბიძაშვილის, ასევე საგალობელთა ივანე ლოლაშვილისა და იამბიკოს მიხეილ საბინინისეული გამოცემები. ტექსტების პუბლიკაციას ერთვის მანანა დოლაქიძის 1974 წელს გამოქვეყნებული გამოკვლევა.

ჩვენი აზრით, ეს ნაშრომი გააღვივებს მკვლევართა ინტერესს წმ. ილარიონ ქართველის მიმართ, გაუადვილებს მეცნიერებს წვდომას ამ წმინდანის კვლევასთან დაკავშირებით არსებულ წერილობით წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე. ასევე იმედი გვაქვს, რომ წმინდა ილარიონის „ცხოვრებანი“ და გალობანი შორეულ ქვეყნებსა და დროში მოგზაურობის საუკეთესო გზამკვლევადა, თუ რწმენასა და ზნეობრივ ფასეულობებში გარკვევისა და განმტკიცების თვალსაჩინო საშუალებად იქცევა რიგითი მკითხველისათვის.

წინამდებარე პუბლიკაციაში წვილი შეიტანეს: თამაზ კოჭლამაზაშვილმა (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), რომელმაც რიტმული საზომით წარმოადგინა ქალბატონი მანანას გამოცემაში პროზაული ფორმის მქონე ილარიონ ქართველისადმი მიძღვნილი საგალობლები, და ეკატერინე გედევანიშვილმა (გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი), რომლის ინიციატივის გარეშეც ეს პროექტი არ შედგებოდა.

Introduction

Saint Hilarion the Iberian (816/822 – 869/875), occupies a special place in the history of the Georgian Orthodox Church and culture.

The earthly labors of Saint Hilarion were manifold. His contribution to the development of Georgian monastic life is of particular importance; his name is associated with the establishment of Georgian monastic communities on Mount Olympus in Bithynia, as well as with the founding of the Georgian monastery of Holy Romana near Constantinople. Hilarion the Iberian's role as a patron is tied to three monastic centers in Kakheti: the Church of the Transfiguration in the David Gareja Lavra, the hermitage named after him within the same Lavra, and the Akura Father Davit's Convent. According to his hagiographers, Saint Hilarion was also endowed with divine grace — the miraculous healing of the sick, the afflicted, the possessed and the mentally ill. Yet, what makes Hilarion especially unique, lies in his way of life: in his constant "*foreignness*" — his perpetual sojourn in foreign lands, travels to distant countries and settlement in various holy sites. Though born into a noble family of Kakheti, Saint Hilarion spent the greater part of his life beyond the borders of Georgia, dedicating himself to pilgrimage and spiritual work in sacred places abroad. He journeyed and ministered across the Christian Near East (Jerusalem, the Jordanian desert, Bethlehem, Bithynia), Byzantium (Thessalonike), and Rome. Ultimately, he settled in Thessalonike, where he passed away and was initially buried.

The concept of "*foreignness*" — უცხოობა in Georgian — is a recurring *topos* in medieval Georgian sources — original hagiographical works and manuscript colophons. Its primary inspiration likely derives from John Klimakos' *Ladder of Divine Ascent*, specifically, the third step of ascetic virtue — *On Exile*. It signifies the renunciation of homeland, kin and worldly life, a retreat into solitude, an inward deepening — "*life in stillness*", and dedicating oneself wholly to God.

This, of course, does not preclude the possibility that in Saint Hilarion — the traveler to distant lands — we might also recognize a profoundly compelling me-

dieval figure: a soul aflame with spiritual seeking, marked by a sacred reverence for “*foreign*”. In this sense, his true successor is Ioane Mtatsmindeli (John the Hagiorite), who, nearly a century and a half later, sought to escape from Mount Athos and journey to the faraway land of Spain, though, unlike Saint Hilarion, he was unable to fulfill his intention. It is precisely for this reason that Saint Hilarion—who himself dwelt in perpetual “*foreignness*”—so often urged people in his talks toward “*philoxenia*”—compassion and kindness toward strangers.

Saint Hilarion and the Georgian Athonites share yet another notable connection: a distinctive affinity and sympathy toward the Latins, i. e. the Italians. This is evident in Hilarion’s two-year sojourn in Rome and in the exceptionally warm mutual relations between the Georgian Athonites and the Italian monks who arrived at Mount Athos, as well as the defense of Latin doctrinal practices by Giorgi Mtatsmindeli (George the Hagiorite) before the Byzantine Emperor Constantine X Doukas. Particularly illustrative of this spiritual connection are the Athonite monks Gabriel the Iberian and Leo, a representative of the Benedictine Order, who—though ignorant of each other’s languages—understood one another without words. Likewise, Saint Hilarion himself, though unskilled in Greek, became a revered spiritual father among the Greeks.

From the earliest stages of Christianization, the Georgian Christian tradition has been closely tied to the monastic life of the Near East and Byzantium. In their efforts to secure a place within the broader Christian world, Georgian monks settled in important monastic centers abroad from very early on. Initially in the Holy Land and later in Constantinople, Georgians immersed themselves in Christian teachings and ideals, which they then transmitted and adapted to the Georgian world, to Georgian soil.

This was no one-sided process. Georgian spiritual figures abroad, through their holy lives, spiritual depth, and intellect, immediately captivated the attention of the Greeks—with Saint Hilarion the Iberian standing as the finest example. Hilarion’s merits and authority among the Greeks were so immense that after his death, the Byzantine Emperor Basil I the Macedonian entrusted his sons—the future Emperor Leo VI and his brother Alexander—to the care of Hilarion’s disciples, Georgian monks. Basil also constructed the Church of the Archangel Michael (Holy Romana) near Constantinople specifically for Georgians, to which he transferred Hilarion’s relics from Thessalonike, inciting the wrath of the Thessalonians, who deeply venerated the Georgian saint.

Saint Hilarion's widespread veneration is evidenced by the creation of five redactions of his *Life*, three hymns and one so called iambiko (a poem of five verses, including 12 syllables each) from the time of his death through the late Middle Ages, preserved in nearly a hundred Georgian manuscripts dating from the 10th to 18th centuries.

The initial, so-called *short Athonite* redaction (Ϡ) was likely composed in the first half of the 10th century, in the Georgian language, outside of Georgia — presumably in Constantinople — by a Georgian serving in the imperial administration of Greece, for the local Georgian community there. This text became the basis for the so-called *long Athonite* redaction (Ϣ), which was also composed in the first half of the 10th century. The *metaphrastic* (ϣ) and *synaxarion* (ϣ) redactions of Saint Hilarion's *Life* are thought to have been written in the early 12th century, both based on the initial *short Athonite* redaction. Yet another *synaxarion* redaction (ϣ) is a later work, dated to the 18th century.

As for the hymns, one — whose author is unknown — appears to have been composed shortly after Hilarion's death (late 9th – early 10th century), likely by his disciple. A second hymn, authored by Zosime, was created in the scholarly circles of Athos between 1072–1074. The third is later and associated with Catholicos Anton I (1720–1788). The *Iambiko* is composed by the Georgian ecclesiastic figure and writer Nikoloz Tbileli (1672–1732).

The cycle of the *Lives* and hymns dedicated to Hilarion the Iberian is a monument of multifaceted importance. In addition to conveying significant information about Georgian monastic colonization in the 9th century, it is an invaluable source on monastic migrations between Byzantium and the Near East, ancient travel routes, and revered pilgrimage sites in the same period. Today, these topics are of special interest to Byzantinists and Orientalists — scholars in the fields of medieval history, historical geography, and Church history.

The scholarly study of the redactions and hymns associated with the *Life of Hilarion the Iberian* has a long and rich tradition. Notable scholars of Christian literature and culture — Marie-Félicité Brosset, Mikhail Sabinin, Niko Marr, Paul Peeters, Ivane Javakhishvili, and Korneli Kekelidze — have engaged with this corpus. References to Hilarion's biography appear in the works of Dimitri Bakradze, Aleksandre Tsagareli, and Mose Janashvili. The redactions of *Life* have been published and translated at different times into Latin, Russian, English, and Greek.

In the 1960s-70s, Manana Dolakidze, a scholar at the Institute of Manuscripts (now the National Centre of Manuscripts), published the critical edition of two redactions of Hilarion's *Life* and two early hymns. This publication was soon followed by her monographic study of the texts associated with Saint Hilarion. The scholar systematically analyzed all five redactions and the hymns, contextualizing them within their historical background. She determined their provenance, interrelations, chronology, and place of composition, as well as refining the dates of Saint Hilarion's biography. Against the backdrop of the saint's life and deeds, she reconstructed a picture of Georgian monastic colonization beyond the borders of Georgia in the 9th century, presenting with fresh insight and a broad perspective the place and role of this great saint in medieval Georgian Church and culture, along with the literary and scholarly processes that fostered the creation and consolidation of his cult.

This publication brings together all five redactions of the *Life* of Hilarion the Iberian, three hymns and the iambiko: In addition to the texts published by Manana Dolakidze, it also includes the editions of the *Life* by Solomon Qubaneishvili and Enriko Gabidzashvili, as well as the hymn edition by Ivane Lolashvili and the iambiko edited by Mikhail Sabinin. The published texts is supplemented by Manana Dolakidze's 1974 study.

We believe that this work will reignite scholarly interest in Saint Hilarion the Iberian, and make it easier for researchers to access the written sources and academic literature related to this saint. We also hope that the *Lives* and *Hymns* of Saint Hilarion will serve as an excellent guide for the common reader — whether in journeying through distant lands and times, or in deepening and affirming their understanding of faith and moral values.

We extend our sincere gratitude to our colleagues who contributed to this publication: to Tamaz Kotchlamazashvili (Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts), who rendered into rhythmic verse the hymns to Hilarion the Iberian — originally presented in prose form in Manana Dolakidze’s edition; and to Ekaterine Gedevanishvili (Giorgi Chubinashvili National Research Centre for the Georgian Art History and Heritage Preservation), whose initiative made this project possible.

We express our deepest thanks to “The Society Iveriisa”, which supported the implementation of this project and played a vital role in the publication of this work.

ტექსტების შესახებ

ტექსტები მცირეოდენი შესწორებებით (სასვენი ნიშნები, კომპოზიტა მართლწერა) გადმოტანილია შემდეგი გამოცემებიდან:

ტ რედაქცია – ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, ს. ყუბანეიშვილის გამოცემა, თბილისი, 1946, გვ. 170-177.

ყ რედაქცია – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნიგნი II, XI-XV საუკუნეები, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა, ლ. ჯღამაიამ, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, 1967, გვ. 9-37.

ტ რედაქცია – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნიგნი III, მეტაფრასული რედაქციები – XI-XIII საუკუნეები, დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, გ. კიკნაძემ და ც. ქურციკიძემ, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1971, გვ. 208-248.

ზ და I რედაქციები – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნიგნი IV, სვინაქსარული რედაქციები, XI-XVIII საუკუნეები, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1968, გვ. 356-358.

საგალობლები I, II – მ. დოლაქიძე, ილარიონ ქართველის სახელზე დანერგილი საგალობლები“, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, 1 (1971), გვ. 177-184.

საგალობელი III – ივ. ლოლაშვილი (გამოც.), ანტონ ბაგრატიონი, „წყობილსიტყვაობა“, თბილისი, 1980, გვ. 213, 259.

იამბიკო – მ. საბინინის გამოც., საქართველოს სამოთხე. სრული აღწერა ღუანლთა და ვნებათა საქართუშლოს ნმიდათა, პეტერბურლი, 1882, გვ. 363.

„ცხოვრებანი“ და გალობანი

შემოკლებები

ქსიმ = ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

ხეც = ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

NCM = National Centre of Manuscripts

Hym. = hymnus (საგალობელი)

Tit. = titulus (სათაური)

om. = ommito (გამოტოვება, დაკლება)

add. = addendum (დამატება)

r = recto (ხელნაწერის ფურცლის მარჯვენა მხარე)

v = verso (ხელნაწერის ფურცლის მერცხენა მხარე)

Jer. georg. = იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ქართული ხელნაწერების კოლექცია.

Ivir. georg. = ივირონის მონასტრის ქართული ხელნაწერების კოლექცია.

[A-558, 66] ცხორება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა
მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ

გუაკურთხენ, უფალო!

ბრწყინვალე არიან და ყოლადშუენიერ სიტყუანი წმიდათა წე-
რილთანი, რომელნი-იგი აღიწერნეს მადლითა სულისა წმიდისაჲთა
სამოძღურებელად ყოველთა მორწმუნეთა და სამკაულად წმიდისა
ეკლესიისა, რომელთა მიერ განშუენებდის ვითარცა სძალი, შემოსი-
ლი დიდებითა, და განაშუენებს შვილთა თჳსთა ელვარებითა სიკეთი- 5
სა მისისაჲთა. და ვითარცა ყუავილთა მიერ არისათა სულნელ-ჰყოფს
სწავლისმოყუარეთა კრებულსა და აღსძრავს ყნოსად კუალსა ნელ-
საცხებელთა მისთასა და მიდევნებად სულნელებასა საკუმეველთა
მისთასა. რამეთუ ვინაჲთგან შეეყო იგი სიძესა მას სულთა განწმე-
დილთასა, მიერთგან მიართუნა მან შემდგომად მისა კრებულნი მორწ- 10
მუნეთანი, რომელნი-იგი მოყუას მისა იწოდნა სიკეთისათჳს სულიერი-
სა სამკაულისა და პირად-პირადად შუენიერებისა მრავალსახეთა მათ
სათნოებათა მიერ, ვითარცა ფესუედითა ოქროვანად განრჩუნვილითა
შემკობილნი. და ვინაჲ-იგი დადგეს დედოფალი მარჯუენით მეფისა
ტაძართა მათ შინა სამეუფოთა და რაჲთა ესენიცა მას თანა დადგო- 15
მად ღირს-იქმნენ შესაკრებელსა მას შინა დიდსა პირმშოთასა, ვითარ-
ცა იტყვს დავით, ვითარმედ: „ეკლესიასა შინა დიდსა აღგიარო შენ“, *
სადა-იგი ღმერთი ღმერთთა შორის იცნობებოდის მათ მიერ, [v] რო-
მელნი-იგი წინაჲსწარ იცნნა და წინაჲსწარცა განაჩინნა პატივისა მას
ღმერთყოფისასა მიღებად, რომელთა თანა შეირაცხა დიდი ესე და 20

* ფსალ. 34, 18.

შენიშვნა: ტექსტი (ტ რედაქცია) გამოცემულია ერთი ხელნაწერის (ხეც A-558) მიხედ-
ვით, რომლის შესახებაც იხ. აქვე, გვ. 128. სქოლიოებში წარმოდგენილია გადამწერ-
ის მიერ დაშვებული მექანიკური შეცდომები და არასწორი ფორმები. ნიშნით * მი-
თითებულია ავტორის მიერ ბიბლიიდან მოყვანილი ციტატების წყაროები (რედ.).

ბრწყინვალე, ყოლადსანადელი და სასურველი მამა ჩუენი ილარიონ, მაღალი სათნოებათა მოღუანებითა და უმაღლესი სულიერთა ხედვათა ძალითი-ძალად აღსლვითა.

რომლისათჳს ესე არს სიტყუა ჩუენი და წინამდებარე არს აღწე-
 5 რად და მითხრობად შემდგომთა ნათესავთა ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ
 მისი, ვითარცა ძეგლი ოქროსაჲ, შემკობილი თუალითა პატიოსნითა
 და მარგალიტითა მრავალსასყიდლისაჲთა, აღმართებული და მდგო-
 მარჴ შორის ეკლესიისა, რაჲთა შემავალნი მოღუანებისა სტადიონსა
 ხედვიდენ და ბაძვად მსგავსებად ბრწყინვალეებისა მისისა უმჴურვალე-
 10 სად აღიძრვოდინ, რომელი-იგი დაღაცათუ ახალი იყო ჟამითა, არამედ
 ძუელთა მათ და უპირატეს გამოჩინებულთა მოღუანეთა, რომელთამე
 შეესწორა სათნოებითა და სასწაულთა მოქმედებითა, და რომელთამე
 აღემატა და ზოგს-რე თანა-ცა-წარჴჳდა სიკუდილადმდჴ უცხოებისა
 შეყუარებითა და თავისა თჳსისა სრულიად უჩინოქმნითა.

ხოლო არა განვაგრძოთ სიტყუა ჩუენი, რომელთა-ესე არა თუ
 შესხმისა გზაჲ გჴპყრიეს, არამედ აღწერად ცხორებისა მოსწრაფე ვართ
 და სმენისმოყუარეთა სასმენელთა აღვსებად სულიერთა სიტკბოები-
 თა და მითხრობად, თუ ვინაჲ აღმოსცენდა წმიდაჲ ესე, ანუ რომელთა
 კერძოთაგან აღმოჴჳდა ახალი ესე და ყოლადბრწყინვალჴ მნათობი,
 20 რომელი-იგი აღმო[67]სავალით აღმოჴჳდა და სათნოებათა ელვითა
 დასავალისა მყოფნი განანათლნა.

იყო ნეტარი ესე და წმიდაჲ მამა ჩუენი ილარიონ ნათესავით ქარ-
 თველი, ვინაჲ-იგი მრავალნი წმიდანი გამოჩნდეს და სასწაულთა მო-
 ქმედნი კაცნი; ხოლო დაღაცათუ აღუწერელობითა ცხორებისა მათი-
 25 საჲთა ჟამთა სიმრავლითა დაივიწყნეს, არამედ იგინი წინაჴე ღმრთისა
 ბრწყინვალედ მდგომარე არიან. გარნა რაოდენთამე ახლად გამო-
 ჩინებულთა წმიდათაჲ საჴსენებელიცა დაშთა და ცხორებაჲთა აღიწერა
 ღმრთისმოყუარეთა მიერ კაცთა და მოსწრაფეთა, ვითარცა-ესე წმი-
 დისაჲ ამის, რომლისათჳსცა არს სიტყუა ჩუენი.

30 არამედ ჩუენ პირველსავე სარბიელსა სიტყჴს[ა]სა მოვიდეთ და
 მიგითხრათ ყოველივე სახჴ ცხორებისა მისისაჲ, ვითარცა პირველ
 ვთქუთ. აღმოსცენდა უკუე ნატარი ესე ქუეყანით ქართლით, საზღ-
 ვართაგან და კერძოთა კახეთისათა, შვილი აზნაურთა მდიდართა და

¹² შეესწურა. ³² ესჴ.

ნარჩინებულთაჲ. ხოლო ამისსა მამასა ესხნეს სხუანიცა შვილნი, გარნა წმიდაჲ ესე აღთუქმულ იყო ღმრთისადა მშობელთა თჳსთაგან, ვითარცა პირველ სამოელ – ანნაჲსგან.*

და იქმნა რაჲ ესე ექუსის წლის, მიეცა სწავლად კაცსა ღირსსა და ღმრთისმოყუარესა, რომელიცა იყო დაბასა მისსა, სადა იყოფებოდა მამაჲ ნეტარისაჲ მის, და ასწავლიდა იგი მას წიგნთა სულიერთა დღე და ღამე. და ირწყებოდა იგი, ვითარცა ხჴ დანერგული ღმრთისა მიერ თანაწარსადინელსა [v] წყალთა** მათ სულისა წმიდისათა, რომელ არიან წიგნნი ღმრთივსულიერნი.

და ვითარცა იხილა მამამან მისმან მოსწრაფებით სწავლაჲ ყრმისაჲ მის ბერისა მისგან წმიდისა, იწყო ყოვლისავე საწმრისა მიცემად უხუებით და ჴელ-ყო ადგილისა მის აღშენებაჲ მონასტრად. და შეკრბეს მუნ ძმანი რიცხვთ ვითარ ათექუსმეტნი ოდენ. და მარადის მივალნ მამაჲ მისი შენებისათჳს მის ადგილისა და ხილვად სასურველისა მის ძისა თჳსისა.

და ვითარცა იხილა ნეტარმან მან და ჭეშმარიტმან შვილმან ზეცათა მამისამან ზედაჲს-ზედა მოსლვაჲ იგი მამისა თჳსისაჲ, მწუხარე იქმნა ამას ზედა და მოეჴსენა სიტყუაჲ იგი წმიდისა სახარებისაჲ, ვითარმედ: „რომელმან არა დაუტყოს მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“*** და განიზრახა წარსლვაჲ უშინაგანესსა უდაბნოსა. და აღდგა და წარვიდა უდაბნოსა გარეშჯისასა, და პოვნა მუნ მრავალნი კაცნი მოღუანენი და მახლობელად მათსა ქუაბი ერთი მცირჴ. განიხარა სიხარულითა დიდითა და შევიდა და დაემკჳდრა მას შინა. და იყო ჴასაკითა ვითარ ათხუთმეტისა წლისაჲ. და მიერთგან იწყო შესლვად სარბიელსა მოღუანებისა. მარხვითა და მღჴძარებითა ჴასაკსა მას სიჭაბუკის[ა]სა დააჭნობდა, ლოცვითა და მარადის ღმრთისა ხედვითა უწორცოთა მიემსგავსებოდა, ვიდრელა წარემატებოდა [68] მოღუანებითა ყოველთავე მყოფთა მის ადგილისათა უდაბნოსა მას შინა, რამეთუ ყოველთავე უკჳრდა ეგოდენი იგი შრომაჲ მისი და მოთმინებაჲ.

და აღეშენებოდეს ყოველნი იგი ძმანი სწავლითა მისითა და შეუვრდებოდეს მას, რაჲთა იყოფოდინ მის თანა.

და შეიწყნარნა მან მის თანა ვითარ ათერთმეტნი ძმანი, მოღუანე-

* I მეფ., 1. ** ფსალ. კანონი ა, 1, 3. *** შდრ. მათე, 10, 38.

ნი მშკდნი და მდაბალნი, და იყვნეს იგინი, ვითარცა ანგელოზნი მარხ-
 ვითა და დაუცხრომელად ლოცვითა და გალობითა ღმრთისა მიმართ,
 ვიდრემდის განითქუა ჰამბავი ღირსებისა მისისაჲ ყოველსა მას ქუე-
 ყანასა ქართლისასა, რამეთუ ვითარ შესაძლებელ იყო სანთელი დაფარ-
 5 ვად ჳკმირსა ქუეშე გინა ცხედარსა* და არა საცნაურ-ყოფად ყოველთა
 მიერ, ვიდრემდის ეუნყაცა ეპისკოპოსსა რუისთველსა სიმრავლჳ იგი
 სათნოებათა მისთაჲ, აღივსო იგი სულიერითა სურვილითა, აღდგა და
 წარვიდა მოკითხვად მისდა. და ვითარ მიიწია წმიდისა მის, მოიკითხნეს
 ურთიერთას ამბორის-ყოფითა წმიდითა. და იხილა რაჲ ეპისკოპოსმან
 10 პირი მისი ყვთელი, სიტყუაჲ მდაბალი და სამოსელი შეურაცხი, განკვრ-
 და იგი გონიერითა განკვრებითა და ჰრქუა მას: „მრავლით ჟამითგან
 მინდა ხილვაჲ შენი, შვილო ილარიონ, და ღირს-ვიქმენ მე ცოდვილი ესე
 მოღებად წმიდისა ლოცვისა შენისა. და ამისთვის უმეტესად ვჰმადლობ
 ღმერთსა, რომელმან არა ჴუებულ-მყო სულიერისაგან სიყუარულისა
 15 შენისა. და აწ გევედები, [v] შვილო, რაჲთა სრულ-ჰყო საწადელი ჩემი
 და მიიღო მღდელობაჲ ჩემ მიერ გლახაკისა ამის და უღირსისა“.

ხოლო ნეტარი იგი ვითარცა იყო ყოვლითურთ მდაბალი და
 უცხოჲ კაცობრივისა დიდებისაგან, არა ენება პატივისა მას მღდელო-
 ბის[ა]სა აღსლვაჲ და წინააღუდგებოდა ღირსსა მას ეპისკოპოსსა და
 20 ევედრებოდა მჴურვალედ და იჯმნიდა, რაჲთა განათავისუფლოს იგი
 უღლისა მისგან მღდელობისა. ხოლო იგი აღძრვითა ღმრთისამიერითა
 კუალადცა აიძულებდა და ევედრებოდა მას. არამედ ვითარცა იხილა
 თავი თჳსი იძულებულად წმიდამან მან, და ბრალად შეჰრაცხა ურჩე-
 ბაჲ იგი მღდელთმოძღურისაჲ და ზეგარდამოჲსა ძალისაგან გულისავესე
 25 ქმნულმან ღმრთისა მიერ ჰრქუა მას: „ჴ, პატიოსანო მამაო, ჴელთა შენ-
 თა შინა ვარ მე, გლახაკი ესე, რაჲცა ჴნებავეს ღირსებასა შენსა, ყავნ ჩემ
 ზედა“.

მაშინ აღდგა წმიდაჲ იგი ეპისკოპოსი და აკურთხა იგი მღდელად.
 და აღასრულეს წმიდაჲ იგი საიდუმლოჲ და ეზიარნეს ურთიერთას. და
 30 წარვიდა ეპისკოპოსი იგი და მიუთხრობდა ყოველსა ერსა სათნოებათა
 მისთა, და რომელთა ესმოდა, ჰმადლობდეს ღმერთსა. ხოლო მრავალ-
 ნი შორით ქუეყანით მოვიდოდეს ხილვად მისა და მოღებად ლოცვისა
 მისისა წმიდისა.

* შდრ. მარკ. 4, 21.

²⁶ ესჳ.

და ამისა შემდგომად იხილა რაჲ ნეტარმან ილარიონ სიმრავლჳ იგი მისა მომავალთა მათ ერთაჲ, შეუძნდა საქმჳ ესე და იწყო ურვად. და ჰასაკსავე სიჭაბუკისასა მოხუცებულებრი სული მოიპო[69]ვა, ვითარცა დიდმან მოსე, და მსაჯულ იქმნა შორის სულისა და ჯორცთა. უსაჯა დაწუნებულსა მას და მოუძღურებულსა, მოაკუდინა სიმაღლჳ იგი ჯორცთაჲ და დაფარა ქჳშასა შინა სიმდაბლისასა, ვინაჲ-იგი ვერ შეუძლებს აღმოცენებად საძოვარი ვნებათაჲ. და მერმე იხილა რაჲ, ვითარმედ არა დასცხრებიან ძალნი იგი ბნელისანი შფოთის-ყოფად ეგჳტესა მას შინა ვნებათასა, დაუტევა ყოველი ფარაოჲსი ფარაოჲსვე თანა მძლავრისა, განეშორა იგი და ამაღლდა მთასა მას სათნოებათასა, ვინაჲ-იგი მწყსიდა გულისსიტყუათა კეთილთა, ვითარცა რაჲ საცხოვართა მწუანვილოვანსა მას ზედა მოლუანების[ა]სა. და ხილულთა ამათ განცდითა უხილავისა მის გულისჴმისყოფად აღინეოდა, ვინაჲცა ცეცხლი იგი სულისაჲ ეკლო ვნებასა მას შინა ჯორცთა თჳსთასა, იხილა მგზებარედ, რომლისაგანცა შეუნველად დაინვებოდა.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. მოუჴდა წმიდასა მას სურვილი უცხოებისაჲ და სიძულილი ცუდადდიდებისაჲ, და უფროჲს და უპირატეს ამისსა სურვიელ იყო თაყუანისცემად წმიდათა მათ და ცხოველსმყოფელთა ადგილთა, ვინაჲ-იგი თავს-ისხნა ჩუენთჳს ვნება-ნი ჯორცითა ამით კაცობრივითა, რომელნი ჩუენგან მიიხუნა სიტყუა-მან ღმრთისამან უვნებელმან. და ვითარ ეგულებოდა, [v] გამოირჩია ძმათა მათგან ძმაჲ ერთი, რომელი იყო უვალრეს ყოველთაჲსა სათნოე-ბითა და შემძლებელი წინამძღრობად და მწყსად სულთა. ესე დაადგინა წინამძღურად ადგილსა თჳსსა, და წარიყვანა ძმაჲ ერთი, და წარემართა წმიდად ქალაქად იერუსალჴმდ. და ვიდოდეს კეთილად წინამძღურობი-თა ღმრთისაჲთა. და ვითარცა ვლეს დღჳ მრავალი, მიიწინეს იგინი ქუე-ყანასა მას შამისასა, ვინაჲ-იგი მკჳდ იყვნეს ნათესავნი ბარბაროზნი. და სლვასა მას მათსა შინა მიხუდეს ავაზაკნი ბოროტნი გზასა ზედა და მეყსეულად, ვითარცა მჴეცნი, მოუჴდეს მათ ზედა ჩუეულებისა-ებრ გონებათა მათთაჲსა. და იჴადეს მახვლები მათი, რაჲთა სცენ მათ. და აღიპყრეს პირველად ცემად წმიდისა ილარიონისა, და მეყსეულად განჴმეს ჴელნი მათნი და ვერ შეუძლეს ქუე ჩამოხუმად.

⁴ მოსჴ.

- მაშინ იწყეს ტირილით ვედრებად მისა და მიუდგეს უკუანა მათსა, ვითარ ხუთ უტევან. იხილა რაჲ წყალობისმოყუარემან მან სულმან მის- მან, და მოეცენა მცნებაჲ იგი მაცხოვრისაჲ, რომელსა იტყვს სახარე- ბასა შინა, ვითარმედ: „ნუ მიაგებთ ბოროტსა ბოროტისა ნილ“.* მაშინ
- 5 მოექცა წმიდაჲ იგი, დასწერა ჯუარი და განკურნნა იგინი და წარგზავ- ნნა ცოცხლებით. ხოლო მათ ვითარ იხილეს მსწრაფლი იგი განკურნე- ბაჲ მათი, მოართუეს მათ პური და კერატი, და ითხოვდეს შენდობასა და ეტყოდეს მას ენითა მათითა, რომელ საცნაურ იყო, რაჲთა არღარა ყონ ესრეთ მონაზონთა ზედა. და ერთი [70] მათგანი წარჰყვა ვიდრე
- 10 მიწვევანდმდე მთასა მას წმიდასა თაბორსა, ვინაჲ-იგი ფერი იცვალა დიდებით ქრისტემან, ღმერთმან ჩუენმან წინაშე წმიდათა მონაფეთა თვსთა. ილოცეს მუნ და თაყუანის-სცეს მთასა მას წმიდასა. და მიერ წარვიდეს ქალაქად წმიდად იერუსალჴმად და მოილოცნეს წმიდანი იგი და თაყუანისსაცემელნი ადგილნი. და იხილა მას შინა წმიდამან მან
- 15 ყოველივე სახჴ განგებულებისა სიტყვსა ღმრთისაჲ და თაყუანის-სცა წმიდასა და დიდებულსა გოლგოთასა და ცხოველსმყოფელსა საფლავ- სა. და მიერ წარვიდა ბეთლემად და იხილა ქუაბი იგი ცათა მობაძავი, ვინაჲცა იშვა უფალი ჩუენი იესუ ქრისტჴ ქალწულისაგან წმიდისა, მოწლედ ამბორს-უყო და სურვილით თაყუანის-სცა. და მიერ მიიწია
- 20 მდინარედ წმიდად იორდანედ და განიბანა წყლითა მით წმიდითა და მოილოცნა ყოველნი იგი მონასტერნი, რომელნი შენ იყვნეს უდაბნოთა მათ შინა წმიდათა. და მიიწია ვიდრე ლავრადმდე დიდისა საბაჴსა. და დაყო ყოველთა ამათ უდაბნოთა შინა შკდი წელი ღუანლითა და შრომი- თა, რომელთა გამოთქუმაჲ შეუძლებელ არს.
- 25 რამეთუ ვინაჲთგან მოიცალა ყოველთაგანვე ნივთთა და ზრუნ- ვათა სოფლისათა და განემზადა გულისჴმი[ს]-ყოფად უვალრესისა მის, ვითარცა დავით იტყვს, ვითარმედ: „მოიცალეთ და გული[ს]ჴმა-ყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი“.** და დაემკვდრა თავისა თვსისა თანა და მხო- ლოჲ მხოლოჴსა მის თანა სასურველისა. მიერითგან რაჴღა ვინ თქუას,
- 30 რაჴდენნი ღუანლნი და შრომანი თავს-ისხნა, რამეთუ უც[ვ]ხოვებითა და უპოვარებითა და სიგლახაკისა შეყუარებითა სრულთა მათ და მოღუა- ნებასა შინა განთქუმულთა შეესწორა, ხოლო სიმჴნითა და სიბრძნით

* 1 პეტრე, 3, 9; შდრ. მათე, 5, 39. ** ფსალ. 45, 11.

მოღუანებითა და მტერთა მათ უხილავთა ახოვნად წყობითა და ჯორც-
თა თვსთა უწყალოდ განკაფითა ყოველთავე ღმრთისათვს დამდაბლე-
ბულთა და უცხოქმნულთა მიემსგავსა. და ორთავე ამათ საზომთა თავ-
სა შორის თვსსა შემოკრებითა ორკერძოვე სრულთაჲსა სწორ იპოვა,
რომლისათვსცა სამარადისოდ ხედვასა ღმრთის[ა]სა შეესაკუთრა. რა- 5
მეთუ ვინაჲთგან საქმჴ დასაბამი არს ხედვისაჲ და შიში ღმრთიეგონიერი
მომატყუებელი უშიშოებისაჲ, ვინაჲთგან არღარა მონებრ იშიშვოდის
მოშიში იგი. და არცა ვითარცა მიზდური სასყიდლისათვს შურებოდის,
არამედ ვითარცა შვილი სასურველი და საყუარელი მამისაჲ მესამესა
მას სისრულისა ხარისხსა აღსრულ იყოს და სასურველსა მას უმაღლეს 10
პირველისა ხედვიდეს, მიერიტგან განუშორებელად ზრახვად მისდა
ოდენ მოსწრაფე იყოს, ვითარცა წმიდაჲ ესე მამაჲ ჩუენი ილარიონ.

რამეთუ ესრეთ რაჲ იყოფებოდა უდაბნოთა მათ შინა იორდანი-
სათა, ვითარცა პირველ ვთქუთ, და უმეტესად დიდსა მას ლავრასა
მამისა საბაჲსსა, განკვრდეს ყოველნი იგი მამანი ბუნებისა უვალ- 15
რესთა მათ მოღუანებათა და შრომათა მისთა ზედა და ყოველთა მიერ,
ვითარცა საკვრველი რაჲმე მისათხრობელ და თითის-საჩუე[71]ნე-
ბელ იქმნა, ვითარცა იტყვს მოციქული, ვითარმედ: „თითის-საჩუენე-
ბელ ვიქმნენით სოფლისა და ანგელოზთა და კაცთა“.* და ევედრებინ
ღმერთსა მარადის, რაჲთა გამოუცხადოს უმჯობესი სულისა მისისაჲ, 20
რომელი სათნო-უჩნს მოწყალებასა მისსა. და იტყვნ სიტყუათა მათ
ფსალმუნისათა: „მაუწყე მე, უფალო, გზაჲ, რომელსაცა ვიდოდი, და
კუალად მასწავე მე, რაჲთა ვყო ნებაჲ შენი“** და შემდგომი ამისი.

და ესევეითარსა რაჲ მოღუანებასა შინა დაყო შკდიწელი და ღმრთი-
სა მიმართ ვედრებასა, ღამესა ერთსა, ვითარცა აღასრულა კანონი 25
ლოცვისა თვსისაჲ და სიმძიმისათვს ჯორცთა ბუნებისა მცირედ მიერუ-
ლა, და იხილა ჩუენებაჲ ესევეითარი, რეცა მიიტაცა იგი მთასა მას წმი-
დასა ზეთისხილთასა, ვინაჲთ-იგი უფალი ჩუენი იესუ ქრისტჴ ამაღლდა
დიდებით ზეცად მამისა. ვინაჲცა გარდამოჴდა და იხილა წმიდაჲ დედო-
ფალი ღმრთისმშობელი და მარადის ქალწული მარიამ და ათორმეტნი 30
კაცნი ბრწყინვალენი მდგომარენი მის წინაშე. და ვითარ განიცდიდა
საკვრველსა ამას ჩუენებასა, მაშინ ჰრქუა მას წმიდამან დედოფალ-

* კორინ. 4, 9. ** ფსალ. 142, 8 და 10.

მან: „ჰ, ილარიონ, წარვედ და მიისწრაფე სახედ შენდა, დაუმზადე სერი უფალსა და ძესა ჩემსა“. და ვითარცა განილჳა ჩუენებისა მისგან, მეყსეულად გულისჳმა-ყო ძალი სახილავისა მის და ბრძანებისა საღმრთოჲსაჲ, აღდგა და შეწირა მადლობაჲ ღმრთისა სახიერისა და ყოლად-
 5 წმიდისა მის დედისა მისისა გამოცხადებისათჳს უმჯობესისა.

და წარემართა ქუეყანად თჳსად და ნათესავთა მიმართ თჳსთა ზეგარდამო გულსავსე-ქმნული, ვითარცა პირველად მოსე, დიდი იგი შჯულისმდებელი, კუალად მეორედ უკუანქცეული [v] ეგჳტედვე გამოყვანებად ნათესავთა დაკირთებულთა. ეგრეთვე ამანცა მოიღო
 10 ბრძანებაჲ კუალად მუნვე მიქცევაჲ, ვინაჲ-იგი იშვა და აღიზარდა, რაჲთა შეეწიოს თჳსთა მათ ბუნებისათა უხილავისა მის ფარაოჲს და-მონებულთა.

ესრეთ უკუე კეთილ იყო და ყოლად ღმრთივშუენიერ პირველი იგი გამოსლვაჲ მისი უსრულებისათჳს სულიერისა ჰასაკისა და კუალად
 15 უკეთეს და უშუენიერეს იყო კუალადცა მიქცევაჲ მისი მუნვე, ვინა[ჲ]-იგი ბრძანებაჲ მიიღო ძალშემოსილმან ზეგარდამოჲთა სასოებითა შეწვენად მიმძლავრებულთა მტერისაგან მსგავსად სიტყჳსაებრ ბრძნისა მის, ვითარმედ: „უამი არს ყოვლისაჲვე“, * და კუალად იერემია იტყჳს: „რომელმან გამოიყვანოს პატიოსანი უპატიოთაგან, ვითარცა პირი
 20 ჩემი იყოს.**

რომლისაცა მიზეზისათჳს წარმოვიდა წმიდაჲ იგი ქუეყანად თჳსად. და ვითარცა მოიწია, პოვნა, რამეთუ აღსრულებულ იყვნეს მამაჲ და ძმანი მისნი. და იგლოვნა იგინი ბუნებითითა ტკივილითა, აღ-
 25 დგა და შეწირა მადლობაჲ ღმრთისა მიმართ და ყო ლოცვაჲ ღბინებისა და ნეტარებისა მათისათჳს.

ხოლო დედამან მისმან მოართუა ყოველი მონაგები მამისა მისი-საჲ და ჰრქუა მას: „წარაგე ესე, შვილო, ვითარცა სათნო-გიჩნს“. ხოლო ნეტარმან ილარიონ პირველ ყოვლისა იზრუნა ცხორებაჲ დედისა თჳსისაჲ, ვითარცა ჯერცა-იყო, რამეთუ პატივისცემაჲ მშობელთაჲ გან-
 30 ნესებულ არს შჯულსა შინა ძუელსა და ახალსა. და აღაშენა მონასტერი დედათათჳს მონესეთა ადგილსა კეთილსა და შუენიერსა და შეიყვანა

* შდრ. ეკლ. 3,1. ** იერემ. 15, 19.

⁷ მოსწ. ¹³ უკუწ. ¹⁸ ესაია.

მას შინა ღირსი [72] იგი დედა თესი და ილუნიდა შვილებრითა მოლუა-
ნებითა. და შეწირნა სოფელნი რავდენნიმე, ვითარ შემძლებელ იყო. და
განუწესა წესი და კანონი, ვითარცა ჯერ-არს მონასტერსა შინა ყოფი-
საჲ, ლოცვისა და მარხვისა და ყოვლისავე წესიერად ქცევისაჲ. და მამა
და მოძღუარ სულიერ ექმნა დედასა მას თესსა ჯორციელსა.

5

და კუალად აღაშენა სხუაჲ მონასტერი მამათათჳს და შეკრიბნა
მას შინა ძმანი ვითარ სამეოცდაათექუსმეტნი, ღირსნი და მოლუაწე-
ნი, რომელთაცა სინმიდესა და ღირსებასა ხედვიდა თუალითა სულიე-
რითა. და განუწესა მათცა წესი და კანონი სიმწნისა მათისა შემსგავსე-
ბული. და აღუშენა ეკლესიაჲ და შეამკო ყოვლითავე სამკაულითა, და
მოიგნა წმიდანი წიგნნი და დასხნა მას შინა და შეწირნა სოფელნი, რო-
მელნი დაშთომილ იყვნეს მამულისაგან თესისა. და ვითარ განასრულა
ყოვლითავე საჭმრითა, სხუაჲ ყოველი ნამეტავი მონაგებთა მამულთაჲ
განუყო გლახაკთა და უღონოთა. და ესრეთ რაჲ კეთილად მოიცალა
მამულისაგან სიმდიდრისა თესისა, მადლობაჲ შეწირა ღმრთისა სრულ-
მყოფელისა ყოველთა კეთილთაჲსა.

10

15

ხოლო ვითარცა იხილა კეთილისმოძულემან მან და დასაბამმან
შურისა და სიბოროტისამან, უკეთურმან ეშმაკმან, აღშენებაჲ იგი მო-
ნასტერთაჲ მათ და ცხორებაჲ სულთა მრავალთაჲ, ნუუკუე დუმნა-ა სი-
ბოროტისაგან თესისა? ნუ იყოფინ! არამედ აღაშფოთა ნათესავი ამის
წმიდისაჲ და იწყო შეჩუენებად და ფიცად, რაჲთა დაწუას მონასტერი
იგი და წმიდაჲ იგი მოკლას. და [v] დასამტკიცებელად ბოროტისა ამის
განზრახვისა კარსა მონასტრისასა დაასხა ნაწშირი და დაწერა მცირესა
ზედა ფიცარსა, ვითარმედ: „ესრეთ იხილონ ყოველთა ესე მონასტერი
სამ დღედმდე“. და დააგდო იგი წინაშე ბჭეთა მონასტრისათა. ხოლო
ვითარცა განთენა, იხილა ესე ყოველი წმიდამან ილარიონ, შენუხნა
ფრიად და იურვოდა წარწყმედისათჳს სულისა მისისა, და არათუ ჯორ-
ციელთა თქუმათა და ქადაგებათათჳს რაჲმე ჰგლოდა, ნუ იყოფინ, არა-
მედ რამეთუ მონყალე იყო და სულთა მოყუარჴ, ამისთჳსცა დაადგრა
ღამე ყოველ ლოცვასა ღმრთისა მიმართ. და ვითარცა მიერულა, იხილა
კაცი ბრწყინვალჴ, რომელი ეტყოდა: „ნუ გეშინინ, ჴ, ილარიონ, რამეთუ
დღესვე განისწავლოს მტერი იგი შენი და შეგივრდეს ფერჴთა შენთა“.

20

25

30

¹⁸ სიბოროტისამან. ²⁷ იურვუდა.

და ვითარცა განთენა, მუნთქუესვე დააკუეთა იგი ეშმაკმან ქუე-
ყანასა ზედა და გორვიდა და პეროოდა. და მეყსეულად აღიღეს მსა-
ხურთა მათ მისთა და მოიღეს წინაშე წმიდისა მის და დააგდეს ქუე-
ყანასა ზედა. ხოლო ძვრუჴსენებელმან მან და ყოლად მონყალემან
5 მამამან საცხორებელად მისა შეჰრაცხა მცირჴ იგი სწავლაჲ მისი,
აღდგა მსწრაფლ და ლმოზიერად ევედრა უფალსა განკურნებისა მი-
სისათჴს. და დასწერა სასწაული პატიოსნისა ჯუარისაჲ და აღადგინა
ფერჴთა თჴსთა ზედა ცოცხალი და განთავისუფლებული სულისა მის-
გან არანმიდისა.

10 მაშინ იწყო ტირილით აღსაარებად პირველთა მათ [73] უგუნურე-
ბათა თჴსთა, და წარვიდა სახედ თჴსად. და მოართუა წმიდასა ყოველი
მონაგები თჴსი საშენებელად მონასტრისა, და აღიკუეცა ჴელთაგან
წმიდისათა. და იქმნა კეთილ მონაზონ და დაემკჴდრა მონასტერსავე
მას შინა კეთილითა მოქალაქობითა, სიმდაბლითა და მორჩილებითა და
15 ყოველთა უდარეს თავისა თჴსისა შერაცხვითა და უწყინოდ მსახურე-
ბითა ძმათაჲთა. და ესრეთ აცხოვნა წმიდამან ილარიონ ნათესავი იგი
თჴსი ორითავე ცხორებითა.

მაშინ განითქუა ჴამბავი მისი ყოველსა მას ქუეყანასა ქართლის[ა]
სა. და ენება მრავალთა, და წადიერ იყვნეს ხილვად მეზრ ხატისა მისისა
20 და სმენად სიტყუათა მისთა, რომელნი სავსე იყვნეს სიტკბოებითა და
სულიერითა სიხარულითა. და რომელნი იხილვიდეს, დიდად სარგებელ
იყოფვოდა შემთხუევაჲ მეზრ ოდენ მისი. და ჴმადლობდეს ღმერთსა და
მოართუმიდეს საჴმარსა მრავალსა ნუგეშინის-საცემელად ძმათა და
სამსახურებელად გლახაკთა და უცხოთა.

25 და ვითარცა იხილა მყუდროებისმოყუარემან მან და შფოთისმო-
ძულემან სულმან მისმან ზედაჲს-ზედა მოსლვაჲ ერისაჲ და წყინებაჲ,
და ვერ ეძლო ამით მიზეზითა საწადელისა მის თჴსისა დაყუდებისა
მოგებად. და ენება ყოველსა ერსა და მთავარსაცა მის ქუეყანის[ა]სა,
რათამცა ყვეს იგი ეპისკოპოს. და ვითარცა გულისჴმა-ყო ესე ნეტარ-
30 მან ილარიონ, განიზრახა თავსა შორის თჴსსა, ვითარმედ: „დიდებაჲ ესე
ამის სოფლისაჲ მომატყუებელ არს საუკუნოჲსა მის [v] შეურაცხებისა“.
და ამითცა მიემსგავსა დიდსა მას შჴჴულისმდებელსა მოსეს კუალად
მეორედ გამოსლვითა ეგჴპტით, ვინაჲთგან სულნი მრავალნი იჴსნ-

² პეროოდა. ³¹ მომატყუებელი.

ნა მონებისაგან უხილავისა მის ფარაოჲსა და განიყვანნა დაუნთქმელად ზღუასა შინა ამის სოფლის[ა]სა, ვინაჲცა მძლავრი იგი მღევარი მწედრებითურთ თჳსით დანთქმული იხილა და ძლევისა გალობასა ძლევისმომცემელისა ღმრთისა სულიერითა სახიობითა შესწირვიდა. და ვითარცა დაამტკიცა გონებასა შინა თჳსსა სივლტოლად ცუდად- 5 დიდებისაგან და წარსლვაჲ უშორესსა ქუეყანასა, ვინაჲცა არა საცნაურ იყო, გამოირჩია ძმათა მათგან მონასტრისათა ძმაჲ ერთი, საესჴ ყოვლითა სიბრძნითა და შემძლებელი მწყსად პირმეტყუელთა ცხოვართა. მოიყვანა იგი და დაადგინა წინაშე ყოველთაჲსა და დაასხნა მის ზედა წმიდანი ჴელნი თჳსნი, აღიხილნა თუალნი ზეცად და თქუა: 10 „გმადლობ შენ, მეუფეო ჩემო და ღმერთო ჩემო, რომელსა შეგევედრე საშოთგან დედისა ჩემისაჲთ და ვიდრე დღესამომდე, და განმარინე მე მახეთაგან მომნადირებელთა ჩემთაჲსა და ყოველთა გზათა ჩემთა თანამავალ და მოლუანე მექმენ მე, ვიდრე კუალადცა ინებე მოსლვაჲ ჩემი ქუეყანასა ამას, რომელსაცა შინა ვიყავ და აღვიზარდე. და სათნო-იჩი- 15 ნა ესრეთ მიუწდომელმად მან განგებულებამან შენმან, რაჲთა ჩემ მიერ გლახაკისა აღეშენოს ადგილი ესე შესაკრებელად ძმათა ამათ. [74] ან უფალო, სახიერო, ჴელთა შენთა წმიდათა შევჴვედრებ მონათა ამათ შენთა, დაიცვენ ესენი, მეუფეო, მრავალსახეთა მათგან და მრავალ-ლონეთა მანქანებათა მტერისათა. და ნუმცა ჴპოვებს ბოროტი ეშმაკი 20 ადგილსა განსუენებისასა ამათ შორის, არამედ განისუენენ ამათ ზედა სულმან შენმან წმიდამან და ცხოველსმყოფელმან. და ძმაჲ ესე, რომელ გამოირჩია ყოლად წმიდამან ნებამან შენმან წინამძღურად ამათ ზედა, აკურთხე ესე ყოვლითა კურთხევითა, რომლითაცა აკურთხენ წმიდანი მამანი ჩუენნი, და დასხმითა ჴელთა ჩემ უღირსისა[ჲ]თა ამას ზედა მო- 25 [ვ]ედინ მაღლი შენი წმიდაჲ, რაჲთა კეთილად უძლოდის ძმათა ამათ და შესძინოს ტალანტსა რწმუნებულსა მისდა, და იდიდოს შენ მიერ მონისა მის და სახიერისა, რამეთუ შენი არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამინ“.

და ჰრქუა ძმასა მას ესრეთ: „იხილე კეთილად და ილუანე, ძმაო, 30 სულისათჳს ამათ ძმათაჲსა, ვითარცა სულისა შენისათჳს, რაჲთა არა მოგეჴადოს პატიჴი მონისა მის უსახურისაჲ, რომელმან დაჴფლა* მი-

* შდრ. მათე 25,18.

⁵⁻⁶ ცოდადდიდებისა.

ნასა შინა ტალანტი უფლისა თჳსისაჲ. არამედ შესძინე მრავალწილად, რათა მცირედსა ზედა სარწმუნო-ქმნილი მრავალსა ზედა დაიდგინო და შეხვდე სიხარულსა უფლისა შენისასა“. და ესე რაჲ თქუა, მოექცა ძმათა მათ ყოველთა, და ასწავა განგრძობილად ცხორებისათჳს სულ-
 5 თა მათთაჲსა და ამცნო მორჩილებაჲ წინამძღურისაჲ მის, რომელი-იგი განეჩინა მათ ზედა. აღიპყრნა ჯელნი და შეჰვედრა უფალსა და თქუა: ჯელთა შენთა წმიდათა, უფალო, შეჰვედრებ ძმათა ამათ“. და დაუტევა უკუანაჲსკენელი მშჳდობაჲ და იჯმნა მათგან და წარვიდა.

[v] ხოლო ვინმე მიუთხრნეს ტირილნი იგი და გოდებანი და ჯმანი
 10 იგი საწყალობელნი, რომელნი ქვათაცა ღმობიერ-ყოფად შემძლებელ იყვნეს, რომელსა ჰყოფდეს ძმანი იგი, რამეთუ რომელნიმე უკუანა შეუდგეს და რომელნიმე წინა-წარსწრობად მოსწრაფე იყვნეს, რათამ-ცა მის თანა სლვითა გზაჲ იგი განაზოგეს. ხოლო წმიდაჲ იგი ჰლოცვი-და და ევედრებოდა უკუან-ქცევად, ვიდრელა ფიცითა იძულებულნი
 15 შეუვრდეს წმიდათა ფერჯთა მისთა და ამბორს-უყოფდეს და ესრეთლა შეიქცეს ობოლქმნულნი ტკბილისა მისგან მამისა.

ხოლო წმიდამან ილარიონ წარიყვანნა თავისა თჳსისა თანა ორნი ძმანი და წარვიდა მოხილვად პირველთა მათ მონასტერთა, რომელ-ნი-იგი აღეშენნეს უწინარეს იერუსალჴმდ წარსლვისა; იხილნა იგი და
 20 მოიკითხნა ლოცვით და კურთხევით ყოველნი იგი ძმანი. და ეგრეთვე ამცნო მათცა თითოეულსა ცხორებისათჳს სულთა მათთაჲსა. და გა-მოვიდა მიერ და წარვიდა მოხილვად მონასტრისა მის, რომელი აღე-შენა დედისა თჳსისათჳს. ხოლო ღირსი იგი დედაჲ მისი მიცვალებულ იყო ამიერ და დანი იგი ყოველნი შეჰვედრნა ღმერთსა და აკურთხნა. და
 25 წარმოვიდა მიერ და დაუტევა ქუეყანაჲ თჳსი.

და ნებითა ღმრთისაჲთა წარემართა სამეუფოდ ქალაქად კოსტან-ტინოპოლედ ჟამთა მიხაელ მორწმუნისა მეფისათა, რომელმან დაიპყრა მეფობაჲ შემდგომად მამისა თჳსისა თეოფილესა და დაამტკიცა თაყუა-ნისცემაჲ პატიოსანთა ხატთაჲ დედისა თჳსისა თანა თეოდორაჲსა.

30 ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. და მიიწია წმიდაჲ ილარიონ წინამძღურობითა სულისა წმიდისაჲთა მთასა ულონბოჲსასა და პოვა [75] მცირეჲ ეკლესიაჲ ადგილსა უდაბნოსა, შევიდა და იყოფე-ბოდა მას შინა. და ვითარცა მოიწია დღეჲ შაბათი, შემოსლვაჲ წმიდისა

¹⁶ ობოლქმნოლნი.

კვრიაკისაჲ, მოვიდა მონაზონი ერთი მახლობელისაგან მონასტრისა ალნთებად კანდელისა, პოვა მას შინა წმიდაჲ ილარიონ და მონაფენი მისნი მის თანა, წარვიდა მონასტრად და მოართუა მცირედ პაქსიმადი და ცერცვ დაძვალთ. მაშინ ევედრა წმიდაჲ იგი ძმასა მას, რაჲთა მოჰგუაროს წმიდაჲ სეფჳ და ზედაშჳ შესანიარავად მსხუერპლისა მის უსისხლოჲსა. ხოლო იგი წარვიდა და ხვალისა დღჳ წმიდასა კვრიაკესა მოართუა სიტყვსაებრ ბერისა. და აღასრულეს წმიდაჲ ჟამისწირვაჲ. და ვითარცა წარვიდა ძმაჲ იგი მონასტრად, მიუთხრა ესე ყოველი მამასახლისსა. და ვითარცა ესმა მას, მეცსეულად აღშფოთნა გულისწყრომითა და თქუა ესრეთ: „ვინ უწყის, ვითარმედ კეთილად ზრახვენ ანუ მართალი სარწმუნოებაჲ უპყრიეს!“ და მსწრაფლ ბრძანა შეურაცხებით განძებაჲ მათი. მაშინ წარვიდა იკონომოსი და სხუანიცა ძმანი და მიუთხრეს ბრძანებაჲ მამასახლისისაჲ. ხოლო წმიდამან აღუთქუა, რაჲთა ხვალისა დღე წარვიდენ.

ხოლო ვითარცა ესე ესრეთ იყო და უმშჯავროჲ ბრძანებაჲ გამოსრულ იყო და წმიდაჲ იგი მსგავსად განჩინებულისა მის ხვალისა დღე წარსლვად ისწრაფდა, ნუუკუე და სათნო-იჩინა-ა მონყალებამან ღმრთისამან? ნუ იყოფინ! რამეთუ მას ღამესა, ვითარცა ეძინა მამასახლისსა, მეცსეულად იხილა ჩუენებაჲ საშინელი, რამეთუ ყოლადწმიდაჲ და ყოლადუხრწნელი და უფროჲსად კურთხეული დედოფალი ჩუენი ღმრთისმშობელი მარადის ქალწული მარიამ, შემწჳ და ჴელისამპყრო-
[v]ბელი ყოველთა უცხოქმნულთა და სახელისათჳს ძისა მისისა დაგლახაკებულთაჲ, დაადგრა ჩუენებით და ფრიადითა რისხვითა ეტყოდა მას და ჰრქუა: ჰ, უბადრუკო, რაჲსა ინებე განძებაჲ უცხოთაჲ მათ, რომელნი მოსრულ არიან სიყუარულისათჳს ძისა და ღმრთისა ჩემისა და დაუტეობია ქუეყანაჲ მათი, და არა დაიმარხე მცნებაჲ იგი უცხოთა და გლახაკთა შეწყნარებისათჳს, ვითარ-იგი ეტყჳს მდიდარსა მას უფალი ჩემი და ძჳ ჩემი.* ანუ არა უწყი-ა, ვითარმედ მრავალნი დამკვდრებად არიან მთასა ამას მეტყუელნი მათისა ენისა და ცხოვნებად არიან ღმრთისა მიერ? და რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან, რამეთუ ჩემდა მონიჭებულ არს ძისა მიერ ჩემისა ნათესავი იგი შეურყეველად მართლმადიდებლობისათჳს მათისა, ვინაჲთგან ჰრწმენა

* იხ. ლუკა, 18, 18-27.

¹³ მამასახლისაჲ.

სახელი ძისა ჩემისაჲ და ნათელ-ილეს“.

- და ვითარცა მოიქცა მამასახლისი იგი ჩუენებისა მისგან და აღდ-
გა შეძრწუნებული და იწყო ტირილად სიღრმითა გულისაჲთა და ვიდრე
განთენებადმდე არა დასცხრა გოდებისაგან. და ვითარ განთენებაჲ
5 მოახლებულ იყო, წარვიდა იგი მწარითა ტირილითა ეკლესიასა მას,
ვინაჲცა მყოფ იყო წმიდაჲ იგი მოწაფეთა თანა თჳსთა. და ვითარცა
იხილა, შეუვრდა ფერჳთა მისთა და ითხოვდა შენდობასა პირველისა
მისთჳს კადნიერებისა და აფუცებდა, რაჲთა არა წარვიდეს მიერ და
რაჲთა არა შურ-იგოს მის ზედა წმიდამან დედოფალმან. და წარმოუთხ-
10 რა ჩუენებაჲ იგი, რომელიცა ეხილა ღამესა მას და ევედრებოდა, რაჲთა
ექმნეს მთხოანე წინაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისა. [76] ხოლო წმი-
დამან ილარიონ აღადგინა იგი და ჰრქუა მას: „ექმნეს გეგ ნებისაებრ
შენისა, წმიდაო მამაო“. მაშინ მამასახლისი იგი ევედრა, რაჲთა მოარ-
თუმიდენ ევლოგიასა ყოველთა შაბათთა. და მიუშუა ამისა ყოფად ნე-
15 ტარმან მან. და წარვიდა მამასახლისი მონასტრად თჳსად.

- ხოლო იყო ნათესავი მისი ვნებული ფერჳითა მარჯუენითა სიყ-
რმითგან მისით და ევედრა ესე მამასახლისსა, რაჲთა მას უბრძანოს
მსახურებაჲ წმიდისაჲ მის და მორთუმად მისა განწესებულსა მას ევ-
ლოგიასა. და ვითარ ჰყოფდა ესრეთ ძმაჲ იგი და ჰმსახურებდა წმიდა-
20 სა მას, და დღესა ერთსა მოაქუნდა რაჲ ევლოგიაჲ ჩუეულებისაებრ,
იხილა რაჲ ესევეითარი გულსმოდგინებაჲ მისი კეთილისმოძულემან
ემშაკმან, უბრკუმა ფერჳი იგი მისი ვნებული და ატკივნა ფიცხლად.
ხოლო ძმაჲ იგი ტკივილისა მისგან ცრემლოოდა მწარედ. იხილა რაჲ
წმიდამან ილარიონ მისი იგი ტირილი, შეუძნდა წყალობისმოყუარესა
25 სულსა მისსა, მოიღო წმიდაჲ ზეთი კანდლისაგან საუფლოჲსა და სცხო
ტკივნეულსა მას ფერჳსა მისსა და განკურნა ტკივილიცა იგი და ვნე-
ბაჲცა იგი, რომლითა ვნებულ იყო, განუტევა იგი და ამცნო, რაჲთა არა-
ვის უთხრას. ხოლო მან ესე ყოველი მიუთხრა მამასახლისსა და ძმათა
ყოველთა, რომელთა ეხილვა პირველ, და ჰმადლობდეს ღმერთსა, მოქ-
30 მედსა საკვრველებათასა.

მიერთგან აქუნდა იგი ყოველთა, ვითარცა მოციქული და
მნ[ყემსი] საკვრველებისა მისთჳს. და მოვიდოდეს გარემოჲსათა მო-

¹² ეგვ. ²³ ცრემლოდა. ²⁴ ილარიონ *add.* და. ³² მწ (დანარჩენი არ იკითხება).

ნასტერთაგან ხილვად მისა და მოღებად წმიდისა ლოცვისა მისისა და განითქუა ჰამბავი მისი [v] ყოველსა მას მთასა ულონბოჲს[ა]სა. და მოვიდოდეს და აღივსებოდეს სწავლითა მისითა და აღიდებდეს ღმერთსა, რომელმან მოსცა ესევეთარი მნათობი.

მაშინ მოვიდეს მისა სხუანი სამნი ძმანი ქართველნი, და შეიწყნარნა იგინი ნეტარმან ილარიონ. ხოლო ერთი მათგანი იყო კეთილად მეტყუელ ბერძულითა ენითა. და იყოფოდეს იგინი მყუდროებით და უშფოთველად ადგილსა მას, განშორებულნი ყოვლისავე კაცობრივისა ზრუნვისაგან. და ესმა მკვდრთაცა სამეუფოჲსა ქალაქისათა სათნოებათათჳს წმიდისა ილარიონისთა და ანგელოზებრისა მოქალაქობისა მისისათჳს, მოვიდოდეს და ევედრებოდეს მას, რაჲთა მიიღებდეს მათგან საწმარსა. ხოლო მან არა ინება ესე ყოფად, არამედ ესრეთ ჰრქუა მათ, ვითარმედ: „მზრდის ჩუენ მოღუანწ ჩუენი, წმიდაჲ ღმრთისმშობელი, და არა დამაკლებს ჯორციელსა საზრდელსა“.

და ვითარ იხილეს ესოდენი ესე უპოვარებაჲ მისი, ბაძვად აღადგეს მრავალნი უბიწოჲსა მის ცხორებისა მისისა, რამეთუ შურებოდა იგი ჴელითა თჳსითა და მისგან მოირენდა ჴორციელსა საწმარსა მისთჳს და მის თანა მათთჳს და არარას ვის დააჭირვებდა, რამეთუ ეწსენა სიტყუაჲ იგი დიდისა მის მოციქულისაჲ, ვითარმედ: „ჴელნი ჩემნი მმსახურებდეს მე“. * და კუალად იტყჳს, ვითარმედ: „დღე და ღამე ვიქმ ჴელითა ჩემითა, რაჲთა არარაჲ ვის დაუმიძიმო“. ** და კუალად განაჩინებს ჴელისათჳს უქმისა არა ჭამად, რომლისაცა მობაძავად წმიდაჲ ესე იქმოდა.

მაშინ ვითარცა იხილა განმრავლებაჲ მომავალთაჲ და რამეთუ აწყინებდესცა ფრიად და ამით მიზეზითა ვერ ჰპ[77]ოებდა სანადელსა მას თჳსსა დაყუდებით ცხორებასა და ენებაცა სივლტოლაჲ ცუდადდიდებისაგან და რამეთუ არა უნდა, რაჲთამცა იყო ვინმე მაქებელ მისდა, ვინაჲთგან სიყრმითგანვე მოეკუეუნეს ძარღუნი ეშმაკისა მის და ცუდადმზუაობრობისა, და რომლისათჳსცა იყო სლვაჲ მისი ქუეყანითი-ქუეყანად, რაჲთა არა ვიდრემე პოვოს მის თანა ადგილი ამჰართავანებაჲმან და გინათუ ვეშაჰმან მან ვეცხლისმოყუარებისაჲმან ბუდჴ თჳსისა უკეთურებისაჲ, რამეთუ ვითარცა იტყჳან მამანი, ვითარმედ

* საქმე, 20, 34. ** I თესალ. 2, 9; II თესალ. 3, 8.

¹¹ მოვედოდეს. ¹⁵ უპოვარებაჲ. ²⁵ სივლტულაჲ.

სამთა ამათ მიერ იშვებთან სპარაზენნი ვნებათანი – დიდებისმოყუარებისა, გემოთმოყუარებისა და ვეცხლისმოყუარებისაგან. ამისთვისაა წმიდამან ამან სამნივე ესე თავნი გუელისანი სამებისა წმიდისა ძალითა ახოვნად და ძლიერად დათრგუნა.

5 ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. და ვითარცა იხილა წმიდამან ილარიონ სიმრავლჳ იგი მომავალთაჲ მათ, ჰრქუა ესრეთ მოწაფეთა თვსთა: „შვილნო ჩემნო, აჰა ესერა, მაქუს ხუთი წელიწადი აქა, ვინაჲთგან მოვედით და ვერ შევედ ქალაქად, რაჲთამცა თაყუანის-
10 ვეც ძელსა ცხორებისმომცემელსა. და ან, ვიდრე მოსლვადმდე ჩემდა, თქუენ აღაშენეთ მცირჳ სენაკი ყორისაჲ ქვათაგან“. და ასწავა, ვითარ ჯერ-იყო აღშენებაჲ მისი.

და თანა წარიყვანა მოწაფჳ ერთი, სახელით ისაკ, და წარვი-
და კოსტანტინეპოლედ თაყუანისცემად პატიოსანსა ჯუარსა და
15 ყოველთ[ა] წმიდათა ეკლესიათა. ხოლო ოთხნი იგი მოწაფენი თვსნი დაუტევნა ულომბოს.

[v] და ვითარცა შევიდა ქალაქად სამეუფოდ, თაყუანის-სცა სა-
სურველსა თვსსა ძელსა პატიოსანსა და ამბორს-უყო სურვილით ნაწი-
ლთა წმიდათასა, რომელთა ოდენ მიემთხვა და განიზრახა, რაჲთა მიერ
წარვიდეს ჰრომედ თაყუანისცემად სამარხვოსა წმიდათა და ყოლად
20 ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესსა და პავლესსა, და წარემართა
ნებითა ღმრთისაჲთა. და ვითარ ვლო ათოთხმეტი დღჳ და მიიწია ქა-
ლაქსა რომელსამე, და პოვა სამოთხჳ გარეშე ქალაქისა მის და კარსა
მის სამოთხის[ა]სა მკელობელი ერთი მჯდომარჳ, დაჯდა წმიდაჲცა იგი
მოწაფითურთ თვსით მკელობელისა მის მახლობელად და ჰრქუა მას:

25 „კაცო, აღდეგ და მომართუ მე ტევანი ერთი ყურძენი!“. ჰრქუა მას
კაცმან მან: „აჰა, მამაო, სამოთხჳ ესე წინაშე შენსა, და რაჲცა გნებავს,
მიიღე, რამეთუ ვერ შემძლებელ ვარ აღდგომად ცოდვათა ჩემთაგან,
და მაქუს აქა ათცამეტი წელი, ვინაჲთგან დავკოჭლდი და მზრდის მე
უფალი ამის ადგილისაჲ“. მაშინ შეენყალა წმიდასა კაცი იგი და სუ-
30 ლი-ითქუნა სიღრმითა გულისაჲთა და აღიხილნა თუალნი გონებისანი
ღმრთისა მიმართ, რომელსა-იგი დუმილითმვედრებელთაჲ უმაღლეს
ყოვლისა საყვრისა ესმის, და ჰრქუა კაცსა მას: „აღდეგ, ძმაო, უფალსა
უბრძანებიეს, და ჴელითა შენითა მომართუ ნაყოფისაგან სამოთხისა
მაგის“. და მუნთქუესვე განემართნეს ფერჴნი მისნი, და აღდგა და შევი-

და ვენაჟსა მას, რაჲთამცა მოართუა [78] ყურძენი. ხოლო წმიდაჲ ილა-
რიონ აღდგა და წარვიდა სხუთ გზით. და ვითარცა გამოვიდა კაცი იგი,
ვერღარა პოვა მკურნალი იგი კეთილი. და მეყსეულად შევიდა ქალაქად,
და აქუნდა ტევანი იგი ჴელთა და ჴმადლობდა ღმერთსა და ჴმოზდა, ვი-
თარმედ: „მკვდრნო ამის ქალაქისანო, მიხილეთ მე, მიხილეთ, რამეთუ 5
მე ვარ, რომელი-იგი პირველ კოჭლი ვიყავ და მრავალგზის გეხილვე.
ხოლო ან მხედავთ, ვითარ-ესე ვარ ლოცვითა კაცისა ღმრთისაჲთა“.

მაშინ ვითარცა იხილა ერმან მან ქალაქისამან საკვრველებაჲ იგი
დიდებული, განკვრევებულნი ჴკითხვიდეს, რომელნი იცნობდეს პირვე-
ლად კაცსა მას, თუ: „ვითარ განიკურნე?“ ხოლო მან უთხრა ყოველივე 10
საქმჲ განკურნებისა თჳსისაჲ, და აუნყა სახჴ და ნიშანი წმიდისაჲ მის
და მოწაფისაჲცა მისისაჲ. მაშინ ყოველმან მან ერმან ქალაქისამან იწყო
მოსწრაფედ ძიებად მათდა მეზობირთა ზედა გზათასა და ყოველსავე
ადგილსა, ვინაჲვე საეჭუელ იყო წარსლვაჲ მათი. ხოლო წმიდაჲ იგი ნე-
ბითა ღმრთისაჲთა დაეფარა თუალთაგან მათთა და წარვიდა გზასა 15
თჳსსა, ვინაჲცა ენება, და მრავალნი სასწაულნი აღასრულნა ღმერთმან
მის მიერ ყოველსა მას გზასა მისსა, ვიდრეცა ვიდოდა.

და წინამძღუარებითა ღმრთისაჲთა და შეწევნითა წმიდათა მოცი-
ქულთაჲთა მიიწია ქალაქად ჴრომედ. და ვითარცა ირემმან, სურვიელ-
მან წყაროდ მიმართ წყალთაჲსა,* ეგრეთ აღგზებულმან სურვილითა 20
საღმრთოჲთა მეყსეულად მიისწრაფა ტაძრად წმიდათა [v] და თავთა
მოციქულთა პეტრესსა და პავლესსა, თაყუანის-სცა და ამბორს-უყო
მონღედ მკურნალებითა სულისაჲთა წმიდათა სამარხოთა მათთა და
ყოველთავე ნაწილთა წმიდათა მღდელთმოდღუართა და მოწაფეთასა,
რომელთა ოდენ მიემთხჳა. 25

ხოლო დაყო ორი წელი ჴრომეს შინა ანგელოზებრ ცხორებითა
და მოღუანებითა. რამეთუ მარადის ხედვასა ღმრთისასა შეჴმსჴულა
გონებაჲ თჳსი. და მუნცა მრავალნი სასწაულნი და კურნებანი აღას-
რულნა უფალმან მის მიერ, ვითარცა უკუანაჲსკნელ მოწაფემან მის-
მან ნეტარმან ისაკ ყოველივე მოგვთხრა, მოიქცა რაჲ მიერ შემდგომად 30
მიცვალებისა მისისა.

* ფსალ. 41, 1.

¹⁹ მიწია. ²⁰ აღგზაბულმან. ²² ამბროს-უყო.

მაშინ საცნაურ იქმნა ყოველთა მიერ მკვდრთა ჰრომისათა საღმ-
 რთო იგი მოქალაქობაჲ მისი და ყოველნივე განკვრეულ იყვნეს და
 მოვიდოდეს შემთხუევად და თაყუანისცემად წმიდათა ფერჯთა მისთა
 და მოღებად წმიდასა ლოცვასა მისსა. და ყოველთა აკურთხევდა და
 5 ლოცვით განუტეევებდა. და ჰმადლობდეს ღმერთსა, რომელმან მოავ-
 ლინა წმიდაჲ ესე ქალაქსა მათსა.

და ვითარცა დაყო ჰრომეს შინა ორი წელი მაღლითა და
 საკვრველითა მოქალაქობითა, ამისა შემდგომად აღძრვითა ზეგარდა-
 მოათა მოუჭდა გულსა, რაჲთა კუალად წარვიდეს სამეუფოდ ქალაქად
 10 კოსტანტინოპოლედ, რამეთუ ენება ღმერთსა, რაჲთა არა ჯუებულ
 ყოს დიდებული ესე ქალაქი, რომელსა შეუკრებიან სიმრავლენი ყო-
 ველთა წმიდათანი თავსა შორის თქსსა და გარემოჲს [79] ყოველთავე
 სანახებთა თქსთა, და რაჲთა ამისთაცა ნაწილთა ღირს-იქმნას შეწყ-
 ნარებად ვრცელთა მათ და დიდებულთა წიაღთა შინა თქსთა. რომლი-
 15 საცა მიზეზისათჳს წარმოვიდა მიერ წმიდაჲ ილარიონ და შეწევნითა
 ღმრთისაჲთა ყოვლითურთ შეწუხებული მოიწია ქალაქად თესალონი-
 კედ. და ვითარცა შევიდა ქალაქად, უპირატეს ყოვლისა თაყუანის-სცა
 სამარტკლოსა ძლევაშემოსილისა დიდებულისა მონამისა დიმიტრისსა.
 და მიერ წარვიდა პრეტორად მთავრისა მის ქალაქისა და დაჯდა კართა
 20 წინაშე მისთა.

და აჰა ესერა, განგებითა საღმრთოთა მწვევალმან მის მთავრისა-
 მან გამოიღო ძჳ თჳსი ოთხისა წლისაჲ ნახევარ-მიღებული და დადგა
 იგი მზის-პირსა მახლობელად წმიდისა ილარიონისა. ჰრქუა წმიდამან
 ილარიონ დედაკაცსა მას: „დედაკაცო, წარვედ და მომართუ მე წყალი“.
 25 და მეყსეულად აღდგა იგი მოღებად წყლისა. მაშინ, ვითარცა წარვი-
 და დედაკაცი იგი, აღდგა წმიდაჲ ილარიონ, სულთ-ითქუნა სიღრმითა
 გულისაჲთა, ჯუარი დასწერა ყრმასა მას და ჰრქუა: „სახელითა მამისაჲ-
 თა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა შენ გეტყჳ, ყრმაო, აღდეგ ცოცხ-
 ლებით!“ და მეყსეულად განიკურნა და აღდგა ყოვლითურთ უვნებელი
 30 ფერჯთა თქსთა ზედა. და ჰრქუა კუალად ყრმასა მას: „წარვედ, შვილო,
 გინესს შენ დედაჲ შენი“. და აღდგა ყრმაჲ იგი ცოცხალი და შევიდა დე-
 დისა თქსისა თანა. ხოლო წმიდაჲ ილარიონ აღდგა და წარვიდა სხუასა

²³ ილარიონსა.

ადგილსა, რაჲთა არა საცნაურ-იქმნას სასწაულისა ამის მიერ მეძიებელთა მისთაგან.

[v] იხილეთ-ღა, ჟ საყუარელნო, თუ ვითარსა მადლსა ღირს-იქმნა წმიდაჲ ესე მამაჲ ჩუენი! რამეთუ მიემსგავსა დიდთა მათ მოციქულთა პეტრეს და იოანეს, რომელთა განჰკურნეს მკელობელი იგი, რომელი ზინ თხოვად ქველისსაქმისა კართა წინაშე შუენიერისა მის ბჭისათა, რომელთა-იგი მათ სიტყვთ კურნებაჲ მიჰმადლეს, და კუალად პეტრე ენეა განრლუელი აღადგინა.* 5

ხოლო ესე არა უმცირეს არს სასწაულთა მათ მათთა, რომელნი ნეტარმან ამან აღასრულნა, რამეთუ პირველისა მის მკელობელისა განკურნებაჲ რაჲ ენება, რომელი-იგი წინაშე სამოთხისა პოვა, უპირატეს ითხოვა მისგან ტკბილი ნაყოფი, რომლისაჲ-იგი თვთ მიცემაჲ ეგულეობდა. და კუალად ყრმასა რაჲ ამას განჰკურნებდა, რომელი-ესე ან ვაჟსენეთ, ითხოვა პირველად წყალი სასუმელად დედისაგან მისისა, რამეთუ ეგულეობდა, რაჲთა შვილსა მისსა ასუას წყალი კურნებისაჲ. და ეგრეთვე, იყოფეობდა რაჲ მთასა მას ულომბოხსასა, ამითვე სახითა განკურნა მკელობელი იგი, რომელი მოართუმიდა ევლოგიასა, რომელსა-იგი მისცა ევლოგიაჲ კურნებისაჲ. 10 15

და ვითარცა შევიდა ყრმაჲ იგი დედისა თჳსისა, ვითარცა პირველ ვთქუთ, და წმიდაჲ იგი წარვიდა სხუასა ადგილსა. ხოლო მწევალმან მან აღიტაცა ყრმაჲ იგი და მოჰგუარა დედოფალსა თჳსსა და იგი ჰკითხვიდა, თუ ვითარ განიკურნა ყრმაჲ იგი. ხოლო მან წარმოუთხრა ყოველივე სახჴ განკურნებისა მისისაჲ და ნიშანი წმიდისაჲ მის და მონაფისა მისისაჲ და ენისაცა მათისაჲ. და მუნთქუესვე შევიდა დედოფალი იგი და უთხ[80]რა ესე ყოველი ქმარსა თჳსსა და უჩუენა ყრმაჲცა იგი განკურნებული. 20 25

ხოლო ვითარცა ესმა ესე მთავარსა, მეყსეულად ბრძანა სწრაფით დაცვაჲ კართა ქალაქისათა და მოძიებაჲ წმიდისაჲ მის. და ვითარცა ეძიებდეს, პოვეს იგი კარსა აღმოსავალით კერძოსა გარე განმავალად. რამეთუ ვერ შესაძლებელ იყო დაფარვად ქალაქისა მთასა ზედა დაშენებულისა და არცა სანთლისა მთებარისა უჩინო-ყოფად ცხედარსა ქუეშე, ** რამეთუ რაოდენ წმიდასა მას ენება დაფარვაჲ საქმეთა თჳს- 30

* შდრ. საქმე, 9, 34. ** შდრ. მარკ. 4, 21.

¹¹⁻¹² უპირატეს.

თავ, ეგეოდენ ღმერთი განაცხადებდა მსახურსა თვსსა, რომელმან-იგი ადიდნის მადიდებელნი თვსნი.

რამეთუ ვითარცა პოვეს წმიდაჲ იგი კაცთა მათ მეძიებელთა მის-
თა, მეყსეულად დაცვეს და თაყუანის-სცეს მას წინაშე ფერჯთა მის-
5 თა წმიდათა და ითხოვდეს მისგან კურთხევასა. ხოლო ნეტარმან მან
აკურთხნა იგინი და აღადგინნა და წარჰყვა მათ თანა. მაშინ მთავარსა
მას, ვითარცა ეუნყა მისლვაჲ წმიდისაჲ, გამოვიდა შემთხუევად მისდა
და ამბორს-უყოფდა წმიდათა ფერჯთა მისთა. არამედ წმიდამან ულო-
ცა მას და აღადგინა იგი და ჰრქუა მას: „ქრისტემან, ყოველთა მოყუა-
10 რეთა მისთა მცველმან, დაიცევი ღმრთისმოყუარებაჲ შენი!“ ხოლო
მთავარმან წარიყვანა წმიდაჲ იგი სახედ თვსად და ევედრა მას, რათა
გამოირჩიოს ადგილი, რომელიცა ინებოს და იყოფოდის მას შინა. მაშინ
წმიდამან, ვითარცა იხილა საღმრთოჲ იგი და ღმრთისმოყუარჴ გონე-
ბაჲ მთავრისაჲ მის, მიუშუა ამისა ყოფად და გამოირჩია ადგილი მარ-
15 ჯუჴ და მყუდროჲ, ვითარი შეაშუნდა სინმიდესა მისსა. [v] და აღუშენეს
ეკლესიაჲ შუენიერი ადგილსა მას. და ამცნო წმიდამან, რათა არა აწყი-
ნებდენ ზედაჲსზედა. და კუალად ამცნო, რათა არარას წარმოსცემდეს
მისა, თვნიერ პაქსიმადისა ჴმელისა და ცერცვსა დამბლისა. ხოლო მთა-
ვარმან მან აღასრულა ყოველივე ბრძანებული მისი.

20 მაშინ განითქუა ჴამბავი მისი ყოველსა მას ქუეყანასა ილური-
კიისასა და მოვიდოდეს ურიცხუნი სულნი და აღეშენებოდეს სწავლი-
თა მისითა, და მიიღებდეს წმიდათა ლოცვათა მისთა და ეგრეთ წარვი-
დოდეს სახედ თვსად. ხოლო მყოფთა ქალაქისათა მრავალთა შემურდა
საღმრთოჲ იგი მოქალაქობაჲ და უბინოჲ ცხორებაჲ მისი და ჴელითა
25 მისითა იქმნეს მონაზონ და წარემატნეს ანგელოზებრსა ქცევასა და
მოღუანებასა შინა.

მას ჟამსა დიაკონი ერთი თესალონიკელი განვიდა მოხილვად
ვენაჴსა თვსსა. და შეიპყრეს იგი წარმართთა და წარიყვანეს ქუეყნად
თვსად. და ვითარ იგი მიჰყვანდა, მგზავრ მოეჴსენა წმიდაჲ ილარიონ
30 ყოვლითურთ სასონარკუეთილსა კაცობრივისა ცხორებისაგან, და
იწყო ვედრებად მისა ცრემლითა მჴურვალითა და თანაშემწედ ხადო-
და წმიდათა ლოცვათა მისთა. და მას ოდენ ღამესა, ვითარცა ეძინა
მრჩობლ შეკრულსა ჯაჴუთა მიერ რკინისათა, ერუენა წმიდაჲ იგი და

¹⁴⁻¹⁵ მარჯჴ.

ჰრეჟა მას: „აღდეგ, ზ დიაკონ, და ნუ გეშინინ, რამეთუ მე ვარ, რომელ-
სა იგი მევედრებოდე“. და ვითარცა განიღჳა, იპოვა, რამეთუ განწსნილ
იყო საკრველთაგან. აღდგა მეყსეულად და განვლო ყოველი იგი ლაშქა-
რი უშიშად. და არავინ ცნა საქმეს ესე, ვიდრემდის მოვიდა ქალაქად
თესალონიკედ. და მიუთხრობდა [81] ყოველთა საკრველებასა ამას 5
დიდებულსა. და მოვიდა წმიდისა მის და ამბოროს-უყოფდა წმიდათა
ჯელთა მისთა, რომელთა მიერ განიწსნა საკრველთაგან, და მადლობით
მიუთხრობდა საკრველებასა მას მის მიერ მის ზედა აღსრულებულსა.
ჰრეჟა მას: „შვილო! ენება ღმერთსა წსნაჲ შენი. ამისთვისცა ანგელოზი
თჳსი მოავლინა ხატითა ჩემითა, ვინაჲთგან შენ სარწმუნოებით ჩემ 10
ცოდვილისა სახელსა ხადოდე, და გამოგიწსნა მწარისა ტყუეობისაგან.
ამისთვისცა ჰმადლობდი ღმერთსა მოქმედსა საკრველებათასა“. ხოლო
იგი წარვიდა სახედ თჳსად განთავისუფლებული და ადიდებდა ღმერთ-
სა.

და დაყო წმიდამან ილარიონ ქალაქსა შინა თესალონიკესა ბუნე- 15
ბათა უაღრესითა მოღუანებითა ჟამი რაჲოდენიმე, რამეთუ ყოველთა
მათ ზემოწსენებულთა სიჭაბუკისა ლუანლთა დაივინყებდა და ვითარ-
ცა ახლად შემავალი სტადიონსა მას მოღუანებისასა უმჯურვალეს
პირველისა სურვიელ იყო, რამეთუ სიტყვსაებრ მოციქულისა, პირველ
გარდასრულთა მათ შრომათა ყოლადვე არა იწსენებდა და შემდგომ- 20
თა მიწთომად მოსწრაფე იყო. ამისთვისცა ღმერთმან სასწაულთა მიერ
და კურნებათა ცხორებასავე ამას შინა ადიდა, რამეთუ რომელთამე
ჯორციელთა სნეულებათაგან განჰკურნებდა და კუალად რომელთამე
სულიერთა ვნებათა და საღმობათაგან იწსნიდა და ესრეთ ურიცხუნი
სულნი შეაწყნარნა ღმერთსა. 25

ხოლო ვითარცა მოიწია ჟამი აღსრულებისა მისისაჲ, ამიერ
წარსლვისა და ღმრთისა მხოლოჲსა მისლვისაჲ, რომლისაცა სურვიელ
იყო და სახელისა მისისათჳს ილუანა სიყრმითგან ჰასაკისა მისისაჲთ,
უნყებულ იქმნა უკუე ღმრთისა მიერ. და იცვალა სახჴ პირისა თჳსი-
საჲ [v] და მხიარულ იქმნა სულითა, ვითარცა მუშაკი კეთილი, მიმავა- 30
ლი ნაყოფსა მას ზედა სათნოებათა თჳსთასა, ვითარცა იტყჳს დავით,
ვითარმედ: „მოსლვით მოვიდოდეს და უხაროდა, რომელთა მოაქუნდა
მჭელეულები მათი“.*

* ფსალმ. 125, 6.

გინა თუ ვითარცა მწედარი ძლევამოსილი მომწყუდეღლი ნი-
ნაალმდგომთაჲ და მიმავალი მეუფისა თჳსისა, ანუ თუ ვითარცა მე-
ნავეთმოძღუარი ჴელოვანი წიაღმყვანებელი მრავალთა სულთაჲ
დაულტობელად ღელვათა შინა სოფლისა ამის ზღჳსათა და ღმრთისა
5 შემწირველი.

მაშინ მოუწოდა მთავარსა მას და ჰრქუა: „ჴ მთავარო, კეთი-
ლად ჰყავ, რამეთუ შემწინარე გლახაკი ესე და უცხოჲ. მოგეცინ შენ
უფალმან სასყიდელი სიყუარულისაჲ, რომელმან-იგი უცხო-ქმნულნი
ესე უცხოებითა თჳსითა დამაგნა ღმერთსა და მამასა. ამიერიტგან ის-
10 წრაფე შეწყნარებად გლახაკთა და მონაზონთა და უმეტესად უცხოთა.
ეკრძალე მოხუეჭისაგან გლახაკთაჲსა და ყოვლისავე უმშჯავროჲსა
და უსამართლოჲსა საქმისა, რაჲთა მოწყალებამან ღმრთისამან დაგი-
ფაროს ცხორებასა ამას შინა და საუკუნედ ზიარ-გყოს სუფევასა წმი-
დათა თანა, რამეთუ მე, აჰა ესერა, წარვალ გზასა მამათა ჩემთასა და
15 მოიწნია ჟამი აღსრულებისა ჩემისაჲ“.

მაშინ მთავარმან იწყო ტირილად და ამბორს-უყოფდა წმიდათა
ჴელთა და პირსა მისსა. ხოლო წმიდამან აღიპყრნა ჴელნი ღმრთისა
მიმართ, ულოცა მას, აკურთხა და წარგზავნა სახედ თჳსად.

და ვითარცა მოიწნია შაბათი დღჳ, მოუწოდა წმიდამან მონაფე-
20 თა თჳსთა და ჰრქუა მათ: „შვილნო ჩემნო, უწყოდეთ, რამეთუ მოიწნია
ჟამი ჩემი და, აჰა ესერა, დატევებად მიც [82] საყოფელი მიწისა* ჴორც-
თა ჩემთაჲ, ვითარცა იტყჳს მოციქული პეტრე. ამიერიტგან იხილეთ
თავისა თქუენისათჳს და იზრუნეთ კეთილად ცხორებისათჳს სულთა
თქუენთაჲსა, ვიდრეცა უკუანაჲსკნელად აღმოფშვნვამდე უწყოდეთ
25 გონიერად, რამეთუ მტერი ჩუენი, ვითარცა ლომი მყვრალი, მიმოვალს
და ეძიებს, რაჲთამცა შთანთქა ვინმე ჩუენგანი,** არამედ განგუარინენ
პირისაგან მისისა მარჯუენემან ღმრთისამან უძლეველმან. ან, შვილ-
ნო ჩემნო, ეკრძალენით თავთა თქუენთა და იყუარებოდეთ ურთიერ-
თას და მშჳდობამან ღმრთისამან, რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა,
30 დაგიცვენინ საფარველსა ქუეშე დიდებისა თჳსისა[ა]სა, და მადლი და
წყალობაჲ მისი იყავნ სულისა თქუენისა თანა, ამენ“. და ულოცა და ას-
ნავა ფრიად ცხორებისათჳს სულთა მათთაჲსა.

* შდრ. II პეტრე, 1, 14. ** I პეტრე, 5, 8.

⁷ შემწყნარე.

ამისა შემდგომად ეზიარა წმიდათა საიდუმლოთა ქრისტეს ღმრთისათა, აღიპყრნა ჯელნი და შეწირა მადლობაჲ და მისცა სული თჳსი წმიდათა ანგელოზთა თჳნიერ ღმობისა და ტკივილისა.

მაშინ აუწყეს მთავარსა, და მოვიდა მთავარეპისკოპოსისა თანა ყოვლითა ერითა, სიმრავლითა მღდელთა და დიაკონთაჲთა პატივად წმიდისა მის გუამისა. და ვითარცა ეუწყა მკჳდრთაჲცა ქალაქისათა, მოვიდეს მეყსეულად ყოველივე ჰასაკი ჭაბუკთა და მოხუცებულთაჲ ყრმათა თანა და დედებისა სიმრავლითა სანთელთა და საკუმეველთაჲთა და ფსალმუნითა და გალობითა. მოსწრაფე იყვნეს ყოველნი თითოეულად, რაჲთამცა შე-ვინმე-ახლა წმიდასა მას გუამსა მისსა, ანუ-მცა მი-რაჲმე[v]-იპოვინ ნაწილი ევლოგიად სამოსლისაგან მისისა. და უბრძანა მთავარმან მოღებად ლუსკუმაჲ მარმარილოჲსა[ჲ], რაჲთა მას შინა შთაუსუენონ წმიდაჲ იგი გუამი.

და ვითარცა ეგულეობდა დამარხვაჲ მისი, მეყსეულად მოვიდეს ორნი ეშმაკეულნი და იტყოდეს: „ილარიონ ქართველო, რაჲსათჳს გან-გუასხამ ჩუენ საყოფელთაგან ჩუენთა?“ და ვითარცა მიეახლნეს წმიდასა მას გუამსა მისსა, მუნთქუესვე განიკურნნეს იგინი. და იხილა რაჲ ყოველმან ერმან საკჳრველი ესე დიდებული, ყოველნი ჰმადლობდეს ღმერთსა. მაშინ შემურეს წმიდაჲ იგი გუამი მისი და ძლივ დადვეს ლუსკუმაჲსა მას შინა ტენებისაგან ერისა მის, რაჲეთუ მოსრულ იყო სიმრავლჳ მღდელთა და დიაკონთა, მონაზონთა და ერისკაცთაჲ, ვითარცა პირველ ვთქუთ, პატივად წმიდისა მის გუამისა მისისა. და მას დღესა შინა მრავალნი სასწაულნი და კურნებანი აღასრულნა ღმერთმან მის მიერ ქალაქსა მას შინა თესალონიკესა, რაჲეთუ იყო რაჲ წმიდაჲ ესე ჯორცთა შინა, არა ინება კაცთაგან დიდებისა მიღებაჲ, არამედ ღმერთი, რომელი ადიდებს მადიდებელთა თჳსთა, შემდგომად სიკუდილისა ადიდა იგი.

ხოლო აღესრულა მამაჲ ჩუენი წმიდაჲ ილარიონ თუესა ნოემბერსა ი~თ-სა(19), დღესა შაბათსა, ჟამსა მეხუთესა დღისასა, მეფობასა ბასილი მაკიდონელისასა, რომელმან-იგი შემდგომად მიქაელისსა მიიღო მეფობაჲ. ხოლო ესე მიქაელ იგი იყო, რომელმან დაამტკიცა თაყუანისცემაჲ წმიდათა ხატთაჲ, ვითარცა ზემო ვთქუთ, და მეორედ ეწოდა მომთრვალჳ.

²² ვთქოთ.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. მიიცვალა წმიდაჲ ესე წლისა ორმოცდაათცამეტისაჲ ქალაქსა შინა თესალონიკესა. და აღასრულებდეს წლითი-წლად ჴსენებასა მისსა მკჳდრნი ქალაქისანი ჟამსა [83] მას ზემონერილსა, რომელსაცა შინა მიიცვალა.

- 5 ხოლო იქმნებოდეს სამარხვოსა მისსა ზედა სასნაულნი და კურნე-
ბანი მრავალნი. რამეთუ შემდგომად მიცვალებისა მისისა დასნეულდა
ძჳ მთავრისაჲ მის და განუსივდეს სარცხენელნი მისნი და მუცელიცა
მისი, და განწირეს იგი მკურნალთა, ვიდრემდის მიიწია სიკუდილად.
მაშინ აღიღეს იგი მშობელთა მისთა და დააგდეს იგი წინაშე ლარნაკ-
10 სა წმიდისასა. და მას ღამესა გამოუჩნდა წმიდაჲ ილარიონ და ჰრქუა
ესრეთ განწირულსა მას: „ჴ, პროკოპი – რამეთუ ესრეთ ეწოდებოდა
ყრმასა მას – გრწმენინ ჩემი, უკუეთუ არა აღმითქუა მე, რაჲთა არა ხვ-
დოდი უწესოდ, ვერ განიკურნო სენისა მაგისგან“. ხოლო მან ფიცით
აღუთქუა ესე ყოფად. მაშინ წმიდამან დასდვა ჴელი მისი მუცელსა მის-
15 სა ზედა და ჰრქუა მას: „სახელითა იესუ ქრისტესითა ცოცხალ იქმენ“,
და ჯუარი დასწერა. ხოლო იგი მუნთქუესვე განიკურნა. და ვითარცა
განიღჳა, ადიდებდა ღმერთსა და წმიდასა მას, რამეთუ ყოლადვე არა
იყო ვნებაჲ მის თანა, და ამბოროს-უყოფდა ლარნაკსა მისსა წმიდასა და
მიუთხრობდა ყოველსა ერსა საკჳრველსა ამას დიდებულსა. და რო-
20 მელთა ესმოდა, ადიდებდეს ღმერთსა.

- მონაფეთა ამის წმიდისათა მისცეს ფლასი ერთი წმიდისაჲ მის
ქურიცსა ერთსა გლახაკსა. ხოლო მან უმეტეს ყოველთა საფასეთა და
თუალთა პატიოსანთაჲსა მიიღო იგი მათგან სასოებითა და სარწმუ-
ნოებითა დიდითა და ვისცა სნეულსა დაჰბურის, პოვის მან ლხინებაჲ.
25 და მიუთხრობდა კაცად-კაცადი საკჳრველებათა ამათ ურთიერთას და
ჰმადლობდეს ღმერთსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სულით
წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

[v] მოყვანებისათჳს ნაწილთა წმიდისა ილარიონისთა
თესალონიკით კოსტანტინეპოლედ

- 30 მას ჟამსა შინა, ვითარცა განითქუნეს ნიშნი და საკჳრველება-
ნი ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონისნი, ყოვლით კერძოვე ესმნეს
უკუე ღმრთისმსახურსაცა მეფესა ბასილის, რომელნი-იგი დღითი-დღე
აღესრულებოდეს ქალაქსა შინა თესალონიკესა და რამეთუ წიგნიცა

მიუწერა მთავარმან ქალაქისამან და მთავარეპისკოპოსმან, რომელი აუწყებდა გარდაცვალებასა წმიდისასა და კურნებათა და სასწაულთა მისთა, რომელნი აღესრულებოდეს წინაშე სამარხვოსა მისსა წმიდასა. ხოლო ვითარცა აღმოიკითხა მეფემან ნიგნი იგი, მოუწოდა ყოველთა მთავართა პალატისათა და აუწყა მიზეზი ნიგნისა მის მიწერილისაჲ 5 თესალონიკით, ხოლო მათ ვითარცა ესმა, ჰმადლობდეს ღმერთსა.

და მათვე დღეთა შინა ინება ღმრთისმსახურმან მეფემან შემოკრებაჲ ყოველთავე მამასახლისთა მთისა ულომბოჲსათაჲ საქმისა რომლისათჳსმე სათანადოჲსა ქალაქად სამეუფოდ. და იყო დღესა ერთ- 10 სა მოვიდეს ყოველნი პალატად. და ვითარცა შევიდეს წინაშე მისსა, ყო მეფემან სულიერი სიხარული მათ თანა ხილვისათჳს მათისა. ხოლო მათ იწყეს სიტყუად სიტყუათა სულიერებთა წინაშე მეფისა. მაშინ მეფემან იწყო თხრობად მათდა საქმეთა და სასწაულთა ამის წმიდისა-თა და ვითარ-იგი მიეწერა მისდა თესალონიკით მთავარსა ქალაქისასა და მთავარეპისკოპოსსა. ხოლო ვითარცა ესმა ესე მამასახლისსა მას 15 ულომბელსა, რომელმან-იგი პირველად შეიწყნარა წმიდაჲ ილარიონ, და რომლისა [84] იგი დისწული მკელობელი განეკურნა, მეყსეულად იწყო თხრობად მეფისა საქმეთა წმიდისა ილარიონისთა და საკვრველ-ებათა მისთა, რომელნი ექმნნეს მონასტერსა მისსა. და მიუთხრა ჩუენე-ბაჲცა იგი ყოლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ. ხოლო მეფეჲ ჰკითხვი- 20 და, თუ: „არიანლა ვინ მოწაფეთა მისთაგანნი მთასა მას?“ და მან მიუგო. „ჰე, წმიდაო მეფეო, არიან სამნი მოხუცებულნი მოწაფეთა მისთაგანნი, ღირსნი და სათნონი ღმრთისანი“. მაშინ ღმრთისმსახურმან მეფემან ბრძანა სწრაფითა დიდითა მოყვანებაჲ მოწაფეთა მისთაჲ დრომონითა სამეუფოჲთა პალატად პატივითა დიდითა შემსგავსებულად ღირსები- 25 სა მათისა.

ხოლო ვითარცა მოიწინეს წმიდანი იგი მამანი სამეუფოდ და ეუწყა ესე მეფესა, მეყსეულად ბრძანა შეყვანებაჲ მათი წინაშე მისა. და ვითარცა შევიდეს იგინი, განიხარა მეფემან სიხარულითა დიდითა, იხილა რაჲ ანგელოზებრივი სახე მათი, რამეთუ იყვნეს წმიდანი იგი 30 მოხუცებულნი დღითა და მჴცოვანნი ჰასაკითა. და შუენიერებაჲ იგი გარეშისა სახისა მათისაჲ შინაგანსა სულისა ბრწყინვალეებასა ცხადად

¹⁸ ილარიონისათა.

აჩინებდა და შემუსრვილი იგი და მდაბალი სიტყუა მათი სიმშგდესა და მყუდროებასა გონებისა მათისასა გამოაჩინებდა. და ევედრებოდა მეფე ლოცვისა ყოფად მისთვის და ყოვლისა სამეუფოჲსა მისისა. ხოლო ნეტართა მათ ჴელითა აპყრობილითა ულოცეს მეფესა ყოვლისა თანა
5 სამეუფოჲსა მისისა.

მაშინ თქუა მეფემან: „ჭეშმარიტად, აჰა მონანი ღმრთისანი [v] და სულისა ჩემისა მეოხნი წინაშე ღმრთისა! დიდებაჲ შენდა, ქრისტე მეუფეო, რომელმან ღირს-მყავ უღირსი ესე მეფე ზილვად ღირსთა და სათნოთა მეუფეებისა შენისათა“. მაშინ, ვითარცა რაჲ ნიჭნი სამეუ-
10 ფონი, მიუვლინა იგინი წმიდასა პატრიარქსა ეგნატის, რომელი-იგი სინმიდისა და ღირსებისა მისისათჳს იყო იგი მას ჟამსა პატრიაქად სამეუფოსა ამას ქალაქსა ზედა.

და მიუმცნო ესრეთ, ვითარმედ: „იხილენ კაცნი ანგელოზთა სწორნი და მიიღე ლოცვაჲ მათი, რამეთუ მე ვიხილენ და დიდად გან-
15 ვიხარენ ზილვისაგან მეზრ მათისა, რამეთუ მიხედვაჲ სახისა მათისა პატიოსნისაჲ უაღრეს უზნობისა სხუათაჲსა იყო. და კუალად სიტყუანი მათნი, საწადელნი და სულიერნი, გონებისა მათისა უმანკოებასა და სინრფოებასა აჩუენებდეს“.

ხოლო პატრიარქმან, ვითარცა იხილნა წმიდანი იგი მამანი, მოი-
20 კითხნა იგი მონლედ სიყუარულითა ძმებრივითა და განიხარა ფრიად და აკურთხნა იგინი, და მიიღო ლოცვაჲ მათი. და ეზრახა პატრიარქი ნეტართა მათ ეპისკოპოსთა თჳსთა თანა სულიერითა სიტყუთა და ცნა ღირსებაჲ მათი და სარწმუნოებაჲ მართალი. და ჰრქუა ეპისკო-
პოსთა მათ ესრეთ, ვითარმედ: „ჭეშმარიტად ესენი არიან სულიერნი
25 საუნჯენი, რომელთა მპარავი არა მიეხების; ამათმან ზილვამან დღეს დიდი მადლი მომანიჭა მე“. და მიუმცნო მეფესა ესრეთ, ვითარმედ: „მ ღმრთისმოყუარეო მეფეო! დიდი კეთილი მეყო მე დღეს შენ მიერ ზილ-
ვითა წმიდათა ამათ მამათაჲთა და ჭეშმარიტად ესენი არიან მსახურ-
ნი უფლისანი და მეოხნი სულთა ჩუენთანი. ამითითა ლოცვითა იყავნ
30 მტკიცე და შეუშფოთებელ ღმრთივგვრგვნოსანი მეფობაჲ თქუენი უკუნისამდე, ამინ“.

²⁵ მეხების. ³¹ ა~ნ.

[85] უწყებაჲ შენებისათჳს ჰრომანისა

ხოლო ღმრთისმსახურმან და ღმრთისმოყუარემან მეფემან მოუ-
ნოდა წმიდათა მათ და ჰრქუა: „ჰ პატიოსანო მამანო, გამოირჩიენ
ღირსებამან თქუენმან მონასტერი, სადაცა გენებოს თქუენთჳს და ნა-
თესავისა თქუენისათჳს“. ხოლო მათ მიუგეს: „ჰ მეფე, არა შესაძლებელ
არს ესე ჩუენ მიერ, რაჲთამცა სხუათა აღშენებული ჩუენ დავიპყრათ, 5
უცხოთა კაცთა, და იგიმცა განვასხენით, რომელთა აღშენებიეს. და
ესრეთმცა ნაცვალად ლოცვისა წყევალ მოვატყუ[ა]თ მეფობასა თქუენ-
სა. არა ვყოთ ესრეთ, ჰ მეფე, არა ვყოთ, არამედ უკუეთუ გნებავს,
განვიდეთ ადგილსა უდაბნოსა და ვიძიოთ ადგილი მყუდროჲ, სადა
ჯერ-იყოს აღშენებაჲ მონასტრისაჲ. და თუ ენებოს ღმერთსა, მუნ აღ- 10
გვშენე ეკლესიაჲ სალოცველად ღმრთისმსახურებისა შენისა“.

ხოლო ვითარცა ესმა ესე ღმრთისმსახურსა მეფესა, აღივსო იგი
სიხარულითა და ჰრქუა მათ: „კეთილ, კეთილ, პატიოსანო მამანო,
წარვედით უკუჲ და იძიეთ ყოველგანვე, და რომელი ადგილი შეაშუენ- 15
დეს სინმიდესა თქუენსა, იგი მაუწყეთ და მე ვყო ყოველი ბრძანებისა-
ებრ თქუენისა“. და წარგზავნნა იგინი სამეუფოჲსა კაცითა მოხილვად,
ვინაჲცა ენებოს. და გამოვიდეს იგი პალატით და მივიდეს ადგილსა
ტყეანსა და უდაბნოსა. და პოვეს ღელესა შინა წყაროები, ადგილი ვაკჲ
და შუენიერი, განიხარეს ფრიად და აუწყეს ღმრთისმსახურსა მეფესა.
ხოლო მას ვითარცა ესმა, მოვიდა ერითურთ თჳსით ადგილსა მას. [v] 20
და მოაქუნდა ქვაჲ თჳთ მეფესა და ყოველსა ერსა მის თანა. და იწყეს
შენებაჲ ეკლესიისა და მონასტრისა, და აღასრულეს შჳდ თთუე ყოვე-
ლი საქმე მონასტრისაჲ.

და მოვიდა მეფჲ პატრიარქისა თანა და ყო სატფურებაჲ, და
დასხნა ნაწილნი წმიდათა მოციქულთანი თუესა ოკდომბერსა თ~(9). 25
და შეწირა მეფემან ჭურჭელი ოქროსა და ვეცხლისაჲ, და სოფელნი
და ქულბაგნი და მეტოქი ქალაქსა შინა. და მისცნა ტყენი, რომელნი
იყვნეს გარემოჲს ადგილსა მას. და მისცა ყოველივე საჭმარი, ვითარცა
შეჰგავს მონასტრისათჳს უხუებით. და შექმნა მეფემან მცირჲ სენაკი
თავისა თჳსისათჳს და დადგა მას შინა ლოგინი თავისა საგებლითურთ, 30
და დადგნა საწიგნენი და დასხნა წიგნნი, სახარებაჲ და პავლჲ, და თქუა
ესრეთ, ვითარმედ: „ესე იყოს საყოფელი ჩემი მახლობელად ღირსთა

ამათ მამათა, რაჟთა ლოცვითა მათითა ინებოს ღმერთმან ჴსნაჲ ჩემი მოსაგებელისაგან ცოდვათა ჩემთაჲსა“. და უწოდა ადგილსა მას ქართ-
ველთა მონასტერი, რომელსა პირველითგან სახელი ეწოდა ჴრომანაჲ.

მაშინ ჴრქუა მეფემან ღირსთა მათ მამათა: „წმიდანო მამანო,
5 ითხოვეთ, რაჲცა საწმარ არს თქუენდა მეფობისაგან ჩემისა“. ხოლო მათ
ჴრქუეს, ვითარმედ: „ვითხოვეთ შენგან, ჴ ღმრთისმოყუარეო მეფეო,
რაჟთა აღიღო ყოველი უმშჯავროებაჲ სამეუფოჲსაგან შენისა, რაჟთა
არა განარისხო შენ ზედა უფალი და ცუდ იქმნას კეთილისყოფაჲ შენი
ჩუენდა მომართ“.

10 და ვითარცა ესმა ესე მეფესა, განიხარა სიტყუათა ამათ ზედა და
შესძინა უმეტესი სარწმუნოებაჲ მათდა მიმართ [86] და უყუარდეს იგი-
ნი უმეტეს ყოველთა მის ჟამისა კაცთაჲსა. და მოჴგუარნა ორნი ძენი
თჴსნი, ლეონ და ალექსანდრე, და ჴრქუა მათ: „ლოცვა-ყავთ ამათთჴს,
წმიდანო მამანო, და ასწავეთ წიგნი და ენაჲ თქუენი, რაჟთა იყვნენ ეგე
15 შვილნი ლოცვისა თქუენისანი“. და ამისა შემდგომად წარვიდეს მეფჴ
და პატრიაქი ქალაქად.

ხოლო ვითარცა აღასრულა ესე ყოველი კეთილად ღმრთისმოყუა-
რემან მეფემან, მაშინ სათნო-იყო ღმერთმან კეთილი საქმჴ მისი და
გამოუცხადა ჩუენებით შეყენებულსა დიდსა ეფთჴმის მოღუანესა,
20 რომელი იყო მას ჟამსა კაცი წმიდაჲ და ღმერთშემოსილი და უწყო-
და მან ყოველივე გულისსიტყუაჲ მეფისაჲ. და მიუწერა ესრეთ მეფე-
სა, ვითარმედ: „ვიხილე მე ჩუენებით ცეცხლისა კუამლი საშინელი და
მესმა ჴმაჲ, რომელი იტყოდა, ვითარმედ: „ესე არიან ცოდვანი ბასილი
მეფისანი“. და მე ვთქუ, ვითარმედ: „ვინ შემძლებელ არს დაშრეტად ამი-
25 სა?“ და კუალად მესმა ჴმაჲ, ვითარმედ: „ცრემლნი და კეთილისა საქმე-
ნი“. და მყის მოიხუნეს კეთილისა საქმენი შენნი კაცთა ბრწყინვალეთა
და შთაყარნეს ცეცხლსა მას შინა და იწყეს დაშრეტად დიდითა შრომი-
თა. მაშინ ესმა ჴმაჲ, რომელნი იყვნეს საწმილსა მას ზედა, ვითარმედ:
„მოიღეთ უცხოთა შეწყნარებაჲცა!“ და მოიღეს მცირჴ, ვითარცა მარ-
30 ცუალი იფქლისაჲ და სპეტაკი, ვითარცა თოვლი. და შთააგდეს იგი მას
შინა. მაშინლა იწყო კუამლმან მან და ცეცხლმან სრულიად განქარვე-
ბად. აწ უკუე, ჴ მეფე, ისწრაფე უცხოთა და გლახაკთა და უმეტესადლა
მონაზონთა შეწყნარებად“.

და ვითარცა წარვიკითხა მეფემან წიგნი იგი დიდისა მის
35 შეყე[v]ნებულისაჲ, პირველად მისცა მადლი მონყალესა ღმერთსა და

მერმე მოუწოდა ეპარხოსსა მას თესალონიკელსა, რომელი გარდაედ-
გინა ხარკისათჳს სამეუფოჲსა, რომელსა-იგი მოეწერა პირველად
მიცვალებაჲ წმიდისა ილარიონისი და სასწაულთა საქმჳ, და მისცა მას
უზემთაესი პატივი და წარავლინა თესალონიკედ, რაჲთა დიდითა პატი-
ვითა მოჰგუარნეს ნაწილნი ნეტარისა მამისა ილარიონისნი.

5

რამეთუ ჯერვე ესრეთ იყო წმიდისა ამისთჳს, რომელმან-იგი
სიწმინდითა თჳსით სულნი და ჳორცნი თჳსნი, უბინოდ განწმედილ-
ნი, დამბადებელისა თჳსისა უნაკლულოდ შეწირნა და რაჲთა ეგრეთვე
სულით და ჳორცით მრჩობლ პატივცემულ იყოს. რამეთუ გან-რაჲ-ვი-
და საყოფლისა მისგან წმიდათა მათ ჳორცთა თჳსთაჲსა უხილავი იგი 10
სული წმიდისაჲ მის, მეყსეულად უხილავსა მას ქალაქსა პირმშოთასა
ზეცისა იერუსალჴმსა უხილავმან მეუფემან ყოველთამან აღიყვანა
და დიდებით დაამკჳდრა. და კუალად შემდგომად მცირედისა, ვითარ-
ცა განეფინნეს დიდებულეზანი ნიშთა და საკჳრველებათა მისთანი, 15
მეფემან ქუეყანისამან და ხილულმან ახალსა ამას იერუსალჴმსა და
ხილულსა ქალაქსა სამეუფოსა ხილულნი იგი ნაწილნი მისნი სახილვე-
ლად ქალაქისა და ერისა დიდებით აღყვანებად ჯერ-იჩინნა სასოდ და
მეოხად სიმტკიცისა თჳსისა და მფარველად ქალაქისა და ერისა. და ეს-
რეთ მრჩობლ განყოფილი მრჩობლ პატივცემულ იქმნა მოსაგებელად
სათნოებათა და ღუანლთა მისთა.

20

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა აღვიდეთ. [87] და მიწერა წიგნი
სახჴს ესევეითარი თესალონიკედ ღმრთისმსახურმან მეფემან ბასილი,
ვითარცა პირველ ვთქუთ: „ბრძანებს მეფობაჲ ჩუენი თესალონიკელ-
თა მიმართ, რაჲთა სწრაფითა დიდითა და დიდებითა სამეუფოჲთა
წარმოჰგზავნნეთ ნაწილნი წმიდისა ილარიონ ქართველისანი თჳნი 25
ერ ყოვლისა მიზეზისა და წინააღდგომისა და ცოცხლებით იყვენით!“
და მიწერა წმიდისა მიმართცა ესრეთ თჳსითა ჳელითა: „ბასილი მეფჴ,
ცოდვილი მონაჲ ცათა მეუფისაჲ, გევედრები, წმიდაო მამაო ილარიონ,
აღმოვედ ქალაქად სამეუფოდ, დაღაცათუ არა ღირს-ვიქმენ პირის-
პირ ხილვად შენდა, გარნა ან ღირს-მყავ ამბოორის-ყოფად წმიდათა ნა- 30
წილთა შენთა და იხაროს ქალაქმან ამან სამეუფომან შემთხუევეითა მა-
თითა და მაღლი შენი იყავნ ჩუენ თანა, ამინ“.

25

30

და ვითარცა მიიწინეს მივლინებულნი იგი და წარიკითხეს ბრძანე-
ბაჲ იგი სამეუფოჲ წინაშე ყოვლისა ერისა, მაშინ, ვითარცა გულისჴმა-

ყვეს ძალი წიგნისაჲ მის, მეყსეულად იქმნა ამბოხი და შფოთი ქალაქსა მას შინა. და შეიზრახნეს ყოველნივე ერთბამად, რაჲთა ქვაჲ დაჰკრიბონ სამეუფოთა მათ კაცთა. ხოლო მთავარმან ქალაქისამან ძლივ დააცხრო აღტეხაჲ იგი ერისაჲ მის. და აღუთქუეს მივლინებულთა მათ, რაჲთა არა ყონ ესე ესრეთ. ხოლო ანთიპატრიკი იგი აღდგა და განვიდა გარემოჲს სოფლებსა და მოვლინებულთა მათ უბრძანა, რაჲთა ღამით აღიხუნენ ნაწილნი წმიდისანი უცნაურად ერისა. და მათ ყვეს ეგრეთ, და შთაასხნეს ლუსკუმასა მცირესა. ხოლო ლარნაკი იგი [v], რომელსა შინა ისხნეს წმიდანი იგი ნაწილნი, დაჰკრძაღეს ეგრეთვე და წარვიდეს უცნაურად ყოველთა.

ხოლო ვითარცა განთენა, ცნეს ესე ყოველი მკვდრთა ქალაქისათა და იწყეს მწუხარებად და ურვად განშორებისათჳს წმიდისა მის, რომელნიმე ლარნაკსა მას ცალიერსა მოეხუეოდეს, რომელნიმე ზღუად მიმართ ხედვიდეს და რეცა ჰგონებდეს წუთ არა წარსლვად მიერ, სხუანი ვითარცა ცხოველსა აბრალებდეს და ეშჯოდეს დატევებისათჳს ქალაქისაჲ მის, ვინაჲთ-იგი გარდაცვალებაჲ მისი იქმნა და მისლვაჲ წინაშე ღმრთისა. და ესრეთ უნუგეშინისცემოთა მწუხარებათაგან აღვსებულნი ლარნაკად წმიდათა მათ ნაწილთა მისთა მიივლტოდეს, და ყოველსა ცხოვრებასა მათსა შეჰვედრებდეს და მიერ ნუგეშინისცემასა მოიღებდეს.

ხოლო ვითარცა მიიწინეს ღმრთივდაცვულსა მას სამეუფოსა ქალაქსა ნაწილნი იგი წმიდისანი, ეუნყა ესე ღმრთისმსახურსა და მორწმუნესა მეფესა. მაშინ უბრძანა პატრიაქსა ეპისკოპოსთა თანა და მღდელთა და დიაკონთა და ყოველთავე მთავართა და ერსა ქალაქისასა, რაჲთა ყოველნივე ერთბამად გამოვიდენ მიგებებად წმიდისა მის. და განვიდა მეფჳ პატრიაქისა თანა და ყოვლისა ერისა ვიდრე ზღვს-პირამდე გალობითა და ლიტანიითა, სიმრავლითა სანთელთაჲთა და საკუმეველთა სულნელებითა, და წარიყვანეს იგი პალატად სამეუფოდ. და დაუსუენა იგი [88] მეფემან ეკუთერსა შინა პალატისა თჳსისასა, და განიზრახვიდა გონებასა თჳსსა, თუ რომელსა ადგილსა აღუშენოს სანაწილჳ წმიდასა მას.

და ვითარცა მოიწია მესამჳ ღამჳ, ვინაჲთგან მოიყვანეს წმიდაჲ იგი, ეძინა მეფესა სარეცელსა ზედა თჳსსა. და, აჰა ესერა, სული

¹⁸ მივლტოდეს.

სულნელებისაჲ საკვრველი განეფინა ყოველსა მას პალატსა შინა. და მეყსეულად განელჳდა მეფესა ძილისაგან, და ეყნოსა სულნელებაჲ მიუთხრობელი, და იგონებდა თჳსაგან, თუ რაჲმე არს ესე, ანუ რომელთა საკუმეველთაგანი არს. და ვითარ ვერ შეუძლო ცნობად, ჰკითხა საჭურისთა, რომელნი წვეს გარემოჲს მისსა, ვითარმედ: „რაჲ არს სულნელებაჲ ესე?“ ხოლო მათ ჰრქუეს, ვითარმედ: „ვფუცავთ მეფობასა თქუენსა, არასადა გვხილავს ესევეთარი სულნელებაჲ“. და ცნა ყოველმან პალატამან, და ჰკითხვიდა მოყუასი მოყუასსა თჳსსა, ვითარმედ რომელთა სულნელებათაგანი არს, და ვერ შეუძლეს ცნობად.

ხოლო განგებითა ღმრთისაჲთა კუალადცა მიერულა მეფესა და მეყსეულად გამოუჩნდა წმიდაჲ ილარიონ, შემოსილი ზენრითა სამღდელოჲთა და ჰრქუა მას: „კეთილად ჰყავ შეწყნარებაჲ ჩემი, ჳ მეფე, უცხოჲსა ამის და გლახაკისაჲ. გარნა სულნელებაჲ ესე, რომელ იყნოსე, არა მომიგიეს მე იგი ქალაქთა შინა, არამედ უდაბნოთა. ან უკუეთუ გნებავს, რაჲთა სრულებით მადლი გაქუნდეს, წარმიყვანე მე უდაბნოსავე ადგილსა“.

[v] და ვითარცა განილჳდა მეფემან, აღდგა მეყსეულად და შეწირა მადლი წმიდისა მის, რომელმან გამოუცხადა ნებაჲ თჳსი. და მიუთხრა ესე ყოველი, რომელნი მყოფ იყვნეს პალატსა შინა. და აღდგეს ყოველნივე ვიდრეცა განთენებადმდე გალობად წინაშე ღარნაქსა წმიდისასა.

ხოლო ვითარცა განთენა, მოუწოდა მეფემან პატრიაქსა და ყოველთა მთავართა პალატისათა, და აუწყა მათ სულნელებისა მისთჳს და ჩუენებისათჳს წმიდისა მის და ჰრქუა ესრეთ: „უნყოდეთ, ვითარმედ უდაბნოსა ჰნებავს ყოფაჲ წმიდასა“. და განიზრახა წარყვანებაჲ მისი მონასტერსა მას, რომელი აღეშენა მონაფეთა მისთათჳს. და მეყსეულად ყო ლიტანიჲ და უბრძანა ახუმაღ ნაწილთა წმიდისათა. და შეჯდა იგი აღრართა სამეუფოთა და წარემართა ზემოწსენებულსა მას მონასტერსა. და შევიდა პირველად ეკლესიასა მთავარანგელოზისა მიქაელისსა სუსთენს, და შეიყვანა ნაწილნიცა წმიდისანი. და ვითარცა ილოცა წინაშე დიდებულისა მის ძალთა მთავრისა, გამოვიდა მიერ და აღმჳედრდა სამეფოთა ეტლთა და მივიდა ჰრომანად, რომელი-იგი თჳთ აღეშენა მონაფეთათჳს ამის წმიდისათა, ვითარცა პირველ ვთქუთ. და ვითარცა შევიდა ეკლესიად, თაყუანის-სცა პირველად ნაწილთა წმი-

³ ესწ. ²¹ განთენდა.

Ը

დათა მოციქულთასა. და მერმე ყო ლიტანიაჲ და ლოცვაჲ და დაუსუენ-
ნა მითვე მცირითა ლარნაკითა ნაწილნი წმიდისა ილარიონისნი თუესა
დეკემბერსა ზ~სა (7). ხოლო მოწაფეთა წმიდისათა, ვითარცა იხილნეს
ნაწილნი მოძღუროსა თჳსისანი, ვითარცა შვილთა მამისმოყუარეთა და
5 მრავლით ჟამითგან სურვიელთა, იწყეს [89] ცრემლით ამბორისყოფად
მათდა. და ჴელით აღპყრობილითა ჰმადლობდეს ღმერთსა, სრულ-
მყოფელსა ყოველთა კეთილთასა, და მერმე ულოცეს ღმრთისმოყუ-
არესა მეფესა.

ხოლო მეფემან შეწირა რაჲ თუე ი~ზ (12) დრაჰკანი ეკლესიასა
10 მას, რაჲთა მარადის ენთებოდის ექუსი კანდელი ნაწილთა ზედა წმი-
დათა მოციქულთასა და კანდელი სამი წმიდისა ილარიონის ნაწილთა
ზედა და რაჲთა პალატით სეფისკუერი ორი მოეცემოდის ყოველთა
დღეთა, და მონაზონთა სასამოსლედ მიეცემოდის პალატით ორი ლი-
ტრაჲ ოქროჲ თუესა დეკემბერსა ზ~სა (7), და უწოდა სახელად თჳსი
15 მონასტერი. მაშინ ღმრთისმსახურმან მეფემან და პატრიაქმან თაყუ-
ანის-სცეს და ამბორს-უყვეს ნაწილთა წმიდისათა და მოიქცეს ქალაქა-
დვე და ჰმადლობდეს ღმერთსა.

ხოლო ბასილი პროტოასიკრიტმან და ფილოსოფოსმან და ღირს-
მან მონაზონმან აღწერა ცხორებაჲ წმიდისაჲ ამის, ვითარცა ისწა-
20 ვა მოწაფეთაგან წმიდისათა, კაცთა უტყუველთა და ჭეშმარიტთა.
არამედ ჩუენ ამის ყოვლისათჳს ვჰმადლობდეთ ღმერთსა, მოქმედსა
საკრველებათასა, რომლისაჲ არს დიდებაჲ მამისა და ძისა და წმიდისა
სულისა აწ და ყოველთა საუკუნეთა უკუნითი უკუნისამდე, ამინ.*

* ტექსტს ბოლოში ერთვის გადამწერის ანდერძი: „ლოცვა-ყავთ, ქრისტესმოყუარე-
ნო, მამისა გრიგოლისთჳს, რამეთუ ამის წმიდისა ცხორებისა დასაწერელი ეტრატი მან
მიბოძა. ქრისტემან შეაწიენ წმიდაჲ ესე მამაჲ. და ლოცვა-ყავთ ჩემ უღირსისათჳსცა,
რომელმან დავჩხრიკე“.

¹² სეფესკუერი.

თთუესა ნოენბერსა ით (19)

**ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა
ილარიონ ქართველისაჲ**

ესე წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ილარიონ იყო ნათესავით ქართველი, ქუეყანით კახეთით, შვილი აზნაურთა მდიდართაჲ. ხოლო ამისსა მამასა ესხნეს სხუანიცა შვილნი. ხოლო ესე ილარიონ აღთქუმულ იყო მშობელთაგან მისთა, ვითარცა სამოელი – ღმრთისა. და ვითარცა იქმნა ექუსისა წლისა, მიეცა სწავლად კაცსა ღირსსა, რომელიცა იყო დაბასა მისსა, სადა იყოფებოდა მამაჲ მის ნეტარისაჲ, და ასწავლიდა იგი მას ნიგნსა სულიერსა დღე და ღამე. და ვითარცა იხილა მამამან მისმან სწრაფით სწავლაჲ მისი ბერისა მისგან, იწყო ყოვლისა საწმრისა მიცემად უხუებით. და იწყო ადგილსა მას შენებად მონასტრად, და შეკრბეს მონაზონნი ათექუსმეტნი ოდენ. და მარადის მოვალ[ნ] მამაჲ მისი შენებისათჳს მის ადგილისა. და ვითარ იხილა ზედაჲსზედა მოსლვაჲ იგი მამისა თჳსისაჲ, მოეწსენა სიტყუაჲ იგი წმიდისა სახარებისაჲ, ვითარმედ: „რომელმან არა დაუტყოს მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი, და არა აღიღოს ჯუარი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“.* და განიზრახა წარსლვაჲ უშორესსა უდაბნოსა. 5 10 15

და აღდგა და წარვიდა იგი უდაბნოსა გარეჯისასა. და პოვნა მუნ მრავალნი კაცნი მოღუანენი და მახლობელად მათსა ქუაბი ერთი მცირე, შევიდა და დაემკჳდრა მას შინა. და იყო ჰასაკითა ვითარ ათოთხმეტისა წლისა, და წარემატა მოღუანებითა მყოფთა მის ადგილისათა უდაბნოსა მას შინა მარხვითა და ღოცვითა, რომელ ყოველთა უკჳრდა ეგეოდენი მისი შრომაჲ და მოთმინებაჲ. 20

* მათე, 10, 37-38.

შენიშვნა: ხელნაწერთა შესახებ, რომლებსაც ეფუძნება 4. რედაქცია, იხ. აქვე, გვ. 128.

¹⁸⁻¹⁹ ათორმეტისა L.

და აღეშენებოდეს ყოველნი იგი ძმანი სწავლითა მისითა და შეუვ-
რდებოდეს მას, რაჟთა იყოფებოდიან მის თანა. და შეიწყნარნა მის თანა
ათერთმეტნი ძმანი, მოლუაწენი მშკდნი და მდაბალნი. და იყვნეს ვითარ-
ცა ანგელოზნი მარხვითა და გალობითა, ვიდრემდის განითქუა ღირსე-
5 ბაჲ მისი მას ქუეყანასა. და ესმა ეპისკოპოსსა რუისთველსა ღირსებაჲ
მისი, აღდგა და მივიდა მოკითხვად მისა. იხილა რაჲ პირი მისი ყუთელი
და სიტყუაჲ მდაბალი [და] სამოსელი შეურაცხი, მოიკითხა იგი ამბორი-
სყოფითა წმიდითა და ჰრქუა: „მრავლით ჟამითგან მინდა ხილვაჲ შენი,
შვილო ილარიონ, და ღირს-ვიქმენ მე ცოდვილი ესე მიღებად [წმიდი-
10 სა] ლოცვისა შენისა. და სრულ-ყავ საწადელი ჩემი, რაჟთა მიიღო დღეს
მღდელობაჲ ჩემ მიერ გლახაკისა ამისა“. ჰრქუა მას ილარიონ: „მამაო,
ჯელთა შინა შენთა ვარი, რაჲცა ენებოს ღირსებასა შენსა, იგიცა ყოს
ჩემ ზედა“. მაშინ აღდგა ეპისკოპოსი იგი და აკურთხა იგი მღდლად, და
მოიღეს ლოცვაჲ ურთიერთას. და წარვიდა ეპისკოპოსი იგი და მიუთხ-
15 რობდა ყოველსა ერსა სათნოებათა მისთა. და მრავალნი შორით ქუ-
ეყანით მოვიდოდეს ხილვად და მოღებად ლოცვისა მისისა. მაშინ გა-
მოირჩია ძმაჲ ერთი და დაადგინა წინამძღურად ადგილსა თჳსსა.

და წარიყვანა ძმაჲ ერთი და წარემართა იგი წმიდად ქალაქად
იერუსალიმად. და ვითარ მიიწინეს იგინი ქუეყანასა მას შამისასა, დაემ-
20 თხვნეს ავაზაკნი ბოროტნი გზასა ზედა და იჴადეს მახვლები, რაჟთამცა
სცეს წმიდასა ილარიონს. მეყსეულად განუჴმეს ჴელნი მათნი და ვერ
შეუძლეს ქუე ჩამოღებად.

მაშინ იწყეს ტირილად და ვედრებად მისა, და მიუდგეს უკუანა,
ვითარ ხუთ უტევან. მაშინ მიექცა წმიდაჲ ილარიონ და დასწერა ჯუარი
25 და განკურნნა იგინი და წარგზავნნა ცოცხლებით. ხოლო მათ ვითარ
იხილეს მსწრაფლ განკურნებაჲ, მოართუეს მას პური და კერატი, და
ითხოვდეს შენდობასა და ეტყოდეს მას ენითა მათითა, რაჟთა არასადა
ყონ ესრეთ მონაზონთა ზედა. და ერთი მათგანი წარჰყვა ვიდრე მთამ-
დე [თაბორისა], სადა-იგი ფერი იცვალა უფალმან ჩუენმან დიდებით.
30 ილოცეს მუნ და მიერ წარვიდეს წმიდად ქალაქად იერუსალიმად და
მოილოცნა წმიდანი იგი ადგილნი.

და მერმე განვიდა ლავრასა წმიდისა საბაჲსსა და იორდანისა
უდაბნოთა, დაყო შკდი წელი ღუაწლითა და შრომითა, რომელ ვერვინ
შემძლებელ არს მითხრობად. და მარადის ევედრებოდა ღმერთსა, რაჟ-
თა გამოუცხადოს უმჯობესი სულისა მისისაჲ, რომელი სთნავს ღმერთ-

სა. ღამესა ერთსა იხილა ჩუენებაჲ ესე: რეცა მიიტაცა [იგი] მთასა ზეთისხილთასა, სადა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ამაღლდა დიდებით. და იხილა წმიდაჲ დედოფალი ღმრთისმშობელი [და] მარადის ქალწული მარიამ და ათორმეტნი კაცნი ბრწყინვალენი მდგომარენი მის წინაშე. 5
ჰრქუა მას წმიდამან დედოფალმან: „ილარიონ, მიისწრაფე სახედ შენდა და განუმზადე სერი უფალსა“. და ვითარ განიღჳა ჩუენებისა მისგან, გულისჴმა-ყო ჩუენებაჲ იგი.

აღდგა და წარემართა ქუეყანად თჳსად. და ვითარ მივიდა, პოვა, რამეთუ აღსრულებულ იყო მამაჲ მისი და ძმაჲცა. ხოლო დედამან მის- 10
მან მოართუა ყოველი მონაგები მამისა მისისაჲ და ჰრქუა: „წარაგე ესე, შვილო, ვითარცა სათნო გიჩნსა“. ხოლო მან აღაშენა ვანი კეთილი და შეიყვანა დედაჲ თჳსი და შეწირნა სოფელნი.

და იწყო შენებად მონასტერი მამათათჳს, და შეკრიბნა მას შინა ვითარ სამეოცდა ათეჴსმეტნი ძმანი, ღირსნი და მოღუანენი, და სხუაჲ 15
მონაგები განუყო გლახაკთა. და ვითარცა იხილა ეშმაკმან კეთილის- მოძულემან შენებაჲ მონასტრისაჲ, აღაშფოთა ნათესავი ამის წმიდისაჲ და იწყო ფიცით შეჩუენებად, რაჲთა დაწუას მონასტერი იგი და წმი- 20
დაჲ იგი მოკლას. და კარსაცა მისსა დაასხა ნაჴშირი და დაწერა ესრეთ: „იხილონ ყოველთა ესე მონასტერი სამ დღემდე ესრეთ დამწუარი“. და დააგდო იგი კარსა მისსა თანა. ხოლო წმიდაჲ ილარიონ დაადგრა ღამე ყოველ ლოცვასა ღმრთისა მიმართ და ვითარცა მიერულა, იხილა კაცი 25
ბრწყინვალე, რომელი ეტყოდა: „ნუ გეშინინ, ილარიონ, დღესვე განი- სწავლოს იგი და შეგივრდეს ფერჴთა შენთა“. და ვითარცა განთენა, მყის დააკუეთა იგი ეშმაკმან ქუეყანასა ზედა, გორვიდა სანყალობე- ლად და პეროოდა. და აღიღეს მსახურთა და მიიღეს წმიდასა ილარი- 30
ონს წინაშე და ქუეყანად დააგდეს. ხოლო წმიდამან ილარიონ დასწერა ჯუარი და აღადგინა იგი. მაშინ იწყო ტირილით აღსაარებად პირველ- თა უგუნურებათა თჳსთა და წარვიდა და მოართუა ყოველი მონაგები თჳსი, და იქმნა მონაზონ კეთილ მონასტერსა მას შინა. მაშინ განითქუა ჰანბავი მისი და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა და მოართუმიდეს საჴმარსა მრავალსა მონასტრისათჳს.

¹⁴ სამეოცდა *om.* L.

ხოლო ვითარცა იხილა ერისა ზედაჲსზედა მოსლვაჲ და წყინე-
ბაჲ და უნდა ყოველსა ერსა და მეფესაცა მათსა, რაჲთამცა ყვეს [იგი]
ეპისკოპოს. მაშინ გამოარჩია ძმაჲ ერთი და დაადგინა წინამძღუარად
და ჰრქუა: „ილუანე სულისათჳს ამათ ძმათაჲსა, ვითარცა სულისათჳს
5 შენისა, თუ არა, მონისა მის მოგეჴადოს, რომელი არა მოელოდა უფალ-
სა თჳსსა“. და აღიპყრნა ჴელნი და თქუა ზეცად მიმართ: „უფალო,
ჴელთა შენთა შევავედრებ ძმათა ამათ“.

და წარიყვანნა მის თანა ორნი ძმანი და წარვიდა მოხილვად პირ-
ველთა [მათ] მონასტერთა. და მიერ წარემართა სამეუფოდ ქალაქად
10 კოსტანტინეპოლედ. და ვითარ მიიწია მთასა ულომბოჲსასა, პოვა
მცირჴ ეკლესიაჲ, შევიდა და იყოფებოდა მას ადგილსა. და ვითარცა
მოიწია შაბათი, მოვიდა მონაზონი ერთი აღნთებად კანდლისა და პოვ-
ნა იგინი მას შინა. წარვიდა მონასტრად და მოართუა მცირედი პაქსი-
მადი და ცერცჳ დამბალი. მაშინ ევედრა წმიდაჲ ილარიონ ძმასა მას,
15 რაჲთა მოჴგუაროს [წმიდაჲ] სეფჴ და მცირედ ზედაშჴ. და ხვალისა დღე
მოართუა და აღასრულეს წმიდაჲ ჟამისწირვაჲ. მაშინ წარვიდა ძმაჲ იგი
და მიუთხრა მამასახლისსა მის მონასტრისასა ესე ყოველი. ხოლო იგი
აღშფოთნა და თქუა: „ვინ უწყის, თუ კეთილად ზრახვენ“. და ბრძანა
შეურაცხებით განძებაჲ მათი. მაშინ წარვიდა იკონომოსი და სხუანიცა
20 ძმანი და მიუთხრეს ყოველივე. ხოლო წმიდამან ილარიონ აღუთქუა,
რაჲთა ხვალისაგან წარვიდენ. და მას ღამესა დაადგრა წმიდაჲ დედოფა-
ლი ჩუენი ღმრთისმშობელი რისხვით მამასახლისსა მას და ჰრქუა: „რა-
სა ინებე მათი განძებაჲ, რომელნი მოსრულ არიან სიყუარულისათჳს
ღმრთისა, და არა დაიმარხე მცნებაჲ უცხოთა შეწყნარებისათჳს, ვითარ
25 ეტყჳს უფალი და ძჴ ჩემი მდიდარსა მას? ანუ არა უწყი-ა, ვითარმედ
მრავალნი დამკჳდრებად არიან მთასა ამას მათისა ენისა მეტყუელნი
და ცხოვნებად არიან, და რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემ-
და არიან?“ და ვითარცა განიღჳა მამასახლისმან ჩუენებისა მისგან,
ტირილითა მწარითა წარვიდა და შეუვრდა ფერჴთა ილარიონისთა და
30 ითხოვდა შენდობასა პირველისა მისთჳს კადნიერებისა და აფუცებდა,
რაჲთა არა წარვიდეს მიერ და რაჲთა არა შური იძიოს მისგან წმიდამან
დედოფალმან.

მაშინ წმიდამან ილარიონ აღადგინა იგი და ჰრქუა მას: „იქმნეს
ნებისაებრ შენისა, მამაო“. ხოლო მამასახლისი ევედრა მას, რაჲთა
მოართუმიდენ ევლოგიასა ერთგზის შაბათსა შინა. და მოართუმიდა

ნათესავი მამასახლისისაჲ, და ვნებულ იყო ფერწი მისი მარჯუენჳ სიყრ-
 მითგან. ხოლო დღესა ერთსა მოაქუნდა რაჲ ევლოგიაჲ, დაუბრკოლდა
 ფერწი მისი და იტკივნა და ტკივილისა მისგან ცრემლოოდა იგი. ვითარ-
 ცა იხილა წმიდამან ილარიონ, მოიღო ზეთი კანდლისაგან და სცხო და
 განკურნა ტკივილიცა იგი და ვნებაჲ მისი. განუტევა და ამცნო, რაჲთა 5
 არავის უთხრას. ხოლო მან ესე ყოველი მიუთხრა მამასახლისსა და ძმა-
 თა ყოველთა, რომელთა ეხილვა იგი.

მიერიითგან აქუნდა იგი ყოველთა, ვითარცა მოციქული და მოწამჴ
 საკრველებისა მისგან. მაშინ მოვიდეს სამნი სხუანი ძმანი ქართველ-
 ნი და შეიწყნარნა იგინი წმიდმან ილარიონ. ხოლო ერთი იყო ბერძულ 10
 მეტყუელი კეთილად. და მიერიითგან განითქუა ჰანბავი მისი ყოველსა
 ულუმბასა და მოვიდოდეს მრავალნი და აღივსებოდეს სწავლითა მისი-
 თა, და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან მისცა ესევეითარი მნათობი. და
 მრავალნი მოქალაქენი მოვიდოდეს და ევედრებოდეს, რაჲთა მიიღებ-
 დეს მათგან საჭმარსა. ხოლო მან არა ინება ესე ყოფად, არამედ ესრეთ 15
 ჰრქუა მათ, ვითარმედ: „მზრდის ჩუენ წმიდაჲ ღმრთისმშობელი და არა
 დამაკლებს ჩუენ ჳორცთა საზრდელსა“. და ვითარ იხილეს ესეოდენი
 იგი უპოვარებაჲ [მისი], ბაძვად მოიყვანნეს მრავალნი, რამეთუ შურე-
 ბოდა იგი ჴელთსაქმარსა და მისგან მოირენდა საჭმარსა, და არავის
 რას აურვებდა. და ვითარ იხილა განმრავლებაჲ მომავალთაჲ და აწყი- 20
 ნებდესცა, მაშინ წმიდამან ილარიონ ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: „შვილ-
 ნო, აჰა, მაქუს ხუთი წელიწადი აქა და ვერ შევედ ქალაქად, რაჲთამცა
 თაყუანის-ვეც ძელსა ცხორებისასა. ან თქუენ აღაშენეთ მცირე სენაკი
 ყორისაჲ“. და ასწავა, ვითარ ჯერ-იყო.

და წარიყვანა მოწაფე ერთი და წარვიდა კოსტანტინეპოლედ, 25
 მოილოცა და მიერ წარვიდა ჰრომედ. და ვითარ ვლო ათოთხმეტი დღე,
 პოვა სამოთხე გარეშე ქალაქისა და კარსა მისსა მკელობელი ერთი
 მჯდომარე, და დაჯდა იგიცა მის თანა. ჰრქუა მას წმიდამან ილარიონ:
 „კაცო, აღდეგ და მომართუ ტევანი ერთი ყურძენი“. ჰრქუა მას მკელო-
 ბელმან მან: „აჰა, მამაო, სამოთხე, რაჲცა გინდეს, მიიღე, რამეთუ მე ვერ 30
 შემძლებელ ვარ ცოდვათა ჩემთაგან აღდგომად. და მაქუს აქა ცამეტი
 წელი, ვინაჲთგან დავკოჭლდი, და მზრდის მე უფალი ამის ადგილისაჲ“.

მაშინ სულთ-ითქუნა წმიდამან ილარიონ და ჰრქუა მას: „აღდეგ,

²⁵ add. სახელით ისაკ L.

ძმაო, უფალსა უბრძანებებს“. და მეყსეულად განემართნეს ფერწნი მისნი და აღდგა და შევიდა [ვენაჲსა მას], რაჲთამცა მოართუა ნაყოფი. მაშინ აღდგა წმიდაჲ ილარიონ და წარვიდა სხვთ გზით. და ვითარ გამოვიდა კაცი იგი და არა პოვა, ეძიებდა და შევიდა ქალაქად და აქუნ-
 5 და ტევანი იგი ჴელთა. ხოლო ვითარცა იხილა ერმან მან [ქალაქისამან] საკრველი იგი, ჰკითხვიდეს კაცსა მას, და მან უთხრა ყოველივე, ვითარ განიკურნა და ნიშანი მათი. და ეძიებდეს მრავალ ჟამ და არა პოვეს მათ წმიდაჲ იგი.

და ნებითა ღმრთისაჲთა მივიდეს ჰრომედ და ილოცეს. და დაყო
 10 ჰრომს შინა ორი წელიწადი. და მოიქცა კოსტანტინეპოლედვე. და ვითარ მოინია თესალონიკედ, და დაჯდა კართა ზედა მთავრისა მის ქალაქისათა, და, აჰა, მჴევალმან მის მთავრისამან გამოიყვანა ძე მთავრისა მის ოთხისა წლისაჲ, ნახევარ-მიღებული და დადვა იგი მზისა პირსა, მახლობელად წმიდისა ილარიონისსა. ჰრქუა წმიდამან ილარიონ ქალსა
 15 მას: „დედაკაცო, წარვედ და მომართუ მე წყალი“. და ვითარცა წარვიდა დედაკაცი იგი, მაშინ წმიდამან ილარიონ ჯუარი დასწერა ყრმასა მას და თქუა: „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, შენ გეტყვ, ყრმაო, აღდეგ ცოცხლებით!“ და მეყსეულად განიკურნა.

ჰრქუა ყრმასა მას წმიდამან ილარიონ: „წარვედ, შვილო, გინესს
 20 დედაჲ შენი“. და აღდგა ყრმაჲ იგი ცოცხალი და შევიდა დედისა თჳსისა თანა. მაშინ აღდგა წმიდაჲ ილარიონ და წარვიდა სხუასა ადგილსა. ხოლო მჴევალმან მან აღიტაცა ყრმაჲ იგი და მოჰგუარა დედოფალსა თჳსსა. და იგი ჰკითხვიდა, თუ ვითარ განიკურნა, ხოლო მან წარმოუთხრა ყოველი ნიშანი მათი და ენაჲცა. და მსწრაფლ შევიდა დედაკაცი იგი
 25 და უთხრა ქმარსა თჳსსა და უჩუენა ყრმაჲცა იგი.

მაშინ ბრძანა მთავარმან სწრაფით დაცვაჲ კართა ქალაქისათაჲ და მოძიებაჲ წმიდისა მის. და პოვეს კარსა გარეგან აღმოსავალით კერძო მავალად, რამეთუ ვერ შემძლებელ იყო დაფარვად ქალაქისა, მთასა ზედა დაფუძნებულისა. მაშინ დაცვეს ყოველნივე ქუეშე ფერწთა მის-
 30 თა, ხოლო მან ნეტარმან აკურთხნა და აღადგინნა იგინი. მაშინ ეუწყა მთავარსა მას და გამოვიდა შემთხუევად მისა, და დავარდა წინაშე მისსა და ამბორს-უყოფდა ფერწთა მისთა. ხოლო მან ნეტარმან ულოცა და აღადგინა იგი. მაშინ წარიყვანა იგი მთავარმან სახლსა თჳსსა და ევედრა წმიდასა ილარიონს, რაჲთა გამოირჩიოს ადგილი, რომელიცა ენებოს და იყოფებოდის მას შინა. ხოლო მან გამოირჩია ადგილი მარჯუჴ

და მყუდრო და აღუშენეს ეკლესია ადგილსა მას. და ამცნო წმიდამან, რათა არა აწყინებდენ მას ზედასზედა მომავალნი, და ესეცა ამცნო, რათა არა წარმოსცეს თვნიერ პაქსიმადი ჳმელი და ცერცვ. და მრავალ-
თა შეშურდა მოლუანებაჲ მისი და ჳელითა მისითა იქმნეს მონაზონ.

დიაკონი ერთი თესალონიკელი განვიდა ვენაჴსა თჳსსა და 5
შეიპყრეს იგი წარმართთა და წარიყვანეს ტყუედ. ამას მოეჴსენა წმი-
დაჲ ილარიონ და ევედრებოდა ლოცვათა მისთა. და მას ღამესა ეძ-
ინა შეკრულსა და ეჩუენა წმიდაჲ იგი და ჰრქუა მას: „აღდეგ, დიაკო-
ნო, ნუ გეშინინ“. და ვითარცა განიღჳა, პოვა, რამეთუ განჴსნილ იყო
საკრველთაგან. და აღდგა და განვლო ლაშქარი იგი და არავინ ცნა. 10
მოვიდა და ქადაგებდა საკრველებასა მას და უთხრა წმიდასაცა მას.

შემდგომად ამისსა მოუწოდა წმიდამან მთავარსა მას და ჰრქუა:
„კეთილად ჰყავ, რამეთუ შემინყნარე გლახაკი ესე და ცოდვილი და
უცხოჲ, ღმერთმან მოგეცინ სასყიდელი სიყუარულისა შენისაჲ. ის-
წრაფე შეწყნარებად მონაზონთა და ეკრძალე მოხუეჴასა გლახაკთასა 15
და შეინყნარებდი უცხოთა და გლახაკთა“. და სხუაჲ მრავალი ასწავა და
განუტევა.

და შევიდა სენაკად და დაჴშა კარი თჳსი. და ვითარ მოიწია შაბა-
თი, მოუწოდა მონაფეთა თჳსთა და ულოცა და ასწავა ფრიად. და ეზია-
რა საიდუმლოსა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა და აღმოუტევა წმიდაჲ 20
სული თჳსი.

მაშინ მოვიდა მთავარი იგი ერთთურთ და მოიღეს ლუსკუმაჲ
მარმარილოჲსაჲ. მაშინ, ვითარცა ეგულებოდა დამარხვაჲ მისი, მოვი-
დეს ორნი ეშმაკეულნი და იტყოდეს: „ილარიონ ქართველო, რაჲსა
განგუასხამ“. და ვითარცა მიეახლნეს წმიდასა მას, მსწრაფლ უჩინო 25
იქმნეს. მაშინ შემოსეს წმიდაჲ იგი, დადევს ლუსკუმასა მას შინა დიდი-
თა პატივითა და ჰყოფდეს საჴსენებელსა მისსა. და ამისსა შემდგომად
მრავალნი კურნებანი აღასრულნა წმიდამან.

ხოლო აღესრულა მამაჲ ჩუენი ილარიონ თუესა ნოენბერსა
ათცხრამეტსა, დღესა შაბათსა, ჟამსა მეხუთესა [დღისასა], მეფობასა 30
ბასილისსა. და იყო წლისაჲ ორმოცდა ცამეტისაჲ, ქალაქსა შინა თე-
სალონიკესა. და მეოხ არს ჩუენ ყოველთათჳს ღმრთისა მიმართ სახი-
ერისა და მრავალმონყალისა.

ხოლო შემდგომად გარდაცვალებისა მისისა დასნეულდა ძმ
მთავრისაჲ და განუსივნეს სარცხენელნი მისნი და მუცელიცა მისი. 35

და განწირეს იგი მკურნალთა, და მიიწია იგი სიკუდილად. მაშინ აღი-
 ლეს იგი მშობელთა მისთა და შეაგდეს იგი ლუსკუმასა თანა წმიდისა
 ილარიონისა. და მას ღამესა გამოუჩნდა წმიდა იგი და ჰრქუა: „პროკო-
 5 პი, უკუეთუ არა აღმითქუა მე, რაჲთა არა ხვდოდი უწესოდ, ვერ განი-
 კურნო სენისა მაგისგან“. ხოლო მან ფიცით აღუთქუა ესე ყოფად. მა-
 შინ [წმიდამან] დასდვა ჯელი მისი მუცელსა მისსა ზედა და ჰრქუა მას:
 „სახელითა იესუ ქრისტესითა ცოცხალ იქმენ“, და ჯუარი დასწერა.
 ხოლო იგი მსწრაფლ განიკურნა და ვითარცა განიღძა, ადიდებდა
 ღმერთსა და წმიდასა მას, რამეთუ ყოვლადვე არა იყო ვნებაჲ მის თანა,
 10 და ამბორს-უყოფდა ღარნაკსა მისსა. და მიუთხრობდა საკრველება-
 თა მისთა ყოველსა ერსა, და ადიდებდეს ღმერთსა და წმიდასა მას.

მონაფეთა ამის წმიდისათა მისცეს ფლასი ერთი წმიდისაჲ ამის
 ქურცისა ერთსა გლახაკსა. და წარიღო მან დიდითა სარწმუნოებითა.
 და ვისცა სწეულსა დაჰბურის, პოის მან ლხინებაჲ და მიუთხრობდის
 15 საკრველებათა მისთა, და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა.

ესმნეს ღმრთისმოყუარესა მეფესა ბასილის საკრველებანი ამის
 წმიდისანი, რომელნი იქმნებოდეს თესალონიკეს შინა დღითი-დღე.
 ხოლო წიგნიცა მიუწერა ეპარხოზმან და პატრიაქმან თესალონიკელ-
 მან და [აუნყა] გარდაცვალებაჲ და საკრველებანი ამის წმიდისანი,
 20 და ადიდებდა ღმერთსა მეფე იგი. და დღესა ერთსა ბრძანა მეფემან
 ყოველთა მამასახლისთა მთისათა შესღვაჲ მის წინაშე. და ყო ოხჭანი
 დიდი მათ თანა და უთხრობდა მათ საქმეთა მის ნეტარისათა და რაჲ იგი
 მიეწერა ეპარხოზსა და პატრიაქსა. მაშინ ვითარცა ესმა მამასახლისსა
 ულუმბელსა, რომლისა დისწული განიკურნა წმიდასა ილარიონს, იწყო
 25 მანცა მოწსენებად მეფისა, და რაჲ იგი ექმნა სასწაული მისსა მონას-
 ტერსა წმიდასა ილარიონს. მაშინ ჰკითხა მეფემან, თუ: „არიან ვინა
 მონაფეთა მისთაგანნი მთასა მას?“ და მან ჰრქუა, ვითარმედ: „არიან
 სამნი მოხუცებულნი კეთილნი მონაფეთა მისთაგანნი“. ხოლო მეფემან
 ბრძანა სწრაფით მოყვანებაჲ მათი დრომონითა სამეუფოთა პალატად
 30 დიდითა პატივითა. და ვითარცა იხილა მეფემან მწკოვანებაჲ იგი მათი
 შუენიერი, რამეთუ იყვნეს გრძელნი ჰასაკითა, შუენიერნი სიტყვთა და
 მდაბალნი გონებითა, ითხოვდა მათგან ლოცვისა ყოფასა მისთვის. და
² მოქენეთაგან C. იქმოდეთ F. ³ მოისთლოთ ABCFH, მოისთვლოთ DG. ³⁻⁴ საკრველითა H.
⁴ ურთერთას ABC, ურთიერთარს FGH. ⁵ იყვენით E. სრულება FGH. ⁷ ვინაჲთგან ABCDEG,
ვინადგან F. სათნოება FGH. ⁸ სთქუა F, თქვა H. მადგანმან F. ¹⁰ აქენდეს H. დამკვიდრებულ
H. ¹¹ იტყვის FH. ღვთისმეტყუელი H. ¹² აქენდა H. ¹³ ნეფსით B. ¹⁵ მისსა CFH. შეტკობად add.
მისსა C, მისა DG. რათა FG. ავმალდეთ FGH. ¹⁶ ამიერიდგან F. ¹⁷ მშვიდობამან H. ზესთა CH,
ზესთაჲ E. ¹⁸ შეზლუდენინ F. მზაკუარისანი BDEGH. ¹⁹ ყუჴნინ A, ჴყვენინ FH. ²¹ რა FGH. ²²
ლოცვდა AF. დამშკდებისათვს G, მშვიდობისათვის H. ²²⁻²³ ცხორებისათვს FGH. ²³ აღსდგა F.
²⁴ მამობრივითა E. ²⁴⁻²⁵ მადგანნი F. ²⁶ მამათმთავარი] მამათმოდვარი B. აბრაჴამ H.

მოსწრაფებითა განემორა მიერ, რაჲთა არა საცნაურ იქმნეს სივლტო-
ლაჲ მისი და გზასა მას შეუდგა კოსტანტინეპოლედ მიმყვანებელსა. და
შემდგომად არამცირედთა დღეთა დედოფალსა მას ქალაქთასა მიიწია
სამეუფოსა და მუნ შინა მყოფნი იგი წმიდანი ეკლესიანი მოილოცნა. და
5 მცირედნი რაჲ დღენი დაყვნა მუნ ამისთვის, რამეთუ გამოვიდა მიერ და
მთასა მას ულუნბოხსასა მიიწია და პოვა მუნ მცირე რაჲმე ეგუტერი,
რომელი სამით მილიონით შორს იყო ლავრისა ერთისა დიდისაგან და
ერმრავლისა, და შევიდა მას შინა მონაფითურთ თვსით. იყო უკუე აღ-
სრულებულ შკდეული ყუელიერისაჲ, ხოლო მწუხრი შაბათისა მოვიდა
10 ძმაჲ ვინმე ლავრით აღნთებად კანდლისა ეგუტერსა მას შინა და პოვნა
იგინი, რამეთუ ილოცვიდეს და არარაჲ აქუნდა მათ ყოვლადვე საზრ-
დელად თვსა. წარვიდა ძმაჲ იგი და მოართუა მათ მცირედი პაქსიმადი
და ცერცვ, დამბალი წყლითა.

კუალად უკუე მომავალსა მას შაბათსა, რაჲმს-იგი წსენებაჲ
15 აღესრულების თეოდორესი, კეთილად მძლისა მის მონამისაჲ, მოვიდა
იგივე ძმაჲ და პოვა პაქსიმადი იგი დაუკლებელად რიცხვსაებრ თვსისა,
რამეთუ მარტოდ დამბლითა მით ცერცვთა წარსრული იგი [v] კვრიაკე
გარდაევლოთ. ხოლო შკდეულსა მას ყოვლად უჭმელად დადგრომილ
იყვნეს, რამეთუ ესე წეს არს საქმედ და სხუათაცა მოლუანებად. ჰკითხ-
20 ვიდა მათ ძმაჲ იგი, თუ რაჲ უჭმს, რაჲთა მოართუას მათ. ხოლო მათ
პური იგი შესანიწავისაჲ ითხოვეს და ზედაშე და სხუაჲ არარაჲ. არა
უდებ-იქმნა ძმაჲ იგი, არამედ გან-რაჲ-თენა, ბრძანებული იგი აღასრუ-
ლა. ხოლო წმიდამან ილარიონ უსისხლოჲ იგი მსხუერპლი შეწირა და
ეზიარა თვთ თავადი იგი საიდუმლოსა მას და მის თანა მყოფთა მათ
25 მისცა საზრდელი იგი უკუდავი ზეცისაჲ ცხოველსმყოფელი.

¹ რათა FG. არაჲ D. ¹⁻² სივლტოლა B. სივლტოლა DEGH, სივლტოლვაჲ F. ² კოსტანტინეპო-
ლედ AC. ³ არამცირედთა მრავალთა E. ⁴ იგი om. F. წმინდანი H. ეკლესიანი FGH. ⁵ რა FG.
დაჰყვნა FH, დაყუნა ABCDE. ამისთვის რამეთუ om. F. გამოვიდა add. და მერმე F. ⁶ ულუმ-
ბოხსასა BEFH, ულინბოხსასა AD, ულომბოხსასა G. პოვა FH. მცირედი F. რამე G. ეგუტერი F.
⁷ იყო იგი E. ⁸ შვიდეული H. ხოლო რამეთუ DG. შაბათსა AD, შაბათსა BFH. ¹⁰ პოვნა FH. ¹¹
ილოცვდეს BCDEF. არარა G. აქუნდა H. ¹² წარვდა C. მოართვა BEFGH. მათ მას E. მცირედ
AC. პაქსიმადი BDEG. ¹³ ცერცვი GH. ¹⁴ წსენება FG, ხსენება H. ¹⁶ პოვა FH. რიცხვისაებრ
FM. ¹⁷ ცერცვითა H. ¹⁸ გარდაევლო ABCDEFG. შვიდეულსა H. ¹⁹ იყუნეს B. ესე ესრეთ F.
¹⁹⁻²⁰ ჰკითხვდა BCFG, კითხვიდა H. ²⁰ რა GH. რათა F. მოართვას BFH. ²¹ იგი om. E. ითხოეს A.
არარა GH. ²² გან-რა-ეთენა C. ²³ წმინდამან H. იგი om. E. შეწირა FH. ²⁴ თვთ om. E. მყოფთა
მონაფეთა BDEFGH. ²⁵ უკუდავი H.

სთნდა უკუე ძმასა მას ლავრელსა სათნოებაჲ იგი კაცთა მათ ღმრთისათაჲ, წარვიდა მონასტრად და მიუთხრა მათოჲს მამასახლის-სა. ხოლო მას ესმა რაჲ, აღივსო მსწრაფლ გულისწყრომითა და რისხ-ვითა, ვითარმედ: „ყოვლად ვითარ იკადრეს მღდელობად ეგუტერსა მას შინა კაცთა უცხოთა და უმეცართა ელენთა ენასა?“ მეყსეულად უბრძანა იკონომოსსა, რაჲთა მრავლითა მოსწრაფეებითა განასხნეს იგინი ეკლესიით უპატიოდ და შეურაცხებით, და რისხვით შორს ყვნეს იგინი ლავრისა მისგან.

წარვიდა იკონომოსი სხუათა თანა მონაზონთა გამოსხმად საყუარელთა მათ ქრისტესთა. ჰრქუა მათ წმიდამან ილარიონ მდაბლითა ჴმითა, რამეთუ იცოდა მცირედ ბერძული, ვითარმედ: „შემინდვეთ ჩუენ, მამაო, ამას ოდენ ღამესა დადგრომად აქა და განთენებასა თანა ჩუენ-ცა ამიერ განვიდეთ. და წარმიძლუეს ჩუენ ღმერთი, ვიდრეცა ენებოს“. შეენყალა იკონომოსსა უცხოებაჲ მათი და არღა აიძულნა გამოსხმად ადგილისა მისგან მიმწუხრი, არამედ მოიმტკიცნა იგინი, რაჲთა ხვალი-სა დღე წარვიდენ მიერ.

ხოლო ღამესა მას იხილა მამასახლისმან ჩუენებაჲ ესევეთარი ძილსა შინა, რამეთუ დაადგრეს ორნი ვინმე საშინელნი და მიითრევდეს მას უნებლიეთ და შეიყვანეს ტაძარსა რასმე, დიდსა და დიდებულსა, სა-და-იგი დიდებით მჯდომარე იყო წმიდაჲ დედოფალი ღმრთისმშობელი. და მიიყვანეს რაჲ წინაშე მისსა, ჰრქუა მას რისხვით: „რახსათჲს, სანყა-ლობელო, დიდი იგი მოლუანე ილარიონ და მისთანანი იგი უპატიოდ განასხენ, ანუ ვითარ დაივიწყე ესრეთ ურცხვნოები[228]თ მცნებაჲ იგი ძისა და უფლისა ჩემისაჲ, ვითარ ჴნატრის უცხოთმოყუარესა, და ვაება-სა მისცემს უწყალოთა და გულფიცხელთა, და ვითარმედ თავადისა მის აღინევის ამათ ზედა ქმნილი იგი, ამას მარადის ღალადებს, გარნა რახსა

¹ სათნოება FGH. იგი *om.* E. ² წარვდა ACD. მათ თჳთ C. ³ რა GH. ³⁻⁴ რისხვთა ABCD. ⁴ მღუდე-ლობად F, მღვდელობად GH. ეგუტერსა F. ⁵ ელენთა F. მეყსეულად FGH. ⁶ რათა FG. ⁷ ეკლესიით FGH. რისხვთა ABCD, და რისხვით *om.* H. ყუნეს AC, ჴყვნეს FH. ⁹ წარვდა C. უკონომოსი ABCE. ¹⁰ ჰრქუა H. წმიდამან H. ¹¹ შემინდუჴთ AC, შემინდუჴთ DF, შემინდე-ვით E. ¹³ განვდეთ AC. ¹⁴ არღარა DG. ¹⁵ რათა FG. ¹⁵⁻¹⁶ ხუალისა F. ¹⁶ წარვდენ BCDEF. ამიერ BDEFGH. ¹⁷ მას ღამესა E. ¹⁸ დაადრეს E, დაადგრეს FH. ¹⁹ რასამე F, რახსამე ABCDE. ²⁰ წმიდა FG, წმინდა H. ²¹ რა GH. ჰრქუა H. მას მათ DG. რისხვთა ABCD. რასათვის H. ²² მისთანნი H. ²³ ურცხვინოებით GH. მცნება FGH. იგი *om.* E. ²⁴ უფლისა ღმრთისა BFGH. ნატრის FH. ²⁵ უწყალოსა E. გულფიცხელსა E. თავადის DG. ²⁶ მათ B. ამას ამათ E. რასა G.

მიჰყდი ამათ წყლტუდ მეტყუელებასა და ჰგონებ, ვითარმედ ელენთა
ოდენ ენაჲ მარტოდ შეწყნარებულ არს? ვითარ არა უწყი, ვითარმედ
ყოველთაგან ნათესავთა, რომელიცა არს მოშიში უფლისაჲ და მოქმე-
დი მცნებათა მისთაჲ, სათნო მისა არს იგი? არა ხედავ-ა, რაოდენნი ნა-
5 თესავისაგან მათისა სათნო-ეყვნეს ღმერთსა? ვითარ საწყალობელად
უცხო-ჰყავ თავი შენი ლოცვისაგან მეგობრისა ჩემისა და კურთხევისა
მისისა? რამეთუ რომელი ამათ არა შეიწყნარებს, იგი მტერი არს ჩემი“.

განილვდა რაჲ მამასახლისმან, ყოვლითურთ იყო შეძრწუნებულ,
ვინაჲცა აღდგა მეყსეულად მრავლითა მოსწრაფებითა და სადგურად
10 წმიდისა მიიწია და შეუვრდა ფერჳთა მისთა ცრემლითა მჴურვალითა და
ითხოვდა შენდობასა პირველისა მისთჳს კადნიერებისა და უწყალოე-
ბისა, და უგუნურისა მისგან გონებისა ჳსნასა. ევედრებოდა მიერიტგან
დადგრომად ეგუტერსა მას შინა, რაჲთა არა მოიწიოს მის ზედა რისხვაჲ
ღმრთისაჲ და ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისაჲ.

15 აღადგინა იგი კაცმან მან ღმრთისამან და მისცა მას შენდობაჲ
და წარსრულისა მისისათჳს ბრალისა უბრძანა უზრუნველობაჲ და
აღუთქუა დადგრომად მუნ ვედრებისათჳს მისისა. ჰლოცვიდა კუალად
მამასახლისი, რაჲთა მოართუან პური მონასტრით და საგებელ-სარე-
ცელი და ყოველივე საჳმარი ჳორცთაჲ. ჰრქუა მას დიდმან ილარიონ,
20 ვითარმედ: „ნურას ზრუნავ ამისთჳს, თვნიერ კკრიაკესა ოდენ პური იგი
შესაწირავისა და ზედაშე მოღებად ეც, რომელი-ესე კმა-გუეყოს ჩუენ
გამოზრდად სულისა და ჳორცთა.

ესე რაჲ ესრეთ წარგზავნნა მშჳდობით აღშენებულნი ნეტარისა-
გან სიტყუათა მისთათა, თავადმან კუალად ლოცვად მისცა თავი თჳსი
25 და ხედვად ხედვათა მათ მაღალთა და უზეშთაესთა მათ გონებისათა.

მიერიტგან უკუე ყოველთა კკრიაკეთა მოართუმიდა სეფესა და

² ენა CDEGH. ³ უფლისა BFGH. ⁴ მისსა F. ჰხედავთა F. რაჲოდენი B, რაჲოდენნი ACDE. ⁵ -ეყუნეს ABC. საწყალობელ E. ⁶ უცხო- om. E. ლოცვისაგან A. კურთხევისაგან BDFGH. ⁷ მტერ E, ~ მტერი ჩემი არს F. ⁸ განილვიდა H. რა FGH. ⁹ ვინაჲცა ABCDE. აღდგა F. მეყსეულად FH. ¹⁰ წმიდისა H. შეურდა ABCDG. მჴურვალთა H. ¹² უგუნურისა C. ხსნასა H. მიერიტგან F. ¹³ ეგვტერსა F. რათა FG. რისხვა DEFGH, რისხუა C, რისხუა A. ¹⁴ ღმრთისა BFGH. ღმ-
რთისმშობლისა DFGH. ¹⁵ მან om. C. შენდობა FGH. ¹⁶ უზრუნველობა GH. ¹⁷ აღუთქვა H. ~
მუნ დადგრომად DG. ვედრებისა DG. მისისათჳს DG. ლოცვიდა H. ¹⁸ რათა FG. მოართვან
BEFH. ²⁰ თვნიერ C. კკრიაკესა AH. ²¹ კმა-გვეყოს CFH. ²³ ესერა FGH. წარგზავნა CEH.
მშვიდობით H. ²⁴ თჳსათა F. ლოცვა DG. ²⁶ მიერიტგან F. კკრიაკესა H. მოართუმიდა BFG,
მოართუმევდა E. და om. BDEG.

ზ[ვ]ედაშესა დისწული მამასახლისისაჲ, რომელი ყრმაღა იყო ჰასაკითა. ხოლო იყო მარჯუენე კერძო მისი განწმელი შობითგან, ჯელნი და მწარ-
ნი მისნი ეზიარებოდეს ვნებასა მას, თუალნიცა, და ეგრეთვე ყურთაცა
მიაქუნდა ვნებისა მისგან. და დღესა ერთსა მივიდოდა რაჲ კაცისა მის
ლმრთისა, წარსცა ქვასა ფერჯი იგი განწმელი მისი და ეტკივნა მას დი- 5
დად, და სანყალობელად დაეცა და ესრეთ მტირალი მივიდა ეგუტერად
წმიდისა.

ჰკითხვიდა მას მამაჲ იგი წყალობისაჲ მიზეზსა ცრემლთასა, ხოლო
ყრმაჲ იგი უჩუენებდა წყლულებასა მას. და მოიღო ზეთი კანდლისაგან
და სცხო ტკივნეულთა მათ ასოთა მისთა და გამოსახა მას ზედა სას- 10
წაული ჯუარისაჲ. და მეყსეულად ჭაბუკი იგი მრთელად ყოვლითურთ
გამოაჩინა და ყოველნივე ასონი მრთელად და სრულად იხილვებოდეს,
ვიდრე არცალათუ ბრძკლი რაჲ დაშთა მის თანა ყოვლადვე პირველისა
მის წყლულებისა. და ამცნო მას, რაჲთა არავის უთხრას მის ზედა ქმნი-
ლი იგი საკვრელებაჲ, და განუტევა მშკდობით. 15

იხილა რაჲ მამასახლისმან ანაზდათი იგი შეცვალებაჲ დისწულისა
თვისისაჲ, გამოჰკითხვიდა ძალსა მას უსასყიდლოდ კურნებისასა. ხოლო
მან არა დაფარა, არამედ აუწყა მკურნალი თჳსი და სახე განკურნებისა
თვისისაჲ ყოველთა ზედა განაცხადა. ხოლო მონაზონთა მათ ლავრისა-
თა იხილეს რაჲ ესე, განკვრდეს, და ვითარცა პირველთა მათ წმიდათა 20
მამათაგანსა, პატივ-სცემდეს საღმრთოსა ილარიონს. არა თუ ოდენ
ლავრელნი, არამედ ყოველნივე მოღუანენი ულუნბოჲსანი მოვიდო-
დეს მისსა დაუცხრომელად, ვინაჲთგან ესმოდა საკვრელი იგი მოქა-
ლაქობაჲ მისი. რამეთუ ძნელ არს დაფარვად ქალაქი, მთასა ზედა აღ-
შწნებული, ვითარცა არცა დაიფარა, დაღაცათუ იგი მოსწრაფე იყო, 25

¹ ყრმა F. ² კერძი ABCEFH. განწმელ F. შობიდან F. ³ ყურნიცა E. ⁴ მიაქვნდა GH. რა EGH. ⁵
წარცა C. განწმელი C. ⁶ სანყალობად G. ეგუტერად BDEFGH. ⁷ წმიდისაჲ C, წმინდისა H.
⁸ ჰკითხვდა ACFG. მამა BCDEFGH. მწყლუბისა E. ⁹ მის C. ¹¹ მეყსეულად FH. ~ ყოვლითურთ
მრთელად F. ¹² ყოველნი F. ასონი add. მისნი F. მრთლად F, მართლად G, მრთლიად H.
¹³ ვიდრედა G. ბრძკილი H. რა G, რაჲმე FH. ¹⁴ რათა FG. უთხრეს C. ¹⁴⁻¹⁵ ქმნული ABC. ¹⁵
საკვრელება FG, საკვირველება H. მშვიდობით H. ¹⁶ რა FGH. ანასდათი AC, ანაზდათ G.
შეცვალება FGH. ¹⁷ გამოჰკითხვდა CDF. ¹⁸ დაჰფარა BFH, დაფარა om. C. ²⁰ რა FGH. განკ-
ვირდეს H. წმინდათა H. ²¹ პატივ-ჰსცემდეს F. საღთოსა A, საღმრთოჲსა BCDE, სამღთოსა
FG. ²² ულუმბოსანი ABEFH, ულუმბისანი DG. ²³ მისა BH. ვინადგან F. საკვირველი H. ²³⁻²⁴
მოქალაქობა FGH. ²⁴~ ქალაქი დაფარვად BDEFGH. ²⁴⁻²⁵ აშენებული AF, აღშენებული BCDEH.
²⁵ იყო om. C.

არამედ უწესდა თავისა თვსისათჳს სულთა მათ კეთილისმოყუარეთა. რომლისათჳსცა მივიდეს მისსა სამნი ძმანი ქართველნი, ხოლო გან-
შორებად მისგან და კუალად-ქცევაჲ ყოვლადვე არა თავს-იდვეს, არა-
მედ შეიყუარეს დადგრომაჲ მის თანა. ხოლო ერთი მათგანი კეთილად
5 მეცნი[229]ერ იყო ენასა ელენთასა. ვინაჲცა სარგებელისათჳს სულისა
მომავალთა მისსა უცხადეს ადრე ასწავებდა სიტყუასა ჭეშმარიტები-
სასა წმიდაჲ იგი მამაჲ.

ვინაჲცა მოსწრაფე იყო მართალი იგი სული მისი განფხურად ყო-
ველსავე ძირსა ვნებათასა, და ასწავებნ ყოველთავე მომავალთა მის-
10 და ცხოვრებასა მას ანგელოზებრივსა და მოლუწებით მოქალაქობასა,
და განუმარტებნ მათ განცხადებულად მზაკუარებასა და მანქანებასა
სულთა მათ ბოროტთასა, და თუ რაოდენ მტერობაჲ აქუს მათ ყოველ-
თა მიმართ ქრისტიანეთა, უფროჲსლა რომელნი განშორებულ არიან
სოფლისაგან.

15 მიიწია სახელი სათნოებათა მისთაჲ ვიდრე თავადად სამეუფოდ-
მდე. და მოვიდოდეს მისსა მრავალნი, რომელნი-იგი მოვიდოდიან
რაჲ, აღივსნიან სარგებელითა და აღიდებდეს ღმერთსა, რამეთუ ხედ-
ვიდეს კაცსა ღმრთისასა ქუეყანასა ზედა. მრავალნი მოართუმიდეს
მას საფასეთა მრავალთა, გარნა არარაჲ ყოვლადვე მიიღის მათგან,
20 არამედ ჰრქჳს მათ სიმდაბლით და სინწფოებით, ვითარმედ: „წმიდაჲ
დედოფალი ღმრთისმშობელი მეოხ არს ჩუენთჳს წინაშე ძისა მისისა
და ღმრთისა ჩუენისა და აღმავსებს ჩუენ კეთილითა, და სხუაჲ არარაჲ
საწმარ არს ჩუენდა. ეგე ყოველი, ძმანო, გლახაკთა განუყოთ, რაჲთა
გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა“. ვითარმედ ესევითარსა ჰმოძღურინ მის-
25 რულთა მათ მისა, ვინაჲცა მრავალნი აღადგინნა ბაძვად უზეშთაესისა
მის მოლუწებისა და უპოვარებისა სრულისა, რომელთა დაუტევიან

² მოვიდეს BDEGH. ⁴ შეიყუარეს *add.* და DG. ⁵ ელენთა F, ~ ელენთა ენასა FH. ⁶ მომავალსა E. ⁷ წმიდა FGH. მამა BCDEFGH. ⁸ ვინაჲცა GH. განფხურად C, განფხურად FH. ¹⁰ ცხოვრებასა AF, ცხოვრებასა GH. ანგელოზებრსა DG, ანგელოსებრივსა F. ¹¹ მზაკუარებასა BDE, მზაკ-
ვარებასა GH. ¹² მტრობაჲ ADE, მტერობა CGH, მტრობა F. აქჳს FGH. ¹³ მიმართ მათ F. ¹⁵ ~
მისთა სათნოებათა E. ¹⁵⁻¹⁶ სამეფოდმდე H. ¹⁶ მისა E. - იგი *om.* F. ¹⁷ რა FGH. აღივსებოდიან
E. სწგზლ E. ¹⁷⁻¹⁸ ხედვდეს AC, ჰხედვიდეს F. ¹⁸ კაცსა *add.* მას E. ღმრთისაჲსა A. მოართ-
მიდეს ABCFH. ¹⁹ არარა G. ²⁰ ჰრქჳს AFH. მათ მას C. ისწფოებით AEF. წმიდა FH, წმინდა
H. ²² არარა G. ²³ ძმანო *om.* BDFGH. განუყავთ F. რათა FG. ²⁴ გაქუნდეს F, გაქვდეს GH.
მოძღურინ CEF, ჰმოძღვრინ G, მოძღვრინ H. ²⁵ მისა მისათა F. ბაძვად A. უზესთაესისა F. ²⁶
უპოვარებისა H. სრულისაჲ A.

ყოველივე და მონაზონ იქმნიან და ადიდებდიან ღმერთსა.

არაოდეს დასცხრებოდა ნეტარი იგი ჯელთსაქმარისაგან თვნიერ ჟამსა ლოცვისასა, არამედ თხზავნ იგი ოდეს სქემასა და ოდესმე ფინიკის ფურცელსა, რომელ-იგი ესწავა იერუსალიმს. და ზოგად თავისა თვსისა და რომელნი იყვნეს მოქენე, მათ მიერ, ვითარცა წინ სალუანსა არა ოდენ არავის დაუდებდეს და სხვსა ჯელთა ხედვიდეს, არამედ რათა მოიმადლოსცა ღმერთი და უფროჲსლა იგი ექმნეს ჯელისამჰყრობელ უღონოთა და ჭირვეულთა.

მრავალნი უკუე მოვიდოდეს მისსა, რომელნიმე სარგებელისათვს [v] სულისა და რომელნიმე კურნებისათვს ჯორცთაჲსა. ხოლო იგი ხედიდა რაჲ თავსა თვსსა, რამეთუ არა უტევებენ დაყუდებად, არამედ მოვლენ და აშფოთებენ, და რომელნიმე ადიდებდეს ღმერთსა, შეეშინა, ნუუკუე ბრალსა შთავარდეს უღირსებით ქებისათვს, რამეთუ იგი ნამდვლვე ღირს იყო ყოვლისა პატივისა. და განიზრახა, რათა მისცეს თავი თვსი კუალად უცხოებად. და ვითარცა მოეახლა ამაღლებაჲ ცხოველსმყოფელისა ძელისაჲ, ჰრქუა ძმათა მათ, რომელნი მყოფ იყვნეს მის თანა, ვითარმედ: „სურვიელ ვარ მე სასწაულსა ამას ყოვლად დიდებულსა შესლვად ქალაქად სამეუფოდ და ხილვად პატიოსნისა ჯუარისა, რომელსა ზედა მეუფემან ჩუენთვს ჯელნი განიჰყრნა და მე განშორებული მიმიზიდა მისსა. ხოლო თქუენ დასხედით სენაკსა ამას შინა შეზღუდვილნი მადლითა ქრისტესითა და ჯსენებასა ჩემსა ჰყოფდით ლოცვათა თქუენთა“.

ესე ჰრქუა ძმათა მათ და მოიკითხნა იგინი. და გამოვიდა მიერ და კოსტანტინეპოლედ მიიწია, რამეთუ დაეყო ხუთი წელი მთასა ულუნბოჲსასა, და თაყუანი-სცა რაჲ ძელსა ცხოველსმყოფელსა, იწყო სრბად გზასა მას, დედაქალაქად ჰრომედ მიმყვანებელსა.

¹ ადიდებდენ FH. ² ჯელთსაქმარისაგან BFH, ჯელთსაქმისგან G. ³ ოდენ FH. სქემასა] საქმესა AH, სქემესა BCDE. ⁴ იწლზსა BCDE. ⁵ იყუნეს AB. მათა BE, მათთა C, მთა A. ვითარ ABE-FH. წინა ღვწასა C, წინა საღვწასა FH. ⁶ დაუდებდის BEFH, დაყუდებდის DG. სხვისა FH. ხედვიდის BDEFGH, ხედვდეს C. ⁶⁻⁷ რათა F. ⁷ იქმნეს H. ⁷⁻⁸ ხელის-აღმჰყრობელ GH. ⁹ მისა F. ¹⁰ სულისასა DG. კურნებისა F. ¹⁰⁻¹¹ ხედვდა AC, ჰხედვიდა F. ¹¹ რა FGH. უტევებენ BCH. ¹² აშფოთებენ DE. ¹³ უღირსებით om. E. ¹⁴ ნამდვილვე H. ~ ღირს იყო ნამდვლვე E. რათა FG. ¹⁵ უცხოებაჲსა E. ამაღლება FGH. ¹⁶ ძელისაჲ ჯუარისა E. ჰრქვა H. მათ om. D. ¹⁷ სურველ AC. ¹⁸ შესვლად H. ¹⁹ ჯვარისა H. მეუფემან BDE. ²⁰ მისა DEG. ²¹ ქრისტესით ABC. ხსენებათა H. ²¹⁻²² ყოფდით C. ²³ ჰრქვა H. ²⁴⁻²⁵ ულუმბოსასა BDEFGH, ულიმბოსასა A. ²⁵ თაყვანი-სცა BFGH. რა FGH. ²⁶ რომედ EFH.

და ვითარცა თესალონიკედ მივიდა, შეწყნარებულ იქმნა გლაზი-
კისა ვისმე მიერ, რომლისადა რწმუნებულ იყო დაცვად ვენაჴი. ხოლო
იყო იგი კოჭლ ორთავე ფერჴითა. ჰრქუა მას წმიდამან ილარიონ: „აღ-
დეგ, ძმაო, და მომართუ მე ერთი ტევანი ყურძენი ვენაჴისაგან“. მიუ-
5 გო უძღურმან მან და ჰრქუა მას: „შევედ, მამაო, და მიიღე, რაოდენი-
ცა ტევანი გნებავს, რამეთუ მე, ვითარ მხედავ, მაჭირვებს საღმობაჲ
სასტიკი, რომელმან განაჴმნა ფერჴნი ჩემნი ათცამეტსა ამას წელი-
წადსა და სლვისა მიმართ ყოვლად უჴმრად გამომაჩინა, რომლისათჴს-
ცა უფალმან ამის ვენაჴისამან შემინჴალა განსაცდელისა ამისთჴს და
10 შემინჴნარა და მომცემს საჭიროსა ამას საჴმარსა საღმობიერთა ამათ
ჴორცთასა. და აწ ვზი აქა და ვიცავ ნაყოფსა ამას მფრინველთაგან
დღე ყოველ, ვიდრემდის მოვიდეს უფალი იგი ვენაჴისაჲ და აღმიღოს
ამიერ“.

ხოლო კაცმან მან ღმრთისამან მადლითა [230] მით მოციქულთაჲ-
15 თა ჰრქუა კაცსა მას, ვითარცა-იგი მათ მჯდომარესა მას კართა თანა
შუენიერთა ტაძრისათა, ვითარმედ: „სახელითა იესუ ქრისტესითა. აღ-
დეგ და შევედ ვენაჴად და მსწრაფლ მოიღო ჩემდა ყურძენი“. ესე თქუა
და სასწაული ჯუარისაჲ გამოსახა კაცსა მას ზედა. ეჴა, წყალობათა
შენთა, ქრისტე, რამეთუ სიტყუაჲ და საქმე ერთბამად აღესრულნეს, და
20 მრავალჴამისა იგი მდებარე წამსა შინა განკურნებულად ქმნა. და კაცი
იგი მეყსეულად და მსწრაფლ შერბიოდა ვენაჴად შიშით და სიხარუ-
ლით და მოიღო ყურძენი კეთილი. ხოლო პირველ მოსლვადმდე კაცისა
მის განეშორა წმიდაჲ იგი ადგილისა მისგან. და ვითარცა მოვიდა იგი და
ვერ პოვა, რომელსა ეძიებდა, შევიდა მსწრაფლ ქალაქად, აქუნდა-ღა
25 ჴელთა ტევანი და უსასყიდლოდ მკურნალსა მას მჴურვალედ ეძიებდა.
იხილეს რაჲ მოქალაქეთა, რომელი-იგი პირველ მცირედისა მდებარე
იყო, ესრეთ მტკიცედ და კეთილად მავალი, საკრველებამან შეიპყრ-

² რომლისა BCDEGH. ჰრწმუნებულ F. ³ კოჭლი B. ჰრქვა H. წმინდამან H. ³⁻⁴ აღსდეგ FH. ⁴ მომართვა H. ⁵ ჰრქვა H. მას om. BDEFH. ⁵⁻⁶ რაოდენიცა BCD. ⁶ ტევანი om. DFGH. საღმო-
ბა FGH. ⁷ განაჴნა G. ათსამეტისა AC, ათსამეტსა F. ⁸ სლჴსა C, სვლისა H. უჴმრად H. ¹⁰
მომცემს add. მე BDEFGH. სახმარსა F. ¹¹ ვცავ C, დავიცავ G. ფრინველაგან C. ¹² ვიდრემდე
BDEFGH. ¹⁵ ჰრქვა H. მათ om. C. ¹⁶ შეენიერთა H. იესო E. ¹⁶⁻¹⁷ აღსდეგ F. ¹⁷ ვენახად H. სთქუა
F, თქვა G, სთქვა H. ¹⁸ ჴუარისა BFG, ჴვარისა H. ¹⁹ ერთობად G. ²⁰ განკურნებულ EFH. იქმნა
EFG. ²¹ იგი om. F. მეყსეულად G, მეყვსეულად FH. ²² მოიღ A. მოსვლადმდე FH. კაცსა G. ²³
წმიდა FGH. ²⁴ პოვა FH. მსწრაფლ om. C. აქვნდალა H. ²⁵ ჴურვალედ C. ²⁶ რა FGH. ²⁷ საკვირ-
ველებამან H.

ნა იგინი და ჰკითხვიდეს მას მიზეზსა ანაზდათ შეცვალებისა მისისასა. ხოლო მან მიუთხრა ყოველივე სახე და წესი მკურნალისა მის თვისისა, და ხლდომით ვიდოდა კაცი იგი ყოველსა შინა ქალაქსა და ეძიებდა მას. გარნა ნეტარი იგი ევლტოდა კაცობრივსა დიდებასა, ვინაჲცა მსწრაფლ გამოვიდა ქალაქით და ჟამად სრბად გზასა მას წინამდებარესა.

5

მიიწია რაჲ ჰრომაელთა დიდად ქალაქად და მრავლითა სურვილითა შეემთხვა ლარნაკსა თავთა მათ მოციქულთასა პეტრესსა და პავლესსა და დაყვნა მუნ ორის წლისა ჟამნი, და კუალად-იქცა მიერ კოსტანტინეპოლედ. ხოლო მოვიდა რაჲ კუალად თესალონიკედ, და-
ხუდა დამთხუევით და დაჯდა ბჭეთა თანა კაცისა ვისმე დიდებულისა
და სიმდიდრითა ბრწყინვალისათა, რომელსა აქუნდა პირველი პატივი
მთავრობისაჲ ქალაქსა მას შინა. და ესუა მას ძე, მონყლული ეშმაკისა-
გან, და მარჯუენე კერძო ნახევარი იგი ჯორცთა მისთაჲ სრულიად გან-
მჴმარ იყო და ყოვლად უჴმარ ქმნილ. რომელი მჴვეალმან ვინმე ერთმან
გ[v]ამოილო სახლით მას ჟამსა და დადვა იგი ადგილსა მას მახლობე-
ლად, რომელსა ხოლო იგი მჯდომარე იყო. რომელმან იხილა რაჲ ყრმაჲ
იგი, მოცული ესევეითართა მათგან განსაცდელთა და მსგავსი მკუდრი-
სა, შეეწყალა სულსა მას წყალობისმოყუარესა და ჰრქუა მჴვეალსა
მას: „მომართუ მე წყალი სასუმელად მოხუცებისათჳს“. ხოლო იგი არა
უდებ-იქმნა, არამედ ყრმაჲ იგი დადვა მზესა ქუეშე, რაჲთა ტფებოდის,
ხოლო იგი წარვიდა სახედ მოღებად წყლისა. და ვიდრე მოსლვადმდე
მისა, ილოცა წმიდამან ყრმისა მისთჳს და გამოსახა მას ზედა სასწაუ-
ლი ჯუარისაჲ. და არა მოქენე იქმნა ნეტარი იგი სიგრძესა ჟამთასა,
არცა ლოცვისა გრძელად მიმყოვრებასა, არამედ მასვე ჟამსა მრთე-
ლად ყოვლითურთ და უვნებელად გამოაჩინა და ჰრქუა მას: „აღდეგ,

10

15

20

¹ ჰკითხვდეს ABCDF. ანასდათ AB EF. ² თვისისა AH. ³ ყოველსა om. E. ~ ქალაქსა შინა E. ⁴ ვინაჲცა DEFGH. ⁵ სრბასა F. გზასა om. F. ⁶ რა FGH. ჰრომაელთა A, რომაელთა CEFH. ⁶⁻⁷ სურვლითა ABC. ⁷ შეემთხვია AH. ლარკანსა AC. პეტრესა CG. ⁸ პავლესა C. დაჰყვნა H. ორი-
სა BCDEFGH. ⁹ კოსტანტინეპოლედ BDEF. რა GH. რა კუალად om. F. ⁹⁻¹⁰ დახვდა H. ¹⁰ დამთხ-
ვეთ ABCDEF. დასდჯა FH. ¹¹ ბრწყინვალეებისათა F. აქუნდა H. ¹² ესეა BCEFH. ¹²⁻¹³ ეშმაკთა-
გან E. ¹³ კერძი ABCDEGH. ¹³⁻¹⁴ განჴმარ ABEG, განჴმარ FH. ¹⁴ ყოვლად კუალად B. ¹⁵ სახლით
სახლით G. და om. BEG. ასდვა FH. ადგილსა მას om. E, ~ მახლობელად ადგილსა მას FH.
¹⁶ ~ იგი ხოლო G. იგი add. ხოლო D, მხოლო F. მჯდომე G. რა FGH. ¹⁷ მოცული F. მაღგან F. ¹⁹
მომართვი H. სასმელად FH. მოხუცებულისათჳს G. ²⁰ დასვა E, დასდვა FH. რათა FG. ტფე-
ბოდეს F. ²¹ მოსვლადმდე H. ²² მისსა DFG. წმინდამან H add. მან F. ²⁴ მიმყოვარებასა ABDF.

ყრმაო, მსწრაფლ და მივედ დედისა შენისა, რამეთუ გინესს შენ“. ხოლო ყრმაი იგი წარვიდა მხიარული და განკრევებული, რომელსა არცა თუ ბრძკლი რაი ეტკრთა პირველისა უძღურებისაჲ. და შე-რაჲ-ვიდა ბჭეთა სახლისათა, მეყსეულად წმიდაჲ იგი სრბით განეშორა ადგილისა მის-
 5 გან. ხოლო მწევალსა მას, ვითარცა აქუნდა წყალი ჴელთა, შეემთხვა ავლინსა შინა ყრმაი იგი, რამეთუ სრბით მოვიდოდა, რომლისათჳსცა შეიპყრა იგი ზარმან და განკრევებამან მოიცვა იგი, გარნა ყოველსავე ზედა გამოჰკითხა და ისწავა მიზეზი განკურნებისაჲ. და გამოვიდა წმი-
 10 დისა მის მიცემად წყლისა და ვითარცა არა პოვა, შებრუნდა მსწრაფლ დედოფლისა თჳსისა და მიჰგუარა ძე მისი განკურნებული და მიუთხრა სახე საკრეველისა მის განკურნებისაჲ.

ხოლო მან მეყსეულად აუწყა ქმარსა თჳსსა. და მას ვითარცა ესმა, ჰკითხვიდა სახესა და სამოსელსა წმიდისასა და ისწავა რაჲ, აღ-
 15 დგა მკუეთრ და გამოვიდა ძიებად მისსა. და წარგზავნა მონანი თჳსნი მსწრაფლ და უბრძანა დაკრძალვად ყოველთავე ბჭეთა ქალაქისათა, რაჲთა ვერ განივლტოდის. და პოვეს დიდი იგი მნათობი ბჭესა მას აღ-
 მოსავალისასა ზემოსა, რომელსა „მოციქულთა“ ეწოდების. და შეუვ-
 რდეს ფერჴთა მისთა და ჰრქუეს, ვითარმედ: „გინესს შენ, პატიოსანო მ[231]ამაო, მთავარი ჩუენი და გევედრების, რაჲთა არა უნაწილო იქმნეს
 20 წმიდისაგან ლოცვისა და კურთხევისა შენისა“.

იძულებულ იქმნა რაჲ კაცთა მათგან, კუალად-იქცა რაჲ საღმრ-
 თოჲსა განგებულებისა უფლისათჳს, და ისწავა რაჲ მთავარმან მოსლ-
 ვაჲ წმიდისაჲ, მიეგება მას მეუღლითურთ და შვილით, და შეუვრდეს
 ფერჴთა მისთა და ითხოვდეს კურთხევასა. ხოლო მან ულოცა მათ,
 25 აკურთხნა იგინი, და აღადგინა და დაჯდა მათ თანა და ეზრახა მათ ზრახვათა მათ სულიერთა, ცხოვრებად მიმყვანებელთა. და განკურნ-
 ნა სულნი მშობელთანი უფროჲს, ვიდრელა შვილისა მის მათისა სენნი

¹ და, *om.* F. მას *om.* A. აღსდგ *om.* FH. ² განკურნებული F, განკვირვებული H. ³ რა GH, რაჲმე F. ⁴ მეყსეულად B, მეყვსეულად FGH. წმინდა H. სრბით *add.* რამეთუ DG. ⁷ განკვირვებამ-
 ან H. ⁸⁻⁹ წმინდისა CH. ⁹ ჰპოვა FH. ¹⁰ თჳსი F. განჰკურნებული H. ¹² მეყვსეულად FH. ¹³ რა GH. ¹³⁻¹⁴ აღსდგა FH. ¹⁴⁻¹⁵ და გამოვიდა... მსწრაფლ *om.* E. წარგზავნა FH. ¹⁵ დაკრძალვა E. ¹⁶
 განეველტოდეს F. პოეს AC, ჰპოვეს FH. ¹⁶⁻¹⁷ აღმოსავლისასა C. ¹⁷⁻¹⁸ შეუვრდა H. ²¹ რა GH,
 რაჲ *om.* F. რაჲ, რამეთუ AC, რა FGH. ²² განგებულებისათჳს CF. უფლისათჳს *om.* F. რა FGH.
²²⁻²³ მოსვლა FG. ²³ მიგებაჲ ABC, მოეგებაჲ E. შეუვრდეს C. ²⁴ კურნებასა FH. ²⁵ დასჯდა FH.
 მათ *om.* F. ²⁶ მათ *om.* C. ცხოვრებად FGH. ²⁶⁻²⁷ განკურნა CE, განჰკურნა F. ²⁷ უფრო ABCDF.

ჯორციელნი, რომლისათვისცა დაცვეს პირთა ზედა თვსთა და ევედრე-
 ბოდეს წმიდასა მას სულსა წმიდისასა მოვლად ქალაქისა მათისა და სა-
 დაცა პოოს ადგილი სათნო მისი, დამკვდრებად იგი, რათა აქუნდეს
 მათ მარადის მკურნალად წყლულებათა სულისა და ჯორცთა მათთასა.
 მრავალსა მას უკუე ვედრებასა მთავრისასა და მეუღლისა მისისასა და 5
 სხვსა მის ერისასა მოდრკა მორჩილებად მამა იგი მორჩილებისა და
 მოვლო ქალაქი იგი, და პოვა რა ეგუტერი მცირე, და დადგა მას ად-
 გილსა უშფოთველად, სადა-იგი პირველ მისსა მკვდრ იყო მონაზონი და
 იყო იგი აღსრულებულ, მუნ დამკვდრებად მიერ სათნო-იყო. ვინაჲცა
 ამცნო მთავარსა და ჰრქუა მას, რათა უტეონ იგი დაყუდებად და უშ- 10
 ფოთველად ყოფად და ვითარმედ: „ნურარას ყოვლადვე მოღებად სცემ
 თვნიერ პურისა ჯმელისა და დამბლისა ცერცვსა“. და ესრეთ დაემკვდრა
 ეგუტერსა მას შინა. გარნა ვითარ-მე მიგიტხრნე მე მუნ აღსრულე-
 ბულნი იგი სათნოებანი წმიდისანი, სიფიცხე იგი მოღუანებისა მისისა, 15
 ვიდრემდის განკვრდეს ყოველნი, რომელნი ხედვიდეს და რომელთა
 ესმოდა? ვიდრელა მრავალნი თესალონიკელნი, ხედვიდეს რა მალალ-
 სა მას მოქალაქობასა მისსა და ესმოდეს სიტყუანი მადლისა მისისანი,
 მოიძულეს სოფელი ესე და ყოველი, რა არს სოფლისა ამის. და ყოვე-
 ლივე ქალაქი ხედვიდეს მას, ვითარცა მამასა, და მრავალთა მათგანთა
 შეიტკბეს ცხორება მონაზონებისა და ჯელთა მათ მიერ წმიდათა შეი- 20
 მოსდეს სახესა მას ანგელოზთასა.

იყო ვინმე დიაკონი კეთილად [v] მძლისა და წმიდისა დიმიტრის
 ეკლესიისა, რომელსა მოეგო ცხორება უბინო და კეთილი, და
 მეცნიერება აქუნდა წმიდისა სათნოებათა მისთათვს. ესე განვიდა 25
 ოდესმე მოხილვად აგარაკთა თვსთა, რომელნი შორს იყვნეს ქალაქი-
 საგან. და ვითარცა მოიქცა მიერ, დაესხა მას ანაზდეულად ლაშქა-
 რი სკვთთა და ტყუე-ყვეს იგი და საკრველთა მისცეს ფიცხელთა. და

¹ ჯორცთანი E. დასცვეს F, დასცვეს B, დასცვივეს H, ~ პირთა ზედა თვსთა დაცვეს E. პირსა D. ¹⁻² ევედრებოდის C. ² წმინდასა H. წმინდისასა H. ³ ჰპოოს E. ⁴ წყლულებასა F, წყლულები-
 სა H, წყლულებათა წყალობასა G. ⁵ მისისა ABCDEFG. ⁷ მოვლო DG. ჰპოვა FH. რა FGH.
 ეგუტერი F. დასდგა FH. ⁸ მისა H. ⁹ დამკვდრებულ BDEFG, დამკვიდრებად H. ¹⁰ და ჰრქუა
 om. F. უტეონ H. ¹¹ ვითარმედ om. E. ნურარაჲს AB, ნურაჲრაჲს DE. ჰსცემ F, სცემნ H. ¹²
 დამბლისა H. ¹³ ეგუტერსა F. -მე om. F. ¹⁴ წმინდისანი H. ¹⁵ განჰკვრდეს F. ჰხედვიდეს F. ¹⁶ რა
 FGH. ¹⁷ მისასა AD. ¹⁸ რა GH. ¹⁸⁻¹⁹ ყოველი FH. ¹⁹ ჰხედვიდეს F. ²⁰ ცხორება FG. წმინდათა H. ²³
 ეკლესიისა H, ეკლესისა A. ცხორება FGH. ²⁴ წმინდისა H. ²⁶ ანაზდეულად A, ანაზდეულად
 BCDE. ²⁷ -ჰყვეს FH, -ყუეს AB. საკრველთა FH.

ავლინებდეს მას უწყალოდ და წარყვანებად ქუეყანად თვსად აიძულე-
დეს. ესრეთ ორთა მათ დღეთა ბოროტად აშფოთებდეს მას, რამეთუ
არა თუ ქუეით ოდენ ავლინებდეს მას, არამედ ტვრთიცა აჰკიდინ.
ხოლო ღამე მოინიის რაჲ, სიმძიმისაგან ტვრთისა შეინყნარის სიმძიმე-
5 მან საკრველთამან, რაჲთა არა ეცეს მას ყოვლადვე განსუენებაჲ.

ხოლო ღამესა მას მესამესა მოვიდა დიაკონი იგი წსენებად წმიდი-
სა ილარიონისსა და სინმიდეთა მათ მისთა. და ილოცა უფლისა მიმართ
და თქუა: „უფალო იესუ ქრისტე, ლოცვითა მონისა შენისა ილარიო-
ნისითა განმარინე მოწვეწულისა ამის ჩემ ზედა განსაცდელისაგან“. და
10 ესე რაჲ ილოცა, დამძიმდა ძილითა და, აჰა, იხილა წმიდაჲ იგი, რომელი
სახელით უწესდა მას და ეტყოდა: „აღდეგ მსწრაფლ და მოვედ ჩემდა,
რამეთუ არარაჲ არს ყოვლადვე მავნებელ შენდა, გინა წინააღმდგომ“.

განიღჳა უკუე სიტყუასა ამას ზედა დიაკონმან მან და იხილა,
რამეთუ საკრველნი დაცვენებულ იყვნეს ჯელთაგან და ფერჯთა მისთა
15 და არანმიდანი იგი წარმართნი შეპყრობილ იყვნეს ძილითა. და აღდგა
მიერ და განვლო შორის მჯედართა მათ სკვთელთა, და არცა ერთმან ვინ
ცნა მათგანმან, ვინაჲცა დაუყენებელად იწყო სრბასა თვსსა შიშით და
სიხარულით.

ხოლო მო-რაჲ-ვიდა სახედ თვსად, მიუთხრობნ ყოველთა მათ მის
20 ზედა ქმნილთა საკრველებათა და ცხადად ქადაგებდა კადნიერებასა
წმიდისასა ღმრთისა მიმართ. და რომელთა ესმოდა ესე, ადიდებდეს
ღმერთსა, რომელი ადიდებს მაღიდებელთა მისთა.

ესე არს ცხორებაჲ კაცისა მის ღმრთისაჲ და ესე არს მოღუანებაჲ
მოქალაქობისა მისისაჲ, რომელი აღასრულა ნეტარმან მან ქუეყანასა
25 ზედა.

[232] ხოლო შემდგომად სამისა წლისა თესალონიკეს მკვდრობი-
სა, ეგულვებოდა რაჲ მიცვალებჲ მშკდობით ღმრთისა მიმართ, ცნა

³ ქუჭვითი E, ქვევით H. ავლინებდა DG. აღკიდინ FH. ⁴ მოინია E. რა FGH. ⁵ საკრველთამან FH. ეცის E. ⁶⁻⁷ წმინდისა H. ⁷ ილარიონისა F. სინმინდეთა H. ილოცვიდა E, ილოცა om. A. ⁸ ჰსთქუა F, სთქუა H. იესო FH. ⁸⁻⁹ ილარიონისათა DFGH. ⁹ განმარინე add. მე F. ¹⁰ წმიდა FGH. ¹¹ აღსდეგ FH. ¹² არარაჲ რა G. მავნებელ მავნებელ F. წინააღმდგომი A, წინააღმდგომად FF. ¹³ მან om. E. იხილა DG. ¹⁴ საკრველნი F. დაცვენებულ E, დაცვინვებულ H. ¹⁵ არანმიდანი H. აღსდგა F. ¹⁷ ჰსცნა F, სცნა H. მაღგანმან F. სარბად C, სრბად H. შიშითა H. ¹⁸ სიხარულითა H. ¹⁹ თვსსა E. ²⁰ ჰქადაგებდა F. ²¹ წმინდისასა H. ²³ ცხორება FGH. ²⁴ მან om. DEFGH. ²⁷ ეგულე-
ბოდა G. რა FGH. ღმრთისა უფლისაჲ F. სცნა FH.

უნინარეს ორმეოცთა დღეთა აღსასრული თჳსი. მოუწოდა მთავარსა მას და ჰრქუა მას: „მოგეცინ შენ, შვილო, უფალმან სასყიდელი უცხოთმოყუარებისაჲ, რამეთუ არა უღირს-იჩინე შეწყნარებაჲ ჩემი, ცოდვილისა ამის და უნდოჲსა, და ყოვლითავე პატივითა პატივცემჲა და ნუგეშინისცემჲა. მიგიღებთაჲსმცა შენ ნაცვლად წარმავალისა წარუვა-ლი, და ნაცვლად მცირედისა — დიდი, და ნაცვლად განხრწნადთა ამათ კეთილთა და განქარვებადთა — საუკუნენი იგი კეთილნი, უხრწნელნი და განუქარვებელნი. ან უკუე, შვილო, ვინაჲთგან ჟამი აღსასრულისა ჩემისაჲ მოახლებულ არს, დაგიტევებ შენანდერძად ლოცვასა და კურთხევასა და გამცნებ, რაჲთა ყოველთავე ზედა უცხოთა ჰყო ესე, ხოლო უფროსლა მონაზონთა. და იყავნ კარი შენი განღებულ ყოველთათჳსვე მვედრებელთა და უღონოთა, რაჲთა ჰპოო შენცა განღებულად კარი იგი სამოთხისაჲ შემწყნარებლად შენდა. რამეთუ გესმის წერილისა, თუ რასა იტყვს, ვითარმედ: „სასჯელი სამართალი საჯეთ“, * „განარინეთ გლაზაკი, დაწუნებული, მდაბალი და დავრდომილი განამართლეთ“. ** თანა-გაც უკუე შენცა ამათი დამარხვაჲ. ეგრეთვე კუალად გეტყვ შენ, ზ მთავარო, მოიძულე ქრთამი, რომელი დააბნელებს თუალთა სული-სათა, მოიძულე უკეთური გულისთქუმაჲ, რომლისათჳს აღგზნებულ არს ცეცხლი იგი საუკუნოჲ, ნუ მოიტაცებ ნაწილსა სხვასაჲ, კმა გეყავნ საწმარი თჳსი, რამეთუ ნამეტნავი იგი უკეთურისაგან არს. რომელნი არიან შევრდომილ ჭირსა და შეწყუდეულ საპყრობილეთა, ნუ გცონის მოხილვად მათდა და მიცემად საზრდელი მათდა. და იჯმენ სრულებით შესაძინელისაგან ვახშისა, რამეთუ უსჯულო არს საქმჳ ესე და წარმწყმედელ სულისა. უფროსლა უხუებით მისცემდი გლაზაკთა უბრალოდ და სიმართლით შეკრებულსა მას საწმარსა, რაჲთა მოვიდეს კურთხევაჲ ღმრთისაჲ სახლსა შენსა ზედა აქა. და მერმესა მას საშინელსა მოსლ-ვასა ქრისტესსა ღირს-იქმნე მარჯუენით მდგომარეთა მათ თანა [v] და ჯმაჲ იგი გესმეს კურთხევისაჲ, და მშჳდობამან ღმრთისამან, რომელი

* იოან. 7, 24. ** შდრ. ფსალ. 81, 3-4.

¹ ორმეოცდა C. ² მას om. F. ⁴ ყოველითვე G. პატივის-ცემა FH. ⁵ წარუალი H. ⁶ ნაცვლად C. ⁷ იგი om. F. ⁸ ვინადგან F. აღსრულებისა E. ¹⁰ განმცნებ B. ¹² პოო C, ჰპოო F. განღებულად om. F, განღებად GH. ¹³ სამოთხისაჲ add. და ACD. შეწყნარებად E. ¹⁴ სიმართლით G. ¹⁵ გლაზაკი add. და DEFGH. ¹⁶ -გამს F, -გაცს H. ¹⁸ რომლისაგან E. აღგზნებულა AC. ¹⁹ გეყავ F. ²⁰ რამეთუ ხოლო E. ²¹ შეწყუდეულ H. საპყრობილესა EF. ²² მათდა om. F. ²³⁻²⁴ წარწყმედელ H. ²⁴ მისცემდა AC. ²⁵ შეკრებილსა F. ²⁶ - მერმე საშინელსა მას AC. ²⁶⁻²⁷ მოსვლასა FH. ²⁸ გესმას EF.

ჰმატს ყოველთა გონებათა, დაგიფარენ შენ, შვილო“. ესე ჰრქუა და განუტევა მთავარი იგი, მგლოვარე და დამძიმებული სულითა.

ხოლო იგი თავადი შევიდა მცირესა მას სენაკსა და ღმრთისა მიმართ ლოცვასა და ხედვასა მას გონებისასა აღასრულებდა. ხოლო პირველისა მის დღისა აღსრულებისა მისისა, რომელი იყო შაბათი, მოუწოდა მათ, რომელთა ჯელთა მათ მიერ წმიდათა შეემოსა სახე მონაზონებისა და აღრაცხილ იყვნეს მწყობრსა თანა მოლუანეთასა. და ასწავა მათ მრავალი ცხორებისათჳს სულისა, და ჰმოდღურიდა მათ ბრძოლისათჳს ვნებათაჲსა და თუ ვითარ ჯერ-არს მათი წინააღმდეგობაჲ, და დაცვად სულისა, და ვიდრე აღორძინებადმდე ვნებისა და ძირთა თანა დაბმად გულსა შინა ჩუეულებისა მიერ ჯერ-არს აღმოფხურად და განთხევად გარე ნერგთა მათ უკეთურებისათა, უფროსლა თესლთა მათ ქალდეველებრთა, რაჲთა მიემთხვოს ნეტარებასა მას წინანარმეტყუელისასა, რამეთუ ჰნატრის იგი მათ, რომელთაცა ჩჩვლნი იგი ბაბილოვნისანი შეახეთქნეს კლდესა,* რომელ არიან ვნებანი, ჩჩვლ იყვნეს რაჲ და ადვილად აღმოსაფხურელ.

კუალად უკუე ჰმოდღურიდა მათ წმიდაჲ იგი თჳსებისა მისთჳს სათნოებათაჲსა და განაგრძო სიტყუაჲ ამის პირისათჳს და თუ რაოდენი შეწყობილებაჲ აქუს მათ და ურთიერთას ზიარებაჲ, და ვითარ ერთი ერთისა დამოკიდებულ არიან და შემტკიცებულ, ვითარცა ჯაჭჳ რაჲმე ოქროსაჲ, რომელთა დასაბამად აქუს, ვითარცა საფუძველი, სიმდაბლე, ხოლო ამაღლდების სიმაღლითა მით საკვრველითა და სრულიქმნების სიყუარულსა ზედა, რომლისა თვნიერ შეუძლებელ არს წარმართებად ერთისაცა საქმისა კეთილისა. რამეთუ სიმდაბლემან იცის ალყვანებაჲ სიმაღლედ სათნოებათაჲ, რომელნი მიივლტოდინ მისსა, ხოლო სიყუარულმან – დაუცემელად ჰყრობაჲ ამაღლებისა მის და დადგრომად კეთილსა შინა.

* ფსალ.136, 7-9

¹ მატს CEFH. ჰსთქუა F, სთქვა H. ² მთავარნი C. ⁴⁻⁵ ხოლო პირველისა მის დღისა აღსრულებისა om. DG. ⁵ მისისასა BEFH. ⁶ წმიდათა om. E, წმიდათა H. ⁸ ცხოვრებისათჳს FGH. დაჰმოდღურიდა AD, დაჰმოდღვრიდა G, და მოძღვრიდა CFH. ⁹ ბრძოლისათჳს ბრალისათვის H. წინააღმდეგობა C. ¹⁰ დაცვა E. ¹¹ აღმოფხურად C, აღმოფხვრად H. ¹² განთხევა ABCDG. უკეთურობისათა G. ¹³⁻¹⁴ წინანარმეტყუელებისასა BDFG. ¹⁴ ნატრის CFH. ¹⁶ იყუნენ ABCD. რა FGH. ადვილ E. ¹⁷ მოძღვრიდა FH, ჰმოდღვრიდა G. ¹⁹ შეწყობილებაჲ შენუხებულება H. ურთიერთარს H. ზიარებად EG. ვითარცა DG. ერთი om. BF. ²⁰ ერთსა B. ²² სიმაღლითა სიმდაბლითა H. ²⁴ ერთსაცა C. საქმესა AC. კეთილსა AC. ²⁶ და om. DG. ²⁷ დადგომად F.

ვინააფთგან უკუე ჯეროვანი ჟამი წარჴდა სიტყუათა ამათ შინა მადლისათა, უბრძანა ერთსა ძმათაგანსა, რომელსა აქუნდა პატივი მღდელობისაჲ, რაჲთა შეწირ[233]ოს მსხუერპლი იგი უსისხლოჲ. მოიღო და რაჲ ეზიარა უხრწნელთა მათ ქრისტეს საიდუმლოთა, მოიკითხნა ძმანი იგი და უბრძანა თითოეულსა წარსლვად სენაკად მათდა.

5

მცირედ უკუე დასნეულდა და შემდგომად სამისა დღისა მშუდობით უფლისა მიმართ დაიძინა და სანატრელსა მას აღვიდა მერმელა ნეტარებასა მოხუცებული და აღსავსე დღითა კეთილითა რიცხუსა მას ათცხრამეტსა ნოენბრისა თჳსასა, მეფობასა ბერძენთა ზედა ბასილის-სა, რომელსა მაკედონიაჲთ აქუნდა სახელისდებაჲ, რომელი ღმრთის-სა

10

ხოლო აღსრულებაჲ იგი წმიდისაჲ მსწრაფლ განითქუა ყოველსა შორის ქალაქსა, ვინაჲცა შემოკრბეს მისსა სიმრავლე ფრიადი მღდელ-თა და მონაზონთაჲ, ერისკაცთა და მჴედართაჲ, და არა ხოლო თუ ესე, არამედ თუთ მღდელთმოძღუარიცა ქალაქისაჲ მღდელთა თანა თჳსთა და მთავრისა. და მივიდა გუამსა მას ზედა წმიდასა წმიდისასა, რაჲთა განწესებული იგი აღასრულონ მას ზედა. და შემსგავსებულითა გალობითა დაჰკრძალნეს ჳორცნი იგი მოღუანისანი. მრავალნი უკუე სნეულ-ნი და ეშმაკეულნი განიკურნნეს ჟამსა მას, რამეთუ ჳმობდეს ეშმაკნი იგი სახელსა წმიდისასა და განვიდოდეს მიერ ღაღადებით და ვაებით. ვინაჲცა დაუკვრდა ყოველთა დიდებულებაჲ იგი საქმისაჲ მის და სიმ-რავლე სასწაულთაჲ, რომლისათჳსცა აქებდეს და ადიდებდეს ღმერთსა.

15

20

ხოლო საღმრთონი იგი ნაწილნი წმიდისა ილარიონისნი საღმრ-თოდ შემურნეს და პატიოსნად დაჰკრძალნეს ღარნაკსა შინა ქვისასა და დადგეს მასვე ეგუტერსა შინა საყოფელსა მისსა სადიდებელად და საქებელად ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა.

25

მრავალნი კურნებანი ქმნნა უფალმან სამარხოთა მისსა ზედა შემდგომად აღსრულებისა მისისა, ვითარცა იგინი ჳმითა მიერ თჳსთა

¹ ვინადგან F. წარჴდა DFG, წარხდა H. ³ მღვდელობისა CGH. შესწიროს FH. ⁴ ~ რა და FH. ⁵ უბრძანა F. თითოეულსა B, თუთოეულსა F. წარსვლად FH. ⁷ უფლისაჲ მიმართ მშუდობით და-იძინა FGH. მერმელა C, მერმელა FGH. ⁹ ნოემბრისა CF, ნოენბერსა H. თჳსსა G, თჳსასა H. ⁹⁻¹⁰ ბასილისასა ABCDEG, ვასილისასა F. ¹¹ სამეფოსა ACEFG. ¹² წმინდისა H. ¹³ შორის] შინა BDEFGH. ~ მისსა შემოკრბეს DG. ¹³⁻¹⁴ მღვდელთა GH. ¹⁵ მღუდელმთავარიცა F, მღვდელთ-მოძღუარიცა GH. მღვდელთა GH. ¹⁶ მთავარისა G. მას om. F. წმინდასა om. F. წმიდა G. წმინ-დისასა H. ¹⁸ დაკრძალნეს EFH. ¹⁹ განიკურნნეს BCEF. ~ მას ჟამსა E. ჳმობდეს F. ²⁰ წმინდისასა H. მიერ om. F, მიერ] რაჲ BDE, რა GH. ²¹ იგი om. F. ²³ სამღთონი FH. ²³⁻²⁴ სამღთოდ FH. ²⁴ დაკრძალნეს CEFH. ²⁵ დასდგეს FH. ²⁷ ქმნა H. ზედა om. G.

ჰმამალლად ქადაგებენ. და თვთ ქალაქი იგი დიდი თესალონიკე ბრწყინ-
ვალედ მიუთხრობს მას შინა აღსრულებულთა მათ საკრველებათა
წმიდისათა, რომელთაგანი ერთი არს ძე მთავრისაჲ მის, რომელმან
შეინყნარა იგი, რომელი-იგი შემდგომად ორმოცისა დღისა აღსრუ-[v]
5 ლებისა მის წმიდისა წყლით მანკიერ იქმნა და ბოროტად საღმობიერ,
და ესოდენ განძნდა სენი იგი, ვიდრემდის განიწირა ყოვლისაგანვე
მკურნალთა ჴელოვნებისა. ხოლო მამამან მისმან უბრძანა ტვრთით
წარღებაჲ მისი სამარხოსა მას წმიდისასა, რომელსა შინა მდებარე იყო
გუამი საღმრთოესა ილარიონისი, რაჲთა მიაწვინონ იგი მუნ. წარვიდა
10 მის თანა მამაცა მისი და ევედრა მდღელშუენიერსა მას მამასა წყა-
ლობისასა მრავლითა ცრემლითა, და კუალად-იქცა მიმწუხრი სახედ
თვსად.

ხოლო ღამესა მას იხილა ჭაბუკმან მან, ვითარმედ დაადგრა მას
კაცი იგი ღმრთისაჲ წმიდაჲ ილარიონ და ეტყოდა ესრეთ: „პროკო-
15 პიე, — რამეთუ ესრეთ ეწოდებოდა მას — უკუეთუ არა გულსავსე
მყო მე, რაჲთა არა წარსაწყმედელად სულისა შენისა ჰმოქალაქობდე,
ვერ მიემთხვო კურნებასა“. და იგი აღუთქუმიდა, ვითარმედ ყოვლად
არღარა აჩუენოს პირველი იგი უწესობაჲ და აღთქუმასა ამას ფი-
ციტ დაამტკიცებდა. ხოლო წმიდამან შთაყო ჴელი მუცელსა მისსა
20 და სასწაული ჯუარისაჲ სამგზის გამოსახა მას ზედა და ჰრქუა მას:
„აჰა, ესერა ცოცხალ იქმენ და ნუღარა სცოდავ, რაჲთა არა უძვრესი
შეგემთხვოს სიტყვსაებრ უფლისა“. და ესე რაჲ თქუა, წარვიდა მისგან.
ჴ საკრველიდა ესე დიდებულებაჲ, რომელსა-იგი მცირედლა აქუნდა
სასოებაჲ სიცოცხლისაჲ და კნინლა არათ დაკლებულ იყო მკუდართადა
25 და რომელი-იგი უკუანახსენელად აღმოფშვნივად მიახდა, ესე სიტყვსა

¹ ჰქადაგებენ F. თვით ACDEF. ~ თესალონიკე დიდი DG. ² ამათ DG. ³ რომელთაგან E. არის AC. მის om. F. ⁴ დღისა om. E. ⁵ წმინდისა H. ⁶ ესოდენ ABCDEFGH. განძნდა H. ⁷ ჴელოვნობისა C. ტვრთუთ AEF, თვრთვით D, ტვრთვით G, ტვირთვით H. ⁸ წარღება BFG. მის G. წმინდისასა H. ⁹ გვამი CFH. სამღთოსა FH, საღთოსა G. ილარიონისა E. რათა E. მიაწვინონ BDF. ¹⁰ მამაცა BCDEFGH. მღუდელ- F, მღვდელ- GH. -შუწნიერსა ABCDEF, -შვენიერსა H. ¹² თვისად H. ¹⁴ ღმრთისა BFGH. წმიდა FG, წმინდა H. ¹⁴⁻¹⁵ პროკოპე CG. ¹⁵ უკუეთუ GH. ¹⁶ რათა EFG. წარსაწყმედელად BH. მოქალაქობდე FH. ¹⁷ მიემთხვიო GH. აღუთქმიდა ACEFH. ¹⁸ უწესობა FGH. აღთქმასა BCH. ¹⁹ წმინდამან H. შთაჴყო F. ²⁰ ჴუარისა BDFG, ჴვარისა H. ჰრქუა H. ²¹ ცოცხალ ცხოელ C. ნუღარა BH. ჰსცოდავ F. რათა FG. უძვირესი H. ²² შეგემთხვიოს H. სიტყვისაებრ H. ესერა B. ჰსთქუა F, თქვა G, სთქვა H. წარვიდა AC. ²³ საკვირველიდა H. დიდებულება FGH. აქვნდა H. ²⁴ სასოება FGH. არად C. მკუდართადა GH. ²⁵ რომელ-იგი რაჲ-იგი B. უკანასკნელ F, უკანასკნელად H. აღმოფშვნივად AH, აღმოფშუნიად C, აღმოფშვნიადმდე F. სიტყვისა H.

თანა წმიდისაჲსა მყის განიკურნა, რომელ არცათუ კუალი იპოვებოდა მის თანა წყლულებისაჲ. და რომელი-იგი გუშინ, ვითარცა მკუდარი, ტვრთვით მოიღეს, ესე დღეს მხიარული და უვნებელი თვსითა ფერწითა სრბით წარვიდა მშობელთა თვსთა თანა. განკვრდეს უკუე ყოველნი, რომელთა იხილეს და რომელთა ესმა სასწაულსა მას ზედა საკვრველ- 5 სა, და ადიდებდეს ღმერთსა, რომელი იქმს დიდებულთა, საკვრველთა, მაღალთა და მიუწდომელთა, რომელთაჲ არა არს რიცხჳ. და არა ესე ოდენ იქმნა სამარხოსა მას წმიდისაჲსა, არამედ სხუათაცა მრავალთა ადგილთა სახელისდებითა წმიდისაჲთა. რამეთუ ძმათა მათ, რომელნი მყოფ იყვნეს [234] მის თანა, მისცეს საბლარდნელი ერთი ფლასისაჲ, 10 რომლითა შეიმოსნ ნეტარი იგი გუამსა მას წმიდასა, დედაკაცსა ვისმე გლახაკსა და მთხოველსა. ხოლო მან მიიღო იგი და დაჰმარხა თავისა თვსისა თანა, დასდებნ მას მრავალთა ზედა სნეულთა და უძლურთა და მეყსეულად განჰკურნებნ, ვიდრელა გლახაკი იგი და მთხოველი და ყოველთა მოქენე დიდად განმდიდრდა მაღლითა და კურთხევითა წმი- 15 დისაჲთა. და განიძარცუა პირველი სიგლახაკე და უნაკლულოდ ცხოვ- დებოდა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა, უფროჲსლა სხუათა გლახაკთა და უღონოთა ჯელსა აღუჰყრობნ წყალობისაჲსა.

ამათ უკუე ესევეითართა სასწაულთა აღავსნეს სასმენელნი ყოველ- 20 თანი განმრავლებასა თანა დღეთასა, ვიდრემდის მიიწია სასმენელ- თა ქრისტესმოყუარისა ბასილი მეფისათა, რამეთუ ანთჳპატმან და მთავარეპისკოპოსმან ყოველივე მიუწერეს მეფესა, და თუ ვითარი მნა- თობი გამოაჩინა ღმერთმან დღეთა მისთა, განცხადებულად აუწყეს. რომელი ესმა რაჲ მეფესა, დაუკვრდა ფრიად და ადიდებდა ღმერთსა. 25 ხოლო დღესა ერთსა ყო მეფემან სერი დიდი და შემოხადა ყოველთავე მამასახლისთა მონასტრისათა და ყოველთავე არქიმანდრიტთა მთისა- თა და განუშადა მათ ტაბლაჲ ბრწყინვალე და იხარებდა მათ თანა და

¹ წმიდისა BCDEFGH. არცაღათუ F. იპოვებოდა B. ² მკუდარი GH. ³ ტვრთვით AF, ტვირთვით H, ტვრთით E. თვისითა H. ⁴ წარვდა AC. თვისთა H. განკვირდეს H. ყოველთა D. ⁵ რომელნი DG. ამას F. ⁵⁻⁶ საკვირველსა H. ⁶ საკვირველთა H. ⁷ მიუწნომელთა H. რიცხვი FGH. ⁷⁻⁸ ეს- ოდენ FH. მის G. წმინდასაჲსა H. ¹⁰ იყუნეს ABCDG. ფლასისა om. B. ¹¹ შეიმოსნ C, შეჰმოსონ ABD. გვამსა CFH. წმინდისა H. დედაკაცისა A. ¹² დამარხა CDEFGH. ¹³ თვისისა H. თანა add. და E. და om. E. ¹⁴ მეყსეულად FH, მეყსეულად G. განჰკურნებენ AE, განკურნებნ CDG. ¹⁵⁻¹⁶ წმიდითა AC, წმინდისათა H. ¹⁶ განიძარცვა B. ¹⁶⁻¹⁷ ცხოვრდებოდა BDG. ¹⁷ ცხოვრებისა AEFHG. ¹⁹ ამათ] ან F. აღივსნეს ACD. ¹⁹⁻²⁰ ყოველნი H. ²¹ ვასილი F. ანთჳპატმან add. მან H. ²² მთავარეფისკოპოსმან A, მთავარეპისკოპოზმან BDEG. ²⁴ რა EFGH. დაუკვირდა H. ²⁵ ჰყო FH. შემოჰხადა F. ²⁷ ტაბლა AC. მათ თანა] მათა C.

გამოეძიებდა, ვითარცა არს წესი მეფეთაჲ. ხოლო ტრაპეზსა მას ზედა მიუთხრა მეფემან თესალონიკით მოწერილისა მისთვის საქმისა, დახუ-

და უკუე განგებითა ღმრთისაჲთა ულუმბოჲსაცა იგი ლავრისა არქიმან-
დრიტი, რომლისა-იგი დისწული განკურნა ოდესმე წმიდამან ილარიონ.
5 და კადნიერ იქმნა და აღდგა და ყოველივე წულილად მიუთხრა მეფესა
და თუ რომელი მოღუანებაჲ მოქალაქობისაჲ აქუნდა პირველითგანვე,
ზედამინევნით აუწყა.

ჰკითხვიდა მეფე, უკუეთუ დაშთომილ არს ვინმე მოწაფეთაგან
მისთა და ისწავა, ვითარმედ არიან ჯერეთ სამნი ოდენ მოწაფეთაგან
10 მისთა მოხუცებულნი, პატიოსანნი და მისთა მათ სათნოებათა ზედამი-
ნევნით მეცნიერნი, რომელთათჳს მხიარულ იქმნა მეფე და ბრძანა
სწრაფით მოყუანებაჲ მათი ულუმბოჲთ. ხოლო მოინინეს რაჲ კაცნი იგი
პატიო[ვ]სანნი, შეიწყნარნა მეფემან, ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი,
და მჴცეთა მათ მათთა პატივ-სცემდა დიდად და აღეშენებოდა ფრიად
15 მოქალაქობასა მათსა ზედა, და ფრიად სარგებელ ეყოფოდა სათნოე-
ბათა მათთაგან, და ჰლოცვიდა მათ აღშენებად მონასტერსა ქალაქსა
შინა სამეუფოთა მათ, რაჲთა აქუნდენ იგინი მახლობელად პალატისა.
ხოლო მათ ჰრქუეს მეფესა, ვითარმედ: „შეუძლებელ არს ესე შორის
ქალაქისა მკჳდრ-ყოფად და უცხოთა მონასტერსა დაჰყრობად, არამედ
20 უკუეთუ გნებაჲს, მეფე, მახლობელად სადა ქალაქისა სამეუფოჲსა,
ადგილსა უდაბნოსა და უვალსა, გამოგჴსახე მცირე საყოფელი, რაჲთა
მუნ დავემკჳდრნეთ და თვითმჰყრობელობასა თქუენსა ულოცვიდეთ“. მასვე
უკუე ჟამსა პროტოსპათარი ვინმე თანა წარიყვანა და უბრძა-
ნა მოვლად და ძებნად ადგილისა, სადაცა ენებოს. ხოლო იგინი გამო-
25 ვიდეს და ძიება ყვეს და მიემთხვნეს ღელესა რასმე, რომელსა ერქუა

² მოწერილი E. მისთვის H. ²⁻³ დახვდა CH, დაჰხუდა F. ³ ღმრთისათა BCFGH. ულუმბოთაცა AC, ულომბოსაცა G. ლავრისა om. BDEFGH. ³⁻⁴ არხიმანდრიტი F. ⁴ განჰკურნა FH. წმიდამან H. ⁵ აღსდგა FH. წერილად ABCDE, წერილად GH. ⁶ მოქალაქობაჲ მოღუანებისა ABCDGH, მოქალაქობაჲ და მოღუანებაჲ E. აქუნდა GH. პირველიდგანვე F. ⁸ ჰკითხვდა ACG. უკუეთუ FGH. ვინდა ABDEGH. ¹⁰ მათ om. G. ¹¹ რომელთათვის H. ¹² მოყვანება FGH] მოწოდებაჲ E. ულუმბით E. მოინინეს ABCDFGH. რა FGH. ¹³ ანგელოსნი FH. ღმრთისანნი F. ¹⁴ პატივ-ცე-
მდა DG, პატივ-ჰსცემდა F. მდიდრად E. ¹⁶ ჰლოცვდა A. ლოცვიდა GH. მონასტერსა om. E. ქალაქსა add. მას F. ¹⁷ სამეფოსა F, სამეფოთა H. მათ om. F. რათა G. აქუნდენ H. ¹⁸ ჰრქვეს FGH. ¹⁹ მკვიდრ- H. ²⁰ უკუეთუ FGH. ს~მფჴოსა D, სამეფოსა FH. ²¹ უაღსა H. გამოგვისახე H. რათა FG. ²² დავემკდრნეთ B, დავემკვიდრნეთ H. თვითმჰყრობელობასა H. ულოცვდეთ AB. ²³ მას C. პროტოსპათარი FH. ²⁵ ჰყვეს FH. მიემთხვნეს BF, მიემთხვეს E, მიემთხვივნეს H. რაჲსა E. ერქვა AFH. რომანა CEH, პრომანი G.

პრომანა, ზემო კერძო ადგილსა, რომელსა სოსთენ ეწოდების. და პოეს მუნ წყარო კეთილი და მოიქცეს და მიუთხრეს მეფესა. და, აჰა ესერა, მსწრაფლ თვთ ქრისტესმოყუარე იგი მეფე განვიდა ადგილსა მას და მეყსეულად გამოსახა ეკლესია სახელსა ზედა წმიდათა მოციქულთა-
სა, რამეთუ თვისთა წელითა დადვა მეფემან ქვაჲ იგი საფუძველისაჲ და
აღასრულა საქმე იგი შენებისაჲ შუდ თუჴ.

ხოლო იგი ანთჳპატი, თესალონიკეს მყოფი, გარდადგენილ იყო
წელმწიფებისაგან თვისსა და სამეუფოს შემოსრულ იყო. მოუწოდა მას
მეფემან და კუალად-აგო იგი პირველსავე მას წესსა და წარგზავნა თე-
სალონიკედ და ამცნო მას, რაჲთა დიდითა სწრაფითა წარმოლებად სცეს
ნაწილნი წმიდისა ილარიონისნი. შთავიდა მთავარი იგი და გამოუცხა-
და ბრძანებაჲ მეფისაჲ თესალონიკელთა და ყოველნივე აღადგინნა
ტყებად და ტირილად, ვითარმედ: „საუნჯისაგან დიდისა დაკლებულ
ვიქმნებით“. ჴამამალლად ღალადებდეს, ვიდრელა წინააღმდგომსაცა გა-
ნიზრახვიდეს ერი იგი. ხოლო ანთჳპატი იგი ჴლოცვიდა მათ მრავალსა
და დაწყნარებად შოთისა მისგან ევედრებოდა და ეტყოდა, ვითარმედ
შეუ[235]ძლებელ არს წინააღმდგომად ბრძანებასა მეფეთასა და ძლით
უძლო დამჴუდებად მათდა. და შემზადა ღარნაკი მცირე და გამოიყვან-
ნა ღამით ნაწილნი წმიდისა ილარიონისნი და დაკრძალნა მცირესა მას
შინა ღარნაკსა, შუენიერითა რაჲთმე და ჴამოთა სულნელებითა აღვსე-
ბულნი წარმოსცნა წინაშე მეფისა. შეიწყნარნა უკუე მეფემან ნაწილნი
იგი ნეტარისანი მრავლითა პატივითა და გულსმოდგინებითა სულისაჲ-
თა, და ღამესა მას დაიყენა სასუნენებელსა შინა თვისსა. ხოლო შუაღამე-
სა ოდენ განელჳა მეფესა და იყნოსა სულნელებაჲ რაჲმე უცხოჲ, რომ-
ლისათჳს დამტკიცებით იტყოდა, ვითარმედ არაოდეს აღსრულ არს
საყნოსელთა მისთა ესევითარი სულნელებაჲ. და დაკრვებული ეძიებ-

¹ ადილსა A. სოსთენი B. პოეს BDEG, ჴპოეს FH. ² თოხრეს E. ³ თვით H. განჳდა A. მეყსეულად FH, მეყსეულად G. ⁴ ეკლესია FGH. წმინდათა H. ⁵ თვისთა H. დასდვა FH. ქუა FG, ქვა CDEH. საფუძველისა A, საფუძვლისა F. ⁶ შვიდ EH. თვე BCDEFH, თვე G. ⁷ ანთჳპატი H. ⁸ წელმწიფობისაგან G. თვისსა H. სამეფოს EH. ⁹ -ეგო DG, -აგი E. ¹⁰ რათა FG. სცნეს ACE, ჴსცეს F. ¹¹ წმინდისა H. ¹² ბრძანება FGH. მეფისა BCDEFH. აღადგინა G. ¹³ საუნჯისა E. ¹⁴⁻¹⁵ განიზრახვდეს AC. ¹⁵ ანთჳპატი H. ჴოცვიდა H. ¹⁶ იტყოდა E. ¹⁷ წინააღმდგომად DG. მეფისა E. ¹⁸ დამჴუდებად FH. შეჴმზადა BDG. ¹⁸⁻¹⁹ გამოიყვანნა AF, გამოიყუნა C, გამოიყვანა F. ²⁰ შუენიერთა H. რათმე BDFGH. ამოთა H. სუნნელებითა FH. ²¹ შეიწყნარა EH. ²³ თვისსა H. ²⁴ განელჳიდა ACFH. სულნელება CG, სუნნელება FH. რამე G. ²⁶ სურნელება C, სუნნელება FH, სულნელება G.

და, თუ რაჲ-მე არს ესე და ჰკითხვიდა წინაშემდგომელთა მათ, უკუეთუ არს რაჲ ესევეთარი პალატსა შინა. და ვითარცა ვერარაჲ პოვეს სხუაჲ, გულისჴმა-ყო მეფემან, ვითარმედ პატიოსანთა მათგან ნაწილთა წმი-
 5 დისათა გამომავალ არს საკრველი იგი სულნელებაჲ. ხოლო არა ოდენ მეფემან, არამედ ყოველთავე მყოფთა ქალაქისათა იყნოსეს უცხოჲსა მისგან სულნელებისა, და აღიდებდეს ღმერთსა და ჰნატრიდეს საყუა-
 რელსა მას ღმრთისასა ნეტარსა მამასა ილარიონს.

ინება მეფემან პალატსა შინა სამეუფოსა დასხმად საღმრთოთა მათ ნაწილთა წმიდისათა, არამედ დაადგრა ჩუენებით მართალი იგი და
 10 მაღლობა მისცა მას და ჰრქუა, ვითარმედ: „შენწყნარებულ არს გულ-
 მოდგინებაჲ შენი და ჩუენდა მომართ პატივი შენი-შენირულ წინაშე უფლისა. ხოლო პალატსა შინა სამეუფოსა, რომელ განიზრახე ყოფაჲ ჩემი, არა სათნო არს ეგე, არამედ ახალშენსა მას შენ მიერ მონასტერსა ბრძანე წარყვანებაჲ ჩემი“.

და განთიად ოდენ ცისკარს შესხდეს მეფე და პატრიაქი ნავ-
 15 თა სამეუფოთა მთავართა თანა და თავთა ქალაქისათა და აღიხუნეს ნაწილნი იგი კაცისა ღმრთისანი სანთლებითა და საკმეველებითა, და ფსალმუნებითა და გალობითა შევიდეს ტაძარსა მას მთავრისა მის უჭორცოთაჲსა მიქაელისსა, რომელი შენ არს ადგილსა სოსთენისასა.
 20 გამოვიდეს მიერ უმეტესითა გალობითა და ბრწყინვალეებითა [v] შე-
 მოსილნი და აღვიდეს ღელესა მას ჰრომანისასა. და აღასრულა მეფე-
 მან დღესასწაული დიდებული და ყო ღამისთევად მრავლითა ქებითა და გალობითა სულნელთა თანა და საკმეველთა მრავალსასყიდლი-
 25 სათა და სრულ-ყო სატფურებაჲ ეკლესიისაჲ პატივისმოყუარებით.
 და განწმიდა საკურთხეველი ჴელითა პატრიაქისაჲთა და მისცა მეფე-
 მან ნაწილი რაჲმე ნაწილთაგან წმიდათა მოციქულთაჲსა და დასხმად

¹ რამე CG. უკუეთუ EFGH. ² რაჲმე F, რა G. ვერარა GH. ჰპოვეს FH. ³ გულისჴმა-ჴყო FH. მაღგან F. ნაწილთ C. ⁴ სულნელება CD, სუნნელება FH. ⁶ სურნელებისა E, სუნნელებისა FH. ნატრიდეს FH. ⁷ მამასა om. DEFGH. ⁸ სამეფოსა FH. საღთოთა G, სამღთოთა FH. ¹⁰ მაღლობ-
 და C. ჰრქვა H. ¹⁰⁻¹¹ გულის ამოდინებაჲ C, გულსმოდგინება FGH. ¹² სამეფოსა FH. განიზრახ-
 ეს DGH. ყოფა E. ¹⁴ წარყვანება FGH. ¹⁵ შესხდენ F. პატრიარხი F, პატრიახი H. ¹⁶ სამეფოთა FH. აღიხუნეს FH. ¹⁷ სანთლებითა] სუნნელებითა FH, სულნელებითა G. საკმეველითა F. ¹⁸
 ფსალმუნითა G. მთავრისასა C. ¹⁹ მიქაელისა E, მიხაილისა F, მიხაელისსა H. რომელ BE. ²¹
 აღვდეს A. რომანისასა EFH, ჰრომანისასა A. ²² ჴყო FH. ²³ სუნნელთა FH. ²⁴ -ჴყო FH. სატ-
 ფურება FH, სიტრფოება G. ეკლესიისა FGH. პატივისმოყუარებით] ღმრთისმოყუარებით
 E. ²⁵ განსწმიდა F, განანსწმინდა H. პატრიარხისათა F, პატრიახისათა H. ²⁶ რამე G. წმინდა-
 თა H. და om. E.

ქუეშე საკურთხეველსა უბრძანა. თუესა ნოემბერსა თ, შემდგომად განწმედისა მის ეკლესიისა, მოიღო მეფემან პატიოსანი იგი ლარნაკი, სადა-იგი მდებარე იყვნეს სამღვდლონი იგი ნაწილნი ნეტარისა ილა-რიონისნი, ლამპრებითა მრავლითა და ფსალმუნებითა ფრიადითა ღმრთისმსახურებით დასხნა და სარწმუნოებით. რამეთუ თვთ ჴელთა 5 მათ სამეუფოთა არწმუნა ტვრთვაჲ მისი და ორთა მათ ძეთა მისთა, ლეონს და ალექსანდრეს, უბრძანა ჰყრობაჲ მისი ამიერ და იმიერ და ეს-რეთ მრავლითა პატივითა დაჰკრძალა იგი და განაწესა სამთა კანდელ-თა დაკიდებაჲ მას ზედა, რაჲთა სამარადისოდ ენთებოდენ. ეგრეცა ექუსთა კანდელთა ბრძანა დაკიდებაჲ წინაშე საკურთხეველსა და მათ 10 ყოველთათჳს ამცნო, რაჲთა დაუვსებელად ენთებოდიან, რომლისათჳს-ცა ყოველსა თუესა განუწესა, რაჲთა მიეცემოდის პალატით ათორმეტი დრაჰკანი სასანთლედ და ორი ჰური შესაწირავისაჲ თითოეულსა დლე-სა, რაჲთა წმიდაჲ იგი მსხუერპლი სამარადისოდ აღესრულებოდის შენ-დობისათჳს ცოდვათა მისთასა. 15

ხოლო მონაზონთა მათ მონასტრისათა განუწესა ორი ლიტრაჲ ოქროჲ საჩოჴედ, რაჲთა მიეცემოდის იგი თვთ დლესა მას სატფურებისა ეკლესიისასა, ხოლო გარემოს მონასტრისა ტყენი და სამეუფოსა ქა-ლაქსა შინა მეტოქნი გამოსაზრდელად მათდა უბოძნა. ეგრეცა კუალად ბარძიმ-ფეშხუმნი პატიოსანნი, შემსგავსებულნი მეფობისა მისისანი, 20 თჳსითა ჴელითა დადგნა ზედა საკურთხეველსა. ესრეთ რაჲ უკუე აღას-რულეს ბრწყინვალედ ენკენიაჲ და განახლებაჲ ეკლესიისაჲ და დასხმაჲ პატიოსანთა მათ ნაწილთა წმიდისა ილარიონისთა, [236] მეფემან და ორთა ძეთა მისთა პატრიაქისა თანა კუალად-იქცეს პალატადე. ხოლო

¹ ქუეშე H. უბრძანა om. H. ² განწმედისა H. ეკლესიისა FGH. მიიღო BDEFGH. ³ იყუნეს ABCD. სამღვდლონი F, სამღვდლონი GH. ⁴ ღმრთისმსახურებითა BDEFGH. და om. BDEF-
GH. თვით H. ⁵⁻⁶ მათ ჴელთა სამეფოთა FH. ⁶ სამეფოთა G. თვრთვაჲ C, ტვრთვა H. მის-
თა om. BDEFGH. ⁸ დაკრძალა CDEGH. ⁹ დაკიდებაჲ C, დაკიდება FGH. რათა FG. ეგრეთვე
C, ეგრეთვე F. ექუსთა FH. ¹⁰ ბრძანა D, ბრძანება G. დაკიდება BFGH. საკურთხეველისა C.
¹¹ რათა BFG. დაუვსებელად დაუვსებელად BDEFGH. ენთებოდენ F, ენთებოდენ H. რომ-
ლისათჳსცა ABCDE, რომლისათჳსცა H. ¹² თვესა EFH, თთუესა G. რათა FG. მიეცემოდეს F. ¹³
დრაკანი C. თვითუელსა BD, თვითოეულსა H, თვითოეულსა FG. ¹⁴ წმიდა FGH. მსხვერპლი GH.
აღესრულებოდეს F. ¹⁶ მათ მის E. განუწესა om. BDEFGH. ¹⁷ რათა FG. მიეცემოდეს ABCF
add. მათ F. თვით H. მას om. DEG. სატფურებისასა C, სატფურებასა F. ¹⁸ ეკლესიისასა FGH.
ტყენი G. სამეფოსა GH. ¹⁹ მოტოქნი DG, მეტოქენი F. უბოძნა უბრძანა F. ²⁰ შემზგავსებულ-
ნი B. ²¹ თჳსისა B, თვისითა H. დადგა DG. რა FGH. უკუე H. ²² განახლება FGH. ეკლესიისა
FGH. ²³ წმიდისა om. E. ²⁴ პატრიაქისათა E. თანა om. E. -იქცენ F.

ღმერთი იგი, რომელი მდიდარ არს წყალობითა, მიერთგან და ვიდრე დღესამომდე უხუებით და უშურველად აღმოუცენებს წყაროსა კურნებათასა და მდინარესა ნიშთა და სასწაულთასა ყოველთავე, რომელნი სარწმუნოებით მიუჭდებიან წმიდასა მას სამარხოთა ძუალთა მისთასა.

5 ეფთჳმიოს უკუე ვინმე დაყუდებულმან და სათნოებით დიდად განთქმულმან მიწერა მეფისა ესრეთ:

„გიხაროდენ შენ, ჳ მეფე, რამეთუ ჰპოვე ან დიდი მადლი, ვითარცა მე, უღირსსა ამას, საღმრთოჲსა მიერ გამოცხადებისა გულისავსებით მეუწყა, რამეთუ ვიხილე მე ჩუენებასა შინა ღამისასა საწმილი საშინელი, დიდი და საშინელად აღტყინებული, ადგილსა რასმე ბნელსა და წყუდიადსა, რომელი სასტიკად მგზებარეობითა თჳსითა აღუტევებდა და აღმალდებოდა ზე ჰაერთა შინა აღსა მძაფრსა საწმილისასა. ხოლო ცეცხლისა მისგან გამოვიდოდა ოხრაჲ და ჳმაჲ ბოროტი კნინლა და განღებადმდე ქუეყანისა, რომლისაგან შეძრწუნებულ ვიქმენ მე ფრიად და ვთქუ: ‘ვაჲმე, ვაჲმე, ვისადა-მე გლახ უბადრუკისადა განმზადებულ არს ესე?’ და, აჰა ესერა, მოვიდა ჩემდა ჭაბუკი ვინმე შუენიერი, მოსილი სამოსლითა სპეტაკითა და ხილვითა საშინელი, და მრქუა, ვითარმედ: ‘ბასილი მეფემან აღაგზნა ეგე ცოდვათა მიერ თჳსთა’. ხოლო მე ესე რაჲ მესმა, იწყლა საღმობიერად სული ჩემი და მჭურვალეთა მიერ ცრემლთა აღვსებული ვტიროდე მწარედ და მრქუა მე: ‘ნუ მწუხარე ხარ, რამეთუ პოვა მადლი მეფემან, დიდი შემწე და მეოხი სულისაჲ, რომელმან დაშრიტოს ალი ეგე მჭურვალე. ესე არს ილარიონ ქართველი, რომელი უწინარეს მცირედისა დღეთა აღმოიყვანა თესალონიკით და საყდართა ზედა წმიდათა მოციქულთასა ახლად აღშენებულსა მის მიერ მონასტერსა აღიყვანა. მცირედ უკუე სულგრძელ იქმენ და იხილო, თუ ვითარ დაშრტეს საწმილი ეგე და ალი მისი დავსებულ იქნეს’. და, აჰა ესერა, მასვე ჟამსა მოვიდა ვინმე მოხუცებული, მოსილი სამოსლითა სამღდელოჲთა, და ჳელთა მისთა აქუნდა ჭურჭელი რაჲმე დიდი აღსავსე წყლ[v]

¹ მიერიდგან F. ⁴ წმინდასა H. ძვალთა BCFGH. ⁵ ეფთჳმიოს FH. ⁶ მისწერა FH. ⁷ შენ om. E. ~ დიდი ან DG. ⁸ საღმრთოსა AG, სამღთოსა FH. ¹⁰ რაჲსამე BF] რომელსამე H. ¹¹ წყვდიადსა H. თვისითა H. ¹² ამალდებოდა BDEFGH. სახმილისასა E. ¹³ მისისაგან DG. ოხრვა F. ¹⁵ ვსთქუ EH. გლახაკ DEG. ¹⁶ ვინმე om. BDEFGH. შუენიერი CH. ¹⁷ ხილვთა A, ხილვა H. მრქვა ACDGH add. მე BDEFGH. ¹⁸ ვასილი F. ესე რაჲ] ესერა BG, ¹⁸⁻¹⁹ ~ რაჲ ესე მესმა F. ²⁰ აღვსებული om. E. ვსტიროდი F, ვსტიროდე H. ²¹ მრქვა H. ჰპოვა FH. ²² ეგე] იგი DFGH. ²³ აღმოიყვანა AC. ²⁴ წმინდათა H. ²⁵ აღიყვანა AC. ²⁶ სახმილი F. ეგე] იგი F. ²⁷⁻²⁸ სამღუდელოთა F, სამღვდელოთა GH. ²⁸ აქვნდა H. რამე G.

ითა, რომელი-იგი დაასხა ზედა საწმილსა მას და მეყსეულად დაშრტა ცეცხლი იგი და ალი საწმილისა მის მძაფრისა დაავსო მრავლითა კადნიერებითა. ხოლო ადგილსა მას ცეცხლისასა დაშთეს მცირედნი რაჲმე ნაკუერცხალნი. კუალად მრქუა მე, რომელი-იგი იტყოდა ჩემ თანა: 5
 ‘იხილე-ა, თუ ვითარ დაშრეტილ იქმნა საწმილი იგი საშინელი და განსაკრთომელი ვედრებითა და მეოხებითა ილარიონ კაცისა ღმრთისაჲთა. ამიერიტგან უკუე ბასილის ზედა არს გინა თუ სრულიად დაშრეტად დაშთომილთა მათ ნაკუერცხალთა, ანუ არა კუალად აღდგინებად მას საწმილისასა’. ან უკუე, ქრისტესმოყუარეო მეფეო, იხარებდ და მხიარულ იყავ მადლთათჳს ღმრთისათა, ქმნილთა შენ ზედა, და ლოცვითა 10
 კაცისა მის ღმრთისაჲთა ქველისმოქმედებად ისწრაფე, მეფე, ისწრაფე სრულიად დავსებად და განქარვებად დაშთომილთა მათ მცირეთა ნაკუერცხალთა. ხოლო ამათი დაშრეტაჲ იქმნეს კეთილისყოფითა მოქენეთაჲთა და შენდობითა ჩუენ თანა მონათაჲთა, სინმიდითა ჯორცთაჲთა და ცრემლით ვედრებითა ღმრთისაჲთა და სხვთა მით სათნოებათა 15
 მწყობრითა. და შესძინენ უფალმან ქუეყანისმპყრობელობასა თქუენსა მიღებად კეთილთა მათ ზედა“.

მიიღო რაჲ მეფემან ებისტოლე ესე, აღვსებულ იქმნა სიხარულითა ფრიადითა და მრავლითა ვედრებითა. და იწყო ზედაჲს-ზედა მისლვად მონასტრად წმიდისა ილარიონისა და მრავლითა მოღუანებითა და 20
 სურვილითა ამბორს-უყოფნ ლარნაკსა მას წმიდათა ნაწილთა მისთასა. და მეოხად და შუამდგომელად ღმრთისა მიმართ მისთჳს და შვილთა მისთათჳს წმიდასა მას სახელ-სდებდა.

და აღაშენა სენაკი სამონაზნოჲ მონასტერსა მას წმიდასა და დადგა მას შინა ტახტი და საგებელი, და დადგა მონასტერსა მას შინა 25
 წმიდაჲ სახარებაჲ და წიგნი სამოციქულოჲ. მიერიტგან უკუე აღვიდის

¹ სახმილსა F. მეყსეულად FH, მეყსეულად G. ² და ალავსო H. ⁴ ნაკვერცხალნი H. მრქვა ACDGH. ⁵ სახმილი F. გ⁷⁻⁸წკ⁷⁻⁸რომ⁷⁻⁸ლი E. ⁶ კაცისა add. მის F. ღმრთისათა BFG. ამიერიტგან F. ვასილის F. ⁷⁻⁸ დაშრტეს BDEGH, დაშრტეს F. ⁸ ნაკვერცხალთა H. ⁹ მას] მის G. სახმილსა F. უკუე add. ჰოჲ B. ¹¹ ღმრთისათჳს B. ქმნილთა... ღმრთისაჲთა om. BDEFGH. ლოცვთა C. ქუელისმოქმედებად ACE. ¹² მცირეთა om. EF. ¹²⁻¹³ ნაკვერცხალთა H. ¹⁴ ჩვენთა F. თანა om. F. სინმიდითა H. ¹⁵ ღმრთისათა A. სხვთ DG, სხვითა FGH. ¹⁸ რა FGH. ებისტოლე BF. ¹⁹ ფრიადითა] დიდითა E. ზედაჲს-ზედა FGH. ¹⁹⁻²⁰ მისლვა E, მისვლად FH. ²⁰ ილარიონისსა BDEFGH. მრავლითა G. ²¹ სურვლითა A. ანბორს- C. წმიდათა H. წმინდასა H. ²⁴ სამონაზონო FH, სამონოზონო B. წმინდასა H. ²⁵ დასდგა FH. დასდგა FH. ²⁶ წმიდა FGH. სახარება FGH. მიერიტგან F. აღვიდის A.

რად, მუნ დაყვის მან ორი გინა სამი დღე. ესრეთ მჭურვალე იყო და მოსურნე ქრისტესმოყუარე იგი მეფე ღმრთისა მიმართ სარწმუნოებისა და წმიდათა სიყუარულსა.

ხოლო ესე არს ცხობრებაჲ მამისა ჩუენისა წმიდისა ილარიონისი.

- ⁵ ესე არს მოქალაქობაჲ კაცისა მის საყუარელისაჲ და სიმწნე ახოვნებისა მისისაჲ და მ[237]ოლუანებაჲ, რომელი აჩუენა მან ქუეყანასა ზედა, რომელი ქებითაცა შესხმისაჲთა პატივცემულ იქმნა ბრძანებითა ბასილი მეფისაჲთა ბასილის მიერ მონაზონისა, რომელი დიდად განთქმულ იყო და ბრწყინვალე სიბრძნითა. არამედ იძლევის ყოველივე სიტყუაჲ ¹⁰ შესხმისაჲ სათნოებისათჳს წმიდათაჲსა, რამეთუ ქებაჲ მათი არს თავადისა ღმრთისა მიერ, რომელსა შუენის ყოველივე დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ ან და მარადის და საუკუნეთა მათ დაუსრულებელთა უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

¹ რა FGH. დაჰყვის FH. მან *om.* E, მან] მუნ G. ³ წმინდათა H. სიყუარულისა E] სურვილისა F. ⁴ ცხობრება FGH. წმიდისა *om.* G; წმინდისა H. ⁵ მოქალაქობა DFGH. ⁷ ვასილი F. ⁸ ვასილის F. მონაზონისა B. დიდად *om.* E. ¹⁰ სათნოებათათჳს BDH, სათნოებათათჳს EFG. წმინდათასა H. ქება DFGH. ¹¹ ჰშენის F, შუენის H. ყოველი F. დიდება FGH. ¹² თაყუანისცემაჲ *add.* მამისა და ძისა და წმიდისა სულისა C.

ამასვე დღესა ... [125... და წმიდასა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ

ესე იყო ქუეყანით კახეთით შვილი აზნაურთა მდიდართაჲ. ხოლო ისწავლა ყოველივე სწავლაჲ სულიერთა წიგნთაჲ ბერისა ვისგანმე მოლუანისა. და ვითარცა იყო აჲ (15) წლისაჲ, წარვიდა გარერჩისა უდაბნოსა და პოვნა მუნ მრავალნი მოლუანენი წმიდანი მამანი და დაემკდრა ქუაბსა მცირესა.

5

და განითქუა რაჲ ღირსებაჲ მისი, მოვიდა ეპისკოპოსი რუესთვისაჲ ხილვად მისა და აკურთხა იგი მღდელად.

და ვითარცა მრავალნი მოვიდოდეს და აწყინებდეს მას, დაადგინა მუნ ძმაჲ ერთი წინამძღურად და წარემართა წმიდად ქალაქად იერუსალჴმდ.

10

და მისლვასა მისსა მოუჴდეს რაჲ ავაზაკნი ბოროტნი და იჴადეს მახვლები, რაჲთამცა სცეს და მოკლეს წმიდაჲ ილარიონ, განჴმეს ჴელნი მათნი. და იწყეს რაჲ ტირილით ვედრებად მისა, ჯუარი დასწერა და განკურნნა იგინი.

და ვითარცა მივიდა იერუსალჴმდ და მოილოცნა წმიდანი ადგილნი, წარვიდა იოვანე ნათლისმცემელისა ქუაბსა, სადა პირველ იყოფებოდა ელია წინანარმეტყუელი. და დაყო იჴ (17) წელი მოლუანებითა დიდითა.

15

Tit. იგულისხმება თუესა ნოენმბერსა ით (19 ნოემბერი). ... და *om.* G. ქართველისა G. ¹ იყო *add.* ქართველი E, კახი და მესხთელი G. ქუეყანით კახეთით *om.* G. შვილი G. მდიდართა DG. ხოლო და G. ² ისწავა BCEF, ისწავა D. სწავლა G. წიგნთა DE. ვისგანმე *om.* G. ³ მოლნისგან G. ვითარცა იყო *om.* G. იყო იქმნა H. თხუთმეტისა G. წლისა G. გარეჩისა (მეორე რ ამოშლილია) B, გრეჯისა G, გარეჯისა H. ³⁻⁴ უდაბნოსა DE. ⁴ მუნ *om.* G. მრავალნი *om.* H. წმიდანი მამანი *om.* G. ⁵ ქუაბსა G. ⁶ და *om.* G. განითქვა G. რაჲ *om.* G. ღირსება G. ეპისკოპოზი G, ეპისკოპოსი H. ⁶⁻⁷ რუსთვისა AC, რუსთვისა D, რუსთვისა F, რუსთვისა G. ⁷ ხილვად მისა *om.* G. მისაჲ F. მღდლად FG. ⁸⁻⁹ და ვითარცა ... წინამძღურად *om.* G. ⁹ ძმა D. ¹⁰ იჴლმდ ABCDEH, იჴლიმდ FG. ¹¹ რაჲ *om.* D. ბოროტნი *om.* G. ¹² მოკლეს... ილარიონ *om.* G. გწიჴმეს D. ¹³ რაჲ *om.* D. ტირილით *om.* G. ვედრებად FG. მისაჲ H. ¹⁴ განკურნა G. ¹⁵ ვითარცა *om.* G. იჴლმდ ABCDEH, იჴლიმდ FG. ¹⁵⁻¹⁶ ადგილნი *add.* და G. ¹⁷ იყოფოდა BCDF. და *om.* G.

შენიშვნა: ხელნაწერების შესახებ, რომლებსაც ეფუძნება ტექსტის გამოცემა იხ. აქვე, გვ. 130-131.

და მერმე ჩუენებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა წარვი-
და ქუეყანად თჳსა, რამეთუ მომკუდარ იყვნეს მამაჲ და ძმაჲ თჳსი. და
მონაგებითა მამულითა აღაშენნა მონასტერნი და სხუაჲ განუ[126]ყო
გლახაკთა.

5 და ეგულებოდა რაჲ მთავართა ეპისკოპოსად დადგინებაჲ მისი,
წარვიდა მთასა ულუმბისასა და იყოფოდა ეგუტერსა. და ენება რაჲ
განძებაჲ მისი, გამოუჩნდა წმიდაჲ ღმრთისმშობელი რისხვით მამასახ-
ლისსა და ჰრქუა, ვითარმედ: „რომელნი მათ არა შეინყნარებენ, მჴდომ
ჩემდა არიან“. მიერითგან შიშით პატივ-სცემდა მას, რამეთუ ღმერთი
10 მის მიერ იქმოდა სასწაულთა.

და დაყო რაჲ ე~ (5) წელი, შევიდა კოსტანტინეპოლედ და თაყუა-
ნის-სცა ძელსა ცხორებისასა. და მიერ წარემართა ჰრომედ. და ვითარ-
ცა მიიწია თესალონიკედ, მკელობელი ი~გ (13) წლისაჲ განკურნა. და
მივიდა რაჲ ჰრომს, დაყო ორი წელი. და მოიქცა თესალონიკედ და
15 ძე მთავრისაჲ ნახევარ განმჴმარი განკურნა. და დიაკონი ტყუექმნუ-
ლი წარმართთაგან ლოცვითა ამის წმიდისაჲთა განვლო ლაშქარი და
ვერვინ უძლო დაყენებად მისა.

ხოლო წინაჲსწარ ცნა აღსასრული თჳსი და თესალონიკეს მიიცვა-
ლა წინაშე უფლისა.

20 ხოლო ორნი ეშმაკეულნი შემდგომად მიცვალებისა განკურნნა,
შეეხნეს რაჲ გუამსა მისსა. და სხუათა მრავალთა სასწაულთა იქმოდა
საფლავი მისი.

ხოლო ბასილი მეფესა ესმა რაჲ სასწაულთა მათთჳს, აღმოიყვან-
ნა პატიოსანი ნაწილნი მისნი სამეუფოდ და დასხნა მონასტერსა, რო-
25 მელსა ჰრქჳან რომანა.

¹ ჩუენებითა ADEFH. ღმრთისმშობელისთა D, ღმრთისმშობელისათა FG. ² თჳსად G, თჳსსა H. იყუნეს F. დაჲ om. G. თჳსი] მისი H. ³ და... დადგინებაჲ მისი om. G. ეპისკოპოზად H. ⁴ ულუმბო-
ბისასა H. იყოფოდა add. მუნ H. ეგუტერსა G, add. შა H. ⁵ ღმრთისმშობელი F. რისხვით G. ⁶⁻⁸
მამასახლისსა A. ⁹ ვითარმედ om. G. ¹⁰ მიერითგან... სასწაულთა om. G. ¹¹ რაჲ om. G. ხუთ
G, ხუთი H. წელ G. კოსტანტინეპოლედ AF. და om. G. ¹² მიერ] მერმე F. რომედ G. ¹³ მიიწია]
მივიდა E. ¹⁴ რაჲ om. G. ჰრომს add. და G. დაჲ om. G. ¹⁵ ძმ CF. მთავრისა DEG. გამჴმარი A,
გამხმარი G, განჴმელი H. და om. G. დენმ~ნ H. ტყუფ- ACDEFG. ¹⁵⁻¹⁶ -ქმნილი DFG, ქმნილმ
H. ¹⁶ ლოცვით G. ამის წმიდისაჲთა om. G. წის~ათა DF. ¹⁷ ვერვინ... დაყენებად მისა om. G.
დაყენებად F. მისსა H. ¹⁸ ხოლო om. G. წ~წრ ACEFG, წინასწარ D. აღსრულებაჲ G. ¹⁹ წინაშე
უფლისა om. G. ო~ DE, add. თ~ წ~წრსა ი~თ G. ²⁰ ორი E. ეშმაკნი F. განკურნაჲ F, განკურნა
G. ²¹ შეეხნიან G. სხუათაჲ F, სხ~ათა G. ²² მეფემან G. ესმა... მათთჳს om. G. ²⁴ სამეფოდ CE. ²⁵
რქჳან G.

[116] ამასვე დღესა წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისა საკრველთმოქმედისა

ესე იყო ქუეყანით კახეთით შვილი აზნაურთა დიდებულთა. ამან სიყრმითგან თჳსით დაუტევა მშობელნი თჳსნი და განვიდა უდაბნოდ გარესჯისად და მუნ ილუანა ღუანლნი ბუნებათა უაღრესნი. და განისმა რაჲ ჰამბავი სათნოებათა მისთა, შემოკრბეს გარემოს მყოფნი და აიძულებდეს, რაჲთამცა იქმნა ეპისკოპოზ. ხოლო მან სურვილითა 5 დაყუდებისათა დაუტევა მონასტერი იგი და წარვიდა უცხოებად და მიიწია წმიდად ქალაქად იერუსალიმად.

და მოილოცნა წმიდანი იგი ადგილნი და განვიდა უდაბნოდ და ათხუთმეტისა წლისა ჟამნი დაყვნა დაყუდებით. და მერმე გამოჩინებითა ღმრთისმშობელისათა მიიწია ქუეყანადვე თჳსად. და მშობელნი მისნი აღსრულებულ იყვნეს და მხოლოდ დედა ოდენ წმიდისა იყო ცოცხალ და იგიცა აღესრულა. და ყოველი მონაგები თჳსი განაბნია და კუალად წარვიდა უცხოებად. და მიიწია ჰრომედ და მოილოცნა სამარხო იგი წმიდათა მოციქულთა. 10

და მერმე მიიწია თესალონიკედ და მრავალნი საკრველებანი აღასრულნა და მუნ დაყუდებით გარდავლო ცხოვრება თჳსი და ესრეთ მშკდობით აღესრულა. 15

ხოლო ბასილი კეისარმან წმიდანი ნაწილნი მისნი თესალონიკით მისცვალნა კოსტანტინეპოლის და აღუშენა მონასტერი შუენიერი სახელსა ზედა წმიდათა მოციქულთასა. და მუნ დასხნა დიდითა პატივითა წმიდანი ნაწილნი მისნი. 20

ესე იყო დასაბამითგან წელთა ექუს ათას სამას ოთხმოცდაათსა.

Tit. ამასვე დღესა] თჳ ნ~ბრსა ი~თ E; იგულისხმება: თუესა ნოემბერსა ი~თ (19 ნოემბერი).² თჳსით... განვიდა *om.* B. ³ გარესჯისათ CFH, გარსჯად E. ბ~ნბ~თა ADEF] გონებითა B, გ~ნბთა H. ⁴ ამბავი BCEH, ანბავი G. ⁵ რათამცა C. ეფისკოპოზ G. ⁹ ათხუთმეტის BC] ათორმეტისა F. წლისა *om.* D. დაყუნა ADE. ¹⁰ ღ~ის მშობელისა BCG. თვისად A, თჳსა C, თ~სა E. ¹¹ დედაჲ E. ¹² ცოცხალი E. ¹⁴ მოილოცნა... მოციქულთა *om.* BDF. ¹⁵ თესალონიკედ *add.* მოილოცნა სამარხო იგი ნ~მთა მოციქულთა BDF. დაჲ *om.* B. ¹⁶ გარდავლნო B. ¹⁹ შუენიერი ACDG. ²⁰ მოციქულთასა *add.* რომანად სახელდებულსა BCEG, რომნად E. ²² ექუსი BCE.

შენიშვნა: გამოცემა ეფუძნება შემდეგ ხელნაწერებს: A: A-111 (1703-1715 წწ.), B: ქსიმ ქუთ. 105 (XVII-XVIII სს.), C: A-220 (1726 წ.), D: A-515 (1733 წ.), E: S-3269 (1720-იანი წლ.), F: H-970 (1742 წ.), G: ქსიმ ქუთ. 111 (XVIII ს.), H: A-986 (XVII ს., მხოლოდ დასაწყისი).

[საგალობელი I]

ნონბერსა ით (19) წმიდისა ილარიონ ქართველისაჲ

უფალო ღალატყავსა, ჳმაჲ დ. თ ა ნ ა ს წ ო რ თ ა ჴ ე დ ა.

აღვახუნეთ დღეს, მორწმუნენო, ბაგენი ჩუენნი გალობად
ჴსენებასა წმიდისა და ნეტარისა მამისა ილარიონისა
სულითა მჴურვალითა, და ღირსად შევამკობდეთ
დღესასწაულსა ამას მისსა, რაჲთა მოვილოთ ჩუენ ვედრებითა მისითა
მჴსნელისაგან
შენდობაჲ ცოდვათა ჩუენთაჲ
მარადის და დიდი წყალობაჲ.

კეთილად განაგე, ღირსო,
სიმდიდრე იგი მამული, და სიბრძნითა
მიავასხე ყოველივე დამბადებელსა ღმერთსა შენსა.
აღიღე ჯუარი მისი
და შეუდეგ კუალსა მისსა.
მიიწიე წმიდად ქალაქად და დაემკვდრე დიდსა ღავრასა შინა,
და ისწავენ ღირსთაგან სათნოებანი ქრისტეს ღმრთისანი, სანატრელო.

გამოხუედ წმიდით ქალაქით და მოხუედ ქუეყანად თჴსსა
განბრძნობილი საღმრთოჲთა მით მოძღურებითა
და საგსე სულიერითა მით სწავლითა, ილარიონ!
და აღაშენენ ექუსნი მონასტერნი დიდებულნი,
სადიდებელნი
სამეებისა წმიდისანი,
და შეჴკრიბე
მას შინა კრებული ღირსთაჲ, რომელნი აწ პატივ-გცემენ შენ.
რაჟამს მოგემადლა, ღირსო, ღმრთისა მიერ აღშენებად
მონასტერთა შენთა და ეკლესიათაჲ,

შენიშვნა: ტექსტი ქვეყნდება ხელნაწერის Jer. georg. 71-ის მიხედვით: 112v-114v.

და შესწირენ იგინი ქრისტესა,
მაშინ მყის განეშორე
საყოფელთა შენთაგან, წარხუედ ქალაქად სამეუფოდ,
და მოიგე შენ სიგლახაკე ქრისტესთვის მსგავსად მისა.
და მკვდრ იქმენ უდაბნოსა
ულუმბოჲსასა, სანატრელო!

ს ა ლ მ რ თ ო თ ა ნ ე რ.

უგალობდითსა

ზ ღ უ ა ღ უ ვ ა ლ ი რ ო მ ე ლ ი

მოწყალებით მომხედენ,
მამაო ყოვლადსანატრელო,
და მომეც მაღლი შენი,
რაჲთა ღირსად ვაქებდე დიდებულთა მათ
სათნოებათა შენთა, ღირსო ილარიონ, ქართველთა სიქადულო!
ჭეშმარიტად მსახურად
უფლისა შენისა იწოდე,
სანატრელო მამაო,
და შეუდეგ გზათა მისთა, ღმრთივგანბრძნობილო!
ჯუარს აცუენ ჯორცნი შენნი, ღირსო, ვითარცა მიმსგავსებულმან
ქრისტესმან.

აღამაღლენ, ნეტარო,
ჯორცნი, და სული და გონებაჲ
მთასა მას ულუმბოჲსასა, მამაო ილარიონ!
და კუალად ახლად დამზადებელი გიცნობს
მეორედ ელიად ყოფად მთასა კარმელსა.

ს ა ს ა კ მ ე ვ ლ ე ო ქ.

განძლიერდითსა
ბუნებით ღმობი[ერ ექმენ]

იოზ მეორედ გამოშჩნდი შენ განსაცდელთა შინა, ნეტარო!
და ვერ შეუძლო შერყევად
მტერმან გოდოლი ჯორცთა შენთაჲ, რამეთუ წინა-აღუდეგ
მზაკუვარებასა მას მისსა.
სრულიად განწმედილ იქმენ, ღირსო,
საშოთგან დედისა თვსისაჲთ,
ვითარცა დიდი სამოელ,
და წინაჲთვე ჰქადაგებდი
მერმესა მას, სანატრელო,
და სიმტკიცე ექმენ ყოველთა.

ბრწყინვალედ დღესასწაულობს ჰრომი,
ევროპი, და ყოველი სოფელი
დასავალისაჲ ქადაგებს
ღუანლთა შენთა, სანატრელო ილარიონ,
და იშუებენ, საჯსენებელსა შენსა ღირსო!

გ ა მ o შ ჩ ნ დ ი ლ ე ლ .

უფალო მესმასა
გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ა ჲ ს ა ი დ უ მ ლ ო ჲ

მიმსგავსებულ იქმენ შენ
პირველთა მათ
მამათა, ღირსო, სათნოებითა.
მთათა და ქუაბთა შინა რაჲ იყოფვოდე,
და წესსა მათსა ზედა ეგე, ნეტარო მამაო ილარიონ!

დასდევ შენ სასოებაჲ ღმრთისა მიმართ,
დამბადებელისა მის შენისა,
და მოჰსრევდ, ღირსო,
ლოცვისა მახვლითა

ეშმაკთა სიმრავლესა.
ნეტარო, ჯუარითა შეჭურვილო,
მოიღე მადლი ღმრთისა მიერ, ღირსო,
ეშმაკთა განსდევნიდი და სენთა განჰკურნებდ, ბრძენო,
მკურნალო სულთა და ჴორცთაო,
ყოვლითურთ გამოცდილო,
ნეტარო მამაო ილარიონ!

შენ მარადის ქალწულ.

ღმრთისაგანსა
ნანილ ჩემდა ხარ

ვითარცა რაჲ უწორცოდ მარადის წინაშე ღმრთისა
მდგომარე იყავ, ღირსო მამაო,
ყოვლადვე ცრემლით არაჲ დასცხრებოდე ლოცვასა,
სახჴ წესის ექმენ მრავალთა,
და განჰკაფენ ჴორცნი შენნი შრომითა, ნეტარო!

ვინ-მე არაჲ განკვრდეს,
მამაო, ცხორებასა შენსა, სიმშგდესა და მყუდროებასა,
და უცხოებასა ადგილითი-ადგილად.
ევლტოდე კაცთა დიდებასა და მიჰხედევდ ზეცისა სასუფეველსა,
ვითარცა ანგელოზი.

იქცეოდე შენ, სანატრელო,
ცხორებასა ამას წარმავალსა, რომლისათჴსცა ზეცას მათ თანა იხარებ
და წმიდათა კრებულსა თანა მარადის უგალობ და აქებ ყოველთა უფალსა.

აღესრულნეს შენ ზედა.

ღაღატყავსა
ღაღადებდა წინაჲს წარმეტყუელი იონა

დიდ არიან
ღუანლნი შრომათა შენთანი, წმიდაო,
რამეთუ შენ ჯუარი ერქუანის სახედ მჴართა აღიღე და ურნატნი იგი
სულისანი მოჰჴნენ,

ბრძენო,
ბრწყინვალედ.
ხედვიდეს რაჲ ეშმაკთა სიმრავლენი
გუამსა შენსა, ილარიონ,
შემოსილსა ძაძისა სამოსლითა, და სირცხვლეულნი
გლოვით განგეშორნეს
შენგან, ნეტარო!

ახლად მოსედ დამზადებელი
გიცნობს, ილარიონ, რამეთუ შენ
მარხვითა და ლოცვითა დასცენ მტერნი,
ვითარ-იგი მან პირველ ამაღეკი უკუნ-აქცია.
უმეტეს ხარ.

კურთხეულარსა
რომელმან დაიცვნა ყრმ[ანი]

გსუროდა ზეცისა იგი დიდებაჲ, ღირსო ილარიონ,
სამგზის სანატრელო მამაო, და ქუეყანისაჲ ნაგევად შეჰრაცხე.
და ჰღალადებდ, დიდებულო:
მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ!

თანა-მობაძავ პირველთა
წმიდათა მამათა გიცით შენ
კრებულსა შორის რჩეულთასა,
და წმიდათა თანა აღრაცხილ, ღირსო,
და სიხარულით ვღალადებთ:
მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ!
ვითარცა მწყემსი კეთილი,
მამაო ყოვლად სანატრელო,
ნუ დასცხრები მეოხებად
სამწყსოჲსა შენისათჳს, ილარიონ ბრძენო,
რომელნი ვღალადებთ:
მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ!

სამეზისა მორწმუნენო.

აკურთხევდითსა
ყრმანი ბრწყინვ[ალენი]

ვინ შეუძლოს მითხრობად ღუანლთა შენთა,
სანატრელო მამაო ილარიონ, რამეთუ სიმშკდით და სიმდაბლით და უცხოებით
განჰვლე შენ სოფელი ესე ღირსად,
დიდებულო, და ანგელოზთა თანა იხარებ
და ჰსუფევ ქრისტეს თანა მარადის უკუნისამდე.

შუენიერად შემკობილო მამაო,
მეოხ-გუეყავ ჩუენ მარადის უფლისა მიმართ, რომელნი სიხარულით
გადიდებთ, სანატრელო,
რამეთუ შენ ხარ შემწე ყოველთა მორწმუნეთაჲ,
რომელნი აკურთხევენ ქრისტესა და უფროჲსად ამაღლებენ მას უკუნისამდე.

ჭეშმარიტად ქებასა შენსა, ღირსო,
ენაჲ კაცობრივი ვერ შემძლებელ არს გამოთქჳმად, ხოლო სარწმუნოებით
ჴსენებასა შენსა დღეს
ყოველნი მოვივლტით და ვითხოვთ შენგან, წმიდაო,
რაჲთა მეოხებითა შენითა მოგუმადლო ჩუენ კურნებაჲ, სანატრელო ილარიონ!

არსებაჲ პირველი მიზეზ.

ადიდებდითსა
ლოდი საკიდური უჴე[ლოდ]

ვარსკულავი მნათობი, მამაო,
აღმოსავალით რაჲ გამოშჩნდი,
განანათლე ქუეყანაჲ და ზღუაჲ,
ნათლითა შრომისა შენისაჲთა, ღირსო!
ამისთჴს ჩუენ, მორწმუნენი,
საჴსენებელსა შენსა ვადიდებთ.

ვითარცა – სახედ ეგჳპტისა,
საზრდელის მომცემელად ჩუენდა
ნაწილნი შენნი გუქონან, ღირსო,
სარწმუნოებით ჩუენ, მოწაფეთა შენთა.

და მოვიღებთ მათგან მადლსა
სასწაულთასა დღითი-დღე, ბრძენო!

იხილე სულისა ჩემისა
უდებობაჲ, ყოვლად სანატრელო!
და მოჰხედენ ფიცხლად აღძრვასა
გონებისა ჩემისასა და დააცხრვენ
მწრაფლ გულისსიტყუანი ჩემნი
მეოხებითა შენითა, ღირსო.

ა რ ს ე ბ ი თ ა მ ი უ ნ დ ო .

აქებდითსა
ხ ის ა მ ი ე რ ა დ ა მ

შური აიღე, ღირსო, მთავართა მათ ქრისტეს მოციქულთაჲ,
პეტრესი და პავლესი, და მათებრვე მიისწრაფე ჰრომედ, რამეთუ სურვილ იყავ
ხილვად სამარტკლოსა გუამთა მათთასა,
და მიემთხვე, ბრძენო,
წადიერებისაებრ
და ჰლაღადებდი:
მომიწსენე, მწსნელო, სასუფეველსა შინა,

საცნაურ იქმნეს, ღირსო, მადლნი სათნოებათა შენთანი,
და განითქუა სახელი შენი, ილარიონ, ჰრომეს შინა,
რამეთუ ჰქმნენ სასწაულნი –
ბრმანი მხედველ ჰყვენ და ღრეკილნი განჰკურნენ.
მაშინ ივლტოდე მიერ,
მიხუედ თესალონიკედ
და მუნ შეჰვედრე
სული შენი წმიდაჲ ჴელთა მაცხოვრისათა.

ჯერ-იყო მიცვალებაჲ ნაწილთა მათ შენთაჲ, სანატრელო,
ქალაქად სამეუფოდ, რაჲთა ღირსად პატივცემულ იყო
მეფეთა და მთავართაგან,
და ყოვლისა ერისა მორწმუნისაგან.
და ანცა დიდებულ არს

სამარხოჲ ძუალთა შენთაჲ, რომელთა მიერ
იქმნებიან ძალნი სენთა კურნებისანი.

ვითარცა ზღუდე მტკიცე
და ნავთსადგური მყუდროჲ, ნეტარო მამაო ილარიონ,
გუაქუ მონაფეთა შენთა მფარველად. ამისთჳსცა გევედრებით,
დამიფარენ ჩუენ, ღირსო, განსაცდელთაგან
ვედრებითა შენითა
ქრისტეს მიმართ მარადის,
რომელნი ვიტყჳთ: მომიჴსენენ, მჴსნელო, სასუფეველ(სა შენსა)

ვითარცა ღმრთისმშობელ.

[საგალობელი II]

წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონისნი,
რომლისა თავნი იტყუან:
ესე აწ ღმერთშემოსილი ილარიონ იქებოდენ დღეს ჯერისაებრ. ამინ.

უფალო ღალატყავსაჲ ჳმაჲ დ გუერდი
აღძრვაჲ შ

* ელვად ნათლისა საღმრთოჲსა
მოგუეფინა დღეს ჳსენებაჲ ყოვლადდიდებულისა მოღუანისა,
ილარიონ ახლისა მნათობისა.
მოვედით მოსწრაფედ,
ქრისტეს სამწყსონო,
და განვნათლდეთ სათნოებათა მისთა
ბრწყინვალითა ნათლითა,
რომელი ქრისტეს მიერ განბრწყინდა
სიყრმით შენითგან, მამაო!

სულისა შენისა სლვანი
სათნოებათა მიმართ მაღალთა მოსწრაფედ წარჳმართენ, ღმერთშემოსილო!
და ძალითი-ძალად აღსლვითა, ნეტარო,
არაჲ შეგიბრკუმა ცხოვრებისა გზათა,
ვიდრემდის აღინიე ჴეცისა საღმრთოსა ნავთსაყუდელსა.

ეტყინებოდე საღმრთოჲსა სიყუარულისა ცეცხლითა,
რომლითა დასწუენ მთავარნი ბნელისანი,
ღმერთშემოსილო ღირსო ილარიონ,
და ყოველი ძალი ფარაოჲს მძლავრისაჲ

* კიდურწერილობა ჴევიდან ქვევით: „ესე აწ ღმერთშემოსილი ილარიონ იქებოდენ დღეს ჯერისაებრ, ამენ“.

შენიშვნა: ტექსტი ქვეყნდება ხეც A-558 ხელნაწერის მიხედვით: 157r-162v.

დაანთქ უფსკრულსა ცრემლთა შენთასა[ჲ],
და მწყობრი მოლუანეთაჲ წიაღ-იყვანე ღელვათა სოფლისათა.

არმური ჯორცთაჲ წიაღ-ჰვლე,
მოლუანებათა ნათლითა უაღრესისა მონა ჰყავ
უდარესი, და ფიცხელნი ჯორცთა იგი კრთომანი
აღკრთა მათ მიერ
შიშისა ღმრთისათა დაუმორჩილენ მთავარსა გონებასა,
და ვითარცა ეტლითა, აღიწიე კამარათა ცისათა.

წარგჳდელუ ჩუენცა, მამაო,
ალაგთა ცხორების[ა]თა,
ვინაჲ-იგი აწ მკჳდრ ხარ ცათა შინა,
უღელვოთა მათ საღმრთოთა სავანეთა,
და დააცხრვე ჯორცთა უფლებაჲ ჩუენ ზედა
და დაჰჴსნენ ბრალთა ჩუენთა საკრველნი,
და ვითარცა მამამან
ტკბილმან გჳლუანენ წინაშე სამებისა.

გალობანი წმიდისა ილარიონისნი. ჴმაჲ დ გუერდი

უგალობდითსა
ეტლთა მფ[ლობელი]

ღმრთისა მამისა ნათელო,
ნათლითა მით სულისა წმიდისაჲთა
არმური ვნებათაჲ
გონებისაგან ჩემისა აწ განაქარვე და ნათელი სინმიდისაჲ მომმადლე,
რათა ღირსებით შევამკობდე დღეს
მსახურსა უბინოსა სინმიდეთა შენთასა.

მსგავსადვე სამოელისსა აღთქუმით იშევ, ღმერთშემოსილო მამაო,
ღირსო ილარიონ,
და სიყრმითგანვე შეიწირე ყოველთა შემწირველისა,
ვითარ კრავი უმანკოჲ, აღზრდად ბაკსა მას მჴეცთშეუვალსა
მწყემსმთავრისა ქრისტესსა, რომელი დიდებულ არს.

ეტრფიალე შენ, მამაო,
მარგალიტსა მრავალსასყიდლისასა,
რომლისა ძებნად
განხუედ სიჩჩოთგან, ნეტარო,
და ახოვნიტა სულიტა უვარ-ჰყავ ყოველივე
სოფლისაჲ მონაგებნი და თჳსნი
იგი მოიყიდე, დიდებით დიდებულო.

რომელი ჰგიე ერთარსად, სამებაო,
შუენებით მიუნდომელო, არსტა შემოქმედო,
შენ, უმიზეზოო მიზეზო,
ყოველტა დამბადებელო
და სიბრძნით მმართველო,
მამაო, ძეო და სულო წმიდაო,
გიგალობ და გაკურთხევ
და ძრწოლით აგამაღლებ.

თავადი სიტყუაჲ მამისაჲ საშოდ შენდა
გარდამოჭდა, უსძლოო,
ვითარცა რაჲ წჳმად – გონიერსა სანმისსა ზედა,
დაგუალული კაცტა ბუნებაჲ ცუართაგან მადლისატა
მორწყო და აღაყუავილა ჩუენ შორის ნაყოფი სიმართლისაჲ,
რამეთუ დიდებულ არს.

განძლიერდასა
გ ა ნ მ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ე ლ [მ ე ქ მ ე ნ]

შიში უფლისაჲ მოიგე
თავად სიბრძნისა საღმრთოჲსა,
და მას შეემსჭუალე სიყრმიტგანვე,
და მთავარი გონებაჲ
მფლობელ-ჰყავ ჳორცტა ბუნებისა,
და ვნებატა აღძრვანი
სიბრძნით დაუმორჩილენ სულსა.

ემსგავსე შენ, ღმერთშემოსილო
მამაო, დიდსა აბრაჰამს,
და დაუტევე ქუეყანაჲ შენი.

და უცხო-იქმენ მისთვის,
რომელი ჩუენთვის უცხო-იქმნა,
რაათამცა უცხო-ქმნულნი
მამასა წყალობით დამაგნა.

მონყლული ტრფიალებითა
საუფლოთა ვნებათაჲთა
წარხუედ, ღმერთშემოსილო მამაო!
ვინაჲ-იგი თავს-ისხნა
ვნებანი სოფლისა წსნისათჳს
ღმრთეებით უვნებელმან
ღმრთისა მამისა სიტყუამან,

უჟამოდ მშობელო მამაო
სიტყჳსა უჟამოჲსაო,
უჟამოდ მომავლინებელო
ცხოველისა სულისა
თანასწორისა შენისაო,
მათ თანავე გადიდებ
სამგუამოვნად და ერთღმრთეებად.

საკრველნი და სასწაულნი
მუცლადლებისა შენისანი
და კუალად უხრწნელად შობისანი
განმაკრთობენ, უსძლოო!
ვითარ დედაჲ ხარ და ქალწული?
ვითარ აწოებ სძესა
ყოველთა მზრდელსა უფალსა?

მესმასა
აჰმჳედრი

ინურთიდი სიყრმიტგანვე წერილთა ღმრთივ-სულიერთა
და ემსგავსებოდე მოქალაქობასა მას
და ცხოვრებასა პირველთა მათ მამათასა
და აწ მათ თანა ჰსუფევე წინაშე ღმრთისა, ღირსო მამაო.

ლოცვათა

შენთა საჭუმილითა, ღმერთშემოსილო,
მწეცთა მათ ლერწმისათა საყოფელნი დასწუნენ,
და მდინარითა ცრემლთაჲთა დაშრიტენ შენ
განჯურვებულნი იგი ვნებათა ისარნი, ილარიონ!

იხილე ჩუენებით, ღმერთშემოსილო მამაო,
დედოფალი ყოველთა დაბადებულთაჲ,
და გიბრძანებდა წარსლვად ქუეყანად თჳსად,
რაჲთა შესწირნე ღმრთისა სიმრავლენი ერთა ურიცხუთანი.

იხილეთ და გრცხუენოდენ თქუენ, მწვალებელთა კრებულნო,
ვითარ ერთარსებით ვჰმონებთ სამებასა და სამთუთებით ვქადაგებთ
ჩუენ ღმრთეებასა და თქუენ შეჩუენებულ გყოფთ
თანა ეშმაკით, მამით თქუენითურთ.

ლხინებაჲ და გამოჴსნაჲ შენ მიერ მიიღო ადამ,
რაჴამს მეორე ადამ გჴშევ ჴორცითა
და წყევისა მისგან მამულთა ურჩებათა განთავისუფლებულნი
სამართლად დედად ღმრთისად ვქადაგებთ.

ღამითგანსა
რ ა ღ ს ა თ ჳ ს გ ა ნ [მ ი შ ო რ ე ბ]

აღასრულე, მამაო,
ბრძანებული შენდა, ვითარცა სარწმუნომან და
გონიერმან მნემან
უფლისა თჳსისამან,
დაუშზადე თავადსა სერი
სულიერი სულთა მათ ცხოვნებულთაჲ,
რომელთა შესწირენ მეუფისა.

რომელმან დაითმინა ჯუარცუმაჲ ჴორცითა
უცოდველმან კაცთათჳს ჯუარცუმისათჳს, მამაო,
და სოფელი ჯუარს-აცუ შენდამი, ბრძენო,
ვითარცა ახოვანმან ქრისტესმან, ღმერთშემოსილო,
და განაქიქენ მთავარნი ბნელისანი.

იქმენ, ღმერთშემოსილო, სარკე სათნოებისა მხილველთა
მათ შენთათჳს და ძეგლ მოღუანებისა
შემდგომთა ნათესავთა საბაძველად
და სუეტად
ცეცხლისა უბრალოთა მით მღდელობითა აღწევნულად კამარათა ცისათა.

უჯორცოთა კრებულნი
ძრწოლით აღამაღლებენ სამებასა წმიდასა სამწმიდითა შესხმითა
და ერთუფლებით ღმრთისმეტყუელებითა, და ესრეთ
სამითა გუამითა ერთსა ღმერთსა გჳჳადაგებენ,
სამებით ერთარსებად ცნობილსა.

ნეტარ არიან პირნი ღმრთისმშობლად მქადაგებელნი შენნი, დედოფალო!
და ვაჟ მათდა, რომელნი არა აღგიარებენ ღმრთისმშობლად
და ხატსა შენსა წმიდასა არაჲ თაყუანის-სცემენ,
უკეთურნი მწვალებელთა ერნი.

ღაღატყავსა
მომიტევენ სახიერ

ივლტოდე შენ შფოთთაგან
სოფლისათა, ღირსო ილარიონ,
და ცუდსა დიდებასა
სრულიად განეშორე,
და, ვითარცა მთიები,
აღმოსავალით დასავალეთად მიიწიე.

ქრისტესთჳს უცხო-ქმნილმან
და, მსგავსადვე მისა, მონყალემან
არა უგულებელს-ჰყავ
ტკივნეული ფერწითა,
და ლოცვითა შენითა, ღმერთშემოსილო,
მკელობელსა სლვაჲ მიანიჭე.

ერუენა საშინელად
დედაჲ ყოველთა შემოქმედისაჲ,
და უთქუმიდა სასტიკად
არაჲ შემწყნარებელსა

შენსა, ღმერთშემოსილო, და აუნყებდა
სათნოებათა შენთა ძალსა.

ბუნებით ერთად ვიცნობ,
და გუამითა სამად ღმრთისვემეტყუელებ
სამეზასა წმიდასა და ერთსა ღმრთეებასა,
ერთსა მეუფებასა, ერთმთავრობასა
და ერთსა ჴელმწიფებასა.

უცვალეზელმან ღმერთმან
შენგან ჴორცნი მიიხუნა, უსძლოო,
და ერთ გუამად იხილვა
ორითა ბუნებითა
და ორითა ნებითა – ღმერთი და კაცი,
რომლისა მიმართ მეოხ გუეყავ.

კურთხეულ არსა
ღმრთისა გარდა [მოსლვასა]

დიდთა მათ მოციქულთა
სურვილითა, ღირსო,
აღეგზენ შჴდნილად
და მიიწიე ჴრომედ
წინაძლომითა სულისა წმიდისაჲთა
და სრულ-ჴყავ საწადელი გონებისა შენისაჲ,
და ჴლაღადებდი:
ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ.

ენყვე ღმერთშემოსილო,
სულთა უკეთურთა,
ვითარცა რჩეული
მჴედარი მეუფისაჲ,
ქუეყანითი-ქუეყანად მიმოსლვითა
და სათნოებათა
და სასწაულთა შენთა დაფარვითა და
სიმდაბლით უჩინო-ქმნითა.

ნათლად ღმრთივმოცემულად
გიცნობს დასავალი,
ნეტარო მამაო!
და მხიარულ არს ჰრომი,
და უფროსად განსცხრების თესალონიკე.
რამეთუ მას შინა
განხუედ სოფლით და მიხუედ წინაშე ღმრთისა,
მამაო ილარიონ!

დიდებულებაჲ ნიშთა შენთაჲ,
სანატრელო,
უფროს ალემატა,
რამეთუ მკელობელთა
სლვაჲ მიაწიქე პირველ სიკუდილისა
და კუალად შემდგომად
სიკუდილისა შენისა
თავისუფლებაჲ
მიაწიქე ტყუე-ქმნულთა.

ღმრთისვმეტყუელებ ერთარსად
მხოლოსა მამასა და
მხოლოსა ძესა
და მხოლოსა წმიდასა სულსა;
არა თუ სამთა მხოლოთა,
არამედ მხოლოსა
ერთსა ღმერთსა ბუნებით
ღმერთად აღვიარებ
და ძრწოლით თაყუანის-ვსცემ.

ეტლად სიტყვსა ღმრთისა
სახელ-გდებთ, ქალწულო
დედაო ღმრთისაო,
და დიდებულებათა,
რომელნი ყვნა შენ თანა მაღალმან,
ჴმამალლად ვქადაგებთ,
და ნისტორს შევაჩუენებთ და ყოველთავე წინააღმდგომთა შენთა.

აკურთხევდითსა
ქებით აკურთხევდით

სრულ-ჰყავ რაჲ სრბაჲ შენი,
ღმერთშემოსილო მამაო,
და მიიცვალე წინაშე უფლისა,
ადიდა
განსლვაჲ შენი მეუფემან
სასწაულთა მიერ,
და ნიშთა შეგამკო,
რაჟამს შეპყრობილნი
სულთაგან არანმიდათა
შეხებითა შენითა
განთავისუფლდეს.

ჯერ-იყო, ვინაჲთგან
სული შენი მეუფემან
წინაშე თჳსსა დიდებით მიცვალა,
და რაჲთა
გუამი შენი ქუეყანისა
მეუფემან მიიღოს
ძალად და სიმტკიცედ,
და სამეუფოდ
ქალაქად აღმოსლვაჲ შენი
იდიდოს შემდგომად
ზეცად აღსლვისა.

ეჰა, სანატრელო,
ვითარ არაჲ სათნო-იყავ
შემდგომად სიკუდილისაცა შენისა
პალატთა
სამეუფოთა მკჳდრობაჲ,
არამედ ჩუენებით აუწყე
მეფესა სანადელი შენი – უდაბნოჲ,

რომელსა შინა
სულნელებად სულისა გამოსჩნდი,
რომლითა ცხოველ ვარ,

და რომლის მიერ ვიშევ ემბაზისაგან მეორედ შობითა.
ვადიდებ სამებასა ერთსა ღმერთსა,
მამასა მშობელსა და ძესა შობილსა,
და გამომავალსა
სულსა სახიერსა მამისაგან,
და ძისა თანა ქებულსა.

იხილვნეს შენ შორის
საკრველნი სასწაულნი,
მუცლადღებაჲ უთესლოდ და შობაჲ
უხრწნელად,
და შობილი სიტყუაჲ ღმრთისაჲ,
და დედაჲ ქალწული,
ეჰა, საკრველი,
არამედ ვინაჲცა ინებოს ღმერთმან, მიერცა
ბუნებითნი წესნი იცვალებიან.

ადიდებდითსა
გ ა ნ კ კ რ დ ე ს ზ ე ს კ ნ ე ლ ს ც ა ნ ი

საუფლოთა მათ ქადაგთა სიტყუსათა
თანაზიარ იქმენ,
წმიდაო მამაო ილარიონ,
ზეცისა სუფევასა, და ქუეყანასაცა ზედა
თანა-მოსაგრე მათდა გამოსჩნდი
დასხმითა მით ნაწილთა
შენთა უბინოთაჲთა
ჯელთა მიერ ღმრთისმსახურთა მეფეთაჲთა.

ან მოიხილე ჩუენ ზედა მოწყალებით,
ჴ ღმერთშემოსილო მამაო,
მგალობელთა ამათ წინაშე ლარნაკსა შენსა,
შვილთა და სამწყსოთა შენთა.
და ევედრე ჩუენთჳს მაცხოვარსა
ნეშტსა დღეთა ჩუენთასა აღსრულებად მშჳდობით
ოხითა შენითა, ილარიონ!

ეჭა, წყალობისმოყუარეო სულო,
‡ ღმერთშემოსილო მამაო,
შეინირე ძღუენი უღირსთაგან ბაგეთა
და ნუ დასაშფელად ჩემდა იქმნებინ შესხმაჲ შენი, წმიდაო,
არამედ მომიტევე
წარმდებად კადნიერსა
ძალისა უაღრესსა ჴელყოფად.

ბუნებით ერთ ხარ, ‡ წმიდაო სამებაო,
ხოლო გუამითა სამად იცნობები,
განუყოფელი განიყოფვი განუყოფელად.
ხოლო თვთებანი შენნი შეურევნელად ჰგიან მარადის,
მამაო უშობელო,
ძეო მხოლოდშობილო
და სული წმიდაო გამომავალო!

რომელთა არა ჰრწამ შენ ღმრთისმშობელად
და ხატსა შენსა არა ჰმონებენ,
დედაო და ქალწულო უქორწინებელო,
უტყუ იყვნედ ბაგენი მათნი,
ხოლო ჩუენ ზედა, მოსავთა შენთა
მადლი შენი მოვედინ,
და მოწყალებაჲ შენი
იყავნ ჩუენგან განუშორებელ.

აქებდითსა

ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ი თ ყ ო ვ ე ლ ნ ი

აჰჴედ სიმაღლედ, მამაო,
გონიერიოთა ფრთითა, საქმისა და ხედვისა
მრჩობლიად წარმართებითა
გონებაჲ წარადგინე წინაშე ღმრთისა
გუნდთა თანა წმიდათა ზეცისა განწყობილთასა.
და ღირს იქმენ შენ ხილვად დიდებასა ღმრთისასა,
რომელსა განუკუთნე თავი თჳსი სიჩჩოჲთგან,
მისა მიმართ ოხად ნუ დააცადებ
სამწყსოთა შენთათჳს, ილარიონ!

მღჳძარედ იჰყრენ, მამაო,
თუალნი გონებისანი და მიურულებელად,
და სცევდ სულისა ნაყოფთა
წარპარვისაგან ავაზაკთა ზუაობისათა,
და სიმდაბლით მარხვითა ლოცვასა თანა
წმიდისა სიყუარული მოყუსისა მონყალებისა თანა
და ყოველივე მწყობრი წმიდაჲ სათნოებათაჲ,
ვითარცა რაჲ მუშაკმან სულიერმან,
ზეცისა საუნჯეთა შეჰკრიბე.

იქცეოდე, სანატრელო,
სოფელსა ამას შინა, ვითარ პირველ – ელია
იწროებითა ჳორცთაჲთა,
რომლისა-იგი შემდგომად ამაღლებისა
ხალენითა მისითა მონაფე იგი მისი სასწაულთა იქმოდა.
ხოლო აქა, შემდგომად სიკუდილისა შენისა, სამოსელიცა შენი
პირად-პირადთაგან სენთა გუემულთა
მადლითა შენითა განჰკურნებდა.

ნუ დამივიწყებ, მამაო
ნეტარო ილარიონ, სამწყსოთა ამათ შენთა.
წინაშე ქრისტეს მჴსნელისა,
დედასა თანა ცათა მეუფისასა
და ყოველთა წმიდათა ზეცისა უჳორცოთა წინანარმეტყუელთა
და საღმრთოთა მოციქულთა, ნეტართა მღდელთმოდღუართა მამათა
და მარტულთა, რომელთა თანა აღრაცხილ ხარ,
რაჲთა დავიცვნეთ განსაცდელთაგან.

სტიქარონნი ამისვე წმიდისა მამისანი, ჳმაჲ ბ გუერდი ყოველი სასოებაჲ

მოვედით ერთი ხოროჲ, ხილული და უხილავი,
საღმრთოჲ და სულიერი ზეცისათა თანა დღეს
განვანყოთ, ერნო,
და შემოვკრბეთ ქებად
ქრისტეს მოღუანისა
ახოვნისა, რომელი-იგი შრომითა ოფლთაჲთა
ენყო სიყრმითგან მტერსა ბოროტსა

და შემუსრა ძალი მისი საჭურველითა უძლეველითა,
და ვევედრნეთ მას: ჰ სამგზის სანატრელო ილარიონ,
ნუ დასცხრები მეოხებად სამწყსოჲსა შენისათჳს!

სხუაჲ, გ გუერდი
მ ჯ დ ო მ ა რ ე თ ა ჲ

წმიდა გყო ღმერთმან საშოჲთგანვე დედისაჲთ,
ვითარცა პირველ – დიდი იერემია,
და ჭურად სინმიდისად გამოგაჩინა, მამაო,
და სასწაულთა ნიშებითა განგაშუენა,
და შენ მიერ სოფლისა მპყრობელი ბელიარ სირცხვლითა აღავსო
ყოვლით დასით მისითურთ, და სიღრმესა ბნელისასა დაანთქა.
ხოლო შენ, ნეტარო,
გვრგვნი ძლევისაჲ ბრწყინვალე დაგადგა,
ვითარცა მოღუანესა თჳსსა, ღმერთშემოსილო ნეტარო ილარიონ.

სხუანი, და გუერდი
ე დ ე მ თ ა ჴ ე და

სათნოებათა დიდთა საუნჯედ გამოსჩნდი, სანატრელო,
და მიემსგავსე პირველთა გამოცდილთა,
რამეთუ შეიტკბე სიყრმითგან სიმშჳდე იგი მოსესი,
და დავითისი ძკრუჴსენებლობაჲ, და ელიაჲსი მოღუანებაჲ
და სრული უპოვარებაჲ და, მსგავსად პავლესსა,
სიყუარული ყოველთა მიმართ მოგეგო, მამაო,
და ესრეთ საქმითა მოღუანებათა შენთაჲთა,
ვითარცა რაჲ ეტლითა აჰმალლდი წინაშე სამეებისა, მამაო ილარიონ,
მეოხ გუეყავ ჩუენ, შემსხმელთა შენთა.
ვითარცა მოციქულთა მეგობარი და მათ თანა მოსაგრე,
და ცათა შინა მათ თანა მოდასე,
ქუეყანასაცა ამას ჴედა მათ თანავე ჴიარ იქმენ
ზოგადსა სახლსა ღმრთისასა მკჳდრ ყოფად,

რომელსა-იგი შინა სხენან წმიდანი ნაწილნი შენნი
მადლისა მომცემელად ჩუენდა და სენთა საკურნებელად.
და აწ, სანატრელო, მათ თანავე ევედრე სამებასა წმიდასა
ღმრთისმშობლისა თანა და ყოველთა წმიდათა კრებულსა
მონიჭებად მშკდობაჲ და სულთა ჩუენთა დიდი წყალობაჲ.*

* საგალობელს ერთვის ავტორის, ზოსიმეს და გადამწერის შენიშვნები: „ლოც-
ვა-ყავთ, წმიდანი მამანო, ქრისტესმოყუარეთა პატიოსანთა ძმათათვის, რომელთა
სიტყვთ ვიიძულე გალობად მამისა ჩუენისა ილარიონისა მე, უღირსი ზოსიმე, რომე-
ლი-ესე არცათუ სახელისდებად მისა ღირს ვიყავ. თუ კეთილ იყვნენ, სასყიდელი მათი
არს, ხოლო ნაკლულევანებაჲ ჩემისა უსწავლელობისა მიერ არს“. „წმიდაო ილარიონ,
შემიწყალე მონაჲ შენი იაკობ. მღდლო ქრისტესო, და მწერალიცა შეიწყალე“.

[საგალობელი III]

1. თთუესა ნოემბერსა 19

თჳს ღირსისა მამისა ჩუენისა ილარიონ საკვრველთმოქმედისა

ცისკარ დიდ-ნათელ ჩუენდა გამოჰბრწყინდი შენ
ელვითა მდიდრად მოძღურებათაჲთა, ბრძენო,
წიგნთა თარგმნითა და სწავლათა ხუავითა,
წრფელ დოღმატითა აღგუავსენ მოწაფენი,
ჩუენ, შედგომილნი შენთა მოძღურებათანი.

ნაპრაღით კლდისაჲთ გარესჯისაჲთ, მამაო,
აღმაღლდი ზენა სიმაღლედ, ილარიონ,
ველით უდაბნოჲთ იორდანისაჲთ, დიდო,
ანგელოსთასა საზღვარსა მისწუეთ კნინლა.
აქ დაჰხედ, მზეო, იმსრბოლე ცად მესამედ.

საბუნებოჲსა სიყუარულისა სჯულსა
ჰკუეთდ მახვლითა, რომელ მიჰფინა სიტყუამ,
ცეცხლსა მათისა სურვილისასა სიბრძნით
ცეცხლისა მიერ სურვილისა საღმრთოჲსა
ჰშრეტდი სხუა ვინმე შეცურეული ბაბილონს.

აღმოსავალსა მიუთხრობს დასავალი
და ცანი – ცათა შრომათა შენთა, ბრძენო,
რამეთუ აქაჲთ დაღათუ აღმობრწყინდი,
დასავალადმდე შარავანდითა მისწუეთ
და ეკლესიით – პირმშოდმდი ეკლესიად.

* მძნობმან რა	იმსთო	აქაჲთგან	ცემად აღქატ,
არ შენდა	ლალმან,	ვინ ზე აღჰჳდი,	ეანტო,
მამათა	ან სამ	ილარიონ დიდ,	ვინ შენ
ადგილთ მათგან	რ ტ ო,	შენ გარნა	აქაჲთ წარჰჳდი,
ორ	ირის,	ე რ მ ი	ნიადაგ ძლევას იმოს.*

* კიდურწერილობა ზევიდან ქვევით: „მამაო ილარიონ, მოსავი შენი დაიცევ ანტო-ნიოს“.

2. თვს მამისა ილარიონ კახისა

ილარიონ არს თარგმანთა შორის პირველ,
რაჲცალა ვსცანთ მომთხრობელთაგან ჩუენთა
სახელნი ღირსთა მამათა თარგმანთანი;
ვინცა განცხადნეს უწყებითა აქამდე,
პირველ ამისა არავინ სადა ისმა.

იხარებს სული მსმენთა შენდა, მამაო,
იშუებს გონება, გარე-მიაქცევს ჭმუნვათ.
შენ მზე აღმოჰყედ აზიათ განათლებად,
განჰფინენ სხივნი ევროპის კიდურებად,
ახალს და ძუელს რომს ახარე შენდა მომართ.

დაღათუ ესე ფინიკიას მძოვრებდა,
იორდანისა უდაბნოთა მყოვრებდა,
მწეცთა ახლვიდა, შორად კაცთა შოვრებდა,
განჰმელ-გუალულთა ქუეყანათა ცხოვრებდა,
მაგრა მნათობი სოფლის კიდედ მთოვრებდა.

სიბრძნისმოყუარე, ყოვლად ბრძენ ილარიონ
გარესჯას შთასჭრის მღვმეს საცხოვრებელად,
წმიდას ქალაქსა მისრული იორდანედ,
მწეცთა საყოფელს თვსად-რე განიკუთნავს,
თესალონიკით ზენად აღისუფევენს.

იამბიკო

ქართუელთა მზე მნათი, უღმო ილარიონ,
სიბრძნისა სიწმოთ, თარგმნითა წერილთათ გუავსებს.
განჰმელს კაცს ჰნედლავს, მენიშობს დიდებული.
კლუად მზას ჴელს აწმობს ჯუარისა დამსახუელი,
მტუერსა მთას სწმიდავს, სულსა შეარვეჰბს.

თქმული ნიკოლოზ ტფილელის მიერ

საკუთარ სახელთა საძიებელი პირთა სახელები

აბრაჰამ (ღ 50:16; 65:26. Hym. II: 102) – აბრაამი, ებრაელთა პირველი მამამთავარი.

ადამ (Hym. I:98. Hym. II: 104) – ადამიანთა მოდგმის პირველი წინაპარი.

ალექსანდრე (ტ 30:13. ჟ 44:7. ლ 85:7) – ბიზანტიის იმპერატორის, ბასილი I მაკედონელის ძე.

ამალეკი (Hym. I:96) – ებრაელებთან დაპირისპირებული მეომარი ტომი.

ანნა (ტ 5:3) – სამოელ წინასწარმეტყველის დედა.

ანტონიოს (Hym. III:114) – ანტონ I კათოლიკოსი (1762-1827).

ბასილი ასიკრიტი / პროტოასიკრიტი / მონაზონი (ტ 34:18. ჟ 46:4. ლ 88:8).

ბასილი მაკიდონელი – იხ. ბასილი მეფე.

ბასილი კეისარი – იხ. ბასილი მეფე.

ბასილი მეფე (ტ 25:29-30; 26:32; 30:23; 31:22, 27. ჟ 42:30; 42:16; 44:12, 29. ლ 79:9-10; 81:21; 86:18; 87:7; 88:8. ო 90:23. ლ 91:18) – ბიზანტიის იმპერატორი, ბასილი I მაკედონელი (867-886 წწ.).

დავით (ტ 3:17; 8:27; 23:31. Hym. II:112) – დავით წინასწარმეტყველი.

ეგნატი (ტ 28:10) – კონსტანტინოპოლის პატრიარქი (867-877 წწ.).

ელია თესბიტელი / ელია წინასწარმეტყველი (ღ 58:25. ო 89:17. Hym. I:93. Hym. II:111; 112) – ელია წინასწარმეტყველი.

ენეა (ტ 21:8) – მოციქული პეტრეს მიერ განკურნებული დავრდომილი (საქმე მოციქულთა, 9: 34).

ეფთჳმი / ეფთჳმე შეყენებული / ეფთჳმიოს დაყუდებული (ტ 30:19; ჟ 44:10. ლ 86:5) – ექვთიმე თესალონიკელი (824-889 წწ.), ბასილ I მაკედონელთან დაახლოებული სასულიერო პირი.

ზოსიმე (Hym. II:113) – წმ. ილარიონისადმი მიძღვნილი საგალობლის (II) ავტორი.

თეოდორა (ტ 14:29) – ბიზანტიის იმპერატორის, მიხაელ III-ის დედა.

თეოდორე (ჟ 66:15) – წმ. თეოდორე, ხსენების დღე – მარხვის პირველი შაბათი.

თეოფილე (ტ 14:28) – ბიზანტიის იმპერატორი (828-842 წწ.), მიხაელ III-ის მამა.

იერემია (ტ 10:18. Hym. II:112) – იერემია წინასწარმეტყველი.

იესუ ქრისტე / ქრისტე (ტ 8:18; 9:28; 24:32; 26:14; 28:6. ჟ 37:3; 41:21; 42:8. ლ 47: 4; 48:21, 22; 51:3; 59:1; 62:17; 72:19; 76:8; 79:4, 26. Hym. I:92; 93; 97-99. Hym. II: 100; 101; 104; 111).

იაკობ (Hym. II:113) – წმ. ილარიონისადმი მიძღვნილი საგალობლის (II) გადამწერი.

იოანე მოციქული (ტ 21:5).

იოანე ნათლისმცემელი (ღ 59:1).

იობ (Hym. I:94).

იონა (Hym. I:95): იონა წინასწარმეტყველი.

ისაკ (ტ 18:12; 19:30) –
წმ. ილარიონის მონაფე.

ისაკ (ღ 50:16) – აბრაამის
ძე, ებრაელთა ერთ-ერთი
მამამთავარი.

კოსტანტინე (ღ 48:3-4) –
კონსტანტინე I დიდი (ჩვ. წ. 272–
337), რომის პირველი ქრისტიანი
იმპერატორი.

ლეონ (ტ 30:13. ჟ 44:6. ჟ 85:6)
– ლეონ VI ბრძენი, ბიზანტიის
იმპერატორი (886–912), ბასილი I
მაკედონელის ძე.

მარიამ ღმრთისმშობელი (ტ 9:30;
15:21. ჟ 37:4).

მიხაელ / მიქაელ (ჟ 14:27; 25:
30, 31) – ბიზანტიის იმპერატორი
მიხაელ III (842–867 წწ.), რომელიც
წოდებულ იყო „მომთრვალედ“
(Μετςσας).

მოსე (ტ 7:4; 10:7; 12:32. Hym.
I:96. Hym. II:112) – მოსე
წინასწარმეტყველი.

ნიკოლოზ ტფილელი (1672
-1732 წწ.) (Iamb.:116) – წმ.
ილარიონისადმი მიძღვნილი
საგალობლის ავტორი.

ნისტორ (Hym. II:107) –
ნესტორი (IV ს.), ერეტიკული
მიმდინარეობის, ნესტორიანობის
ფუძემდებელი.

პავლე (ტ 18:20; 19:23. ჟ 73:8.
Hym. I:98. Hym. II: 112) – პავლე
მოციქული.

პეტრე (ტ 18:20; 19:23; 21:5, 7; 24:22.
ღ 73:7. Hym. I:98. Hym. II:112) –
პეტრე მოციქული.

პროკოპი / პროკოპიე (ტ 26:11. ჟ
42:3-4. ჟ 80:14-15) – წმ. ილარიონის
მიერ განკურნებული ჭაბუკი.

რუისთველი ეპისკოპოსი /
ეპისკოპოსი რუისთვისაჲ (ტ 6:6. ჟ
36:5. ო 89:6).

სამოელ (ტ 5:3. ჟ 35:4. ჟ 49:16.
Hym. I:94. Hym. II: 101) – სამოელ
წინასწარმეტყველი.

ქრისტე – იხ. იესუ ქრისტე.

გეოგრაფიული სახელები

აზია (Hym. III:115).

ასურასტანი (ღ 57:16).

ბაბილონი (ღ 78:15. Hym. III:114).

ბეთლემი (ტ 8:17).

**გარეშჯა / გარეჯა / გარერჩა /
გარესჯა** (ტ 5:22. ჟ 35:16. ჟ 51:10;
61:19. ო 89:3. ჟ 91:3. Hym. III:114).

გოლგოთა (ტ 8:16).

დიმიტრის ეკლესია (ტ 20:18. ჟ
75:22) – III საუკუნის მონამის,
წმ. დიმიტრი თესალონიკელის
სახელობის ეკლესია
თესალონიკეში.

დავითის სამარტვლო (ღ 61:20-21)
– წმ დავით გარეჯელის საფლავის
ეკლესია გარეჯის ლავრაში.

ეგვტე (ტ 10:8; 12:33. Hym. I:97).

ევროპი (Hym. I:94. Hym. III:115) –
ევროპა.

**ზეთისხილის / ზეთისხილთა
მთა** (ტ 9:27-28; ჟ 37:1-2. ჟ 60:8)
– ზეთისხილის, ანუ ელეონის
მთა ძველი იერუსალიმის
აღმოსავლეთით.

თაბორის მთა (ტ 8:10. ჟ 36:29.
ღ 58:16, 18) – მთა ისრაელის
დაბლობზე, ქვემო გალილეაში.

თესალონიკე / თესალონიკი
(ტ 20:16-17; 23:5, 15; 25:24; 26:1, 29, 34; 27:6, 13; 31:4, 22. ყ 40:11; 41:31-32; 42:17; 44:24. უ 72:1; 73:9; 76:26; 80:1; 82:2; 83:7, 9-10; 86:23. თ 90: 13, 14, 18. უ 91:15, 18. Hym. I: 98. Hym. II:107. Hym. III:115).

იერუსალთმი / იერუსალიმი (ტ 7:25; 8:13; 14:19; 31:12, 15. ყ 36:19, 30. უ 57:12; 58:20; 71:4. თ 89:10, 15. უ 91:7).

ილურიკია (ტ 22:20-21) – ილირია, რეგიონი ბალკანეთის ნახევარკუნძულის დასავლეთში.

იოვანე ნათლისმცემელის ქუაბი იერუსალიმში (თ 89:16).

იორდანე / იორდანი (ტ 8:20; 9:13-14. ყ 36:32. უ 58:24. Hym. III:114; 115).

კარმელი (Hym. I: 93) – მთის მასივი ისრაელის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

კახეთი (ტ 4:33. ყ 35:2. უ 49:8. თ 89:1. უ 91:1).

კოსტანტინეპოლე / კოსტანტინეპოლი / კოსტანტინოპოლი (ტ 14:26-27; 18:13; 20:10; 26:29. ყ 38:10; 39:25; 40:10; 45:8. უ 66:2; 71:24; 73:9. თ 90:11. უ 81:19).

მაკედონია (უ 79:10).

მიქაელის ტაძარი (უ 84:18-19) – წმ. მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია სოსთენში.

რომანა – იხ. ჰრომანა.

რომი – იხ. ჰრომი.

საბას ლავრა / წმ. საბას ლავრა (ტ 8:22; 9:15-16. ყ 36:32. უ 58:22;).

სუსთენი / სოსთენი (ტ 33:29. უ

83:1; 84:19) – კონსტანტინოპოლის შემოგარენი, თანამედროვე სტენია.

ულომბა / ულომბო / ულონბო / ულუნბო / ულუმბო / ულუმბი (ტ 14:31; 17:2; 18:15; 21:16; 27:8. ყ 38:10; 39:12. უ 66:6; 69:22; 71:24-25; 82:3, 12. თ 90:6. Hym. I:91)

– მთა ბითვინიაში, მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთით.

ფინიკია (Hym. III:115).

ქართლი (ტ 4:32; 6:4; 12:18).

შამი / შამის ქუეყანა (ტ 7:27. ყ 36:19) – სირიის აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონი.

ჰრომანა / რომანა / ჰრომანი (ტ 29:Tit.; 30:3; 33:31. ყ 43:31; 45:27. უ 83:1; 84:21. თ 90: 25) – მოციქულთა სახელობის ქართველთა მონასტერი კონსტანტინოპოლის შემოგარენში, ბოსფორის სრუტის ევროპულ სანაპიროზე.

ჰრომე / ჰრომი (v. I. რომი) (ტ 18:19; 19:19, 26; 20:1, 7. ყ 39:26; 40:9, 10. უ 71:26. თ 90:12, 14. უ 91:13. Hym. I:94; 98. Hym. II: 106; 107. Hym. III:115) – ქალაქი რომი.

მანანა დოლაქიძე

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“
ძველი ქართული რედაქციები

შესავალი

მდიდარი და შინაარსიანი ცხოვრება განვლო შესანიშნავმა ქართველმა მოღვაწემ ილარიონ ქართველმა. სიცოცხლის უდიდესი ნაწილი მან საზღვარგარეთ გაატარა. მოიარა პალესტინა (იერუსალიმი, თაბორი, გოლგოთა, ბეთლემი, იორდანის უდაბნო, საბანმიდის ლავრა), ბითვინია (ოლიმპი), რომი, საბერძნეთი (კონსტანტინოპოლი, თესალონიკე), სადაც ის ეცნობოდა ქრისტიანული სამყაროს კულტურის უდიდეს კერებს, მათ კულტურულსა და ლიტერატურულ მიღწევებს, სამონასტრო ცხოვრების წესსა და რიგს. ყველგან, სადაც მოღვაწეობდა, იმსახურებდა დიდ პატივისცემასა და სიყვარულს, როგორც განათლებული და მაღალი ზნეობის მოძღვარი და სამონასტრო ცხოვრების შესანიშნავი ორგანიზატორი.

დიდი დამსახურება მიუძღვის მას საქართველოში (კახეთში) სამონასტრო ცხოვრებისა და მშენებლობის განვითარების საქმეში. აგიოგრაფთა მონაცემებისა და გ. ჩუბინაშვილის არქიტექტურული ანალიზის საფუძველზე კახეთში სავარაუდოა ილარიონ ქართველის ქტიტორულ მოღვაწეობასთან დაკავშირებული სამი ძეგლი: ფერისცვალების ეკლესია დავით-გარეჯის ლავრაში, ილარიონ ქართველის ე. წ. ფილიალი იმავე დავითის ლავრაში, აკურის მამა-დავითის დედათა მონასტერი.

მონასტერთა მაშენებელი, მონასტერთა წინამძღვარი (გარეჯისა და კახეთის სხვა, მის მიერ დაარსებული მამათა მონასტრისა), კახეთის დედათა და მამათა მონასტრებისათვის წესისა და კანონის დამდები — ასე წარმოგვიდგება ილარიონ ქართველის საქმიანობა მის შესახებ დანერჩილ აგიოგრაფთა თხზულებებში.

ქართველი სამონასტრო მოღვაწე მრავალი ყოფილა საქართველოშიც და საზღვარგარეთაც. მათ შორის მხოლოდ ერთეულებს დაუშკვიდრდათ ზედწოდება „ქართველი“ (პეტრე ქართველი, იოანე ქართ-

ველი, ექვთიმე ქართველი, გიორგი ქართველი, ანთიმოზ ივერიელი). მათ რიცხვს განეკუთნება ილარიონ ქართველიც. ეს დიდი პატივი განპირობებული იყო მათი საზღვარგარეთ მოღვაწეობით და მათი დიდი დამსახურებით ეროვნული კულტურის წინაშე.

ილარიონ ქართველის პიროვნების დიდ მნიშვნელობას, პოპულარობას და დიდ დამსახურებას ნიშნავს ის ფაქტიც, რომ მის სახელზე თხზულებების მთელი ციკლია შექმნილი.

ილარიონ ქართველის „ცხოვრებათა“ რედაქციებს არაერთი მკვლევარი შეხებია. კ. კეკელიძემ ამ საკითხს მიუძღვნა ფუნდამენტური შრომა. მაგრამ ჩვენამდე მოღწეულ მასალათა სიმცირის გამო ილარიონ ქართველის „ცხოვრებათა“ რედაქციებთან დაკავშირებული რიგი საკითხებისა საბოლოოდ გადანყვეტილად მაინც ვერ ჩაითვლება. არც ამ შრომის ავტორს აქვს პრეტენზია გადაჭრას ყველა საკამათო საკითხი.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია: ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ რედაქციათა ფილოლოგიური შესწავლის საფუძველზე წამოაყენოს მოსაზრებები მათი ურთიერთმიმართებისა და წარმომავლობის შესახებ; დააზუსტოს ილარიონის ბიოგრაფიის ზოგი მომენტი; დასასრულ, წარმოაჩინოს ამ ძეგლის ისტორიული და ლიტერატურული ღირებულება.

საკითხის ისტორიისათვის

ილარიონ ქართველის „ცხოვრებას“, როგორც ისტორიულ-ლიტერატურულ დოკუმენტს, პირველად შეეხო მ. ბროსე.¹ მისი აზრით, ილარიონ ქართველის „ცხოვრება“ თავდაპირველად დაწერილი ყოფილა ბერძნულად იმპერატორ ბასილ მაკედონელის ბრძანებით ბასილ მონაზონის მიერ, ხოლო შემდეგ იგი ქართულად უთარგმნია თეოფილეს. მ. ბროსე სარგებლობდა თეიმურაზ ბატონიშვილისეული ხელნაწერით, რომელიც შეიცავდა ილარიონ ქართველის „ცხოვრების“

¹ Brosset, *Catalogue des livres géorgiens*, pp. 141-142; Brosset, *Histoire de la Géorgie*, p. 273.

მეტაფრასულ Ⴑ რედაქციას.

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ რუსული თარგმანი გამოაქვეყნა ა. მურავიოვმა 1860 წელს. თარგმანის ბოლოს დართულ შენიშვნებში გამომცემელი უთითებს, რომ ეს „ცხოვრება“ მომდინარეობს ბესარიონ კათალიკოსისეული წმინდანთა „ცხოვრებების“ კოლექციიდან.¹ ჩვენი აზრით, ა. მურავიოვმა გარკვეული მოსაზრებით გადააკეთა მეტაფრასული რედაქციის ტექსტი.

მ. საბინინის აზრით, ილარიონ ქართველის ბერძნული „ცხოვრება“ ბასილ მონაზონისა ქართულად უთარგმნია თეოფილე ტარსუს მიტროპოლიტს დავით აღმაშენებლის ბრძანებით.² მ. საბინინს გამოთქმული აქვს მოსაზრებები ილარიონის ბიოგრაფიის თარიღების შესახებაც. ამაზე ქვემოთ.

ცნობებს ილარიონ ქართველის ბიოგრაფიის შესახებ გვანვდიან დ. ბაქრაძე,³ ა. ცაგარელი⁴ და მ. ჯანაშვილი.⁵

ილარიონ ქართველის ხსენება შეტანილია სერგის Месяцеслов-ში, იმ წმინდანთა სიებში, რომელთა ხსენებაც არ ყოფილა ბერძნული და რუსული ეკლესიების თვეწილობა და საღვთისმსახურო წიგნებში.⁶

ილარიონ ქართველის „ცხოვრებას“ ეხება ნ. მარიც.⁷

ილარიონ ქართველი მოხსენებულია ალბერტ ფოგტის მონოგრაფიაში ბასილ I მაკედონელის შესახებ.⁸

მონოგრაფიის ავტორი აღნიშნავს, რომ ილარიონი იყო კეთილშობილი და მდიდარი ოჯახის შვილი, იგი წავიდა კონსტანტინოპოლში, მოიარა ოლიმპი, პალესტინა, რომი, გარდაიცვალა თესალონიკეში. მის თანამემამულეთ ბასილ მაკედონელმა მისცა მონასტრის ასაშენებლად

¹ Муравьев, *Жития святых*, стр. 186.

² საქართველოს სამოთხე, გვ. 371.

³ ვახუშტი, საქართველოს ისტორია, გვ. 125.

⁴ Цагарели, *Памятники грузинской старины*, стр. 38-41, 126.

⁵ Джанашвили, *Грузинские обители вне Грузии*, стр. 19.

⁶ *Полный месяцеслов Востока*, т. II, ч. I, стр. 358. სერგი გვანდის ბიოგრაფიულ ცნობებსაც ილარიონის შესახებ, საიდანაც ირკვევა, რომ ის არ იცნობს ილარიონის „ცხოვრების“ ათონურ Ⴑ და Ⴑ, მეტაფრასულ Ⴑ და სვინაქსარულ რედაქციებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ცნობებისათვის სერგი სარგებლობდა რუსული გამოცემით.

⁷ Марр, *Агиографические материалы*, стр. 358; მისივე, „Исторический очерк грузинской церкви“, стр. 128.

⁸ Vogt, *Basile Ier empereur de Byzance et la civilisation Byzantine*, pp. 184, 295.

მინები, სოფლები და ტყეები. ასე დაარსდა „ქართული“ მონასტერი.

ილარიონ ქართველის „ცხოვრება“, კირიონ ეპისკოპოსის აზრით,¹ ბერძნულად დაწერა ბასილ პროტოასიკრიტმა და ფილოსოფოსმა ბასილ მაკედონელის ბრძანებით, ხოლო ბერძნულიდან ქართულად თარგმნეს თეოფანემ,² ხოლო — შემდგომ ექვთიმე ათონელმა, ივერთა მონასტრის წინამძღვარმა.

მართალია, კირიონ ეპისკოპოსი თავისი ცნობების წყაროდ „ცხოვრების“ ათონურ რედაქციას ო. ასახელებს, მაგრამ თვით ფაქტები გადმოცემული აქვს თითქმის მთლიანად საბინინის გამოცემის მიხედვით. კირიონი ეხება, აგრეთვე, ილარიონის ბიოგრაფიის საკითხებსაც.

ივანე ჯავახიშვილი საისტორიო გეოგრაფიის საკითხებთან დაკავშირებით მოიხმობს, აგრეთვე, ილარიონ ქართველის „ცხოვრებასაც“.³

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ვრცელი ათონური ო. რედაქციის ლათინური თარგმანი გამოსცა პ. პეტერსმა. თარგმანს უძღვის შესავალი წერილი საკითხის ისტორიის მიმოხილვით.⁴

პ. პეტერსი აღნიშნავს, რომ ბერძნულ აგიოგრაფიას არ შემოუნახავს არავითარი მოგონება ილარიონ ქართველზე. მისი სახელი არ იხსენიება ბერძნულ სვინაქსარში; ილარიონ ქართველის კულტს არ დაუმჩნევია მცირედი კვალიც კი ბერძნულ საეკლესიო კალენდარსა და ლიტურგიაში. პ. პეტერსი აღნიშნავს, აგრეთვე, რომ ილარიონის „ცხოვრება“ არ უნდა იყოს განკუთვნილი ბერძენი მკითხველისათვის, იგი დაწერილია ეროვნული სულისკვეთებით. მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ათონური რედაქცია შედგენილია ქართულ ენაზე რომანას ქართული მონასტრის რომელიმე სწავლულის მიერ. პ. პეტერსს დადგენილი აქვს, აგრეთვე, ილარიონ ქართველის ბიოგრაფიის თარიღები ვრცელი ათონური ო. და მეტაფრასული ო. რედაქციების მიხედვით.

ქრ. ლოპარევის⁵ აზრით, ილარიონის „ცხოვრება“ დაწერილია

¹ Еп. Кирион, *Культурная роль Иверии в истории Руси*, стр. 30-31.

² ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 66, 68 (რედ.).

³ ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, I-II, გვ. 285; II, გვ. 30.

⁴ Peeters, “S. Hillarion d’Ibérie”, pp. 236-243; Peeters, *Le tréfonds oriental de l’hagiographie byzantine*, pp. 159-160.

⁵ Лопарев, *Греческие жития святых VIII и IX веков*, стр. 56-63.

იმპერატორ ბასილ მაკედონელის (867-886 წწ.) შეკვეთით ნმინდანის მონაფის, ბასილ მონაზონის მიერ ბერძნულ ენაზე. ქრ. ლოპარეც ხელთ ჰქონია ილარიონის „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია (საბინინისეული გამოცემა) და ვრცელი ათონური რედაქცია (ავგუსტინ მოვეიონის თარგმანი). ამის შედეგად ქრ. ლოპარეცის თხრობა შერწყმულ ხასიათს ატარებს, მასში მოტანილია ფაქტები როგორც ვრცელი ათონური Ⴀ, ასევე მეტაფრასული Ⴁ რედაქციებიდან.

ქრ. ლოპარეცი ვრცლად ეხება, აგრეთვე, ილარიონ ქართველის ბიოგრაფიის თარიღებს.

ა. რუდაკოვი განიხილავს ბიზანტიაში ქართული ემიგრაციის საკითხს.¹ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იგი ილარიონ ქართველისა და ექვთიმე იბერიის „ცხოვრებებს“. იქვე გადმოგვცემს მთავარ ფაქტებს ილარიონის „ცხოვრებიდან“.

მისი აზრით, კოსტანტინოპოლში IX საუკუნის ბოლოს არსებობდა მნიშვნელოვანი ქართული კოლონია, რომლისთვისაც შეიქმნა ილარიონის ქართული „ცხოვრება“. ა. რუდაკოვიცა და პ. პეტერსიკ ბასილ მონაზონს ქართველად თვლიან, ხოლო მის მიერ დაწერილი თხზულება ქართულ ენაზე შექმნილად მიაჩნიათ.

კ. კეკელიძემ 1919 წელს გამოაქვეყნა წერილი „ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან (ცხოვრება ილარიონ ქართველისა)“. კ. კეკელიძის აზრით, ილარიონ ქართველის „ცხოვრება“ პირველად დაუწერია ბერძნულად ბასილ პროტოასიკრიტს ე. წ. ენკომიის სახით, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ენკომია საფუძვლად დასდებია ქართულ „ცხოვრებას“, რომელიც სამ რედაქციად შემონახულა. ვრცელი ათონური Ⴀ რედაქცია, რომელიც წარმოადგენს ნახევრად ორიგინალურს, ნახევრად ნათარგმნ ნაწარმოებს, დაწერილი უნდა იყოს, მისი აზრით, ექვთიმე მთაწმინდლის მიერ 991 წელს. მეტაფრასული Ⴁ რედაქცია ვრცელი ათონური Ⴀ რედაქციის გადაკეთებას წარმოადგენს. იგი შექმნილი უნდა იყოს XI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ. სვინაქსარული რედაქცია, რომელიც წარმოადგენს ვრცელი ათონური და მეტაფრასული რედაქციების სინთეზს, შეტანილია გიორგი მთაწმინდლის „დიდ სვნაქსარში“ XII საუკუ-

¹ Рудаков, *Очерки византийской культуры*, стр. 55.

ნის დამდეგს უცნობი ავტორის მიერ.¹

ცნობები ილარიონ ქართველის შესახებ მოცემული აქვს, აგრეთვე, გრიგოლ ფერაძეს.²

მ. სიუზუმოვი გაკვრით ეხება ილარიონ ქართველის „ცხოვრებას“.³

მ. ზაბოროვი იხსენიებს ილარიონ ქართველის „ცხოვრებას“, როგორც ბერძნული თხზულების ქართულ თარგმანს.⁴

ძველი ქართული მწერლობის კერების მიმოხილვასთან დაკავშირებით ლ. მენაბდე ეხება ილარიონ ქართველის „ცხოვრებასაც“.⁵

ი. მარტინოვის მიერ 1863⁶ წელს გამოცემულ ბერძნულ-სლავურ „საეკლესიო წელიწადში“⁷ 19 ნოემბერს სხვა წმინდანების გვერდით შეტანილია ილარიონ ქართველის მოკლე ბიოგრაფია. როგორც ჩანს, ი. მარტინოვს უსარგებლია ა. მურავიოვისა და მ. საბინინის რუსული გამოცემებით.

მ. ლორთქიფანიძე 1963 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში⁸ განიხილავს ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ზოგიერთ საკითხს.

Dictionnaire de spiritualité-ში ილარიონ იბერის „ცხოვრება“ შეტანილია ქართულ თარგმნულ ძეგლებში. იქვე ნათქვამია: „შესაძლოა ქართული ორიგინალური თხზულება იყოს“.⁹

ბ. ლომინაძე 1966 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში¹⁰ ვრცლად ეხება ილარიონ ქართველის „ცხოვრებას“. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

სვინაქსარული რედაქციების მიმოხილვასთან დაკავშირებით ე. გაბიძაშვილი ვრცლად ეხება ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ რე-

¹ კეკელიძე, „ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან“, გვ. 39-57.

² Peradze, „Georgian influences on the cultures of the Balkan peoples“, p. 15.

³ Сюзюмов, *Проблемы иконоборчества*, стр. 72.

⁴ Заборов, „Рецензия на книгу М. Я. Сюзюмова, «Проблемы иконоборчества»“, стр. 200.

⁵ მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, I, გვ. 280-281.

⁶ გამოცემაში მითითებულია 1963 წელი. სინამდვილეში ეს ნაშრომი გამოცემულია 1863 წელს (რედ.).

⁷ *Annus ecclesiasticus graeco-slavicus*, p. 283.

⁸ ლორთქიფანიძე, *ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება*, გვ. 277-279.

⁹ *Dictionnaire de spiritualité*, t. 5, fasc. XXXIX-XL, p. 253.

¹⁰ ლომინაძე, *ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან*, I, გვ. 15, 39.

დაქციათა ურთიერთმიმართების საკითხს.¹

ბ. კილანავა სადისერტაციო ნაშრომში განიხილავს ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ატრიბუციის საკითხს.²

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვამ დაგვანახა, რომ ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ შესახებ ბევრი დანერილა. ნაწარმოები იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას სხვადასხვა თვალსაზრისით. ქართული ტექსტები, რუსული და ლათინური თარგმანი „ცხოვრებისა“ გამოიცა სხვადასხვა დროს.

მაგრამ ილარიონ ქართველის „ცხოვრება“ მონოგრაფიული შესწავლის საგანი არ ყოფილა. მკვლევართა უმრავლესობას გამოთქმული აქვს ზოგადი მოსაზრებები თხზულების შესახებ, ძეგლის საფუძვლიანი შესწავლა ეკუთვნის მხოლოდ კ. კეკელიძეს. მიუხედავად იმისა, რომ მან ყოველმხრივ შეისწავლა ეს საკითხი, შემდგომი კვლევის საჭიროება არ მოხსნილა: საქმე ის არის, რომ კ. კეკელიძის წერილის გამოქვეყნების დროს არ იყო მიკვლეული „ცხოვრების“ მოკლე რედაქცია, რომელიც 1946 წელს აღმოაჩინა ს. ყუბანეიშვილმა.

თხზულების კრიტიკული ტექსტის დადგენამ, ყველა ვრცელი და მოკლე რედაქციისა და საგალობლის თავმოყრამ, მასალის ახლებურმა დანახვამ, ბუნებრივია, დააყენა საკითხი არსებული მოსაზრებების გადასინჯვა-დაზუსტებისა, მასალის ხელახალმა შემოწმებამ მიგვიყვანა ახალ დასკვნებამდე.

კვლევის დროს გამახვილებულ იქნა ყურადღება ისეთ ძირეულ საკითხებზე, როგორებიცაა: ძეგლის წარმომავლობა, არსებული რედაქციების ურთიერთმიმართება, ქართველთა სამონასტრო კოლონიზაცია, ილარიონ ქართველის ბიოგრაფიის თარიღები და სხვ. აღნიშნული საკითხები დანვრილებით განხილული იქნება ქვემოთ.

ილარიონ ქართველის სახელზე შექმნილია: „ცხოვრების“ ორი ვრცელი რედაქცია (ვრცელი ათონური — **ჯ** და მეტაფრასული — **ღ**), ორი სვინაქსარული, მოკლე რედაქცია **ყ** და სამი საგალობელი.

ვრცელი ათონური რედაქცია აღნიშნული გვაქვს **ჯ** ლიტერით.

მოკლე ათონური რედაქცია — **ყ** ლიტერით.

¹ გაბიძაშვილი, *სვინაქსარული რედაქციები*, გვ. 134-154.

² კილანავა, *ქართული აგიოგრაფიის კიმენურ რედაქციათა ავტრიბუციისათვის*, გვ. 143-184.

მეტაფრასული რედაქცია — Ⴆ ლიტერით.

სვინაქსარული რედაქცია — Ⴆ ლიტერით.

„ცხოვრების“ აღნიშნული ოთხი რედაქციის გარდა, განხილული გვაქვს ილარიონის სახელზე შეთხზული ორი საგალობელი: ერთის ავტორია ზოსიმე, მეორისა — უცნობი ჰიმნოგრაფი.

აღნიშნული მასალა XII საუკუნემდე არის შექმნილი.

გვიანდელ ძეგლებს — ანტონ კათალიკოსის საგალობელსა და „ცხოვრების“ მეორე სვინაქსარულ რედაქციას¹ — არ ვეხებით.

ხელნაწერების მოკლე დახასიათება

Ⴆ რედაქცია

A — ხეც A-558, 1074 წელი. გამოცემულია მ. ჯანაშვილის მიერ „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით“ სახელწოდებით.²

Ⴇ რედაქცია

K — ხეც Q-762, XIII-XIV საუკუნეები; ნაწერია ქალაქდზე ნუსხურით. გადამწერია თეოდორე (294r). ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადასცა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.³

L — ხეც A-518, 1708 წელი. ნაწერია ქალაქდზე ნუსხურით. შეიცავს წმინდანთა ცხოვრებებს და სხვა თხზულებებს. გადამწერია დიმიტრი კავკასიძე, პეტრეს და გუდიას შვილი (521v).⁴

¹ წარმოდგენილ ნაშრომში ვაქვეყნებთ ილარიონის „ცხოვრების“ ანტონ კათალიკოსისეულ სვინაქსარულ ვერსიას ლიტერით Ⴆ (გვ. 91), ასევე, მის საგალობელს ლიტერით Hym. (გვ. 114-115). (რედ.).

² აღწერილობა (*A კოლექცია*), II, გვ. 145-153 (რედ.).

³ აღწერილობა (*Q ფონდი*), II, გვ. 207-210 (რედ.).

⁴ აღწერილობა (*A კოლექცია*), II, გვ. 89-102 (რედ.).

II. რედაქცია

I — ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი H-22. ნაწერია ქალაქდზე ნუსხურით. შეიცავს წმინდანთა „ცხოვრებებს“, XII-XIII საუკუნეები. ილარიონ ქართველის „ცხოვრებას“ სათაურის შემდეგ აქვს მინაწერი „თარგმანი თეოფილე“.¹

A — ხეც A-130, 1713 წელი. შეიცავს ქართველ წმინდანთა „ცხოვრებებსა“ და საგალობლებს. ნაწერია ქალაქდზე ნუსხურით. გადამწერია გაბრიელ საგინაშვილი. გადანერილია დავით-გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში, დამკვეთნი მამა ხარიტონ და ბესარიონ ორბელიანი.²

B — ხეც A-70; ნაწერია ქალაქდზე ნუსხურით, შეიცავს ქართველ წმინდანთა ცხოვრებებს. გადანერილია 1733 წელს თბილისში. გადამწერია იოვანე მთავარდიაკვანი, რედაქტორი — ბესარიონ ორბელიანი.³

C — ხეც A-176; ნაწერია ქალაქდზე ნუსხურით. შეიცავს ქართველ წმინდა მამათა ცხოვრებებს. გადანერილია 1743 წელს კახ-მდივნის შვილის იოანეს (336r) მიერ დავით-გარეჯის მონასტერში, დამკვეთია ნეკრესელი მიტროპოლიტი იოანე. დომენტი კათალიკოსის მიერ სხვა ზომის ფურცლებზე ჩამატებულია ილარიონ ქართველისა და იოანე ათონელის სახელზე დაწერილი საგალობლები.⁴

D — ხეც H-2077; ნაწერია ქალაქდზე ნუსხურით, შეიცავს წმინდანთა ცხოვრებებს, გადანერილია 1736 წელს სვეტიცხოვლის დეკანოზ ალექსის მიერ (334v). მიღებულია მოსკოვის ცენტრარქივიდან 1922 წელს. გადანერილია ბესარიონ ორბელიშვილის კათალიკოსობის დროს. ხელნაწერი შეიცავს წმინდანთა 26 სურათს.⁵

E — ხეც H-1672; შეიცავს ქართველ წმინდანთა „ცხოვრებებს“. ნაწერია ქალაქდზე ნუსხურით. გადანერილია სიონის მთავარდიაკვნის აჰრონის მიერ (490v) თბილისში 1740 წელს.⁶

¹ ცერაძე, ხოფერია, *აღწერილობა*, გვ. 33-39 (რედ.).

² *აღწერილობა (A კოლექცია)*, I, გვ. 137-145 (რედ.).

³ *აღწერილობა (A კოლექცია)*, I, გვ. 243-251 (რედ.).

⁴ *აღწერილობა (A კოლექცია)*, I, გვ. 278-286 (რედ.).

⁵ *აღწერილობა (H კოლექცია)*, V, გვ. 44-47 (რედ.).

⁶ *აღწერილობა (H კოლექცია)*, IV, გვ. 101-105 (რედ.).

F — ხეც Q-300; შეიცავს მამათა და დედათა „ცხოვრებებს“, XIX საუკუნე. ნაწერია ქალაღდზე მხედრულით. შეძენილია ვასილ კარბელაშვილისაგან.¹

G — ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი M-21. ნაწერია ქალაღდზე მხედრულით. შეიცავს წმიდანდთა „ცხოვრებებს“, XVIII საუკუნე.²

H — საქართველოს ცენტრარქივის ხელნაწერი #402, ნაწერია ქალაღდზე მხედრულით. გადამწერია გრიგოლ ვაჩნაძე. გადანერილია 1315 წელს დავით-გარეჯაში.

სვინაქსარული ო რედაქციის შემცველი ხელნაწერები

A — ხეც A-626, XI საუკუნე, ნაწერია ეტრატზე ნუსხურით, შეიცავს გიორგი მთაწმინდლის თარგმნილ სვინაქსარს.

B — ხეც A-222, XII საუკუნე, ნაწერია ეტრატზე ნუსხურით, შეიცავს გიორგი მთაწმინდლის თარგმნილ სვინაქსარს.³

C — ხეც A-839, XII-XIII საუკუნეები, ნაწერია ეტრატზე ნუსხურით. შეიცავს გიორგი მთაწმინდლის თარგმნილ სვინაქსარს. ხელნაწერი მუზეუმს გადასცა ქსნის ერისთავის ქალმა ანამ.

D — ხეც A-426, სადღესასწაულო, XVI საუკუნე. ეკუთვნოდა მცხეთის სობოროს. ხელნაწერი თავდაპირველად გულანის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო.⁴

E — ქსიმ K-65, სვინაქსარი, XVI საუკუნე. ნაწერია ქალაღდზე ნუსხურით. გადამწერია გრიგოლი (307v), დამკვეთი — ლუარსაბ მეფე, შემოსულია ჯრუჭის მონასტრიდან.⁵

¹ აღწერილობა (*Q ფონდი*), I, გვ. 313-316 (რედ.).

² ცერაძე, ხოფერია, აღწერილობა, გვ. 104-139 (რედ.).

³ აღწერილობა (*A კოლექცია*), I, გვ. 29-32 (რედ.).

⁴ აღწერილობა (*A კოლექცია*), II, გვ. 82-86 (რედ.).

⁵ აღწერილობა (*ქუთაისი*), I, გვ. 199-200 (რედ.).

F — ხეც H-936, გულანი, XVI-XVII საუკუნეები. ნანერია ქალაქზე ნუსხურით. გადამწერები: იორდანე (36r), საბა მღვდელი, დამკვეთი — იმერეთის მეფე ბაგრატე, განმარტებული — დედოფალი მარიამი, დადიანის ასული, ჩამოტანილია სოფ. ჭალიდან სოლომონ ჩოლოყაშვილის მიერ.¹

G — ხეც A-425, სადღესასწაულო, 1718 წელი. ნანერია ქალაქზე ნუსხურით. შემდგენელია კათალიკოს-პატრიარქი დომენტი. ხელნაწერი მოხვედრილა ისპაჰანში, სადაც შეუძენია მგალობლიშვილს და მიუძღვნია ალავერდის ტაძრისათვის 1784 წელს. ხელნაწერი გადამწერილია სამი ხელით. ხელნაწერი ღირსშესანიშნავია იმიტომ, რომ მითითებულია თითქმის ყველა წმინდანის გარდაცვალების წელი.²

H — Jer. georg. 80, გიორგი ათონელის სვინაქსარი, XII-XIII საუკუნეები. ნანერია ეტრატზე ნუსხურით. ილარიონის სვინაქსარული „ცხოვრება“ ჩამატებულია XIV საუკუნის ხელით.³

I — საქართველოს ცენტრარქივის ხელნაწერი, ფონდი 1446, №302, გულანი (ე. წ. შიომღვიმისა), 1706 წელი, ნანერია ქალაქზე ნუსხურით, თავბოლონაკლული. გადამწერია გაბრიელი. ჩამოტანილია 1923 წელს შიომღვიმის მონასტრიდან.

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ წარმომავლობის საკითხისათვის

ვრცელ ათონურ ორდენის⁴ წამძღვარებული აქვს აგიოგრაფიული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი ზოგადი ხასიათის შესავალი, სადაც შესხმულია „წმინდა წერილთა სიტყუანი“, რომელნიც „სწავლის-მოყუარეთა“ კრებულს აღუძრავენ წმინდანების მიბაძვის სურვილს. სწორედ ასეთ, მიბაძვის სურვილის აღმძვრელ წმინდანთა

¹ აღწერილობა (*H კოლექცია*), II, გვ. 309-311 (რედ.).

² აღწერილობა (*A კოლექცია*), II, გვ. 59-82 (რედ.).

³ Blake, „Catalogue des manuscrits géorgiens ... à Jérusalem“, III, p. 411.

⁴ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით, გვ. 69-108; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 9-37.

რიცხვს განეკუთვნება „ყოვლად საწადელი და სასურველი მამაჲ ჩუენი ილარიონ“. ავტორი ასე ასრულებს შესავალს – „არა თუ შესხმისა გზა გვპყრიეს, არამედ აღწერად ცხოვრებისა მოსწრაფე ვართ“-ო, და იწყებს თხრობას ილარიონის ცხოვრებისა და მოქალაქობის შესახებ.

ბიოგრაფი მოგვითხრობს, რომ ილარიონი, წარმოშობით ქართველი, დაიბადა ქართლში, კახეთის მხარეში, მდიდარ და წარჩინებულ აზნაურთა ოჯახში. მშობლებს, რომელთაც სხვა შვილებიც ჰყოლიათ, ილარიონი სიყრმიდანვე აღუთქვამთ „ღმრთისადა“.

ექვსი წლის ილარიონი სასწავლებლად მიუბარებიან „ღმრთის-მოყუარე“ მოძღვრისათვის, რომელიც დღე და ღამე წვრთნიდა ილარიონს და ასწავლიდა „წიგნთა სულიერთა“.

როდესაც მამამ დაინახა ილარიონის მონდომება, „იწყო ყოვლისავე საწმრისა მიცემად უბუებით“ და იწყო მონასტრის შენება. მონასტერში შეიკრიბა თექვსმეტი ძმა.

თხუთმეტი წლის ასაკში ილარიონი წავიდა გარეჯის უდაბნოში, ნახა იქ მრავალი მოღვაწე და დაემკვიდრა მცირე „ქუაბში“ მათ მახლობლად, მან შეიწყნარა თერთმეტი ძმა.

ილარიონის ღირსების ხმა მთელ ქართლს მოედო. რუისთველმა ეპისკოპოსმაც შეიტყო მისი სათნოების ამბავი და წავიდა „მოკითხვად მისდა“. ეპისკოპოსმა, ილარიონის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მღვდლად აკურთხა იგი.

შორეული ქვეყნიდან მრავალნი მოდიოდნენ ილარიონის სანახავად. ამის გამო მან გადაწყვიტა თავი დაეღწია კაცობრივი დიდების ამაოებისათვის, გასცლოდა იქაურობას და მოეხილა წმინდა ადგილნი. გამოარჩია ძმათაგან ერთი, რომელიც ყველას აღმატებოდა სათნოებით, დატოვა იგი წინამძღვრად თავის ნაცვლად, წაიყვანა თან ერთი მოწაფე და გაემართა იერუსალიმისაკენ. შამის ქვეყანაზე (ასურეთი) გავლის ჟამს მას თავს დაესხნენ „ნათესავნი ბარბაროზნი“, იშიშვლეს მახვილები ილარიონის მოსაკლავად, მაგრამ „მეყსეულად განჴმეს ჴელნი მათნი“.

ილარიონის მიერ სასწაულებრივ განკურნებულმა ავაზაკებმა მოართვეს მას პური და კერატი, აღუთქვეს, რომ მონაზვნებს ასე არასდროს აღარ მოექცეოდნენ, ხოლო ერთმა მათგანმა თაბორის მთამდე მიაცილა ისინი.

პალესტინაში ილარიონმა და მისმა მოწაფემ მოილოცეს წმინდა

ადგილნი: გოლგოთა, ქრისტეს საფლავი, ბეთლემი, მდინარე იორდანე, იორდანის უდაბნოს მონასტრები და საბანძინდის ლავრა, სადაც შვიდი წელი გაატარეს ღვანლსა და შრომაში. აქ ილარიონი „სამარადისოდ ხედვასა ღმრთისასა შეესაკუთრა“. მისმა სათნოებამ და სულიერმა სრულყოფილებამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია; საგანგებოდ აღნიშნულია, რომ იგი „მესამესა მას სისრულისა ხარისხსა აღსრულ იყო“.¹

ერთ ღამეს ილარიონმა ჩვენებით იხილა ღვთისმშობელი და მისი მოწოდების თანახმად გაეშურა სამშობლოსკენ, სადაც მამა და ძმანი აღსრულებულნი დახვდნენ. დედამ ილარიონს მიართვა მამის „მონაგები“. ილარიონმა ააშენა დედათა მონასტერი და მონაზვნად აღკვეცა დედა. ამ მონასტერს მან შესწირა რამდენიმე სოფელი და დაუდო წესი და კანონი. იგი მოძღვრად და მამად ექცა თავის ხორციელ დედას.

ილარიონმა ააშენა, აგრეთვე, მამათა მონასტერი, შეკრიბა იქ სამოცდათექვსმეტი ძმა, განუწესა წესი და კანონი, შესწირა წმინდა წიგნები და სოფელნი, თავისი მამულისაგან „დაშთომილნი“. დარჩენილი ნაწილი მამულისა გლახაკებს და უღონოებს გაუნაწილა.

გავრცელდა ილარიონის სათნოებათა და სასწაულთა ამბავი, ილარიონის სანახავად ხალხმა ნაკადად იწყო დენა, რის გამოც ილარიონს საშუალება აღარ ჰქონდა „დაყუდებისა“. მთავარსა და ხალხს მისი ეპისკოპოსად კურთხევა სურდათ. მაშინ მან გადაწყვიტა გასცლოდა იქაურობას. გამოარჩია მონასტრის ძმათაგან ერთი, სიბრძნით სავსე და „შემძლებელი მწყსად პირმეტყუელთა ცხოვართა“, დაადგინა წინამძღვრად და ორ მონაფესთან ერთად გაემართა კონსტანტინოპოლისაკენ მიხეილ III-ის² მეფობის დროს. გზად შეიარეს ულუმბოს (ბითვინიის) მთის ეკლესიაში. მონასტრის მამასახლისმა გაძევება დაუპირა მათ, მაგრამ ჩვენების ხილვის შემდეგ (ღვთისმშობელმა იგი შერისხა უცხოთა განტევების გამო) მოინანია თავისი საქციელი და დატოვა ისინი. აქ ილარიონმა სასწაულის გზით განკურნა მამასახლისის ფეხმტკივანი ნათესავი.

ულუმბოს მთაზე ილარიონს დახვედრია სამი ქართველი, რომელთაგან ერთი კარგად ფლობდა ბერძნულს. ხუთი წლის შემდეგ

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 14; აქვე, გვ. 129.

² გამოკვლევაში დასახელებულია მიხეილ IV პაფლაღონელი, რომელიც მეფობდა უფრო გვიან — 1010-1041 წლებში (რედ.).

ილარიონმა ოთხი ქართველი მოწაფე დატოვა ულუმბოს მთაზე, თან წაიყვანა მოწაფე ისაკი და წავიდა კონსტანტინოპოლში, იქიდან გაემგზავრა რომში პეტრეს და პავლეს სამარხის თაყვანსაცემად. თოთხმეტი დღის სიარულის შემდეგ ერთ ქალაქში სასწაულებრივ განკურნა ვენახთან მჯდომი „მკელობელი“.

რომში ილარიონმა მოიხილა პეტრე-პავლეს ტაძარი, ორი წელი გაატარა იქ და ისევ კონსტანტინოპოლისაკენ გაემურა, გზად შეიარა თესალონიკეში და თაყვანი სცა წმ. დიმიტრის სამარტვილოს. მან სასწაულებრივ განკურნა თესალონიკის მთავრის მხევლის ოთხი წლის ვაჟი. მადლობისა და პატივის ნიშნად თესალონიკის მთავარმა მას აუშენა ეკლესია. ილარიონის მოღვაწეობის ამბავი მთელ ილურიკიას მოედო. აქვეა აღწერილი ერთ-ერთი სასწაული: მან დაუსწრებლად გაათავისუფლა ბორკილგაყრილი თესალონიკელი დიაკვანი.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ცხრამეტ ნოემბერს, შაბათ დღეს, ილარიონი გარდაიცვალა თესალონიკეში ორმოცდაცამეტი წლის ასაკში.

ბასილ მაკედონელმა შესთავაზა ილარიონის ულუმბოელ მოწაფეებს აერჩიათ რომელიმე მონასტერი საცხოვრებლად, მაგრამ ქართველმა მოღვაწეებმა ითხოვეს უდაბნო ადგილი მონასტრის ასაშენებლად. არჩეულ იქნა ტყიანი და წყაროებიანი ადგილი რომანას ხეობაში. მონასტრის მშენებლობაში თვით მეფეც იღებდა მონაწილეობას. ეკლესიისა და მონასტრის შენება შვიდ თვეში დასრულდა. შვიდ ოქტომბერს მოეწყო სატფურება (ეკლესიის კურთხევა) მეფე ბასილ მაკედონელისა და პატრიარქ ეგნატე კონსტანტინოპოლელის მონაწილეობით.

მეფემ მონასტერს შესწირა ოქროს და ვერცხლის ჭურჭელი, სოფლები, ქულბაგნი, მეტოქი, ტყენი, მან გამოყო თავისთვის სენაკი, დადგა ლოგინი საგებლითურთ, სანიგნეები ნიგნებით (სახარება, სამოციქულო). მონასტერს ეწოდა რომანას ქართველთა მონასტერი.

მეფემ მოუყვანა ილარიონის მოწაფეებს თავისი შვილები, ლეონ და ალექსანდრე, ჩააბარა მათ და სთხოვა ესწავლებინათ მათთვის ქართული ენა.

ექვთიმე შეყენებულის (ექვთიმე თესალონიკელი¹) ეპისტოლის გავლენით, ბასილ მაკედონელმა გადმოასვენებინა ილარიონის ნაწილ-

¹ გამოკვლევაში ხშირად „თესალონიკელის“ მნიშვნელობით გამოყენებულია „სოლუნელი“, როგორც ჩანს, რუსული სამეცნიერო ლიტერატურის გავლენით (რედ.).

ნი თესალონიკიდან კონსტანტინეპოლში თესალონიკის მკვიდრთა აღ-
შფოთებისა და წინააღმდეგობის მიუხედავად. კონსტანტინოპოლიდან
ილარიონის ნეშტი გადაასვენეს რომანას ქართველთა მონასტერში. ეს
მოხდა შვიდ დეკემბერს.

მეფემ ყოველდღიურად განუწესა ეკლესიას თორმეტი დრაჰკანი,
რათა ექვსი კანდელი მარად ანთებული ყოფილიყო მოციქულთა ნაწი-
ლებთან, ხოლო სამი კანდელი — წმ. ილარიონის ნაწილებთან; სასახ-
ლიდან ყოველდღიურად ორი სეფისკვერი უნდა მიეცათ, ხოლო მონა-
ზონთ სასამოსლედ უნდა მისცემოდათ ორი ლიტრა ოქრო.

ბოლოს აღნიშნულია, რომ ბასილ პროტოასიკრიტმა, ფილო-
სოფოსმა და მონაზონმა აღწერა ცხოვრება ილარიონ ქართველისა,
„ვითარცა ისწავა მონაფეთაგან წმიდისათა, კაცთა უტყუველთა და
ჭემმარიტთა“.

ასეთია მოკლედ ვრცელი ათონური Ⴀ რედაქციის შინაარსი.

იგივე ამბავი არის გადმოცემული მოკლე ათონურ Ⴁ და მეტა-
ფრასულ¹ Ⴂ რედაქციებშიც.

როგორც უკვე ითქვა, მკვლევართა უმრავლესობა თავდაპირველ
თხზულებას ბერძნულ ენაზე შექმნილად მიიჩნევს: კ. კეკელიძე ამ მო-
საზრებას დებულებად აქცევს ექვთიმე ათონელის ანდერძის საფუძ-
ველზე, რომელიც ახლავს ათონის X საუკუნის ხელნაწერში (ბლეიკით
79)² მოთავსებულ ილარიონის „ცხოვრებას“.

ნ. მარის მიერ გამოქვეყნებული ნაწყვეტი ამ ანდერძისა ასე იწყე-
ბა: „წიგნი ბერძნულისაგან ქართულად ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩე-
მისა იოვანესითა... დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი მთასა წმიდასა ათონას,
საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა და გასრულდა გლახაკისა
ექთიმეს მიერ“.³

აქედან გამომდინარე, კ. კეკელიძე წერს, რომ ილარიონ ქარ-
თველის სახელზე ბერძნულად დაიწერა შესხმითი თხზულება ხოტ-
ბა-ენკომია, ბერძნულიდან იგი გადმოკეთებულ-გადმოთარგმნილ იქნა
ქართულად ექვთიმე ათონელის მიერ ვრცელი ათონური რედაქციის

¹ საქართველოს სამოთხე, გვ. 371-392; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერა-
ტურის ძეგლები, III, გვ. 208-248.

² ათონური ხელნაწერის (ბლეიკით 79) დათარიღების შესახებ იხ. აქვე, გვ. 137, შენ. 4.

³ Март, *Агиографические материалы*, стр. 86.

სახით და რომ ეს რედაქცია წარმოადგენს ნახევრად ორიგინალურ, ნახევრად ნათარგმნ თხზულებას.¹

კვლევამ ყველა პუნქტი ამ მოსაზრებისა ეჭვის ქვეშ დააყენა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ეჭვს გარეშე იყო აღიარებული, რომ ათონის ხელნაწერში (ბლეიკით 79) მოთავსებულია ვრცელი ათონური რედაქცია ო. ეს აზრი წარმოიშვა არა ტექსტის შესწავლის შედეგად, არამედ ინერციით.

საინტერესოა, რომ ათონის X საუკუნის ხელნაწერი (ბლეიკით 79) ხელთ ჰქონიათ ა. ცაგარელს, ნ. მარს და რ. ბლეიკს. არც ერთ მათგანს რედაქციული თვალსაზრისით არ შეუსწავლია ეს „ცხოვრება“ და ამიტომ არც დაუდგენიათ, სახელდობრ, რა რედაქცია იყო შესული ამ ხელნაწერში. ა. ცაგარელს საერთოდ შეუმჩნეველი დარჩა ამ ხელნაწერში ილარიონ ქართველის „ცხოვრება“.

ნ. მარმა შენიშნა, რომ ა. ცაგარელს მხედველობიდან გამორჩა ეს „ცხოვრება“, მასვე მოაქვს ექვთიმე ათონელის ანდერძის ნაწყვეტი ამ ხელნაწერიდან. იგივე ხელნაწერს აღწერს რ. ბლეიკი და ადასტურებს, რომ ეს ხელნაწერი შეიცავს ილარიონ ქართველის „ცხოვრებას“² და ტექსტის შესწავლის გარეშე (რაც მის ამოცანას არ შეადგენდა) უთითებს პ. პეტერსის წერილს, გამოქვეყნებულს *Analecta Bollandiana*-ში.³

პ. პეტერსს კი შესწავლილი და ლათინურად თარგმნილი აქვს ვრცელი ათონური ო. რედაქცია. თავისთავად გამოდიოდა, რომ ათონის ხელნაწერში (ბლეიკით 79) შესულია ვრცელი ათონური რედაქცია.

კ. კეკელიძეს ხელთ არ ჰქონია ეს ხელნაწერი, გამოქვეყნებული მასალა არ იძლეოდა ზუსტ ცნობებს, თუ რომელი რედაქცია შევიდა ათონის X საუკუნის ხელნაწერში (ბლეიკით 79). მისთვის ცნობილი რედაქციებიდან (ვრცელი ათონური — ო და მეტაფრასული — უ) მან ვარაუდით, ბუნებრივია, დაუშვა, რომ ათონის X საუკუნის ხელნაწერი (ბლეიკით 79) შეიცავს ვრცელ ო ათონურ რედაქციას (ათონის 1074 წლის ხელნაწერში ხომ ვრცელი ათონური რედაქციაა მოთავსებული).

ათონის ხელნაწერი (ბლეიკით 79) ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ

¹ კეკელიძე, „ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან“, გვ. 144.

² Blake, *Catalogue des manuscrits géorgiens ... au Mont Athos*, p. 263.

³ Peeters, „S. Hilarion d'Iberia“, pp. 236-243.

არის. ხოლო ამ ნუსხაში მოთავსებული „ცხოვრების“ რედაქცია ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ რ. ბლეიკის ათონის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის მიხედვით.¹

ს. ყუბანეიშვილის² მიერ მოკლე რედაქციის ტექსტის გამოქვეყნებამ ათონის X საუკუნის ხელნაწერის სურათიც ახლებურად წარმოაჩინა.

ჩვენი აზრით, ამ ნუსხაში (ბლეიკით 79) მოთავსებული უნდა იყოს არა ვრცელი ათონური C, არამედ მოკლე ათონური 4 რედაქცია „ცხოვრებისა“, ვინაიდან რ. ბლეიკის მიერ გამოქვეყნებული აღწერილობის მიხედვით, ათონის ხელნაწერის რედაქციის სიტყვები — „ესე წმიდაა და ნეტარი მამაა ჩუენი ილარიონ“ — დამთხვა მოკლე ათონური 4 რედაქციის დასაწყისს: „ესე წმიდაა მამაა ჩუენი ილარიონ იყო ნათესავით ქართველი“. მეტია იქ მხოლოდ ერთი სიტყვა „ნეტარი“.

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ვრცელი ათონური რედაქცია კი სრულიად სხვაგვარად იწყება: „ბრწყინვალე არიან და ყოლად შუენიერ სიტყუანი წმიდათა წერილთანი“.

ათონის ხელნაწერში (ბლეიკით 79) მოთავსებული რედაქციის დასაწყისი დამახასიათებელია სვინაქსარული და მოკლე რედაქციებისათვის: „ვრცელი ტიპის ცხოვრებისათვის ასეთი დასაწყისი უჩვეულოც კი არის“.³

ამრიგად, წინააღმდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული აზრისა, ათონის 990-991 წლების ხელნაწერი (ბლეიკით 79)⁴ უნდა შეი-

¹ Blake, *Catalogue des manuscrits géorgiens ... au Mont Athos*, p. 263.

² ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, გვ. 170-177.

³ გაბიძაშვილი, „სვინაქსარული რედაქციები“, გვ. 146.

⁴ XX საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც ივირონის ქართული ხელნაწერები ფოტო და მიკროასლების სახით ხელმისაწვდომი გახდა ქართველი მეცნიერებისათვის, ქალბატონმა მანანამ დეტალურად შეისწავლა ათონური ხელნაწერი (ბლეიკით 79, Gippert et al., *Catalogue*-ის მიხედვით Ivir. georg. 79) და დაადგინა შემდეგი: ათონ. 79-ში დადასტურებული თარიღი — 990-991 — ხელნაწერის გადანერის წლები არ არის. ის მითითებულია ერთ-ერთ თხზულებაზე დართულ ანდერძში, რომელიც ამ თხზულებას გადმოჰყვამ ადრეული, 990-991 წლებში გადანერილი ნუსხიდან. როგორც ხელნაწერის ძირითადი კოლოფონიდან ირკვევა, ათონ. 79, კერძოდ, მისი პირველი ნაწილი, რომელშიც მოქცეულია წმ. ილარიონის „ცხოვრება“, გადანერილია ივირონში გიორგი მთაწმინდელის დეკანოზობის დროს, ე. ი. 1042-1044 წლებში, იხ. მ. დოლაქიძე, „ათონური №79 ხელნაწერის შედგენილობის შესახებ“, მრავალთავი, 12 (1986), გვ. 3-20; მეტრეველი (რედ.), *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ათონური კოლექცია*, I, 1986, გვ.

ცავდეს ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ არა ვრცელ Ⴎ, არამედ მოკლე ათონურ Գ რედაქციას.

აქედან გამომდინარე, თუ შესაძლებელია ლაპარაკი თხზულების თარგმნაზე, ეს შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ მოკლე ათონურ რედაქციას.

მაგრამ შემდგომმა კვლევამ ათონური არც ვრცელი Ⴎ და არც მოკლე Գ რედაქციების თარგმნილობა არ დაგვიდასტურა.

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ბერძნულ ენაზე დანერის ვარაუდი მოკლებული უნდა იყოს საფუძველს შემდეგი მიზეზების გამო:

1. არ არსებობს ბერძნული დედანი და არც რომელიმე პირველწყაროს ცნობა მისი ოდესმე არსებობის შესახებ. შეიძლება დღეს ბერძნული დედანი დაკარგულად ჩაითვალოს და ეს არ იქნება ერთეული შემთხვევა ქართული ნათარგმნი აგიოგრაფიის ისტორიაში. მაგრამ თუ გიორგი ათონელის დროსაც დაკარგული იყო ბერძნული დედანი, შეუძლებელია გიორგის არ სცოდნოდა მისი არსებობის ფაქტი მაინც.

დაბოლოს, რომ არსებულიყო ბერძნული დედანი, ილარიონ ქართველის ხსენება აისახებოდა ბერძნულ ღვთისმსახურებაში და მისი სახელი ასე უკვალოდ არ გაქრებოდა ბერძნული ეკლესიის ისტორიაში.

2. თხზულების ენას არავითარი კვალი ბერძნული ენიდან მომდინარეობისა არ შემოუნახავს. ტექსტში ბერძნულში არ შეინიშნება. გვაქვს მხოლოდ ბერძნულიდან და ლათინურიდან ნასესხები ტერმინები: პაქსიმადი (παξιμάδι), იკინომოსი (οἰκονόμος), ევლოგია (εὐλογία), დიაკონი (διάκονος), სტადიონი (στάδιον), ლარნაკი (λάρναξ), დრომონი (δρόμων),

115-123 (ათონ. 79-ის აღწერილობა ეკუთვნის მ. დოლაქიძეს). იხ. ასევე, Gippert et al., *Catalogue*, pp. 637-644. ახდენს თუ არა ათონ. 79-ის ამგვარი გადათარიღება გავლენას მანანა დოლაქიძის დასკვნებზე, რომლებიც მას გამოთქმული აქვს ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ რედაქციათა დათარიღებასა და მათ ურთიერთმიმართებაზე (ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 151-188), კერძოდ ის, რომ Գ რედაქცია, რომელიც ათონ. 79-შია წარმოდგენილი, არის ყველაზე ადრეული, და რომ მისგან მომდინარეობს Ⴎ და Դ რედაქციები? შევნიშნავთ, რომ ამგვარი გადათარიღებით, Գ რედაქციის შემცველი 1042-1044 წლების ხელნაწერი ათონ. 79 მაინც ყველაზე ადრეულად რჩება ილარიონის „ცხოვრების“ შემცველ ხელნაწერთა შორის (Ⴎ რედაქციის ყველაზე ადრეული ხელნაწერი 1074 წლით არის დათარიღებული); ხოლო რედაქციათა ურთიერთმიმართებისა და Գ რედაქციის თავდაპირველობის საკითხს საფუძველს უმაგრებს არა იმდენად ხელნაწერთა ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, არამედ რედაქციათა ტექსტობრივი ანალიზი (რედ.).

მეტოქი (μετόχιον), ეპარხოსი (ἐπαρχος), ლიტანია (λειτουργία), პატრიარქი (πατριάρχης), კანდელი (κάνδηλον), ლიტრა (λίτρα), პროტოასიკრიტი (πρωτοασικρίτης), ლავრა (λαύρα), ეპისტოლე (ἐπιστολή), სქემა (σχῆμα), პრეტორი (preator), პალატი (palatum).¹

ამგვარი ტერმინები დასტურდება ქართულ ორიგინალურ ძეგლებშიც. მოვიტანთ მაგალითებს ზოგიერთი მათგანიდან: გიორგი მთაწმიდლის „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“² – ეპიტირიტისი, ეპიტროპი, ექსორია, ეპისტოლე, ევლოგია, ეპისტატი, იკონომოსი, კანდელი, კანანახი, კანკელი, კანონი, კელარი, კელინი, კენდინარი, კრასოვული, კვრიაკე, მეტოქი, პარაკიმენონი, სევასტოფორი, სოხასტერი, სტავრა, სტრატელატი, სვნგელოზი, ტრაპეზი და სხვ.

გიორგი მცირის „ცხოვრებაჲ გიორგი ათონელისაჲ“³ სვნაქსარი, ტრაპეზი, ლარნაკი, კერეონი, სოხასტერი, კანონი, ლავრა, ლიტრა, ტალანტი, პატრიაქი და სხვ.

ბერძნულიდან და ლათინურიდან ეს ტერმინები ქართულ ენაში ადრიდანვე შემოსულა და დამკვიდრებულა.

ამრიგად, ამ ტერმინების ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ტექსტში დადასტურებით ვერ დამტკიცდება თხზულების ბერძნულიდან მომდინარეობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ Ⴀ რედაქციის სიტყვები „ვითარ უკუანაჲსკნელ მონაფემან მისმან, ნეტარმან ისაჲ ყოველივე მოგვხრა“ ეკუთვნის ბერძნულ წყაროს, საიდანაც ისინი ექვიმე ათონელს უცვლელად გადმოუტანია ვრცელ ათონურ Ⴀ რედაქციაში.⁴ მოვიტანთ ვრცლად ამ ადგილს: „ხოლო დაყო ორი წელი ჰრომეს შინა ანგელოზებრ ცხოვრებითა და მოღუანებითა, რამეთუ მარადის ხედვასა ღმრთისასა შეჰმსჭუალა გონებაჲ თჳსი და მუნცა მრავალნი სასწაულნი და კურნებანი აღასრულნა უფალმან მის მიერ,

¹ ერთადერთი სიტყვა „აღრარი“ არ დასტურდება ძველი ქართული ენის ჩვენთვის ცნობილ ძეგლებსა და ლექსიკონებში. ბერძნული შესატყვისი τὸ ἀγρᾶριον დასტურდება ბიზანტიური ხანის ბერძნულ ლექსიკონებში, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს სიტყვა თარგმნითი გზით არის ძეგლში შემოსული, მით უმეტეს, რომ „ცხოვრება“ ბერძნულ გარემოშია შექმნილი (ათონზე).

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 38-100.

³ იქვე, გვ. 101-208.

⁴ კეკელიძე, „ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფის ისტორიიდან“, გვ. 144.

ვითარცა უკუანაჲსკნელ მოწაფემან მისმან, ნეტარმან ისაკ ყოველივე მოგვთხრა, მოიქცა რაჲ მიერ შემდგომად მიცვალებისა მისისა“.¹ როგორც ვხედავთ, ეს ადგილი არ არღვევს თხრობის ბუნებრივ მიმდინარეობას. ამიტომ ამ სიტყვებს საიდანმე გადმოტანილ-გადმოთარგმნილად ვერ მივიჩნევთ. ეს ფრაზა ქართული თხზულების ნაწილია და არა ბერძნული წყაროდან გადმოტანილი.²

ვრცელი ათონური რედაქციის ბერძნულიდან მომდინარეობის მტკიცება შესაძლებელი გახდებოდა იმ შემთხვევაში, ხელთ რომ გვექონოდა მისი ბერძნული წყარო.

მხოლოდ ბერძნულ წყაროსთან შედარება მოგვცემდა უფლებას გვემტკიცებინა მთლიანად ნათარგმნ, ნახევრად ნათარგმნ, თუ ორიგინალურ თხზულებასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან ეს აზრი გულისხმობს ბერძნული დედნის აუცილებელ არსებობას.

3. ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ არც ერთ რედაქციაში (C, F, L) არ არის მითითება, რომ თხზულება დაიწერა ბერძნულად. მივმართოთ ტექსტებს:

„ხოლო ბასილი პროტოასიკრიტმან და ფილოსოფოსმან და ღირსმან მონაზონმან აღწერა ცხოვრებაჲ წმიდისაჲ ამის, ვითარცა ისწავა მონაფეთაგან წმიდისათა, კაცთა უტყუველთა და ჭეშმარიტთა“³ (ვრცელი ათონური C რედაქცია).

„ქებითაცა შესხმისათა პატივცემულ იქმნა ბრძანებითა ბასილი მეფისათა ბასილის მიერ მონაზონისა, რომელი დიდად განთქმულ იყო და ბრწყინვალე სიბრძნითა“⁴ (მეტაფრასული L რედაქცია).

„და გამოთქუა ენკომი, რომელ არს შესხმაჲ წმიდისა ილარიონისი, ბასილი ასიკრიტმან“⁵ (მოკლე ათონური F რედაქცია).

მოსაზრება, რომ ეს თხზულება არ არის თარგმნილი ბერძნულიდან, ეყრდნობა შემდეგს:

1. ათონის X საუკუნის ხელნაწერის (ბლეიკით 79)⁶ მინაწერი-ან-

¹ *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, II, გვ. 23-24; აქვე, გვ. 19.

² შდრ. კილანავა, *ქართული აგიოგრაფიის კიმენურ რედაქციათა ავტორიბუციისათვის*, გვ. 156.

³ *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, II, გვ. 37; აქვე, გვ. 34.

⁴ *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, III, გვ. 248; აქვე, გვ. 88.

⁵ *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია*, გვ. 177.

⁶ ათონური ხელნაწერის (ბლეიკით 79) დათარიღების შესახებ იხ. აქვე, გვ. 17, სქ. 2.

დერძი არ გამოდგება იმის არგუმენტად, რომ ექვთიმე ათონელი არის ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ავტორი თუ მთარგმნელი. ათონის ხელნაწერი, ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ გარდა, შეიცავს სხვა თხზულებებსაც. რ. ბლეიკს ანდერძის მხოლოდ ნაწილი აქვს მოტანილი.¹ უფრო სრულად, მაგრამ არა მთლიანად, ამ ანდერძის ფოტოპირი გადაუღია ნ. მარს.² ფოტოპირზე მოცემული ანდერძი წინა გვერდზეა დაწყებული. ამიტომ ძნელი დასადგენია, რომელ თხზულებაზეა ლაპარაკი, რას ეხება ანდერძი.

რა თქმა უნდა, შეუძლებელი არაფერია იმაში, რომ ექვთიმეს ეთარგმნა ილარიონ ქართველის „ცხოვრება“, ეს კანონზომიერიც იქნებოდა და მოსალოდნელიც,³ მაგრამ არსებული მასალა არ არის საკმარისი იმის დასასაბუთებლად, რომ ექვთიმე ათონელმა თარგმნა ბერძნულიდან ილარიონ ქართველის „ცხოვრება“.

ექვთიმე ათონელის ავტორობის საკითხი გადანყვეტილად ვერ ჩაითვლება, სანამ ხელთ არ გვექნება ანდერძის სრული ტექსტი.

2. იოანე ათონელის ანდერძში, რომელიც ერთვის ზოგ ხელნაწერში⁴ იოანე ოქროპირის თხზულებას „თარგმანება მათეს სახარებისა“ (ექვთიმეს თარგმანი), ჩამოთვლილია ექვთიმეს მიერ მამის სიცოცხლეში ბერძნულიდან თარგმნილი თხზულებები. ილარიონ ქართველის „ცხოვრება“ ამ ანდერძში არ არის მოხსენიებული. იოანე ათონელის ანდერძი დაწერილი ყოფილა „ჟამსა სიბერისა და უძღურებისა“ იოანე ათონელისა, მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, სახელდობრ, 1002 წელს.⁵ როგორც ვხედავთ, ილარიონის „ცხოვრების“ შემცველი ათონის ხელნაწერი (ბლეიკით 79), გადანერილი 990-991 წლებში, უსწრებს იოანე ათონელის ანდერძის დაწერას. მაშასადამე, იოანე ათონელის ანდერძში ილარიონის „ცხოვრება“ მოხსენიებული უნდა იყოს. ვფიქრობთ, იოანე ათონელს ექვთიმეს მიერ ბერძნულიდან ქართულად თარგმნი-

¹ Blake, *Catalogue des manuscrits géorgiens ... au Mont Athos*, p. 263.

² Март, *Агиографические материалы*, стр. 86.

³ კეკელიძე, „ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან“, გვ. 143-144.

⁴ ხეც A-136, 389r; გელათის ხელნაწერი №20 — *ქუთაისის ხელნაწერთა აღწერილობა*, I, გვ. 96; Blake, *Catalogue des manuscrits géorgiens ... au Mont Athos*, p. 52; ჟორდანია, *ქრონიკები*, I, გვ. 140.

⁵ ჟორდანია, *ქრონიკები*, I, გვ. 140; კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, გვ. 15.

ლი თხზულებების ჩამოთვლის დროს არ გამორჩებოდა ილარიონის „ცხოვრება“.

3. იგივე „ცხოვრება“ არ არის შეტანილი ექვთიმე ათონელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილ თხზულებათა სიაში, რომელიც მოცემულია გიორგი ათონელის თხზულებაში „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“. ეს თხზულება დაინერა ექვთიმეს გარდაცვალებიდან (1028 წ.) დიდი ხნის შემდეგ, გიორგი ათონელის დეკანოზობის დროს, 1042-1044 წლებში.¹ გიორგი მთანმიდელი კი იყენებდა არა მარტო იოანეს ამ ანდერძს, არამედ სხვა ანდერძებსაც, ზეპირ წყაროებს, ყოველგვარ წერილობით და ნივთიერ საბუთებს, დედნებიდან და თარგმანებიდან ამოღებულ ცნობებს. „გიორგი მთანმიდელს უსარგებლია მათი მოღვაწეობის დამახასიათებელი ყოველგვარი ნაშთებითა და საბუთებით. თხზულების დაწერის დროს არც ერთი მცირედი და წვრილმანი მასალაც კი არ გამოჰპარვია ავტორის ყურადღებას შეწირული სამკაულისა და ხატების სიაც კი არ დავიწყებია მას. გიორგი მთანმიდელი მართლაც უხვად სარგებლობს ყოველგვარი წერილობითი საბუთებითაც“.²

დაუშვებელია, რომ ექვთიმე ათონელის ბრწყინვალე ბიოგრაფს, გიორგი მთანმიდელს გამორჩენოდა ექვთიმეს მიერ თარგმნილი „ცხოვრება“ ისეთი სახელგანთქმული წმიდანისა, როგორიც ილარიონ ქართველი იყო.

4. ათონის ხელნაწერი (ბლეიკით 79) მთლიანად ექვთიმე ათონელის ავტოგრაფიც რომ იყოს,³ ამით დამტკიცდება არა მისი ავტორობა, არამედ მხოლოდ ფაქტი მის მიერ ხელნაწერის გადანერისა. იმ მოსაზრების შესახებ, არის თუ არა ეს ხელნაწერი მთლიანად ექვთიმეს ავტოგრაფი, სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა.

5. ალ. ცაგარელსა⁴ და რ. ბლეიკს⁵ ათონური ხელნაწერი მთლიანად ექვთიმეს ავტოგრაფად მიაჩნიათ, ნ. მარი⁶ ამ ხელნაწერს მხოლოდ

¹ კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, გვ. 219.

² ჯავახიშვილი, *ძველი ქართული საისტორიო მწერლობა*, გვ. 140.

³ შემდგომში ქალბატონმა მანანამ თავად დაასაბუთა, რომ ეს ხელნაწერი არ წარმოადგენს ექვთიმე ათონელის ავტოგრაფს. იხ. მ. დოლაქიძე, „ათონური №79 ხელნაწერის შედგენილობის შესახებ“, გვ. 3-20 (რედ.).

⁴ Цагарели, *Сведения о памятниках грузинской письменности*, стр. 92.

⁵ Blake, *Catalogue des manuscrits géorgiens ... au Mont Athos*, p. 263.

⁶ Марр, *Агиографические материалы*, стр. 85.

ნანილობრივ თვლის ექვთიმეს ავტოგრაფად.

ილარიონის „ცხოვრების“ ბოლოს მოთავსებული ექვთიმეს ანდერძიდან ჩანს, რომ „ცხოვრება“ „დაინერა“ და „გასრულდა“ ათონზე ექვთიმეს მიერ. თითქოს ეჭვის შეტანა იმაში, რომ ილარიონის „ცხოვრება“ ექვთიმეს ხელით უნდა იყოს დანერილი, არ შეიძლება, მაგრამ აქედან იმ დასკვნის გამოტანა, რომ რადგან „ცხოვრება“ ექვთიმეს ხელითაა გადანერილი, ის მისივე დანერილია, იმ საბუთით, რომ სხვისი თხზულებების გადასანერად ექვთიმეს არ ეცალა,¹ არ მიგვაჩნია დამაჯერებლად. საქმე ის არის, რომ ილარიონ ქართველი ძალზე ცნობილი წმინდანი და საეკლესიო მოღვაწე იყო საქართველოში და საზღვარგარეთ. უნდა ვიფიქროთ, მის შესახებ მანამდე არაფერი ყოფილა დანერილი და გასაკვირი არ არის, რომ ექვთიმე ათონელი ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ თხზულების თუნდაც გადანერას. ამიტომ დროის უქონლობის მიუხედავად ექვთიმეს შეიძლებოდა გადაენერა ილარიონის „ცხოვრება“, მით უმეტეს, რომ ათონის ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ილარიონის „ცხოვრებას“, გადანერილია 990 ან 991 წელს,² როდესაც ექვთიმეს მამა, იოანე ათონელი ცოცხალი იყო, ექვთიმე არ იყო ჩაბმული საწინამძღვრო საქმიანობაში ათონის ივერიის მონასტერში და მას მეტი მოცალეობა ექნებოდა, ვიდრე წინამძღვრობის დროს (1005 წლიდან).

ბლევკის აღწერილობის მიხედვით ამ ხელნაწერში არის შემდეგი თხზულებები:

1. თავნაკლული თხზულება.
2. ბასილ დიდის „მიცვალებისათვის ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისი“.
3. ილარიონ ქართველის წსენებაჲ, ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ მისი.
4. მიქაელ სცნკელის „იწრუსალიმისა მართლმორწმუნეობისათვის წართქუმაჲ“.
5. წამებაჲ... მოწამისა გიორგისი, აღწერილი სჳმეონ ლოლოთეტის მიერ.

¹ კეკელიძე, „ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან“, გვ. 143.

² ათონური ხელნაწერის (ბლევკით 79) დათარიღების შესახებ იხ. აქვე, გვ. 137, შენ. 4.

6. ნიგნი, რომელი მამამან ეფთჳმე მიუწერა მთაწმიდით თეოდორეს ხუცეს მრეკალსა პასუხად.

7. სიტყუაჲ მცირე წმიდისა მამისა ეფთჳმესთჳს და საბაჲსთჳს.

აქედან სამი თხზულება ექვთიმე ათონელის თარგმანია. ეს თხზულებებია: 1. ბასილი დიდის „მიცვალებისათჳს ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისი“;¹ 2. მიქაელ სჳნკელის „იერუსალჳმისა მართლმორწმუნეობისათჳს წართჳმად“;² 3. „წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მონამისა გიორგისი, აღწერილი სჳმეონ ლოლოთეცის მიერ“.³

მეექვსე თხზულება („ნიგნი, რომელი მამამან ეფთჳმე მიუწერა მთაწმიდით თეოდორეს ხუცეს მრეკალსა პასუხად“) ორიგინალური თხზულებაა, ხოლო ბოლო თხზულება („სიტყუაჲ მცირე წმიდისა მამისა ეფთჳმესთჳს და საბაჲსთჳს“) ექვთიმეს შესახებ არის დაწერილი.

რატომ არ შეიძლება ასეთი სახის კრებულში ყოფილიყო არა ექვთიმეს მიერ დაწერილი ილარიონის „ცხოვრება“?

ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დებულება ექვთიმე ათონელის ავტორობის შესახებ თხოულობს უფრო დამაჯერებელ არგუმენტებს.

ამრიგად, როგორც ითქვა, თავდაპირველი თხზულება დაწერილი უნდა იყოს ქართულად. ჩვენი შემდგომი მიზანია განვამტკიცოთ აზრი თხზულების ქართულად შექმნის შესახებ და ამასთან კავშირში შევეცადოთ ავტორის პიროვნების გარკვევას.

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ რედაქციებში (C, V, VI) თხზულების ავტორად მოხსენიებული ბასილ პროტოასიკრიტი, სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული აზრის თანახმად, ითვლება ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილი შესხმითი ხასიათის ბერძნული თხზულების (ენკომიის) ბერძენ ავტორად.⁴

ბასილი პროტოასიკრიტის შესახებ არსებობს, აგრეთვე, დიდი ხნის წინათ (1913 წელს) გაკვრით გამოთქმული ვარაუდი, რომ ის ქართველი იყო და მთარგმნელად მსახურობდა ბიზანტიის სამეფო კარზე,

¹ კეკელიძე, „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“, გვ. 19.

² კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, გვ. 202.

³ იქვე, გვ. 207.

⁴ კეკელიძე, „ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან“, გვ. 136.

იმპერატორის პირად კანცელარიაში¹ (პროტოასიკრიტი ნიშნავს მდივანთუხუცესს).

ა. რუდაკოვი და პ. პეეტერსი ფიქრობენ, რომ ბასილ პროტოასიკრიტმა ილარიონ ქართველის „ცხოვრება“ დაწერა ქართულად კონსტანტინოპოლის ქართული კოლონიისათვის.

ბასილის თხზულების ქართულად დაწერის ვარაუდს ეწინააღმდეგება ცნობა, რომ ილარიონ ქართველი „ქებითაცა შესხმისათა პატივცემულ იქმნა ბასილის მიერ მონაზონისა, ბრძანებითა ბასილი მეფისათა“. ასეთ შემთხვევაში თითქოს მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო ბერძნული დედნის არსებობა. მაგრამ ეს დეტალი („ბრძანებითა ბასილი მეფისათა“) გვხვდება მხოლოდ *℣* რედაქციაში. *ℂ* და *℣* რედაქციები ბასილი მეფის ბრძანებაზე არას ამბობენ, ბასილი იმპერატორის ინიციატივა ამ საქმეში ათონურ *ℂ* და *℣* რედაქციებში სრულიად უგულებელყოფილია.

ბასილ პროტოასიკრიტის ადგილსამყოფელი კონსტანტინოპოლში იყო, ბიზანტიის იმპერატორის კარზე. როგორც ვრცელი ათონური *ℂ* რედაქციიდან ჩანს („ბასილი პროტოასიკრიტმან და ფილოსოფოსმან და ღირსმან მონაზონმან აღწერა ცხოვრებაჲ წმიდისაჲ ამის, ვითარცა ისწავა მონაფეთაგან წმიდისათა, კაცთა უტყუველთა და ჭეშმარიტთა“), მას უშუალო კონტაქტი ჰქონია ილარიონის მოწაფეებთან. ცხადია, ეს კონტაქტი ქართული ენის მეშვეობით განხორციელდებოდა, რადგანაც ილარიონის მოწაფეებმა სხვა ენა არ იცოდნენ² (როდესაც ილარიონი და მისი მოწაფეები ულუმბოს ეკლესიაში დამკვიდრდნენ, იქაურმა მამასახლისმა აღწვთებდა გამოთქვა: „ვითარ იკადრეს მღდელობად ეგუტერსა მას შინა კაცთა უცხოთა და უმეცართა ელენთა ენასა!“).

ცნობილია, რომ პროტოასიკრიტის სამდივნო იმპერატორის პირად კანცელარიას წარმოადგენდა და როდესაც იმპერატორი ლაშქრად მიდიოდა, მიჰყვებოდა მისი კანცელარიაც არასრული შემად-

¹ Peeters, “S. Hillarion d’Ibérie”, p. 264; Рудаков, *Очерки византийской культуры*, стр. 55.

² შესაძლებელია, ვრცელი ათონური რედაქციის ბოლო აბზაცი ბასილი პროტოასიკრიტის ავტორობის შესახებ მინაწერია გადამწერისა, რომელმაც იცოდა, რომ ვრცელი ათონური რედაქცია ბასილ პროტოასიკრიტის დაწერილი იყო. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოება, რომ ბასილ პროტოასიკრიტი და ვრცელი ათონური რედაქციის ავტორი ილარიონ ქართველის მოწაფეების თანამედროვენი არიან.

გენლობით.¹ მშვიდობიან დროს ახალი მონასტრის საფუძვლის ჩაყრაში იმპერატორის აქტიური მონაწილეობა საკმაოდ მნიშვნელოვანი მომენტი იყო ბიზანტიის სამეფო კარზე. ეჭვი არ არის, იმპერატორს ახლდა ბრწყინვალე ამაღლა, რომლის შემადგენლობაში იქნებოდნენ კანცელარიის წევრებიც, მათ შორის, პროტოასიკრიტიც (მდივანთუხუცესი), ზემოაღნიშნული კონტაქტიც აქ განხორციელდებოდა.

ჩვენი აზრით, არ არის წარმოუდგენელი, რომ ბასილ პროტოასიკრიტს, რომანას მონასტრის დაფუძნების თვითმხილველს, თხზულება დაენერა იმავე ენაზე, რა ენაზედაც „ისწავა“ ილარიონის ამბავი მისი მოწაფეებისაგან. თუ ვარაუდი მისი ქართველობის შესახებ დასაშვებია, მაშინ შეუძლებელი არაფერია იმაში, რომ ქართველ მოხელეს ქართველ წმინდანზე ქართული თხზულება დაენერა, თუნდაც საბერძნეთში, მიუხედავად იმისა, რომ მას ჩინებული ბერძნული ეცოდინებოდა. რა თქმა უნდა, იგი ამ თხზულებას უფრო თანამემამულეთათვის დაწერდა, ვიდრე ბიზანტიის იმპერატორისა და ბერძენი მკითხველისათვის. ამ თანამემამულეებს კი წარმოადგენდა არა მარტო შორეული ქართლი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, კონსტანტინოპოლისა და მისი მიდამოების ქართული კოლონია.

მსგავსი მაგალითები ქართული ლიტერატურის ისტორიაში საკმაოდ არის, მაგალითად: ათონზე გიორგი მთაწმიდელმა ქართულად დაწერა იოანესა და ექვთიმეს „ცხოვრება“; აქვე გიორგი ხუცეს-მონაზონმა ქართულად დაწერა გიორგი მთაწმიდლის „ცხოვრება“, მიუხედავად იმისა, რომ განსწავლულობით ორივეს დიდი ავტორიტეტი და სახელი ჰქონდა მოხვეჭილი ბიზანტიის სამეფო კარზე და განათლებულ ბერძენთა ფართო წრეში.

ბასილ პროტოასიკრიტის მიერ ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილი თხზულება იხსენიება სამივე „ცხოვრებაში“: *℣* რედაქცია მას შესხმას უწოდებს, *℥* რედაქცია — შესხმა-ენკომს, ხოლო *℞* რედაქცია — ცხოვრებას. *℞* რედაქციის დასაწყისში აღნიშნულია: „არათუ შესხმისა გზაჲ გვპყრიეს, არამედ აღწერად ცხოვრებისა მოსწრაფე ვართ“.²

ამ ადგილას, როგორც თავის დროზე სამართლიანად შენიშნა

¹ Скабаланович, *Византийское государство и церковь*, стр. 173-175.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 10; აქვე, გვ. 4.

კ. კეკელიძემ,¹ ორედაქცია უპირისპირდება „შესხმას“, ე. ი. ორედაქცია, ზემოაღნიშნული ორი „ცხოვრების“ მსგავსად, გულისხმობს ილარიონის სახელზე შექმნილ „შესხმას“, რომელიც ქრონოლოგიურად უსწრებს „ცხოვრების“ სამივე რედაქციას.

ზემოთ მოტანილი წინადადება საფუძველს აძლევს კ. კეკელიძეს ივარაუდოს, რომ ათონური რედაქციის „ავტორი უპირდაპირებს თავის შრომას მის ბერძნულ წყაროს, რომელიც „შესხმის გზას“ წარმოადგენდა“.²

ზემოთ აღვნიშნავდით, რომ ბასილის თხზულების ბერძნულად დაწერის ცნობას არც ერთი წყარო არ გვანვდის, იქნებ ამ ადგილზე ვრცელი ათონური რედაქციის ავტორი თავის შრომას უპირისპირებს „შესხმას“, მაგრამ არა ბერძნულს, არამედ ქართულს?

ჩვენამდე მოღწეულ თხზულებათა სერიაში გვაქვს ილარიონის სახელზე დაწერილი ორი საგალობელი, ერთი მათგანი ეკუთვნის ზოსიმეს, ათონის XI საუკუნის მოღვაწეს.

ბასილისეული შესხმა-ენკომი იხსენიება მოკლე ათონურ რედაქციაში, რომელიც შესულია 990 თუ 991 წელს გადანერილ ათონის ხელნაწერში, ხოლო ზოსიმეს საგალობელი დაწერილია 1072 წლის შემდგომ.

ვრცელი ათონური რედაქცია, რომელიც იხსენიებს „შესხმას“, გადანერილია გრიგოლის მამობის დროს ათონზე — XI საუკუნის 30-იან წლებში, ე. ი. ათეული წლებით უსწრებს ზოსიმეს საგალობლის დაწერას.

მეტაფრასული რედაქცია, რომელიც იხსენიებს ბასილ მონაზონის „შესხმას“, ზოსიმეს საგალობელზე ადრეა შექმნილი.

ამრიგად, სამივე წყარო, სადაც ბასილის „შესხმა“ იხსენიება, ზოსიმეს საგალობელზე ადრეულია, მაშასადამე, ზოსიმეს საგალობლის მიჩნევა ბასილისეულის „შესხმად“ დაუშვებელია.

უცნობი ავტორის საგალობელი ყველაზე ადრეული ძეგლია ილარიონ ქართველის სახელზე შექმნილი თხზულებების ციკლიდან. იქნებ ეს საგალობელი შეიძლება მივიჩნიო ბასილის შესხმად, ენკომად?

ამ ვარაუდის სანინააღმდეგოდ ლაპარაკობს ერთი ადგილი ვრცე-

¹ კეკელიძე, „ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან“, გვ. 141.

² იქვე.

ლი ათონური რედაქციისა, სადაც ბასილ პროტოასიკრიტი „ცხოვრების“ და არა „შესხმის“ აღმწერად არის გამოცხადებული: „ბასილი პროტოასიკრიტმან და ფილოსოფოსმან და ღირსმან მონაზონმან აღწერა ცხოვრებაჲ წმიდისაჲ ამის“.

საქმე ისაა, რომ მოკლე ათონური რედაქცია, რომელიც Ⴀ რედაქციასთან ზედმიწევნით ახლო დგას, ბასილისეულ თხზულებას „შესხმა-ენკომს“ უწოდებს.

ამ ორი წყაროს ტექსტობრივი სიახლოვე უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ორივე წყარო ერთსა და იმავე შინაარსს დებს ამ ორ სიტყვაში: „ცხოვრება“, „ენკომია“.

ჩვენი აზრით, „შესხმას“ (საგალობლის მნიშვნელობით) არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ეწოდოს „ცხოვრება“, ხოლო „ცხოვრებას“ შესაძლებელია ეწოდოს „შესხმა“, ვინაიდან იგი წმიდანის სადიდებად, საქებრად იქნება ყოველთვის.

„ცხოვრების“ რედაქციები და მათი ურთიერთმიმართება

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია არსებული რედაქციების (Ⴀ, 4, 1) ურთიერთმიმართების შესწავლა.

როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, ამის აუცილებლობა გამოიწვია მოკლე რედაქციის აღმოჩენამ და, აგრეთვე, ჩვენმა ვარაუდმა, რომ ეს რედაქცია არის შესული ათონის ხელნაწერში (ბლეიკით 79).

ათონურ მოკლე 4 და ვრცელ Ⴀ რედაქციებს შორის ზედმიწევნითი ტექსტობრივი სიახლოვეა, რაც საფუძველს გვაძლევს ვიმსჯელოთ მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ვრცელი ათონური რედაქცია არის წყარო მოკლე რედაქციისა.¹

უფრო ადრე კი, მოკლე რედაქციის აღმოჩენამდე, ვრცელი ათონური რედაქცია Ⴀ მიჩნეული იყო მეტაფრასული 1 რედაქციის წყაროდ

¹ გაბიძაშვილი, „სვინაქსარული რედაქციები“, გვ. 154.

და საფუძვლად:¹ „მეტაფრასული რედაქცია ილარიონის „ცხოვრებისა“ წარმოადგენს ძველს, ათონური რედაქციის გადაკეთებას აგიოგრაფიაში მიღებულ ყალიბზე“. კ. კეკელიძე წერს: „ავტორს დაუნერია ახალი შესავალი.... ლიტონად და მარტივად გადმოცემული ამბავი ილარიონის „ცხოვრებიდან“ მას რიტორულად განუვრცია და შეუმკვია, თანახმად მეტაფრასული მწერლობის ტრადიციებისა, და მოუცია ახალი რედაქცია, რომელშიაც, ათონის რედაქციასთან შედარებით, ზოგი რამ გამოტოვებულია, ზოგი მიმატებულია და ზოგიც შეცვლილი“.²

ტექსტობრივმა ანალიზმა სხვა სურათი გვიჩვენა.

მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოკლე 4. რედაქცია წარმოადგენს ვრცელი ათონური 7. რედაქციის შემოკლებას, ერთი შეხედვით, ეჭვს არ იწვევდა, რადგან მათი მსგავსება თვალშისაცემი იყო. მაგრამ მეტაფრასული 1. და ვრცელი ათონური 7. რედაქციები იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რედაქციულად, რომ დებულებამ ერთის (1.) მეორისაგან (7.) წარმოშობის შესახებ იმთავითვე ეჭვი აღგვიძრა.

კვლევამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა იყვნენ შექმნილნი.

7. რედაქციაში დადასტურებულია ადგილები, რომლებიც 1. რედაქციას არ გააჩნია; თავის მხრივ, 1. რედაქციაში შესულია ისეთი ეპიზოდები, რომლებიც 7. რედაქციაში არ ჩანს; ამასთან, ორივე რედაქციაში (7., 1.) წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალა რედაქციულად სხვაობს.

I. პირველი რიგის განსხვავებათა ნიმუშებად მოვიტანთ მხოლოდ ზოგიერთს: 7. რედაქციის მიხედვით, იერუსალიმიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, დედათა მონასტრის გარდა, ილარიონმა დაარსა მამათა მონასტერი; ამ მონასტრებს მან დაუდო წესი და კანონი. დედათა მონასტერს ილარიონმა შესწირა რამდენიმე სოფელი, მამათა მონასტერს — სოფლები და „წმიდა“ წიგნები. ილარიონის მამას, ილარიონის გარდა, ჰყოლია სხვა შვილებიც; ამ რედაქციაში დაცულია ეპისკოპოსის ტიტული „რუისთველი“, აქვეა შემონახული წინადადება: „არათუ შესხმისა გზაჲ გჰპყრიეს, არამედ აღწერად ცხოვრებისა მოსწრაფე ვართ“. ილარიონი ორ ადგილას შედარებულია მოსე წინასწარმე-

¹ კეკელიძე, „ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან“, გვ. 145.

² იქვე.

ტყველთან. ილარიონმა მოინახულა გოლგოთა, ბეთლემი, საბანმიდის ლავრა, იორდანის უდაბნოს მონასტრები, ამის შესახებ ო. რედაქცია ზოგადად ამბობს: „მოვიდა წმიდად ქალაქად იერუსალჴმად და მოჴვლნა და მოილოცნა ყოველნივე იგი თაყუანისსაცემელნი ადგილნი“. ილარიონი კონსტანტინოპოლში წასვლის წინ „წარვიდა მოხილვად პირველთა მათ მონასტერთა, რომელნი-იგი აღეშენნეს უწინარეს იერუსალჴმად წარსლვისა“, ხოლო შემდეგ მან მოიხილა დედისათვის აშენებული მონასტერი. ილარიონი კონსტანტინოპოლში წასულა „ჟამთა მიხაელ მორწმუნისა მეფისათა“. გარდაიცვალა ილარიონი ორმოცდაცამეტი წლისა. ილარიონმა ულუმბოდან კონსტანტინოპოლში წაიყვანა მონაფე ისაკი. ისაკის ნაამბობს იმონმებს Ⴀ რედაქციის ავტორი, როდესაც ლაპარაკობს რომში ილარიონის მიერ აღსრულებული სასწაულების შესახებ. ილარიონის გარდაცვალების შემდეგ „მონაფემან მისმან, ნეტარმან ისაკ ყოველივე მოგვთხრაო“.

ილარიონის მიერ ულუმბოზე, თესალონიკესა და „ქალაქსა რომელსამე“-ში აღსრულებული სასწაულები შედარებულია ბიბლიურ სასწაულებთან და ხაზგასმულია, რომ ისინი მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება პეტრეს და იოანეს სასწაულებს.

Ⴀ რედაქციას შემოუნახავს, აგრეთვე, ილურიკიის ქვეყნის სახელწოდება, ეპიზოდი ორი ეშმაკეულის განკურნების შესახებ, ორი ქვესათური: (1) „მოყვანებისათჴს ნაწილთა წმიდისა ილარიონისთა თესალონიკით კოსტანტინეპოლედ“; (2) „უწყებაჲ შენებისათჴს ჴრომანისა“.

Ⴀ რედაქციას შემოუნახავს ეგნატე კონსტანტინოპოლის პატრიარქის სახელი; აგრეთვე, წინადადება: „და უწოდა ადგილსა მას ქართველთა მონასტერი, რომელსა პირველითგან სახელი ეწოდა ჴრომანაჲ“; აგრეთვე, ბასილ მაკედონელის წერილი თესალონიკელთა მიმართ და ილარიონის ნაწილთა გადმოსვენების შესახებ.

როგორც ვხედავთ, Ⴀ რედაქციისაგან განსხვავებით, ზემოაღნიშნულ ადგილებში ვრცელი ათონური Ⴀ რედაქცია გვანვდის ფაქტობრივ მასალას, ეს ვრცელდება მთელ რედაქციაზე: თითქმის არავითარი განყენებული მსჯელობა (ორიოდე შემთხვევის გარდა, როდესაც ილარიონი შედარებულია ბიბლიურ პერსონაჴებთან) და საკმაოდ მნიშვნელოვანი და საყურადღებო ფაქტების სიუხვე.

ეჭვს გარეშეა, რომ Ⴀ რედაქციის ავტორი უკეთ იცნობს ილარიონ ქართველის ცხოვრების ფაქტებს და დეტალებს, ვიდრე Ⴀ რედაქციის

ავტორი, თუ არ ჩავთვლით გარეჯის უდაბნოში მოღვაწეობის პერიოდს (ამაზე ქვემოთ).

II. ო რედაქციაშიც, თავის მხრივ, დადასტურებულია ადგილები, რომლებიც ო რედაქციაში არ ჩანს, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს განსხვავებანი არ იძლევა რაიმე ფაქტობრივ მასალას: შეიცავს განყენებულ მსჯელობას ქართველთა „მართალი“ და „შეურევნელი“ სარწმუნოების შესახებ; იძლევა ილარიონის მშობლების დახასიათებას; მსჯელობს ილარიონის სახელის მნიშვნელობის შესახებ (ή ἱλαρία — „მხიარულება“); ამახვილებს ყურადღებას ილარიონის „სიბრძნესა და სიმკვირცხლეზე“ სწავლაში და მის სათნოებაზე; შეიცავს გარეჯის „ფიცხელი“ უდაბნოს აღწერას და „მუნ მყოფთა მოღვაწეობის“ დახასიათებას, ვრცლად მსჯელობს ილარიონის ღვთისმოსაობისა და გარეჯაში მისი მოღვაწეობის შესახებ; მოგვითხრობს ილარიონის მიერ გარეჯის ძმათა დამოძღვრაზე, ილარიონის მამის ავადმყოფობასთან დაკავშირებულ ჩვენებაზე იორდანიის ქვაბში; ო რედაქციის ცნობით, ილარიონმა იცოდა „მცირე ბერძული“.

III. რაც შეეხებ ორივე რედაქციის ფაქტობრივი მასალის რედაქციულ სხვაობას, აშკარაა, რომ აქ ფაქტობრივი მასალა ერთი და იგივეა, ოღონდ რედაქციულად განსხვავებული, მოვიტანთ რამდენიმე ნიმუშს:

ო რედაქციით	ო რედაქციით
ექვსი წლის ილარიონი „მიეცა სწავლად „კაცსა ღირსსა“.	„მღუდელსა ვისმე მოხუცებულსა“.
იერუსალიმს გამგზავრებული ილარიონი გზად გაივლის „ქუეყანასა შამისასა“.	„ასურასტანს“.
ამ ქვეყნის მკვიდრთ ეწოდებათ „ნათესავნი ბარბაროზნი“.	„არაბნი“
იორდანიის უდაბნოში ილარიონმა გაატარა „შვიდი წელი“.	„ათშვიდმეტი“

ზმანებაში ილარიონმა იხილა ღვთისმშობელი და მასთან ერთად „ათორმეტი კაცი ბრწყინვალენი“. პალესტინიდან სამშობლოში დაბრუნებულ ილარიონს გარდაცვლილი დახვედრია „მამა და ძმანი“. კახეთში აშენებულ დედათა მონასტერში ილარიონმა აღკვეცა „დედაა თქსი“. თხრობის თანმიმდევრობა სხვადასხვანაირია: ბასილი მაკედონელის მიერ რომანას ქართველთა მონასტრის აშენება, მისი კურთხევა, მონასტერში იმპერატორის მიერ სენაკის შექმნა, ექვთიმე მონაზვნის ჩვენება, თესალონიკიდან ილარიონის „ნაწილთა“ გადასვენება კონსტანტინოპოლში და რომანაში. თხრობის თანმიმდევრობა სხვადასხვანაირია მეორე ადგილზეც: ილარიონი მივიდა ულუმბოს მთაზე, გაატარა იქ ხუთი წელი და წავიდა კონსტანტინოპოლს. უკეთური სულით შეპყრობილი აღმოჩნდა ილარიონის „ნათესავი“. ულუმბოს მთაზე მახლობელი მონასტრიდან მოვიდა მონაზონი „აღნთებად კანდელისა“, როდესაც იყო „შემოსლვაჲ წმიდისა კურიაკისაჲ“.	„ათნი ვინმე კაცი ბრწყინვალედ მოსილნი“. „მამაჲ და ძმა“. „დედა და დაჲ თქსი“. ბასილ იმპერატორის მიერ რომანას მონასტრის აშენება, ილარიონის „ნაწილთა“ გადასვენება თესალონიკიდან კონსტანტინოპოლში, ილარიონის გადასვენება რომანაში, რომანას კურთხევა, ექვთიმე დაყუდებულის ჩვენება, სენაკის აშენება ბასილი მაკედონელის მიერ რომანას მონასტერში. კონსტანტინოპოლში მივიდა, „გამოვიდა მიერ და მთასა მას ულინბოსასა მიიწია“ და იქიდან ისევ კონსტანტინოპოლს დაუბრუნდა. დედის ძმა „იყო აღსრულებულ შვდელისა ყუჭლიერისა“.
--	--

ილარიონმა განკურნა „მკელობელი“, როდესაც „მიიწია ქალაქსა რომელსამე“.	განკურნა „კოჭლი“, როდესაც მივიდა „თესალონიკედ“.
ილარიონმა თესალონიკეში განკურნა მთავრის „მწევლის ძე“.	მთავრის ძე
ილარიონმა თესალონიკეში გაატარა „ჟამი რაჟოდენიმე“.	სამი წელი
ილარიონის მოწაფეების უღუმბოს მთიდან კოსტანტინოპოლში ჩამოსაყვანად ბასილ მაკედონელმა მოიხმო თესალონიკელი „ეპარხოსი“.	„ანტჰუპატი“
რომანას ქართველთა მონასტრის სატფურება იყო ცხრა ოქტომბერს.	ცხრა ნოემბერს
„ცხოვრების“ აღმწერს უწოდებს „ბასილი პროტოასიკრიტსა და ფილოსოფოსსა და ღირსსა მონაზონსა“.	ბასილი მონაზონს
ილარიონის „ნაწილნი“ რომანაში გადაასვენეს შვიდ დეკემბერს.	ცხრა ნოემბერს

რჩევა-დარიგება, რომელიც ილარიონმა მისცა თესალონიკის მთავარს, ო რედაქციაში მცირე მოცულობისაა, ო რედაქციაში ბევრად უფრო ვრცელია.

აღსასრულის წინ ილარიონი მოძღვრავს მოწაფეებს. შინაარსით ეს დამოძღვრა ო და ო რედაქციებში განსხვავებულია.

ამრიგად, მეტაფრასულ ო რედაქციაში უგულვებელყოფილია ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტები ილარიონის „ცხოვრებიდან“, როგორები-

ცაა: ილარიონის კონსტანტინოპოლში ჩასვლის დრო, გარდაცვალების დრო, მისი ასაკი ამ დროს; ილარიონის მიერ მამათა მონასტრის დაარსების ფაქტი, მონასტრებისათვის წესისა და კანონის დადება; ეპისკოპოსის ზედწოდება „რუისთველი“; ილარიონის მოწაფის სახელი ისაკი; ილურიკის ქვეყნის სახელწოდება და სხვ. აუხსნელია ისიც, თუ რად შეცვალა მან ზოგიერთი ფაქტი ორდაქციისა: იორდანის უდაბნოში მან დაყო არა შვიდი (ორდაქციით), არამედ ჩვიდმეტი წელი; ილარიონის ნაწილნი რომანაში გადაასვენეს არა შვიდ დეკემბერს (ორდაქციით), არამედ ცხრა ნოემბერს; ან რად არის შეცვლილი თხრობის თანმიმდევრობა რამდენიმე ადგილას — ულუმბოს მამასახლისის აღშფოთების მიზეზი, რომანას ქართველთა მონასტრის სატფურების დრო და მისთ.

ჩვენი აზრით, ორდაქციის ავტორი უყურადღებოდ არ დატოვებდა ასეთ საგულისხმო ცნობებს ილარიონის შესახებ, ეს ცნობები ხელთ რომ ჰქონოდა. ზემოთ განხილული განსხვავებების ნიმუშები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ორდაქცია და ორდაქციები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არის შექმნილი.

ამ ორდაქციებს აქვთ მსგავსების მნიშვნელოვანი შემთხვევებიც.

ორდაქციას, რომელიც ძალზე მნიშვნელოვან ფაქტებს ორდაქციიდან არ იცნობს, აქვს ზუსტად გადმოტანილი გამოთქმა ვრცელი ათონური ორდაქციისა:

ორდაქცია	ორდაქცია
განიღვდა რაჲ მამასახლისმან, ყოვლითურთ იყო შეძრწუნებულ, ვინაჲცა აღდგა მეყსეულად მრავლითა მოსწრაფებითა და სადგურად წმიდისა მიიწია და შეუვრდა ფერჯთა მისთა ცრემლითა მჭურვალითა და ითხოვდა შენდობასა პირველისა მისთჳს კადნიერებისა.	წარვიდა იგი მწარითა ტირილითა ეკლესიასა მას, ვინაჲცა მყოფ იყო წმიდაჲ იგი მოწაფეთა თანა თჳსთა და ვითარცა იხილა, შეუვრდა ფერჯთა მისთა და ითხოვდა შენდობასა პირველისა მისთჳს კადნიერებისა.

მსგავსი ნიმუშები ძალზე ბევრია, მაგრამ დებულება იმის შესახებ, რომ ორდაქცია და ორდაქციები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიქმნა, არ იხსნება, ვინაიდან ყველა ამ რიგის მსგავსება დადასტურებულია მოკლე ორდაქციაშიც. მოკლე ორდაქციის გარეშე ორდაქცია

და ლ. რედაქციებს შეხების ნერტილები არ აქვთ. მოვიტანთ სამივე რედაქციაში დადასტურებულ ტექსტობრივ დამთხვევათა მაგალითებს:

მოკლე ათონური ჟ. რედაქცია	ვრცელი ათონური ჟ. რედაქცია	მეტაფრასული ლ. რედაქცია
ტირილითა მწარითა წარვიდა და შეუვრდა ფერვთა ილარიონისთა და ითხოვდა შენდობასა პირველისა მისთეს კადნიერებისა.	წარვიდა იგი მწარითა ტირილითა ეკლესიასა მას ... შეუვრდა ფერვთა მისთა და ითხოვდა შენდობასა პირველისა მისთეს კადნიერებისა.	შეუვრდა ფერვთა მისთა ცრემლითა მჭურვალთა და ითხოვდა შენდობასა პირველისა მისთეს კადნიერებისა.
მაშინ გამოირჩია ძმაჲ ერთი და დაადგინა წინამძღურად ადგილსა თესსა.	გამოირჩია ძმათა მათგან ძმაჲ ერთი.... ესე დაადგინა წინამძღურად ადგილსა თესსა.	გამოირჩია ძმა ერთი... და განგებაჲ მონასტრისა არწმუნა მას.
დაემთხვნეს ავაზაკნი ბოროტნი გზასა ზედა და იწადეს მახვლები რაჲთამცა სცენ წმიდასა ილარიონს.	მიხუდეს ავაზაკნი ბოროტნი გზასა ზედა.... და იწადეს მახვლები მათი, რათა სცენ მათ.	მიუწდეს მას არაბნი, რომელნი ავაზაკობად გამოსრულ იყვნეს, იწადეს მახვლები მათი... რაჲთამცა სცენსას.
კაცნო, აღდეგ და მომართუ ტევანი ერთი ყურძენი.	კაცო, აღდეგ და მომართუ მე ტევანი ერთი ყურძენი.	აღდეგ, ძმაო, და მიმართუ მე ერთი ტევანი ყურძენი.
შევიდა ქალაქად და აქუნდა ტევანი იგი ჴელთა.	შევიდა ქალაქად და აქუნდა ტევანი იგი ჴელთა.	შევიდა მსწრაფლ ქალაქად, აქუნდალა ჴელთა ტევანი.
ესე ილარიონ აღთქუმულ იყო მშობელთაგან მისთა, ვითარცა სამოელი ღმრთისა.	წმიდაჲ ესე აღთქუმულ იყო ღმრთისადა მშობელთა თესთაგან, ვითარცა პირველ სამოელ ანნასგან.	იშვა რტო ესე ღმრთისმსახურებისა და მსგავსად სამოელისა პირველ შობასავე შეწირული ღმრთისა.

და ვითარცა იქმნა ექუსისა წლისაჲ, მიეცა სწავლად კაცსა ღირსსა.	და იქმნა რაჲ ესე ექუსის წლის, მიეცა სწავლად კაცსა ღირსსა.	იქმნა რაჲ იგი ექუსის წლის, მიეცა სწავლად საღმრთოთა წერილთა მღუდელსა ვისმე.
და იწყო ადგილსა მას შენებად მონასტრად.	და ჯელ-ყო ადგილისა მის აღშენებაჲ მონასტრად.	იწყო თავსა შორის თვს-სა განმისხვად... რაჲთა ადგილსა მას მონასტერი აღაშენოს.
და შეკრბეს მონაზონნი ათექუსმეტნი ოდენ.	და შეკრბეს მუნ ძმანი რიცხვთ ვითარ ათექუსმეტნი ოდენ.	და შეკრიბნა მონაზონნი რიცხვთ ათექუსმეტნი.
და შეიწყნარნა მის თანა ათერთმეტნი ძმანი.	და შეიწყნარნა მან მის თანა ვითარ ათერთმეტნი ძმანი.	შეიწყნარნა თვს თანა ძმანი სულიერნი, რომელთა რიცხვ აღვიდოდა ვიდრე ათერთმეტამდე.
მეყსეულად განუჴმეს ჴელნი მათნი.	მეყსეულად განჴმეს ჴელნი მათნი.	მეყსეულად დაადგრეს ჴელნი მათნი განჴმულად.
და მიერ წარვიდეს წმიდად ქალაქად იერუსალიმად და მოილოცნა წმიდანი იგი ადგილნი.	და მიერ წარვიდეს ქალაქად წმიდად იერუსალჴმად და მოილოცნეს წმიდანი იგი და თაყუანისსაცემელნი ადგილნი.	და მიერ მოვიდა წმიდად ქალაქად იერუსა-ლემდ და მოჴვლნა და მოილოცნა ყოველნი იგი თაყუანისსაცემელნი ადგილნი.
პოვა, რამეთუ აღსრულებულ იყო მამაჲ მისი და ძმაჲცა.	პოვა, რამეთუ აღსრულებულ იყვნეს მამაჲ და ძმანი მისნი.	პოვა, რამეთუ მამაჲ და ძმა მისი აღსრულებულ იყვნეს.
წარაგე ესე, შვილო, ვითარცა სათნო-გიჩნს.	წარაგე ესე, შვილო, ვითარცა სათნო-გიჩნს.	შვილო... ვითარცა სათნო არს შენდა, ეგრეცა განაგე ჩუენ თვს.

და ვითარ იხილა ზედაჲს-ზედა მოსლ-ვაჲ იგი მამისა თჳსისაჲ, მოეწსენა სიტყუაჲ იგი წმიდისა სახარებისაჲ.	და ვითარცა იხილა ნე-ტარმან და ჭეშმარიტ-მან შვილმან ხეცათა მამისამან ზედაჲს-ზედა მოსლვაჲ იგი...	უმძიმნ ზედაჲსზედა მისლვა იგი მშობელთა.
პოვნა მუნ მრავალნი კაცნი მოლუანენი და მახლობელად მათსა ქუაბი ერთი მცირე.	და პოვნა მან მრავალ-ნი კაცნი მოლუანენი და მახლობელად მათსა ქუაბი ერთი მცირე.	ქუაბი რაჲმე პოვა მცირე, რომელსა შინა დაემკჳდრა.
განიტქუა ღირსებაჲ მისი მას ქუეყანასა.	განიტქუა ჰამბავი ღირსებისა მისისაჲ ყოველსა მას ქუეყანასა.	სახელი წმიდისა მის განიტქუა ყოველსა მას ქუეყანასა.
და წარვიდა ეპისკოპო-სი იგი და მიუთხრობდა ყოველსა ერსა სათნოე-ბათა მისთა.	და წარვიდა ეპისკოპო-სი იგი და მიუთხრობდა ყოველსა ერსა სათნოე-ბათა მისთა.	კულად-იქცა მღ-დელთმოდღუარი იგი სამწყსოდვე თჳსად და მიუთხრა ყოველსა ერთსა წარმატებაჲ იგი.
წარვიდა ძმაჲ იგი და მიუთხრა მამასახლისსა მის მონასტრისასა ესე ყოველი.	წარვიდა ძმაჲ იგი მონას-ტრად, მიუთხრა ესე ყოველი მამასახლისსა.	[ძმაჲ იგი] წარვიდა მონასტრად და მიუთხ-რა მათჳს მამასახლის-სა.
მოიღო ზეთი კანდლის-აგან და სცხო და გან-ჰკურნა ტკივილითა იგი.	მოიღო წმიდაჲ ზეთი კანდლისაგან საუ-ფლოჲსა და სცხო ტკივნეულსა მას ფერჳ-სა მისსა.	მოიღო ზეთი კან-დლისაგან და სცხო ტკივნეულთა მათ ასო-თა მისთა
ამცნო, რაჲთა არავის უთხრას.	ამცნო, რაჲთა არავის უთხრას.	ამცნო, რაჲთა არავის უთხრას.

ცალკე გვინდა გამოვყოთ მსგავსების ორი შემთხვევა 7 და 4 რე-დაქციებში და 11 რედაქციის შემცველ ნუსხათა შორის მხოლოდ ლე-ნინგრადის ნუსხაში (H-22):

1. გარეჯაში წასვლამდე ილარიონს გაახსენდა სახარების სიტყვე-
ბი: „რომელმან არა დაუტეოს მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი...“

ეს ადგილი ლენინგრადის ნუსხაში სრულად არის მოყვანილი
ათონური ვრცელი C და მოკლე F რედაქციების მსგავსად, ხოლო F რე-
დაქციის შემცველ სხვა არც ერთ ნუსხაში არ დასტურდება.

2. გარეჯის უდაბნოში ილარიონი წავიდა 15 წლისა ვრცელი ათონ-
ური C რედაქციისა და მეტაფრასული F რედაქციის ლენინგრადის
ნუსხის მიხედვით, ხოლო F რედაქციის შემცველი სხვა ნუსხების
მიხედვით — 16 წლისა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ I ლიტერით აღნიშნული ლენინ-
გრადის ნუსხა (H-22) ასწორებს F რედაქციის სხვა ნუსხების დამახინ-
ჯებულ, ნაკლულ და აზრობრივად გაუგებარ ადგილებს.

მოვიტანთ ნიმუშებს:

ლენინგრადის ნუსხა (H-22)	დანარჩენი ნუსხები
მსწრაფლ გამოვიდა ქალაქით და იწყო სრბად გზასა მას წინამდებარე- სა.	მსწრაფლ გამოვიდა ქალაქით და ჟა- მად სრბად გზასა მას წინამდებარე- სა.
სურვიელ ვარ მე დღესასწაულსა ამას ყოვლადდიდებულსა შესლვად ქალაქად სამეუფოდ.	სურვიელ ვარ მე სასწაულსა ამას ყოვლადდიდებულსა შესლვად ქა- ლაქად სამეუფოდ.
ღამესა მას მესამესა მოვიდა დია- კონი იგი ჴსენებად წმიდისა ილარი- ონისსა და სასწაულთა მათ მისთა.	ღამესა მას მესამესა მოვიდა დია- კონი იგი ჴსენებად წმიდისა ილარი- ონისსა და სინმიდეთა მათ მისთა.
ყრმაჲ იგი უჩუენებდა წყლულებასა მას თჳსსა, შეენყალა ნეტარსა მას და მოიღო ზეთი კანდლისაგან და სცხო ტკივნეულთა მათ ასოთა მისთა.	ყრმაჲ იგი უჩუენებდა წყლულებასა მას და მოიღო ზეთი კანდლისაგან.
მცირედნი რაჲმე დაყვნა მუნ დღენი.	მცირენი რაჲმე დაყვნა უკუანაჲსკ- ნელნი.
ცნა მიზეზი გუემისა თჳსისა.	ცნა მიზეზი გულსა თჳსისა.

მიერთგან შეიწყნარნა თჳს თანა ძმანი სულიერნი. ბრძოლად უხილავთა მათ განენწყე- ბოდეს. „რომელსა უყუარდეს მამაჲ ანუ დედაჲ უფროჲს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს, და რომელმან არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“. „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლ- ითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“, რომელი-ესე სხუებრ არა იქმნების, არამედ ყოვლითურთ მოკრძაღვითა ძალთა მათ სულისათა. რამეთუ არა უტევებენ დაყუდებად, არამედ მოვლენ და აშფოთებენ მას და რომელნიმე აღიდებდესცა, შეე- შინა, ნუჟუკუე ბრალსა შთავარდეს უღირსებით ქებისათჳს. მიერ მოიერწნ საღუანსა, რაჲთა არა ოდენ არავის დაუძიმებდეს და სხჳსა ჯელთა ხედვიდეს.	მიერთგან შეიწყნარნა თჳსთა მიერ მოსრულნი. და უსრულად უხილავთა მათ განენ- ყებოდეს. „რომელსა უყუარდეს მამაჲ ანუ დედაჲ უფროჲს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს“. „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლ- ითა სულითა შენითა და ყოვლი- თა გონებითა შენითა“, და ესე ზო- მისაებრ არა იქმნების, არამედ ყოვლითურთ მიკრძაღვითა ძალთა მათ სულისათა. რამეთუ არა უტევებენ დაყუდებად, არამედ მოვლენ და აშფოთებენ მას და რომელნიმე აღიდებდესცა ღმერთსა, შეეშინა, ნუჟუკუე ბრალსა შთავარდეს უღირსებით ქებისათჳს. მიერ ვითარცა წინ საღუანსა, არა ოდენ არავის დაუდებდეს და სხუასა ჯელთა ხედვიდეს ... და სხვ.
---	--

¶ რედაქციის შემცველი გვიანდელი ნუსხები ამახინჯებენ ფაქტებს და სცილდებიან რედაქციის პირვანდელ სახეს.

ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ¶ რედაქციის შემცველ ნუსხათა შორის ლენინგრადის ნუსხა (H-22) ყველაზე ადრეულია და შემოუნახავს ¶ რედაქციის უძველესი სურათი?

ამასვე ადასტურებენ ნუსხის პალეოგრაფიული ნიშნებიც, რომ-
ლებითაც აღნიშნული ნუსხა არ გადასცილდება XII-XIII საუკუნეებს.

განხილული მსგავსების მაგალითები ორი ვარაუდის დაშვების

საფუძველს იძლევა: 1. როგორც ითქვა, ვრცელი ათონური Ⴀ და მეტაფრასული Ⴁ რედაქციები ერთმანეთს არ იცნობენ, ე. ი. მსგავსი ადგილები ვრცელი Ⴀ რედაქციიდან მოხვდა მოკლე რედაქციაში, ხოლო მოკლე Ⴁ რედაქციიდან მეტაფრასულ Ⴁ რედაქციაში. ამ ვარაუდის თანახმად, მოკლე Ⴁ რედაქცია არის შუალედი რედაქცია ვრცელ ათონურ Ⴀ და მეტაფრასულ Ⴁ რედაქციებს შორის, ე. ი. ვრცელი ათონური Ⴀ რედაქცია არის მოკლე Ⴁ რედაქციის წყარო, ხოლო მოკლე Ⴁ რედაქცია — მეტაფრასული Ⴁ რედაქციისა. 2. ვრცელ ათონურ Ⴀ და მეტაფრასულ Ⴁ რედაქციებში მსგავსი ადგილები მოხვდა მოკლე Ⴁ რედაქციის გზით, ე. ი. ამ ვარაუდის თანახმად, მოკლე Ⴁ რედაქცია არის წყარო ვრცელი ათონური Ⴀ და მეტაფრასული Ⴁ რედაქციებისა. მესამე შესაძლებლობა, რომ მეტაფრასული Ⴁ რედაქცია არის ორივეს წყარო, თავისთავად იხსნება, ვინაიდან Ⴁ რედაქცია ბევრად უფრო გვიან, XII საუკუნეში არის შექმნილი.

ჩვენი აზრით, პირველი ვარაუდი საფუძველს არის მოკლებული. მის ნათელსაყოფად მივმართოთ ისევ ტექსტებს. თუ ვრცელი ათონური Ⴀ რედაქცია არის მოკლე Ⴁ რედაქციის წყარო, მაშინ მოკლე Ⴁ და მეტაფრასულ Ⴁ რედაქციებს არ უნდა ჰქონდეთ ისეთი შეხების წერტილები, რომლებიც არ გააჩნია ვრცელ ათონურ Ⴀ რედაქციას. მაგრამ ასეთი შეხების წერტილები ტექსტობრივი შედარების შედეგად გამოვლინდა.

მოკლე Ⴁ რედაქციაში ილარიონ ქართველის იერუსალიმიდან საქართველოში წამოსვლის ამბავი ასეა გადმოცემული: „აღდგა და წარემართა ქუეყანად თჳსად და ვითარ მივიდა, პოვა, რამეთუ აღსრულებულ იყო მამაჲ მისი და ძმაჲცა“.

ვრცელ ათონურ Ⴀ რედაქციაში ამის პარალელურად გვაქვს: „წარმოვიდა წმიდაჲ იგი ქუეყანად თჳსად და ვითარცა მოიწია, პოვნა, რამეთუ აღსრულებულ იყვნეს მამაჲ და ძმანი მისნი“.

Ⴁ რედაქციაში ვკითხულობთ: „იწყო ყრმად გზასა მასბრძანებულსა მის და შემდომად არა მცირედთა დღეთა მიიწია მამულსა თჳსსა და პოვა, რამეთუ მამაჲ და ძმა მისი აღსრულებულ იყვნეს“.

რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მოკლე ათონური Ⴁ რედაქცია, რომელიც ზედმიწევნით ტექსტობრივ სიახლოვეს იჩენს ვრცელ ათონურ Ⴀ რედაქციასთან, ამ ადგილას ზმნის ფორმების ხმარებით (წარიმართა — მივიდა) თანხვდება მეტაფრასულ Ⴁ რედაქციას?

მოკლე ათონური Կ. რედაქცია არც საქართველოში უნდა იყოს დაწერილი და არც პალესტინაში. ასეთი დაშვება ბუნებრივს ხდის „წარემართა — მივიდა“ ფორმების ხმარებას საქართველოს მიმართ.

ისმის კითხვა: თუ ათონური ვრცელი რედაქცია საბერძნეთშია დაწერილი და ამიტომ იერუსალიმიდან საქართველოში წასვლის შემთხვევაში ავტორი ხმარობს ფორმებს „წარმოვიდა — მოიწია“, მაშინ მოკლე ათონური რედაქცია, რომელიც შესაბამის შემთხვევებში ხმარობს ფორმებს „წარმემართა — მივიდა“, საბერძნეთში არ უნდა იყოს დაწერილი.

ჩვენი აზრით, საბერძნეთში მყოფ მწერალს შეეძლო ეხმარა „წარმოვიდა — მოიწია“ და „წარემართა — მოვიდა“ ფორმებიც, როდესაც საქმე ეხებოდა იერუსალიმიდან საქართველოში წასვლას.

ზემოთ მოტანილ ადგილას მოკლე ათონურ Կ. და მეტაფრასულ Դ. რედაქციებში გვაქვს „ძმაჲცა“ და „ძმა მისი“, ე. ი. ლაპარაკია ერთი ძმის აღსრულებაზე, ხოლო ვრცელ ათონურ რედაქციაში გვაქვს „ძმანი“. ამ დეტალშიაც მოკლე ათონური Կ. და მეტაფრასული Դ. რედაქციები ერთად დგას.

ვრცელ ათონურ Ը რედაქციას ორ ადგილას დაუცავს ილარიონის მოწაფის ისააკის სახელი:

1. „თანა წარიყვანა მოწაფჳ ერთი, სახელით ისაკ და წარვიდა კოსტანტინეპოლედ“.¹

2. „და მუნცა მრავალნი სასწაულნი და კურნებანი აღასრულნა უფალმან მის მიერ, ვითარცა უკუანაჲსკნელ მოწაფემან მისმან, ნეტარმან ისაკ ყოველივე მოგვთხრა, მოიქცა რაჲ მიერ შემდგომად მიცვალებისა მისისა“.²

„ცხოვრების“ დანარჩენ რედაქციებში, და, მათ შორის, მოკლე ათონურ რედაქციაში, სახელი „ისაკი“ არ გვხვდება („წარიყვანა მოწაფე ერთი და წარვიდა კოსტანტინეპოლედ“).

მოკლე ათონურ Կ. რედაქციას არ დაუტოვებია უყურადღებოდ არც ერთი დეტალი ვრცელი ათონური რედაქციისა. რა მოსაზრებით გამოტოვებდა იგი ილარიონის მოწაფე ისააკის სახელს ორივე შემთხვევაში?

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 22; აქვე, გვ. 18.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 23-24; აქვე, გვ. 19.

მოკლე ათონური Կ. რედაქციის ბოლოს ვკითხულობთ: „გამოთქუა ენკომი, რომელ არს შესხმაჲ, ნმიდისა ილარიონისი ბასილი ასიკრიტ-მან“. ბასილი პროტოასიკრიტის თხზულებას ვრცელი ათონური Ը რედაქცია „ცხოვრებას“ უწოდებს, ხოლო Դ. რედაქცია — „შესხმას“. ბასილ პროტოასიკრიტის თხზულებისადმი დამოკიდებულებაშიც მოკლე ათონური Կ. რედაქცია არ ეთანხმება ვრცელ ათონურ Ը რედაქციას და თანხვედრა Դ. რედაქციას.

ვრცელ ათონურ Ը რედაქციას დაუცავს გეოგრაფიული სახელი სუსთენი (სოსთენი): „შევიდა პირველად ეკლესიასა მთავარანგელოზისა მიქაელისა სუსთენს“.¹

მოკლე ათონურ Կ. რედაქციაში ეს გეოგრაფიული სახელი არ არის დადასტურებული: „მიიყვანეს ეკლესიასა მთავარანგელოზთა“.

ამ მხრივ საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი: ილარიონმა თესალონიკეში განკურნა ოთხი წლის ბავშვი, რომელიც Դ. და მოკლე ათონურ Կ. რედაქციების მიხედვით მთავრის ძეა, ხოლო ვრცელ ათონურ Ը რედაქციაში შესაბამის ადგილას ისხსენიება მთავრის მწევლის ძე.

ზემოთ მოტანილ მაგალითებში მოკლე ათონური Կ. რედაქცია თავისუფალია ვრცელი ათონური Ը რედაქციის გავლენისაგან.

მოკლე ათონური რედაქცია ვრცელი ათონური რედაქციის შემოკლება რომ ყოფილიყო, ის თავიდან ვერ აირიდებდა ზმნების აღნიშნული ფორების ხმარებას, არ გამოტოვებდა საკუთარ სახელს „ისაკს“ და გეოგრაფიულ სახელს „სუსთენს“, ბასილის თხზულებას მოიხსენიებდა „ცხოვრების“ და არა „შესხმის“, „ენკომის“ სახელით და სხვ.

ჩვენი აზრით, მოკლე ათონური Կ. რედაქცია ვრცელი ათონური Ը რედაქციისაგან დამოუკიდებლად არის შექმნილი.²

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ილარიონ ქართველის მონაფე ისაკს ვრცელი ათონური Ը რედაქციის ავტორისათვის უამბნია „ყოველივე“ ილარიონის შესახებ. ცხადია, Ը რედაქციის ავტორი პირადად იცნობდა ისაკს. ამ რედაქციის შექმნის პროცესი ასე წარმოგვიდგება: ვრცელი ათონური Ը რედაქციის ავტორი სარგებლობს მოკლე ათონური რედაქციით და თავის მოთხრობას ზეპირი წყაროს (ისაკი) მონაცემებით ავსებს.

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 36; აქვე, გვ. 33.

² შდრ. კილანავა, ქართული აგიოგრაფიის კიმენურ რედაქციათა ავტორიბუციისათვის, გვ. 174.

დებულებას, რომ მოკლე 4. რედაქცია არის წყარო სხვა რედაქციებისა, ისიც უჭერს მხარს, რომ იგი ყველაზე ადრინდელ ხელნაწერშია შესული, მოკლე ათონური რედაქცია გამოქვეყნებულია XIII საუკუნის ხელნაწერის მიხედვით (ხეც Q-762).¹ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს რედაქცია ბევრად ადრეა შექმნილი და უნდა უსწრებდეს ილარიონის სვინაქსარული „ცხოვრების“ შექმნას.² ეს ვარაუდი დადასტურდა: აქამდე ვრცელი ათონური რედაქციის შემცველად მიჩნეულ 990-991 წლების ათონის ხელნაწერში (ბლეიკით 79) მოთავსებული ილარიონ ქართველის „ცხოვრება“ მოკლე ათონური რედაქცია უნდა იყოს.

ჩვენთვის საგულისხმოა, აგრეთვე, ერთი დეტალი:

ათონის ხელნაწერში (ბლეიკით 79) ილარიონ ქართველის „ცხოვრება“ შეტანილია შემდეგი სათაურით: „წმიდისა მამისა ილარიონ ქართველისა წსენებაჲ, ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ მისი“.³

ამ სათაურში ყურადღებას იპყრობს სიტყვა „წსენებაჲ“. არც ერთი სხვა რედაქციის სათაური არ შეიცავს ამ სიტყვას. შესაძლებელია, მანამდე ილარიონ ქართველის შესახებ არ ყოფილა დაწერილი „ცხოვრება“ და არც „წსენება“ ყოფილა დადებული მის სახელზე, ამის გამო რედაქტორმა თუ ავტორმა საჭიროდ ჩათვალა ხაზი გაესვა ამ გარემოებისათვის.

მოკლე ათონური 4. რედაქციის ბოლო აბზაცში ნახსენებია ბასილ ასიკრიტი, რომელსაც გამოუთქვამს ენკომი — შესხმა ილარიონ ქართველის სახელზე.

არც ერთი რედაქცია არ იჩენს ასეთ სიტყვიერ სიძუნწეს ბასილის მიმართ. ვრცელი ათონური 7. რედაქცია მას უწოდებს „ფილოსოფოსს“ და „ღირს მონაზონს“, მეტაფრასული რედაქცია აღნიშნავს, რომ ბასილი „დიდად განთქმული იყო ბრწყინვალე სიბრძნითა“.

ხომ არ მიუთითებს ეს შტრიხი იმაზე, რომ მოკლე ათონური რედაქცია ეკუთვნის ბასილს, რომელიც თავმდაბლობის გამო არაფერს ამბობს თავის ღირსებებზე, თუ ეს გაპირობებულია თხზულების ხასიათით. მაგრამ ეს სხვათა შორის.

¹ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია, გვ. 170-177.

² გაბიაშვილი, „სვინაქსარული რედაქციები“, გვ. 146.

³ Blake, *Catalogue des manuscrits géorgiens ... au Mont Athos*, p. 263.

რაც შეეხება მოკლე ათონური Կ რედაქციის დაწერის დროს, როგორც გაირკვა, ის 990-991 წლების ხელნაწერშია შესული, ე. ი. X საუკუნის I ნახევარს არ გადასცილდება.¹ შექმნილი უნდა იყოს იგი ათონზე, რადგანაც მისი შემცველი უძველესი ხელნაწერი ათონურია. მის საფუძველზე შექმნილი ვრცელი ათონური რედაქცია ათონურ ხელნაწერშია (1074 წლისა) დაცული. უნდა ვივარაუდოთ, რომ ორივე რედაქცია (Ը და Կ) ათონურ წრეში შეიქმნა.

ამრიგად, მოკლე რედაქციის უძველესობას მხარს უჭერს შემდეგი:

1. ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ხელნაწერებს შორის ყველაზე უძველესია მოკლე ათონური რედაქციის შემცველი ხელნაწერი.
2. მოკლე ათონური Կ რედაქცია წყარო ჩანს ვრცელი ათონური Ը რედაქციისთვის, რომელიც X საუკუნის I ნახევარში უნდა იყოს შედგენილი.
3. მოკლე ათონური Կ რედაქცია წყარო ჩანს, აგრეთვე, მეტაფრასული Ը რედაქციისათვის. ამის დამადასტურებელი მაგალითები მოტანილია ზემოთ, სადაც ლაპარაკია Ը, Կ და Ը რედაქციების ურთიერთმიმართებაზე.
4. მოკლე ათონური Կ რედაქცია ძირითადი წყაროა სვინაქსარული Ծ რედაქციისათვისაც. ამაზე ქვემოთ.

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ სვინაქსარული Ծ რედაქცია

ილარიონ ქართველის სახელზე შეუდგენიათ, აგრეთვე, სვინაქსარული „ცხოვრება“. გამოქვეყნებულია იგი სამჯერ.²

ილარიონის ხსენება არ არის შეტანილი ექვთიმე ათონელის მცირე სვინაქსარსა³ და გიორგი მთაწმიდლისეულ „დიდ სვინაქსარში“ (იგულისხმება მთარგმნელის ხელიდან გამოსული ნუსხა).

¹ ათონური ხელნაწერის (ბლეიკით 79) დათარიღების შესახებ იხ. აქვე, გვ. 137, შენ. 4.

² კეკელიძე, „ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან“, გვ. 57-58; გაბიაშვილი, „სვინაქსარული რედაქციები“, გვ. 356-358.

³ ხეც A-648; Кекелидзе, *Иерусалимский канонарь*, стр. 297-310.

XI საუკუნის ხუთი სვინაქსარიდან¹ მხოლოდ ერთს (ხეც A-193) დაუცავს ილარიონის ხსენება.

ილარიონ ქართველის ხსენების დღეს სვინაქსარული „ცხოვრების“ გარეშე, ზემოთ აღნიშნული ნუსხის (ხეც A-193) გარდა, შეიცავს სხვა ხელნაწერებიც² (ხეც A-635, XII-XIII სს.; ხეც A-139, 1535 წ.; ხეც A-187, XVII ს.; ხეც A-1582, XVII-XVIII სს.; ხეც A-1474, 1738-1740 წ.; S-1324, XVIII ს.; ქუთ. 77, XV-XVI სს.; ქუთ. 83, XVII ს.; ხეც Q-74, XVII ს. და სხვ).

საფიქრებელია, რომ ილარიონის ხსენების დღე დაწესდებოდა მაშინ, როდესაც ილარიონის ნეშტი ბასილ I მაკედონელის ბრძანებით თესალონიკიდან რომანას ქართველთა მონასტერში გადაასვენეს, 876 წლის 7 დეკემბრის შემდეგ.

ყოველ შემთხვევაში, ილარიონის ხსენების დღე დადებულია „დიდ სვინაქსარში“ ხსენების დღის შეტანამდე ბევრად ადრე. ათონის 990 წლის ხელნაწერში მოთავსებულია ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ მოკლე **ჟ**. რედაქცია.³ ვრცელი ათონური **ტ** რედაქციაც, ჩვენი ვარაუდით, დაწერილი ჩანს X საუკუნის I ნახევარში.

„ცხოვრების“ რედაქციათა შექმნა კი უნდა მომხდარიყო ხსენების დღის დადგენის დროისათვის.

როგორც ეტყობა, თავდაპირველად ილარიონის ხსენების დადგენა შემოიფარგლა რომანას ქართველთა მონასტრით. ეს სრულიად ბუნებრივი იყო: ილარიონი რომანას ქართველთა მონასტრის ადგილობრივი წმინდანია. შემდეგ კი, მოგვიანებით, მისი ხსენება გასცილდა რომანას მონასტრის ფარგლებს და ათონზე გავრცელდა. ამის შედეგი უნდა ყოფილიყო ათონზე შედგენილი ქართველ წმინდანთა „ცხოვრებების“ კრებულში ილარიონის „ცხოვრებისა“ და საგალობლის მოხვედრა.

ილარიონის ხსენება და საგალობელი გიორგი მთაწმინდელმა შეიტანა „თუენში“, რომელიც მას უთარგმნია მოგვიანებით, სვინაქსარის შემდეგ. „თუენში“ ძირითადი ქართული მასალა იადგარებიდან მოდის. გიორგი მთაწმინდელს საკუთარი ინიციატივით „თუენში“ შეუტანია ილარიონისა და ექვთიმეს საგალობლები, რაც იმას მოწმობს, რომ

¹ ხეც A-97, ხეც H-2211, Sin. georg. 4; Jer. georg. 24-25; ხეც A-193.

² გაბიაშვილი, „სვინაქსარული რედაქციები“, გვ. 136-137.

³ ათონური ხელნაწერის (ბლეიკით 79) დათარიღების შესახებ იხ. აქვე, გვ. 137, შენ. 4.

გიორგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ორი მოღვაწის როლს ქართული ეკლესიის ცხოვრებაში.¹

უნდა ვიფიქროთ რომ ხეც A-193-ის გადამწერმა გიორგი მთაწმინდლის „თუენის“ საფუძველზე საჭიროდ ჩათვალა ილარიონის ხსენების შეტანა სვინაქსარში.

გიორგი მთაწმინდლის გარდაცვალების შემდეგ, XII საუკუნეში მის მიერ შედგენილ „დიდ სვინაქსარში“ შეუტანიათ ილარიონ ქართველის სვინაქსარული „ცხოვრებაც“, რომელსაც შეიცავს რვა ნუსხა.²

კ. კეკელიძეს შედარებული აქვს სვინაქსარული რედაქცია ვრცელ ათონურ ო და მეტაფრასულ ო რედაქციებთან, მოტანილი აქვს მათთან მსგავსების შემთხვევები, და სვინაქსარულ რედაქციას ვრცელი ათონური ო და მეტაფრასული ო რედაქციების საფუძველზე³ შედგენილად მიიჩნევს. ეს მართლაც ასეა, თუ შემოვიფარგლებით მხოლოდ ვრცელი ათონური და მეტაფრასული რედაქციებით. მაგრამ არსებობს ილარიონის „ცხოვრების“ კიდევ ერთი, მოკლე ათონური ო რედაქცია. საჭიროა გაირკვეს, რა მიმართებაშია სვინაქსარული რედაქცია ამ მოკლე რედაქციასთან.

კ. კეკელიძის წერილის⁴ გამოქვეყნების დროს ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ მოკლე რედაქცია არ იყო ცნობილი. ამის გამო კ. კეკელიძეს არ შეიძლებოდა გაეთვალისწინებინა მოკლე და სვინაქსარული რედაქციების მიმართება.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ფრიად საყურადღებო მოსაზრება მოკლე და სვინაქსარული რედაქციების ურთიერთმიმართების შესახებ: „ილარიონ ქართველის სვინაქსარული „ცხოვრება“ შედგენილია ძირითადად ილარიონის „ცხოვრების“ შემოკლებული რედაქციის საფუძველზე, ხოლო რამდენიმე ფაქტი (ორი) აღებულია მეტაფრასული ცხოვრებიდან“.⁵

იმისათვის, რომ გვეჩვენებინა სურათი სვინაქსარული რედაქცი-

¹ გაბიაშვილი, „სვინაქსარული რედაქციები“, გვ. 136.

² ხეც A-222, XII ს.; ხეც A-626, XII ს.; ხეც A-839, XI-XIII სს.; Jer. georg. 80, XVI ს.; ხეც A-426, XVI ს.; ქსიმ K. 65, XVI ს.; ხეც H-936, XVI-XVII სს.; ცენტრ. არქივის №425, 1718 წ. (ამ უკანასკნელ ნუსხაში ტექსტი უსისტემო შემოკლებით დამახინჯებულია).

³ კეკელიძე, „ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან“, გვ. 151.

⁴ კეკელიძე, „ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან“.

⁵ გაბიაშვილი, „სვინაქსარული რედაქციები“, გვ. 151.

ის შედგენისა, ეს რედაქცია შევუდარეთ დანარჩენ რედაქციებს: მოკლეს **ჟ**, ვრცელ ათონურსა **ჯ** და მეტაფრასულს **ქ**.

ზოგიერთი ადგილი სვინაქსარულ რედაქციას ანათესავებს მოკლეს და ვრცელ ათონურ რედაქციებთან (ასეთი შემთხვევაა ცხრა). მხოლოდ ერთი ადგილი აქვს საერთო ოთხივე რედაქციას.

განსაკუთრებით საინტერესოა ადგილები, სადაც სვინაქსარული რედაქცია მოკლეს ათონურ რედაქციასთან იჩენს მსგავსებას და განსხვავდება ვრცელი ათონური რედაქციისაგან. ეს იქნება მანიშნებელი იმისა, რომ სვინაქსარული რედაქცია მოკლეს ათონურ რედაქციას იყენებს.

სვინაქსარული რედაქცია მოკლეს ათონურ რედაქციასთან იჩენს მსგავსებას

სვინაქსარული შ რედაქცია	მოკლეს ჟ რედაქცია	ვრცელი ჯ რედაქცია
ესე იყო ქუეყანით კახეთით, შვილი აზნაურთა მდიდართაჲ.	ესე... იგი ქუეყანით კახეთით, შვილი აზნაურთა მდიდართაჲ.	აღმოსცენდა უკუე ნეტარი ესე ქუეყანით ქართლით საზღვართაგან და კერძოთა კახეთისათა, შვილი აზნაურთა მდიდართა და წარჩინებულთაჲ.
მომკუდარ იყვნეს მამაჲ და ძმაჲ თჳსი.	აღსრულებულ იყო მამაჲ მისი და ძმაჲცა.	აღსრულებულ იყვნეს მამაჲ და ძმანი მისნი.
მოიქცა თესალონიკედ და ძე მთავრისაჲ ნახევარგანმჴმარი განკურნა.	მოიწია თესალონიკედ ... მჴევალმან მის მთავრისამან გამოიყვანა ძე მთავრისაჲ მის ოთხისა წლისაჲ ნახევარმიღებული ... მეყსეულად განიკურნა.	მოიწია ქალაქად თესალონიკედ... მჴევალმან მის მთავრისამან გამოიღო ძმ თჳსი ოთხისა წლისაჲ ნახევარმიღებული... მეყსეულად განიკურნა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ხუთი უმნიშვნელო შემთხვევა, როდესაც სვინაქსარული რედაქცია ვრცელ ათონურ რედაქციასთან იჩენს მსგავსებას, ხოლო ამავე შემთხვევებში მოკლე რედაქციისაგან განსხვავებულია.

ეს შემთხვევებია:

სვინაქსარული Ծ რედაქცია	მოკლე Կ. რედაქცია	ვრცელი Ը რედაქცია
ვითარცა იყო იე (15) წლისაჲ, წარვიდა გარეჯისა უდაბნოსა.	აღდგა და წარვიდა იგი უდაბნოსა გარეჯისა... და იყო ჰასაკითა ვითარ ათოთხმეტისა წლისაჲ.	აღდგა და წარვიდა უდაბნოსა გარეჯისა... და იყო ჰასაკითა ვითარ ათხუთმეტისა წლისაჲ.
ინყეს რაჲ ტირილით ვედრებად მისა, ჯუარი დასწერა და განკურნა იგინი.	მაშინ ინყეს ტირილად და ვედრებად მისა.	მაშინ ინყეს ტირილით ვედრებად მისა.
ეგულებოდა რაჲ მთავართა ეპისკოპოსად დადგინებაჲ მისი, წარვიდა მთასა ულუმბისა.	უნდა ყოველსა ერსა და მეფესაცა მათსა, რაჲთამცა ყვეს ეპისკოპოს.	ენება ყოველსა ერსა და მთავარსაცა მის ქუეყანისა, რაჲთამცა ყვეს იგი ეპისკოპოს.
ორნი ეშმაკეულნი შემდგომად მიცვალებისა განკურნა, შეეხნეს რაჲ გუამსა მისსა.	ვითარცა ეგულებოდა დამარხვაჲ მისი, მოვიდეს ორნი ეშმაკეულნი ... და ვითარცა მიეახლნეს წმიდასა მას, მსწრაფლ უჩინო იქმნეს.	ვითარცა ეგულებოდა დამარხვაჲ მისი, მეყსეულად მოვიდეს ორნი ეშმაკეულნი... და ვითარცა მიეახლნეს წმიდასა მას გუამსა მისსა, მუნთქუესვე განიკურნეს იგინი.
სხუათა მრავალთა სასწაულთა იქმოდა საფლავი მისი.	მრავალნი კურნებანი აღასრულნა წმიდამან.	ხოლო იქმნებოდეს სადამარხვილსა სასწაულნი და კურნებანი მრავალნი.

ამ შემთხვევებთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: სვინაქსარული რედაქციისა და ვრცელი ათონური Ը რედაქციის მიხედვით, ილარიონი გარეჯის უდაბნოში მისვლის ჟამს იყო თხუთმეტი წლ-

ისა, ხოლო მოკლე 4. რედაქციით — „ათოთხმეტისა წლისაჲ“. მოკლე რედაქციის „ათოთხმეტისა“ შეიძლება გადამწერის შეცდომაც იყოს.¹ ამ სიტყვის გარდა, მოკლე 4. და ვრცელი 7 რედაქციების ეს ადგილები სიტყვასიტყვით ემთხვევა ერთმანეთს.

დანარჩენი ოთხი ნიმუში კი მხოლოდ უმნიშვნელო მსგავსებას ამჟღავნებს.

სვინაქსარული 8 რედაქციისა და მეტაფრასული 11

რედაქციის მსგავსი ადგილები

სვინაქსარული 8 რედაქცია	მოკლე 4. რედაქცია	მეტაფრასული 11 რედაქცია
ვითარცა მივიდა იერუსალემდ და მოილოცნა წმიდანი ადგილნი, წარვიდა იოანე ნათლისმცემელისა ქუაბსა, სადა პირველ იყოფოდა ელია წინანარმეტყუელი. დაყო იბ წელი მოლუანებითა დიდითა.	მიერ წარვიდეს წმიდად ქალაქად იერუსალიმად და მოილოცნა წმიდანი იგი ადგილნი. იორდანისა უდაბნოთა დაყო შვიდი წელი ღუანლითა და შრომითა.	მოვიდა წმიდად ქალაქად იერუსალემდ და მოჰვლნა და მოილოცნა ყოველნივე იგი თაყუანისსაცემელნი ადგილნი... ქუაბსა მას მიემთხვა, სადა-იგი ელია თეზბიტელი პირველ და უკუანაჰსკნელ მკვდრ იყო, იოანე წინამორბედი და ნათლისმცემელი ქრისტესი. ესევეთარი უკუე ღუანლი მოიღუანა ქუაბსა მას შინა უცხო რაჲმე და საკვრველი და უაღრეს ბუნებისაგან კაცთა-სა ჟამთა ათშვდმეტისა წლისათა.

¹ გაბიძაშვილი, „სვინაქსარული რედაქციები“, გვ. 148.

ნარვიდა მთასა ულუმ- ბისასა და იყოფოდა ეგუტერსა.	და ვითარ მიინია მთა- სა ულუმბოხსასა, პოვა მცირე ეკლესია, შევიდა და იყოფებოდა მას ად- გილსა.	მთასა მას ულუმბოხსა- სა მიინია და პოვა მუნ მცირე რაჲმე ეგუტერი ... და შევიდა მას შინა.
ხოლო წინაჲსწარ ცნა აღსასრული თჳსი და თესალონიკეს მიიცვა- ლა წინაშე უფლისა.	მოუწოდა მონაფეთა თჳსთა და ულოცა და ას- წავა ფრიად და ეზიარა საიდუმლოსა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა და აღმოუტევა წმიდაჲ სული თჳსი.	ცნა უწინარეს ორმოც- და დღეთა... აღსასრუ- ლი თჳსი... მცირედ უკუე დასნეულდა და შემ- დგომად სამისა დღი- სა მშჳდობით უფლისა მიმართ დაიძინა.

არის ორი მაგალითი, სადაც სვინაქსარული რედაქცია მსგავსე-
ბას იჩენს როგორც მეტაფრასულ 1, ასევე მოკლე 4 რედაქციასთან:

სვინაქსარული შ რედაქცია	მოკლე 4 რედაქცია	ვრცელი 7 რედაქცია
მომკუდარ იყვნეს მამაჲ და ძმაჲ თჳსი.	აღსრულებულ იყო მამაჲ მისი და ძმაჲცა.	მამაჲ და ძმაჲ მისი აღ- სრულებულ იყვნეს.
მოიქცა თესალონიკედ და ძე მთვარისაჲ ნახე- ვარ-განმჴმარი განკურ- ნა.	მოინია თესალონიკედ ...მჴვევალმან მის მთვა- რისამან გამოიყვანა ძე მთავრისაჲ მის ოთხისა წლისაჲ ნახევარმიღე- ბული... მეყსეულად განიკურნა.	მოვიდა... კუალად თე- სალონიკედ... ესუა მას [მთავარსა] ძე მონყლუ- ლი ეშმაკისაგან.

უნდა ვიფიქროთ, რომ სვინაქსარული რედაქციის შემდგენელ-
მა ანგარიში გაუწია ორი წყაროს ერთნაირ ჩვენებას, განსხვავებულს
ვრცელი ათონური 7 რედაქციისაგან, და გაიმეორა მათი ცნობა.
ვრცელ ათონურ 7 რედაქციაში ამის პარალელურად არის „ძმანი“ და
„ძმ თჳსი“ (ძმ მჴვევლისა).

როგორც დავინახეთ, ვრცელი 7 და მოკლე 4 ათონური რე-
დაქციების განსხვავებულ ადგილებში სვინაქსარული რედაქცია მოკ-
ლე რედაქციასთან დგას.

ტექსტების შედარების შედეგად ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ სვინაქსარული რედაქციის შედგენის სურათი შემდეგნაირად წარმოგვიდგება: სვინაქსარული რედაქციის შემდგენელ-რედაქტორს ხელთ ჰქონდა ილარიონ ქართველის სახელზე შეთხზული სამივე „ცხოვრება“: მოკლე ათონური Կ, ვრცელი ათონური Ը და მეტაფრასული Լ რედაქციები.

ძირითად წყაროდ სვინაქსარული Ծ რედაქცია იყენებს მოკლე ათონურ Կ რედაქციას, მაგრამ სარგებლობს, აგრეთვე, მეტაფრასული Լ და ვრცელი ათონური Ը რედაქციებით.

ყველაზე ნაკლებად სვინაქსარულ რედაქციას ვრცელი ათონური რედაქციის გავლენა ემჩნევა. სვინაქსარული რედაქციის შემდგენლის მიზანი იყო შეედგინა რაც შეიძლება მოკლე, სქემატური „ცხოვრება“ ილარიონის ბიოგრაფიის მთავარი მომენტებისა და სასწაულების აღნიშვნით. ამისათვის კი მას გამოადგებოდა სწორედ მოკლე ათონური რედაქცია. მოკლე ათონური Կ რედაქცია იყო ერთგვარი ქარგა, რომელიც ძირითადი ამოსავალი წყარო გახდა სვინაქსარული Ծ რედაქციისათვის. სვინაქსარული რედაქციის შემდგენელისათვის თვალში საცემი იქნებოდა მოკლე და ვრცელი ათონური რედაქციების ზედმიწევნითი ტექსტობრივი სიახლოვე. ბუნებრივია, მისთვის ინტერესს მოკლებული იქნებოდა ვრცელი ათონური Ը რედაქცია: ყველაფერი, რაც მას აინტერესებდა ილარიონის ბიოგრაფიიდან, მოცემული იყო მოკლე ათონურ Կ რედაქციაში. ამის გამო სვინაქსარულ რედაქციას ნაკლებად ემჩნევა ვრცელი ათონური რედაქციის კვალი, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ სხვა რედაქციებთან ერთად მას ხელთ ჰქონდა ვრცელი ათონური რედაქციაც, და, უეჭველია, ხანდახან მაინც იხედებოდა მასში, ამიტომ უმნიშვნელო ტექსტობრივი მსგავსებაც სავსებით გასაგებია. მაშასადამე, XII საუკუნის დასაწყისისათვის, როდესაც სვინაქსარული რედაქცია უკვე ჩანს ხელნაწერში, სამივე ზემოხსენებული რედაქცია უკვე არსებულა.

ამრიგად, ძველი სვინაქსარული Ծ რედაქცია შედგენილი უნდა იყოს XII საუკუნის დასაწყისში (ხელნაწერების ჩვენების თანახმად), ძირითადად მოკლე ათონური Կ რედაქციის საფუძველზე, იცნობს იგი, აგრეთვე, მეტაფრასულ Լ და ვრცელ ათონურ Ը რედაქციებსაც.

XVII-XVIII საუკუნეებში შეიქმნა ილარიონ ქართველის სვინაქსარული „ცხოვრების“ მეორე, ძველ სვინაქსარულ „ცხოვრებაზე“ უფრო მოკლე რედაქცია.¹

ვრცელი ათონური Ⴀ რედაქციის დაწერის დრო

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ვრცელი ათონური Ⴀ რედაქცია მოღწეულია ჩუენამდე ერთადერთი, 1074 წლის ალაპებიანი ხელნაწერით.² ვრცელ ათონურ რედაქციას ახლავს ანდერძი: „ლოცვა-ყავთ, ქრისტესმოყუარენო, მამისა გრიგოლისთჳს, რამეთუ ამის წმიდისა ცხოვრებისა დასაწერელი ეტრატი მან მიბოძა. ქრისტემან შეაწიენ წმიდაჲ ესე მამაჲ“.

გრიგოლი იყო ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი გიორგი ვარაზვაჩეს შემდეგ. მამობდა იგი ათონზე ბერძენ-ქართველთა კონფლიქტის დროს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გრიგოლის წინამძღვრობის თარიღებზე აზრთა სხვადასხვაობაა.

ა. შანიძისა და კ. კეკელიძის აზრით, გრიგოლი წინამძღვრობდა 1029-1039 წლებში.³

ნ. ბერძენიშვილის აზრით, გრიგოლის წინამძღვრობის თარიღებია 1031-1037 წლები.⁴

იოანეს და ექვთიმეს „ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ ექვთიმე ათონელს თავის შემდეგ (1019 წელს)⁵ წინამძღვრად დაუდგენია გიორგი.⁶ ეს არის მოღვაწე გიორგი ვარაზვაჩე.

გიორგი ვარაზვაჩესთან ერთად ექვთიმემ ათონის ქართველი ბერები მამა გრიგოლსაც ჩააბარა: „ძმანი ქართველნი მამასა გიორგისა

¹ ხეც A-111, 1703-1715 წწ.; ქუთ. 105, XVII-XVIII სს.; ხეც A-220, 1726 წ.; ქუთ. 111, XVIII ს.; ხეც A-986, XVII ს. — შეიცავს მხოლოდ დასაწყისს.

² ხეც A-558, 66r-89r.

³ „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“, გვ. 163; კეკელიძე, „ათონის ლიტერატურის სკოლის ისტორიიდან“, გვ. 232.

⁴ ბერძენიშვილი, „ათონის კრებულის რედაქცია“, გვ. 37.

⁵ კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, გვ. 187; ჟორდანია, *ქრონიკები*, I, გვ. 163.

⁶ „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“, გვ. 89.

და მამასა გრიგოლს შეჰვედრნა“.¹

რომანოზ III არგვიროსის დროს (1028-1034 წწ.) გიორგი ვარაზ-
ვაჩეს „განდგომილება და ორგულება დასწამეს“.² ეს შეთქმულება
თეოდორას მომხრეებმა მოაწყვეს რომანოზ არგვიროსის წინააღმდეგ.
შეთქმულთა შორის იყვნენ მაგისტროსი პრუსიანე ბოლგარელი, კონ-
სტანტინე დიოგენი და სხვ. ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედ-
რენე შეთქმულთა შორის იხსენიებს ვარაზვაჩეს, რომელიც 1029 წელს
გადასახლებულ იქნა სხვა შეთქმულებთან ერთად.³

სწორედ ეს კონსტანტინე დიოგენი იხსენიება იოანეს და ექვთიმეს
„ცხოვრებაში“, როგორც ბიზანტიის იმპერიის ტახტის პრეტენდენტი.
ხოლო გიორგი კედრენესთან მოხსენებული ვარაზვაჩე, ეჭვი არ არის,
ათონის ივერიის მონასტრის მესამე წინამძღვარი გიორგი ვარაზვაჩეა.

გიორგი ვარაზვაჩეს დროს ათონის ივერიის მონასტერში ბერ-
ძნები მომრავლებულან („სრულიად ბერძენთა მიეცა და იგინი განამ-
რავლნა“).⁴ მისი გადასახლების შემდეგ ბერძნები არაერთხელ ცდილან
მონასტრის მიტაცებას, მაგრამ გრიგოლის მამობის დროს ქართ-
ველებს მოუხერხებიათ ლავრის შენარჩუნება მიხეილ პაფლალონელის
(1034-1041 წწ.) შეწევნით. მიხეილ IV პაფლალონელმა გამეფებისთა-
ნავე, ე. ი. 1034 წელს, პირველი ბჭობის შემდეგ, დაუბრუნა ქართველებს
მათი „საყოფელი“: „კუალად დაგმკჳდრა ადგილი ჩუენი და საყოფელი
წინაძლომითა და მოლუანებითა გრიგოლისითა და არსენისითა და ყო-
ველთა ძმათა ჩუენთა“.⁵

ბერძნები არც ამის შემდეგ დაწყნარებულან: „კუალად აღეტყი-
ნნეს ჩუენ ზედა ბერძენნი და მთაჲ ყოველი აღძრეს და დიდებულნი
ყოველნი განდრიკნეს და ენება, რაჲთამცა პირველი იგი ბჭობაჲ და
ღმრთისამიერი ჩუენ ზედა წყალობაჲ ცუდმცა ყვეს და ამაო“.⁶

მაშინ მიხეილ IV პაფლალონელს მეორე ბჭობა ჩაუტარებია: „დაჯ-
და კუალად ქრისტესმოყუარჳ მიხაელ მეფჳ და ფრიადითა გამოძიები-

¹ იქვე, გვ. 93.

² იქვე.

³ Georgius Cedrenus, *Historiarum compendium*, p. 487; Успенский, *История Афона*, III, стр. 110, 164; Скабаланович, *Византийское государство и церковь в XI веке*, стр. 21.

⁴ „ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი“, გვ. 95.

⁵ იქვე, გვ. 97.

⁶ იქვე.

თა განბჭო და ეკლესიაჲ და მონასტერი ყოვლითურთ მონაგებით და სიმდიდრით ჩუენ გვბოძა“. ¹ მეორე ბჭობის დროს, მიხეილ IV პაფლალონელის თესალონიკეში ჩასვლის წელს, გრიგოლ წინამძღვარი უკვე მიცვალებული ყოფილა: „მამაჲ გრიგოლ პირველ ამის მეორისა ბჭობისა მიცვალებულ იყო“. ²

გრიგოლის წინამძღვრობის თარიღის დასადგენად უნდა განისაზღვროს ათონის ივერიის მონასტრის მესამე წინამძღვრის, გიორგი ვარაზვაჩეს მონოვატს გადასახლების წელი და ბერძენ-ქართველთა კონფლიქტის მოსაგვარებლად მიხელ IV პაფლალონელის მიერ თესალონიკეში ჩატარებული მეორე „ბჭობის“ დრო.

დიოგენის შეთქმულების თარიღის შესახებ მკვლევარნი სხვადასხვა აზრისა არიან.

გ. შლუმბერჟეს აზრით, დიოგენის შეთქმულება ყოფილა 1031 წელს. ³ ამავე აზრის არის მურალტიც. ⁴

ნ. სკაბალანოვიჩი უნდობლად უყურებს ამ თარიღს. მისი აზრით, შეთქმულება აღმოჩენილ იქნა 1029 წელს ან 1028 წლის ბოლოს, ხოლო 1031 წელს მხოლოდ გრძელდებოდა ის, რაც ადრევე დაიწყო. ⁵

შ. ლებოს მიხედვით, შეთქმულებაში შემჩნეული კონსტანტინე დიოგენი 1029-1031 წლებში ბიზანტიის დედოფალ ზოიას ჩაკეტილი ჰყოლია სტუდიელთა მონასტერში. ⁶ 1031 წელს მან ისევ მოაწყო შეთქმულება და სცადა ილირიაში დაბრუნება, რათა იქ იმპერატორად გამოეცხადებინა თავი.

ამრიგად, XII საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე, ასევე, ცნობილ ბიზანტინისტთა და ქართველ მეცნიერთა უმრავლესობა დიოგენის შეთქმულების თარიღად 1028-1029 წლებს მიიჩნევს. მაშასადამე, გიორგი ვარაზვაჩეს მონოვატში გადასახლებისა და გრიგოლის წინამძღვრად გახდომის თარიღად 1029 წელია სავარაუდებელი.

მიხეილ IV პაფლალონელის პირველი ბჭობა ათონზე ბერძენ-ქარ-

¹ „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“, გვ. 98.

² იქვე.

³ G. Schlumberger, *L'épopée byzantine*, p. 99.

⁴ იხ.: Скабаланович, *Византийское государство и церковь*, стр. 20.

⁵ იქვე.

⁶ Lebeau, *Histoire du Bas-Empire*, p. 250

თველთა კონფლიქტის მოსაგვარებლად მისი გამეფების წელს (1034 წ.) მომხდარა. მიხეილ ფსელოსის ცნობით, მეფობის ორ უკანასკნელ წელს (1040-1041 წწ.) მიხეილ IV პაფლაღონელი მძიმე სნეულებით ყოფილა შეპყრობილი.¹ ცხადია, მას ამ დროს კონფლიქტის მოგვარების საშუალება არ ექნებოდა. შესაძლოა, მან მართლაც 1039 წელს მოიწვია მეორე ბჭობა ათონზე ბერძენ-ქართველთა კონფლიქტის მოსაგვარებლად, რომლის დროს გრიგოლ წინამძღვარი ცოცხალი აღარ არის. ამრიგად, გრიგოლის წინამძღვრობის თარიღად მიღებულია 1029-1039 წლები.

ყოველივე ამის შედეგად ცხადია, რომ ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ვრცელი ათონური ორედაქცია უკვე გადანერილი იყო XI საუკუნის 30-იან წლებში, გრიგოლის წინამძღვრობის დროს.

ვრცელი ათონური ორედაქციის ერთ ადგილას ვკითხულობთ: „და მუნცა [რომში] მრავალნი სასწაულნი და კურნებანი აღასრულნა უფალმან მის მიერ, ვითარცა უკუანასკნელ მონაფემან მისმან ნეტარმან ისაკ ყოველივე მოგვთხრა, მოიქცა რაჲ მიერ შემდგომად მიცვალებისა მისისა“.² ამ ადგილიდან ჩანს, რომ ორედაქციის ავტორისთვის ისაკს მიუწოდებია ცნობები თავისი მოძღვრის, ილარიონ ქართველის შესახებ. მაშასადამე, ეს ორედაქცია უნდა დაწერილიყო ისაკის თანამედროვის მიერ. რაც არ უნდა უმცროსი ყოფილიყო იგი ისაკზე, დაწერის დრო არ გადასცილდებოდა X საუკუნის I ნახევარს.

მაშასადამე, ვრცელი ათონური ორედაქცია დაწერილი კი არ უნდა იყოს XI საუკუნის 30-იან წლებში, არამედ გადანერილი. X საუკუნის I ნახევარში შექმნილი ვრცელი ათონური ორედაქცია გადაინერა, „დაიწხრიკა“ ათონის 1074 წლის აღაპებიანი ხელნაწერისათვის. ილარიონ ქართველის უკვე არსებული „ცხოვრებით“ უსარგებლიათ საბერძნეთში მოღვაწე ქართველ მამათა სახსოვარი კრებულის შედგენა-შეცვლის დროს.

ათონის 1074 წლის აღაპებიან ხელნაწერში თხზულებები სხვადასხვა დროს ყოფილა შეტანილი. ამ ხელნაწერში იოანე მახარებლის „ცხოვრების“ ბოლოს მოთავსებულია მიქელ დაღალისონელის ანდერძი, საიდანაც ვგებულობთ, რომ ხელნაწერში „სწერია წმიდისა მამი-

¹ Скабаланович, *Византийское государство и церковь*, стр. 37.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 23-24; აქვე, გვ. 19.

სა ჩუენისა ცხოვრებაჲ და მერმე ალაპნი და მერმე ქადაგებანი მოციქულისანი“.¹

ამრიგად, თავდაპირველად კრებულში შეტანილი ყოფილა იოანეს და ექვთიმეს „ცხოვრება“, ალაპები და ქადაგებანი მოციქულისანი (იოანე მახარებლის „ცხოვრება“).

ნ. ბერძენიშვილის თანახმად, მეორე რედაქციის დროს კრებულს ასეთი სახე მიუღია:

1. იოანეს და ეფთემეს ცხოვრება (1-8 რვეული);
2. ილარიონის ცხოვრება (8-11 რვეული);
3. იოანე მახარებლის მიმოსვლანი (12-20 რვეული);
4. ილარიონის დასდებელნი და იოანეს დასდებელნი (12-13 რვეული), ეფთემეს დასდებელნი, სხვანი გალობანი მისვე წმიდისანი და ალაპები (14-18 რვეული).

მიქაელ დაღალისონელი და საგალობლების ავტორი ზოსიმე იაკობ მღვდელსა და დეკანოზს მოიხსენებენ, როგორც მათი შრომების განმზრახველსა და მაიძულებელს. ნ. ბერძენიშვილი სამართლიანად ასკვნის, რომ დაღალისონელი, იაკობის განზრახვით, ათონის ქართველთა ლავრის აღმაშენებელთა სახსოვარ კრებულს წერდა. ხოლო მოგვიანებით, 1074 წლის შემდეგ, ათონელებს გადაუწყვეტიათ საბერძნეთში მოღვაწე ქართველთა სამახსოვრო, გაფართოებული სახის კრებულის შედგენა.² მასში შეუტანიათ „ცხოვრება“ ილარიონისა, რომელიც არ ყოფილა ათონის ივერიის მონასტრის მოღვაწე. ამგვარად იქცა ეს ხელნაწერი საბერძნეთში მოღვაწე ქართველ მამათა სამახსოვრო კრებულად.

მესამე და უკანასკნელმა რედაქტორმა თავლაჲსდემ კრებულში მხოლოდ მექანიკური ხასიათის ოპერაცია მოახდინა. მას მინდობილი ჰქონდა მამა იოანე კალაკალას მიერ „იქა-აქა დაფანტულად“ ჩანერილი ალაპების შეკრება, წესზე დალაგება და გადანერა.

ამრიგად, XII საუკუნის 40-იან წლებში შეიქმნა „ახალი რედაქცია, რომელშიაც შეტანილია „ცხოვრებები“, შემდგომ საგალობელნი და ბოლოს — ალაპები. ამით თავლაჲსდემ კრებული „სულთა მატინად“

¹ ხეც A-558, 155r.

² ბერძენიშვილი, „ათონის კრებულის რედაქცია“, გვ. 37; აფციაური, „გიორგი ათონელის ცხოვრების დანერის თარიღისათვის“, გვ. 176-177.

— (საალაპე) წიგნად აქცია“.¹

ჩვენთვის საინტერესოა, როდის შედგა „ათონის კრებულის“ მეორე რედაქცია, რომელშიაც მოხვედრილია ილარიონის „ცხოვრება“.

ნ. ბერძენიშვილი ამ რედაქციას XI საუკუნის 80-იანი წლების მიწურულით ათარიღებს, რადგან კრებულში შეტანილი არ არის გიორგი ათონელის „ცხოვრება“, რომელიც „უნდა დაწერილიყო სულ ცოტა თხუთმეტი წლის შემდეგ გიორგის გარდაცვალებისა“.² განსვენებული მეცნიერი სხვას არაფერს ამბობს თავისი ვარაუდის განსამტკიცებლად.

გიორგი ათონელის „ცხოვრების“ დაწერის თარიღად ტრადიციულად მიჩნეულია 1066-1068 წლები.³ ამ მოსაზრების თანახმად, თხზულების წერა გიორგი მცირეს დაუწყია გიორგის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ. ამიტომ თხზულების დაწერის ქვემო ქრონოლოგიურ საზღვრად მიღებულია 1066 წელი (გიორგი ათონელი გარდაიცვალა 1065 წელს).

გიორგი ათონელის „ცხოვრების“ მიხედვით, გიორგი მცირის მაიძულებელი, თხზულების დაწერის ინიციატორი, იოანე ჭყონდიდლის გარდა, ყოფილა გიორგი შეყენებული; თხზულება ავტორს გაუგზავნია გიორგი შეყენებულისათვის და უთხოვია მისი გამართვა.⁴

გიორგი ათონელის „ცხოვრებიდან“⁵ ირკვევა, რომ გიორგი მცირეს თავისი თხზულება დაუწერია გიორგი დაყუდებულის სიცოცხლეში. გიორგი დაყუდებულის გარდაცვალების თარიღად ვარაუდობენ 1068 წელს. ეს წელი მიჩნეულია გიორგი ათონელის „ცხოვრების“ დაწერის ზემო ქრონოლოგიურ საზღვრად.

კ. კეკელიძე ამ თარიღზე მსჯელობის დროს უთითებს პლატონ იოსელიანსა და ნიკო მარს.⁶ ნიკო მარი კი სქოლიოში უთითებს პლატონ იოსელიანის გამოცემულ „წყობილსიტყვაობას“⁷ და, სამწუხაროდ, სხვას არაფერს ამბობს ამ თარიღის შესახებ.

¹ ბერძენიშვილი, „ათონის კრებულის“ რედაქცია“, გვ. 38.

² იქვე, გვ. 37.

³ კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, გვ. 248.

⁴ „ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ“, გვ. 105.

⁵ იქვე, გვ. 101-105.

⁶ კეკელიძე, *ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, გვ. 248.

⁷ Март, *Иоанн Петрицкий*, стр. 57.

სამეცნიერო ლიტერატურაში გიორგი შეყენებულის გარდაცვალების თარიღად აღიარებული 1068 წელი დამყარებულია პლატონ იოსელიანის ზეპირ განცხადებაზე. ანტონ კათალიკოსის „ნეობილსიტყვაობის“ კომენტარში გიორგი შეყენებულის შესახებ პლატონ იოსელიანი წერს: „ესე ჰსცხოვრებდა მთასა და საკვრუშლსა ანტიოხიისა მხარეს, სავანესა წმიდისა სვეთონ დიდისა მესუჭტისა და იყო მოძღუარი სულიერი გიორგი მთაწმინდელისა. აღჰსრულდა 1068 წელსა მუნვე დასაყუდებელსა თვსსა ღრმად მოხუცებული“.¹

პლატონ იოსელიანი არ უთითებს წყაროს, საიდან მომდინარეობს ეს ცნობა.

გიორგი შეყენებულის გარდაცვალების თარიღი (1068 წ.) ეჭვის ქვეშ არის დაყენებული.² მაშასადამე, ეს თარიღი არ გამოდგება გიორგი ათონელის „ცხოვრების“ დაწერის ზემო ქრონოლოგიურ საზღვრად.

მაგრამ გიორგი ათონელის „ცხოვრების“ დაწერას შესანიშნავად ათარიღებს კ. კეკელიძისა და ივ. ლოლაშვილის რამდენიმე არგუმენტი.³ მათ შორის აღსანიშნავია: 1) თხზულება დაწერილია ბაგრატ IV-ის სიცოცხლეში, ე. ი. 1072 წლამდე; 2) სტეფანე მღვდელს გიორგი ათონელის სიცოცხლეში ბნედა მოსვლია ჟამისწირვის დროს. აგიოგრაფი (გიორგი მცირე) აღნიშნავს: „არს ან შვიდი წელი, არცა თუ მძინარე განკრთომილ არსო“.⁴ თუ სტეფანე მღვდლის ეპიზოდი გიორგი ათონელის სიცოცხლის თუნდაც უკანასკნელ წელს მოხდა (1065 წ.), თხზულების დაწერა 1072 წელს მაინც არ გადასცილდებოდა.

მაშასადამე, გიორგი ათონელის „ცხოვრების“ დაწერის თარიღი საბოლოოდ გადანყევტილად უნდა ჩაითვალოს. ეს არის 1066-1072 წლები.

გიორგი მთაწმინდლის „ცხოვრების“ დაწერის დროის გარკვევა საშუალებას გვაძლევს დავათარილოთ ათონის 1074 წლის ხელნაწერის II რედაქცია, რომელშიაც აუცილებელი იყო გიორგი მთაწმინდლის „ცხოვრების“ შეტანა.

ამრიგად, ათონის 1074 წლის ხელნაწერის II რედაქცია შედგენი-

¹ ანტონ კათალიკოსი, *ნეობილსიტყვაობა*, გვ. 248, შენ. 131.

² აფციაური, „გიორგი ათონელის ცხოვრების“ დაწერის თარიღისათვის“, გვ. 175.

³ კეკელიძე, „ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან“, გვ. 148; ლოლაშვილი, „როდის დაიწერა გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, გვ. 57.

⁴ „ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმინდელისაჲ“, გვ. 203.

ლი ყოფილა 1066-1072 წლებამდე.

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ვრცელი ათონური ორედაქცია, რომელიც შექმნილი ჩანს X საუკუნის I ნახევარში, გადანერვილია ათონზე XI საუკუნის 30-იან წლებში, ხოლო ათონის 1074 წლის ხელნაწერში მოხვდა ხელნაწერის მეორეჯერ რედაქტირების დროს, 1066-1072 წლებამდე.

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ II რედაქციის დათარიღების ცდა.

ილარიონ ქართველისა და დავით გარეჯელის მეტაფრასულ „ცხოვრებათა“ მიმართებისათვის

ილარიონ ქართველი მოხსენიებულია დავით გარეჯელის „ცხოვრების“ მოკლე და ვრცელ (მეტაფრასულ) რედაქციებში.

მოკლე რედაქციიდან ვგებულობთ, რომ წმინდა დოდოს მიერ შექმნილი ეკლესია ილარიონ ქართველმა „განავრცელა და აკურთხა, რომელსა შინა სამხრით-კერძო ეკლესიასა მას შექმნა ლუსკუმაჲ შუენიერი, რომელსა შინა დაკრძალულ არიან ნაწილნი წმიდისა მამისა ჩუენისა დავითისნი“.¹

დავით გარეჯელის „ცხოვრების“ მეტაფრასულ რედაქციაში ილარიონ ქართველის მოხსენიებას ბევრად უფრო დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ამ რედაქციაში ვკითხულობთ, რომ ეკლესიად გამოკვეთილი ქვაბი „განავრცელა და აკურთხა წმიდამან და ღმერთშემოსილმან მამამან ილარიონ“, რომელმაც „დაასრულა ცხოვრებაჲ ქალაქსა შინა თესალონიკისასა, ხოლო აღმოყვანებულ იქმნეს კოსტანტინეპოლედ ნაწილნი მისნი ფრიად პატიოსნად ბასილი მეფისა მიერ მაკედონად წოდებულისა, და ეკლესიაჲ შუენიერი და ბრწყინვალე შეუმზადა მას სახელსა ზედა წმიდათა მოციქულთასა ზენა კერძო სოსთენისა, რომანად წოდებულსა ადგილსა შინა, სადა-იგი დაისხნეს პატიოსანნი ნაწილნი მისნი ყოვლად შუენიერებით. და მონასტერი შუენიერი შენ არს მუნ მონაზონთა მწყობრისა მიერ აღსავსე, რომელსა შინა ვიდრე აქა-

¹ აბულაძე (გამოც.), *ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები*, გვ. 174.

მომდე საკვრველებათა ძალნი აღესრულებიან სანატრელისა ილარიონის მიერ. მან ღმერთშემოსილმან მამამან მერმეცა გარეჯას ყოფასა მისსა სამხრით-კერძო ეკლესიასა ამას შინა შექმნა ლარნაკი შუენიერი, რომელსა შინა ან მდებარე არიან პატიოსანნი ნაწილნი წმიდისა მამისა დავითისნი“.¹

საინტერესოა, ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ რომელი რედაქციით სარგებლობდა დავით გარეჯელის „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის ავტორი.

ილარიონის აღსრულება თესალონიკეში, ბასილ მეფის მიერ მის ნაწილთა „აღმოყვანება“ კონსტანტინოპოლში და მისი დასვენება რომანად წოდებულ ადგილას ავტორს შეეძლო ამოეღო როგორც ერთი Ⴀ, ისე მეორე — Ⴀ რედაქციიდან. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა შემდეგი ადგილი: „ეკლესია ... შეუმზადა მას სახელსა ზედა წმიდათა მოციქულთასა ზენა კერძო სოსთენისა, რომანად წოდებულსა ადგილსა შინა“.

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ მეტაფრასულ რედაქციაში ილარიონის ნაწილთა დასასვენებლად ბასილ მაკედონელის მიერ აგებული მონასტრის შესახებ ვკითხულობთ: „მეყსეულად გამოსახა ეკლესიაჲ სახელსა ზედა წმიდათა მოციქულთასა“.

როგორც ვხედავთ, ილარიონის მოწაფეთათვის აშენებული ეკლესია მოციქულთა სახელობისა ყოფილა ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ Ⴀ რედაქციის მიხედვითაც, ათონურ „ცხოვრებაში“ არსად მითითებული არ არის, რომ ეს ეკლესია მოციქულთა სახელობისაა. ამ რედაქციაში აღნიშნულია მხოლოდ, რომ ეკლესიაში დაუსვენებიათ მოციქულთა ნაწილებიც.

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ათონურ Ⴀ რედაქციაში არ არის აღნიშნული, რომ რომანას მონასტერი სოსთენის ზემო მხარეს მდებარეობდა. ამ მხრივ საყურადღებოა Ⴀ რედაქციის ფრაზა: „ზენა კერძო სოსთენისა, რომანად წოდებულსა ადგილსა შინა“.

ვრცელ ათონურ Ⴀ რედაქციაში ეს გეოგრაფიული სახელწოდება სულ სხვა ადგილას, მოგვიანებით არის ნახსენები, ილარიონის ნაწილთა კონსტანტინოპოლიდან რომანაში გადმოსვენების დროს: „შე-

¹ აბულაძე (გამოც.), *ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები*, გვ. 175.

ვიდა პირველად [ბასილ მაკედონელი] ეკლესიასა მთავარანგელოზისა მიქაელისსა სუსთენს... გამოვიდა მიერ... და მივიდა ჰრომანად“.¹

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ო რედაქციაში ვკითხულობთ: „მიემთხვნეს ღელესა რასმე, რომელსა ერქვა ჰრომანა, ზემო კერძო ადგილსა, რომელსა სოსთენ ეწოდების“.²

ამრიგად, ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ო რედაქცია და დავით გარეჯელის მეტაფრასული „ცხოვრება“ რომანას მონასტრის ადგილმდებარეობას სოსთენის მეშვეობით განსაზღვრავს.

ესეც უჭერს მხარს იმ მოსაზრებას, რომ დავით გარეჯელის „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის ავტორი იცნობს ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ მეტაფრასულ ო რედაქციას.

რაც შეეხება ჩვენთვის საყურადღებო ადგილის მეორე ნაწილს („რომანად წოდებულსა ადგილსა შინა“), უნდა აღინიშნოს, რომ ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ვრცელი ათონური რედაქცია ამ სახელით იხსენიებს ილარიონის სახელზე აშენებულ მონასტერს.

ვრცელ ათონურ რედაქციაში „ჰრომანა“ ორჯერ არის ნახსენები და ორჯერვე კონკრეტულად მონასტერს გულისხმობს და არა სხვა რამეს.

1. „და უწოდა ადგილსა მას ქართველთა მონასტერი, რომელსა პირველთაგან სახელი ეწოდა ჰრომანა“.³

2. „გამოვიდა მიერ და აღმწედრდა სამეფოთა ეტლთა და მივიდა ჰრომანად, რომელი-იგი თვთ აღეშენა მოწაფეთათჳს ამის წმიდისათა“.⁴

როგორც ვხედავთ, ათონურ ვრცელ რედაქციაში „რომანა“ ილარიონის სახელზე აშენებული მონასტრის სახელწოდებაა.

მიემართოთ ილარიონის „ცხოვრების“ მეტაფრასულ ო რედაქციას. ამ რედაქციაში „რომანა“ როგორც მონასტრის სახელწოდება არსად ჩანს:

1. „ხოლო იგინი გამოვიდეს და ძიება ყვეს და მიემთხვნეს ღელესა რასმე, რომელსა ერქვა ჰრომანა“.

2. „გამოვიდეს მიერ უმეტესითა გალობითა და ბრწყინვალეებითა

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 36; აქვე, გვ. 33.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, გვ. 242; აქვე, გვ. 83.

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 33; აქვე, გვ. 30.

⁴ იქვე, გვ. 36.

შემოსილნი და აღვდეს ღელესა მას ჰრომანისასაჲ“.

ამრიგად, ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ მეტაფრასულ რედაქციაში „რომანა“ ორჯერვე აღნიშნავს ღელეს და არა მონასტერს, ნინალმდეგ ათონური Ⴀ რედაქციისა, სადაც ილარიონ ქართველის მონაფეთათვის ბასილ მაკედონელის ბრძანებითა და თაოსნობით აშენებული მონასტრის სახელწოდებად დაკანონებულია „რომანა“.

მივუბრუნდეთ ისევ დავით გარეჯელის „ცხოვრების“ მეტაფრასულ რედაქციას. აქ რომანა არ აღნიშნავს უშუალოდ მონასტრის სახელწოდებას, არამედ ჩვეულებრივი გეოგრაფიული სახელია („რომანად წოდებულსა ადგილსა შინა“).

ამრიგად, დავით გარეჯელის „ცხოვრების“ მეტაფრასულ რედაქციაში, ისევე როგორც ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ მეტაფრასულ Ⴀ რედაქციაში, რომანა არის გეოგრაფიული სახელი (ან საერთოდ ადგილის, ან, კერძოდ, ღელის აღმნიშვნელი). განკერძოებით რჩება ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ათონური Ⴀ რედაქცია, რომელიც ამ სიტყვაში მონასტრის სახელწოდებას გულისხმობს და არა ჩვეულებრივ გეოგრაფიულ სახელს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ დავით გარეჯელის „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის ავტორი იცნობს ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ მეტაფრასულ Ⴀ რედაქციას.

სამეცნიერო ლიტერატურაში დავით გარეჯელის მეტაფრასული „ცხოვრება“ XII საუკუნის I ნახევრით არის დათარიღებული.¹

მაშასადამე, XII საუკუნის I ნახევარში ცნობილი და გავრცელებული ყოფილა ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ Ⴀ რედაქცია. ამ მოსაზრებას ისიც უჭერს მხარს, რომ ილარიონის სვინაქსარული „ცხოვრება“ შედგენილია ათონური (Ⴀ და Ⴁ) და Ⴀ რედაქციების მიხედვით, ხოლო სვინაქსარული „ცხოვრების“ „დიდ სვინაქსარში“ შეტანა XI საუკუნის მიწურულით ან XII საუკუნის დასაწყისით უნდა განისაზღვროს.²

ამრიგად, ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ Ⴀ რედაქცია XII საუკუნის დასაწყისში უკვე შექნილი ყოფილა.

¹ კეკელიძე, *ქართული ლიტერატურის ისტორია*, გვ. 534; აბულაძე (გამოც.), *ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები*, გვ. XXVI.

² გაბიძაშვილი, „სვინაქსარული რედაქციები“, გვ. 157.

დავით გარეჯელის „ცხოვრების“ მეტაფრასულ რედაქციაში ლაპარაკია ილარიონის მიერ გარეჯის მონასტერში ეკლესიის განვრცობის, კურთხევისა და ეკლესიის სამხრეთ ნაწილში დავით გარეჯელის ნაწილთა დასასვენებელი ლარნაკის შექმნაზე.

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ათონურ რედაქციაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი გარეჯაში დავითის სამარტვილოში ეკლესიის შექმნისა და ლუსკუმა-ლარნაკის შესახებ.

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ I რედაქციაში დავით-გარეჯაში ილარიონის ქტიტორული მოღვაწეობის შესახებ ვკითხულობთ: „წმიდისა მამისა დავითის სამარტკლოსა შინა ეკლესიად შექმნა და შეწირა საჭმარი, რაჟღენი იპოვა მის შორის“. ეს არის და ეს.

ილარიონ ქართველმა წარუშლელი კვალი დატოვა გარეჯის მრავალმთის უდაბნოში მოღვაწეობითა და ქტიტორული საქმიანობით. მოსალოდნელია, რომ გარეჯაში მეტი ეცოდინებოდათ და უფრო დაწვრილებითი ცნობების მოწოდება შეეძლებოდათ ილარიონის მოღვაწეობის შესახებ, ვიდრე ამ ადგილებიდან შორს მყოფ ადამიანებს. XII საუკუნემდე გარეჯის უდაბნოში უთუოდ იქნებოდა თქმულებები და გადმოცემები ილარიონის შესახებ. ამის დადასტურება უნდა იყოს დავით გარეჯელის „ცხოვრების“ ზემომოტანილი ადგილი. ამითვე უნდა აიხსნას, რომ დავით გარეჯელის „ცხოვრება“ მეტ მასალას გვანვდის ილარიონის გარეჯაში მოღვაწეობის შესახებ, ვიდრე ილარიონ ქართველის მეტაფრასული „ცხოვრება“.

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ I რედაქციის ავტორს რომ ესარგებლა დავით გარეჯელის მეტაფრასული „ცხოვრებით“, ვფიქრობთ, ის არ გამოტოვებდა არც ერთ დეტალს ილარიონის გარეჯაში მოღვაწეობიდან და აღნიშნავდა როგორც ილარიონის მიერ ეკლესიის განვრცობასა და კურთხევას, ასევე დავით გარეჯელის ნაწილთა დასასვენებლად ლარნაკის შექმნას, აგიოგრაფისათვის ეს დეტალები ყურადღების ღირსია. თუ ეს დეტალები მოხსენიებულია დავით გარეჯელის „ცხოვრებაში“, მით უმეტეს, მოსალოდნელი იყო ისინი ილარიონ ქართველის „ცხოვრებაში“.

პირუკუ დაშვების საფუძველი არ არსებობს: დავით გარეჯელის „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის ავტორი სარგებლობს ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ I რედაქციით და გვანვდის დამატებით ცნობებს ილარიონ ქართველის გარეჯაში მოღვაწეობის შესახებ.

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ¹ რედაქციის დათარიღებისათვის საინტერესოა, აგრეთვე, ზოსიმეს საგალობელი, რომელიც შექმნილი უნდა იყოს 1072-1074 წლებში.

¹ რედაქციის საგალობელთან ტექსტობრივი შედარების დროს აღმოჩნდა ზიარი ორი ადგილი. ამის შესახებ ქვემოთ.

ეს ფაქტი გვაგვარაუდებინებს, რომ ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ¹ რედაქცია 1072-1074 წლებში უკვე დაწერილი ყოფილა.

წ და ¹ რედაქციების შექმნის ადგილი

წ რედაქციის ბოლოს მოთავსებული ანდერძიდან¹ ირკვევა, რომ ეს რედაქცია გადაწერილია ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვრის გრიგოლის დროს. მჩხრეკალი გვაუწყებს, რომ „ცხოვრების“ „დასაწერელი ეტრატი“ მისთვის მიუცია მამა გრიგოლს, ათონის ივერიის მონასტრის წინამძღვარს. ეს დეტალი უეჭველს ხდის ვრცელი ათონური რედაქციის ათონზე გადწერის ფაქტს.

ვრცელი ათონური რედაქცია შეტანილია ათონის 1074 წლის ხელნაწერში. რედაქციის წარმომავლობის შესახებ ტექსტში არავითარი მინიშნება არ ჩანს.

ზუსტად განსაზღვრა იმისა, თუ სად შეიქმნა ვრცელი ათონური რედაქცია, არ ხერხდება. შექმნილი უნდა იყოს ის საბერძნეთში, კონსტანტინეპოლ-რომანა-ათონის მიდამოებში.

შესაძლებელია, ეს რედაქცია შექმნილია საბერძნეთში, ილარიონის სახელზე დაფუძნებულ რომანას ქართველთა მონსტერში, სადაც ილარიონის მოწაფეები მოღვაწეობდნენ და სადაც მის ავტორს ილარიონის მოწაფე ისაკმა ყველაფერი მოუთხრო ილარიონის შესახებ მისი გარდაცვალების შემდეგ.

გამორიცხული არ არის, აგრეთვე, რომ ვრცელი ათონური რედაქცია შეიქმნა კონსტანტინოპოლში, სადაც მოღვაწეობდა ბიზანტიის სამეფო კარის მოხელე ბასილ პროტოასიკრიტი. არც ის არის დაუშვებელი, რომ ვრცელი ათონური რედაქცია ათონის წრეში შეიქმნა და მოგვიანებით (XI საუკუნის 30-იან წლებში) ათონზე გადაიწერა.

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 37; აქვე, გვ. 34.

ტექსტის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ მეტაფრასულ 'L რედაქციაში უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი სურათი ილარიონის მოღვაწეობისა გარეჯის უდაბნოში, ვიდრე ათონურ რედაქციებში. ათონურ რედაქციაში არ არის აღნიშნული, რომ ილარიონი მეორედ მიბრუნდა გარეჯის მონასტერში, ხოლო მეტაფრასულმა რედაქციამ იცის ეს მომენტი ილარიონის ცხოვრებიდან: „და კუალად უდაბნოდ გარეშვისა მივიდა, სადა-იგი დაეტევნეს ძმანი პირველ“. მეტაფრასულ 'L რედაქციას დაუცავს, აგრეთვე, გარეჯის უდაბნოს აღწერა, იქ მობინადრე ბერების სიძნელეებით სავსე ცხოვრება, ილარიონის ყოფა და საკვებიც კი, აგრეთვე, ცნობა, რომ პირველად გარეჯის უდაბნოში ილარიონს გაუტარებია ათი წელი. აღწერილია, თუ როგორ მოძღვრავდა იქაურ თერთმეტ ძმას ილარიონი. ათონურ რედაქციას ეს ცნობები არ გააჩნია. ათონური რედაქციის მიხედვით, ეპისკოპოსმა ილარიონი აკურთხა მღვდლად, მეტაფრასულის მიხედვით კი – პირველ დღეს დიაკვნად, ხოლო მეორე დღეს – ხუცად.

ამრიგად, ილარიონის „ცხოვრების“ მეტაფრასული 'L რედაქცია გარეჯის სალიტერატურო სკოლის წარმომადგენლის მიერ უნდა იყოს შექმნილი, მაგრამ არა საქართველოში, არამედ საზღვარგარეთ. მეტაფრასულ რედაქციაში დაიძებნა მაგალითები, რომელთა მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს რედაქცია პალესტინაშია შექმნილი.

ტ და 'L რედაქციების ჩვენთვის საგულისხმო ფორმების შეპირისპირებით ირკვევა შემდეგი:

1. მეტაფრასული „ცხოვრება“ არ არის დაწერილი საქართველოში. ავტორი საქართველოს გარეთ იმყოფება. სწორედ ეს ათქმევინებს მას: „მიიწია მამულსა თვსსა“-ო.

2. მეტაფრასული რედაქცია დაწერილი ჩანს პალესტინაში („და მიერ მოვიდა წმიდად ქალაქად იერუსალჴმდ“). ავტორი, რომელიც საქართველოს მიმართ „მიიწია“ ფორმას ხმარობს, „მოვიდა“ ფორმას იყენებს იერუსალიმის მიმართ (ათონურით — „წარვიდეს“). სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ ის ამ მხარეში (პალესტინა) იმყოფება, აქ ცხოვრობს და მოღვაწეობს.

3. მეტაფრასული რედაქცია არ არის დაწერილი შიგ იერუსალიმში. საბუთი ამისა: „აღვიდა“ ფორმის ხმარება იერუსალიმის მიმართ („აღვიდა წმიდად ქალაქად“). ავტორი ილარიონის პალესტინაში ჩამოსვლის შემთხვევაში ხმარობს იერუსალიმის მიმართ „მოვიდა“-ს,

ხოლო შემდეგ იმავე იერუსალიმის მიმართ იყენებს „აღვიდა“ ფორმას. „მოვიდა“ – „აღვიდას“ ხმარებაში, ერთი შეხედვით, თითქოს წინააღმდეგობაა. მაგრამ საქმე ის არის, რომ პალესტინაში მცხოვრებ ავტორს თავისუფლად შეეძლო იერუსალიმის მიმართ „მოვიდა“ ფორმა ეხმარა, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხებოდა ილარიონის საქართველოდან პალესტინაში ჩამოსვლას, თუნდაც ის მისი მკვიდრი არ ყოფილიყო. ხოლო შემდეგ, როდესაც ილარიონმა „მოილოცნა“ პალესტინის წმიდა ადგილები და, სხვათა შორის, იერუსალიმიც მოინახულა, სავსებით ბუნებრივია, რომ პალესტინაში, მაგრამ არა შიგ იერუსალიმში მცხოვრებ ავტორს ეხმარა ფორმა „აღვიდა“ იერუსალიმის მიმართ. ამ ორივე ფორმის („მოვიდა“–„აღვიდა“) ხმარება იერუსალიმის მიმართ სხვადასხვა ვითარებაში სავსებით გამართლებულია.

4. ო რედაქცია არ არის შექმნილი საბანშიდის ლავრაში. საბანშიდას გამოორიცხავს „განვიდა“ ფორმის ხმარება ამ ლავრის მიმართ („მერმე განვიდა ლავრასა წმიდისა საბანსა“). ამის მთქმელი, რა თქმა უნდა, საბანშიდის ლავრის გარეთ იმყოფება.

5. ვფიქრობთ, ო რედაქციის დამწერი იმყოფება იერუსალიმის მიდამოებში, შესაძლებელია, ჯვრის მონასტერში, ვინაიდან ამ პერიოდში იერუსალიმის გარეთ და მის მიდამოებში ქართული მხოლოდ ჯვარის მონასტერი გვევლინება.

ამრიგად, სავარაუდებელია, რომ ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ო რედაქცია გარეჯის უდაბნოს მოღვაწის მიერ არის დანერგილი, მაგრამ არა საქართველოში, არამედ პალესტინაში, იერუსალიმის მიდამოებში მდებარე მონასტერში.

ამ რედაქციის ავტორად სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია თეოფილე ხუცესმონაზონი.¹ ეს მოსაზრება ეყრდნობა თეიმურაზ ბატონიშვილისეული ხელნაწერის (ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი H-22) ცნობას. ხელნაწერში სათაურის მომდევნოდ, ტექსტისავე ხელით, გაკეთებულია შენიშვნა: „თარგმანი თეოფილე“. ამ რედაქციის შემცველ სხვა ხელნაწერთაგან არც ერთს არა აქვს ეს მინაწერი.

თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნსაცავის კატალოგში² მოცემულია

¹ კეკელიძე, „ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან“, გვ. 147-148.

² Цагарели, *Сведения о памятниках грузинской письменности*, стр. 162; თეიმურაზ ბა-

ილარიონ ქართველის მოკლე ბიოგრაფია, როგორც ჩანს, შედგენილი 'L რედაქციის მიხედვით, ხოლო აღწერილობაში ნათქვამია, რომ ბასილ მონაზონის მიერ ბასილ მაკედონელის ბრძანებით დაწერილი ილარიონ ქართველის „ცხოვრება“ „ბერძულისაგან გარდამოითარგმნა ქართულად ღირსისა თეოფანე მთარგმნელისაგან ქართველისა“ (ალ. ცაგარელთან, მ. ბროსესთან და მ. საბინინთან¹ – თეოფილე).

მ. საბინინის ცნობა მთარგმნელი თეოფილეს შესახებ ემთხვევა თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნსაცავის კატალოგის სამივე გამომცემლის ცნობას, საფიქრებელია, მ. საბინინმა თეიმურაზისეული ხელნაწერით ისარგებლა ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ მეტაფრასული 'L რედაქციის გამოცემის დროს, გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. ვინაიდან მ. საბინინი, სამწუხაროდ, ჩვეულებისამებრ, არ ასახელებს არც ხელნაწერს, რომლითაც ისარგებლა, და არც თავისი ნაკლებად სარწმუნო ცნობების წყაროს.

განვიხილოთ ის ცნობები, რომელთაც გვანვდის კატალოგი ამ ხელნაწერის შესახებ:

1. კატალოგის ანოტაციაში აღნიშნულია, რომ ილარიონი „სთარგმნიდა მრავალთა წიგნთა ბერძულით ქართულსა ზედა ენასა, ვინაჲთგან სულისა წმიდისა მადლითა განბრძნობილ იყო და იცოდა ბერძული-ელინური ზედმინევნით“.

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ არც ერთ რედაქციაში არ არის ნათქვამი, რომ ილარიონმა ზედმინევნით იცოდა ბერძული. მეტაფრასულ რედაქციაში აღნიშნულია მხოლოდ, რომ ილარიონმა „იცოდა მცირედ ბერძული“.

2. ანოტაციაში ნათქვამია, აგრეთვე, რომ „მეფეთა მის ჟამისათა სურდათ და ერთა საქართველოჲსათა, რათამცა ჰყვეს იგი კათალიკოსად ყოვლისა ივერიისა“. არც ეს ცნობა შეეფერება სინამდვილეს. ათონურ რედაქციაში აღნიშნულია, რომ „ენება ყოველსა ერსა და მთავარსაცა მის ქუეყანისასა, რაჲთამცა ყვეს იგი ეპისკოპოს“. ხოლო მეტაფრასულ რედაქციაში ვკითხულობთ: „იქმნა წამებაჲ და გამორჩევა ყოვლისა ერისაგან და თვთ თავადთა მათ მპყრობელთაგან, რაჲთა საყდარი იგი საეპისკოპოსო დაიპყრას დიდმან ილარიონ“. როგორც

ტონიშვილის წიგნსაცავის კატალოგი, გვ. 17.

¹ საქართველოს სამოთხე, გვ. 371.

ვხედავთ, ილარიონს არავინ უპირებდა არჩევას „კათალიკოსად ყოველსა ივერიისა“.

3. იქვე მოტანილია ცნობა, რომ „ვასილი იგი მონაზონი იცნობდა სიცოცხლესავე შინა მისსა წმიდასა ილარიონ ქართველსა და უწყოდა ყოველნი საქმენი სათნოებისა მისისანი“. არც ერთ რედაქციაში არ არის ნათქვამი, რომ ბასილ მონაზონი, აღმწერი ილარიონ ქართველის „ცხოვრებისა“, პირადად იცნობდა ილარიონს. ვრცელი ათონური „ცხოვრების“ აღმწერს ილარიონის მოწაფე ისაკისაგან მოუსმენია „ყოველივე“ ილარიონის შესახებ. ამრიგად, არც ეს ცნობა შეეფერება სინამდვილეს.

4. დასასრულ, ანოტაციაში ნათქვამია, რომ ილარიონ ქართველის „ცხოვრება“ „ბერძულისაგან გარდამოითარგმნა ქართულად ღირსისა თეოფანე მთარგმნელისაგან ქართველისა“.

კ. კეკელიძეს კორექტივი შეაქვს ამ ცნობაში და ამტკიცებს, რომ თეოფილემ (ხუცესმონაზონმა) გადააკეთა ილარიონის „ცხოვრების“ ბერძულიდან ქართულად თარგმნილი რედაქცია. კ. კეკელიძე ეყრდნობა სწორედ თეიმურაზისეული ხელნაწერის ცნობას, მაგრამ ვინაიდან მას მიაჩნია, რომ ილარიონის „ცხოვრება“ დაიწერა ბერძულად, ხოლო ბერძულიდან ქართულად თარგმნა ექვთიმე ათონელმა, ამიტომ მიდის დასკვნამდე, რომ თეოფილემ კი არ თარგმნა ილარიონის „ცხოვრება“, არამედ ექვთიმეს თარგმანი გადააკეთა.

ამრიგად, თეიმურაზ ბატონიშვილის კატალოგის ზემოთ მოტანილი ცნობებიდან არც ერთი არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს გარემოება გვაიძულებს ეჭვის თვალით შევხედოთ გვიანდელ ცნობას თეოფილე (თეოფანე) მთარგმნელის შესახებ.¹

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ო. რედაქციის ავტორად თეოფილე ხუცესმონაზონის აღიარება არსებული მასალის საფუძველზე არ ხერხდება.

¹ შდრ. კილანავა, ქართული აგიოგრაფიის კიმენურ რედაქციათა ავტორიბუციისათვის, გვ. 181.

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ რუსული თარგმანები

არსებობს ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ორი რუსული თარგმანის გამოცემა: მ. საბინინისა¹ და ა. მურავიოვისა.²

ა. მურავიოვის მიერ გამოქვეყნებული ტექსტი შევუდარეთ ვრცელ ათონურ Ⴀ, მეტაფრასულ Ⴀ და მოკლე ათონურ Ⴀ რედაქციებს. შედარებაში გამოავლინა, რომ ტექსტი შედგენილია მეტაფრასული Ⴀ რედაქციის მიხედვით. მოვიტანთ Ⴀ რედაქციასთან მსგავსების ნიმუშებს:

ა. მურავიოვის თარგმანი	Ⴀ რედაქცია	Ⴀ რედაქცია
Доблестным воеводою был отец его и, не менее храбрости воинской, славился добродетелью, а мать — состраданием к нищим и странным, и проводила дни в постоянной молитве.		ხოლო მამაჲ მისი მჴე- დართმფლობელი იყო და ახოვან ბრძოლათა შინა, ხოლო უფროჲსლა იყო განშუენებულ მოქა- ლაქობითა კეთილითა და უბრალოჲთა ცხოვრებითა. ეგრეთვე კუალად დედაჲ მისი მოსწრაფე იყო შეწყ- ნარებად გლახაკთა და მჴურვალე ლოცვასა და ვედრებასა მარადის ღმრ- თისა მიმართ.
Как некогда Пророк Самуил, еще во чреве матери был он посвящен Богу и при святом крещении ему дано имя Иллариона, т. е. радостного.	წმიდაჲ ესე ალექსანდრე იყო ღმრთისადა მშო- ბელთა თჳსთაგან, ვითარცა პირველ სამოელ ანნაჲსგან.	რტო ესე – მსგავსად სამო- ელისსა პირველ შობასავე შენირული ღმრთისაჲ. ხოლო ილარიონ უწოდეს მას სახე- ლი შემსგავსებულებითა საქმეთაჲთა, რომელი „მხ- იარულებად“ ითარგმანების ელენთა ენასა.

მსგავსი მაგალითები მრავლად არის. მათ ჩამოთვლას არ შევეუდგებით.

ზემოაღნიშნული მაგალითების განხილვის შედეგად გამოჩნდა,

¹ Полное жизнеописание святых грузинской церкви, стр. 105-125.

² Муравьев, Жития святых, стр. 159-186.

რომ ა. მურავიოვის მიერ გამოქვეყნებული ტექსტი წარმოადგენს ქართული მეტაფრასული ¹ რედაქციის თარგმანს, რომელშიც ადგილადგილ გამოტოვებულია ცალკეული სიტყვები, ფრაზები და ზოგან აბზაცებიც კი, რომლებიც რაიმე ფაქტობრივ მასალას არ შეიცავს. მაგალითად:

1. ქართული მეტაფრასული ¹ რედაქციის საკმაოდ ვრცელი შესავალი რუსულ ტექსტს არ აქვს. არ აქვს ეს შესავალი არც მ. საბინინის რუსულ ტექსტს.¹

2. რუსულ ტექსტს არ გააჩნია არავითარი მინიშნება „ცხოვრების“ ავტორზე, ბასილ მონაზონზე. ა. მურავიოვის რუსული ტექსტი თავდება ბასილ მაკედონელის მიერ რომანას მონასტერში სენაკის აშენების შესახებ თხრობით. ბასილ მონაზონზე არაფერია ნათქვამი არც მ. საბინინის რუსულ გამოცემაში.²

3. რუსულ ტექსტს არ აქვს ერთი ადგილი გარეჯის უდაბნოს შესახებ: „ხოლო უმეტესადლა მოწყულ იყო სიყუარულითა ღმრთისაჲთა და ტკბილითა მით ისრითა განწონილ იქმნა სული მისი და შეკრულ განუწყნელითა მით საკრველითა ტრფიალებისაჲთა ღმრთისაჲთა, რომლისათჳსცა აღესრულებოდა მის ზედა მაცხოვრისა იგი ბრძანებაჲ, ვითარმედ: „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“, და ესე ზომისაებრ არა იქმნების, არამედ ყოვლითურთ მოკრძაღვითა ძალთა მათ სულისაჲთა. და რაჲთა არარაჲსა მიმართ ყოვლადვე წარმავალთაგანისა იყოს მიდრეკილ, არამედ რაჲთა შემსჭვალულ იყოს შიშსა ოდენ და სურვილსა დამზადებელისასა. ამათ შინა უკუე გონიერთა სულისა მოქმედებათა ღმრთისმოყუარე ესე კაცი კეთილად განშუენდებოდა. და თუ ვითარ ანუ ოდეს და სადა და რაოდენ ჯერ-არს ურთიერთას შეზავება შუენიერებისა მათისა და ყოველთავე მათ ნასხმანთა და შენადგამთა საკრველსა აღასრულებდა შეწყობასა, ხოლო მოსწრაფებაჲ მისი ერთი იყო, რაჲთა ყოველივე ცხოვრებაჲ მისი იყოს ნებისაებრ ღმრთისა და არა წინააღმდეგომ მცნებათა მისთა“. ეს ადგილი არ არის შესული არც მ. საბინინის რუსულ გამოცემაში.³

¹ Полное жизнеописание святых Грузинской церкви, стр. 105.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 107-190; 111-112.

ა. მურავიოვის მიერ გამოქვეყნებული ტექსტი, პ. პეტერსის აზრით, თითქმის იდენტურია საბინინისეული ტექსტისა.¹

სამწუხაროდ, ა. მურავიოვი არ მიუთითებს, ზუსტად თარგმნა ტექსტი თუ გადააკეთა იგი. შესაძლებელია, ხელნაწერი, რომლითაც სარგებლობდა ა. მურავიოვი, ქართული იყო და მთარგმნელმა ზუსტი თარგმანი შეასრულა. უფრო საფიქრებელი კი ის არის, რომ მ. საბინინის მსგავსად, ა. მურავიოვმაც გარკვეული მოსაზრებით ტექსტი გადააკეთა. აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი:

ა. მურავიოვის გამოცემაში ილარიონის „ცხოვრების“ ტექსტის ბოლოს დართულია შენიშვნა, რომ „ცხოვრების“ შემცველი ხელნაწერი მომდინარეობს ბესარიონ კათალიკოსის კუთვნილი ქართველ წმინდანთა „ცხოვრებების“ კოლექციიდან, რომელიც ინახებოდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში.² პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერებიდან წმინდანთა „ცხოვრებების“ შემცველი ორი ხელნაწერია ჩვენამდე მოღწეული — აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ნუსხები H-22 და M-21.

ორივე ხელნაწერში არის ილარიონ ქართველის ცხოვრების მეტაფრასული *¶* რედაქცია. იგივე მეტაფრასული *¶* რედაქცია არის დაცული ბესარიონ კათალიკოსის სახელთან³ დაკავშირებულ ნუსხაში — ხეც S-3269.

შესაძლებელია, ა. მურავიოვის თარგმანი მომდინარეობს სწორედ ქართული მეტაფრასული *¶* რედაქციიდან. ოღონდ იგი ოდნავ შემოკლებული და რამდენადმე სახეცვლილია.

მართალია, მ. საბინინისა და ა. მურავიოვის რუსული ტექსტები ერთი რედაქციისა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის შეიმჩნევა არაარსებითი ხასიათის სხვაობანიც. მოვიტანთ მაგალითებს.

მეტი ადგილები საბინინის ტექსტში:

- აღნიშნულია ილარიონ ქართველის გვარი დონაური (ვაჩნაძე);
- გარეჯაში ილარიონი ძმობას წინამძღვრად აურჩევია.

¹ Peeters, “S. Hillarion d’Ibérie”, pp. 236-237.

² Муравьев, *Жития святых*, стр. 186.

³ ქავთარია, „ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, გვ. 87.

მეტი ადგილები ა. მურავიოვის გამოცემაში:

- ილარიონის დამოკიდებულება მამისადმი შედარებულია ისაკისა და აბრაამის დამოკიდებულებასთან.
- გარეჯაში ეპისკოპოსის მიერ ილარიონის დიაკონად და ხუცად კურთხევის დროს ილარიონის თავზე სულიწმიდა გადმოსულა.
- გარეჯიდან ილარიონს, მურავიოვის მიხედვით, წაუყვანია თანამგზავრად ერთ-ერთი ბერი.
- იხსენიება გოლგოთა.
- იხსენიება ბასილ მაკედონელის ვაჟების სახელები — ლეონ და ალექსანდრე იმ ადგილას, სადაც იმპერატორი ემთხვევა ილარიონის ნაწილთა დასასვენებელ ლარნაკს.

ადგილები, რომლებიც სხვადასხვანაირად არის წარმოდგენილი ამ ორ გამოცემაში:

მ. საბინინის გამოცემა	ა. მურავიოვის გამოცემა
Палестина	Сирия
Арабы	Бедуины
Иерусалим	Святый град
Иоанн Креститель	Предтеча Христова

ამრიგად, ა. მურავიოვისა და მ. საბინინის მიერ გამოქვეყნებული რუსული ტექსტების სახით გვაქვს ერთი და იმავე რედაქციის ორი, სტილისტურად საკმაოდ განსხვავებული თარგმანი.

მ. საბინინი არ უთითებს არც ქართული და არც რუსული გამოცემის ხელნაწერებს. ამ ორ გამოცემას შორის შეინიშნება განსხვავება:

1. მ. საბინინის რუსულ გამოცემაში იხსენიება წმ. იოანიკის (IX საუკუნის ოლიმპის ცნობილი მოღვაწის) ლავრა.¹ მ. საბინინის ქართულ გამოცემაში არ არის წმ. იოანიკის ლავრის ხსენება: „ლავრისა ერთისა დიდისაებრ“.²

2. რუსული გამოცემის მიხედვით, გემს ღუზა ჩაუშვია ბოსფორში: რუსული «Корабль бросил якорь в Босфоре».³ მ. საბინინის ქართულ გამოცემაში ბოსფორი არ არის ნახსენები.

¹ Полное жизнеописание святых грузинской церкви, II, стр. 113.

² საქართველოს სამოთხე, გვ. 381.

³ Полное жизнеописание святых грузинской церкви, II, стр. 122.

3. მ. საბინინის რუსული გამოცემის მიხედვით, ილარიონის ნაწილთა სურნელება გემიდან მოდიოდა, ე. ი. ილარიონი გემზე ყოფილა დასვენებული.¹ ქართული გამოცემის მიხედვით, ბასილი მაკედონელს ილარიონის ნაწილნი დაუსვენებია „სასუენებელსა შინა თვსსა“.²

4. მ. საბინინის რუსულ გამოცემაში არის ეპიზოდი ქართული ეკლესიის მესვეურთა მიერ კონსტანტინეპოლში ელჩების გაგზავნის შესახებ. მ. საბინინის ქართულ გამოცემაში ეს ეპიზოდი არ არის.

ამრიგად, საბინინისეული ქართული და რუსული ტექსტები ან გამოცემულია ერთი რედაქციის სხვადასხვა ნუსხის მიხედვით, რაც ნაკლებ სარწმუნო ჩანს, ან მ. საბინინმა რუსულად თარგმნის დროს ტექსტი გადააკეთა.

დასკვნები

1. ილარიონ ქართველის „ცხოვრება“ შექმნილი უნდა იყოს ქართულად.

2. ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ვრცელი ათონური $\mathcal{C}$ და მეტაფრასული $\mathcal{L}$ რედაქციები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არის შექმნილი. მათი წყარო უნდა იყოს მოკლე ათონური $\mathcal{A}$ რედაქცია.

3. ვრცელი ათონური $\mathcal{C}$ რედაქციის შექმნის ადგილი საბერძნეთის ერთ-ერთი ქართული კოლონია უნდა იყოს.

4. მეტაფრასული $\mathcal{L}$ რედაქცია ჩამოყალიბებული ჩანს იერუსალიმის მახლობლად მდებარე რომელიმე მონასტერში გარეჯის უდაბნოდან მოსული ერთ-ერთი მოღვაწის მიერ.

5. ვრცელი ათონური $\mathcal{C}$ რედაქცია დაწერილი უნდა იყოს ილარიონ ქართველის მოწაფის, ისაკის თანამედროვე მწერლის მიერ X საუკუნის პირველ ნახევარში. გადაწერილია იგი ათონზე XI საუკუნის 30-იან წლებში.

6. მეტაფრასული $\mathcal{L}$ რედაქცია შექმნილია XII საუკუნის დამდეგამდე.

7. სვინაქსარული რედაქცია შექმნილია ვრცელი ათონური $\mathcal{C}$, მოკლე ათონური $\mathcal{A}$ და მეტაფრასული $\mathcal{L}$ რედაქციების მიხედვით.

8. სვინაქსარული რედაქცია შექმნილია XII საუკუნის დამდეგს.

¹ Полное жизнеописание святых грузинской церкви, II, стр. 122.

² საქართველოს სამოთხე, გვ. 390.

ილარიონ ქართველის ბიოგრაფიის საკითხები

ილარიონ ქართველის ბიოგრაფიის საკითხების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აქვთ მოსაზრებები: მ. საბინინს,¹ ქრ. ლოპარევს,² მ. ბროსეს,³ დ. ბაქრაძეს,⁴ მ. ჯანაშვილს,⁵ არქიმანდრიტ სერგის,⁶ ა. რუდაკოვს,⁷ კირიონ ეპისკოპოსს.⁸ ისინი სხვადასხვა ქრონოლოგიურ სქემას გვთავაზობენ ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ სხვადასხვა რედაქციებზე დაყრდნობით.

პ. პეეტერსი გვანჯდის ილარიონ ქართველის ბიოგრაფიის თარიღების დამაჯერებელ სქემას.⁹

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ სამივე (C, 4 და 1) რედაქციაში აღნიშნულია, რომ ილარიონ ქართველი გარდაიცვალა 19 ნოემბერს, შაბათ დღეს, ბასილ მაკედონელის იმპერატორობის დროს. ხოლო ვრცელ C და მოკლე ათონურ 4 რედაქციებში დამატებით აღნიშნულია, რომ ილარიონ ქართველის გარდაცვალების დროს კონსტანტინოპოლის პატრიარქად იყო ეგნატე. მეტაფრასულ 1 რედაქციაში პატრიარქის სახელი არ იხსენიება. ამრიგად, ილარიონ ქართველის გარდაცვალების თარიღის დასადგენად გასათვალისწინებელია ოთხი მომენტი: 19 ნოემბერი, შაბათი დღე, ბასილ მაკედონელის მეფობა, ეგნატე კონსტანტინოპოლელის პატრიარქობა.

პ. პეეტერსი აღნიშნავს, რომ 19 ნოემბერი, შაბათი, ბასილ მაკედონელის მეფობა და ეგნატე კონსტანტინოპოლელის პატრიარქობა — ყველა ეს პირობა თავს იყრიდა მხოლოდ და მხოლოდ 875 წელს. მაშასადამე, ილარიონ ქართველი, რომელიც გარდაცვალების ჟამს 53 წლისა ყოფილა, დაბადებულია 822 წელს. 15 წლის ილარიონი 837 წელს გარეჯის უდაბნოში წასულა და 847 წლამდე იქ დარჩენილა. იქიდან

¹ *საქართველოს სამოთხე*, გვ. 387, 390.

² Лопарев, *Греческие жития святых*, стр. 61-62.

³ Brosset, *Histoire de la Géorgie*, p. 273; Brosset, *Catalogue des livres géorgiens*, pp. 141-142.

⁴ ვახუშტი, *საქართველოს ისტორია*, გვ. 125.

⁵ Джанашвили, *Грузинские обитатели вне Грузии*, стр. 19.

⁶ *Полный месяцеслов Востока*, II, стр. 660.

⁷ Рудаков, *Очерки византийской культуры*, стр. 55.

⁸ Еп. Кирион, *Культурная роль Иверии в истории Руси*, стр. 30-31.

⁹ Peeters, "S. Hillarion d'Ibérie", p. 236.

ნასულა პალესტინაში, სადაც გაუტარებია 7 წელი 854 წლამდე. შემდეგ დაბრუნებულია ქართლში, დაუარსებია რამდენიმე მონასტერი. კონსტანტინოპოლში წასულა მიქაელ მეფის დროს (†859 წ.), გაუტარებია 5 წელი ბითვინიის ოლიმპზე, 2 წლით რომში წასულა, უკან დაბრუნებისას გაჩერებულია თესალონიკეში, სადაც გარდაიცვალა 53 წლის ასაკში, 875 წელს.¹ ყველა ეს რიცხვი საერთო ჯამში იძლევა 39 წელს. რჩება 14 წელი, რომლებიც ილარიონს უნდა გაეტარებინა საქართველოსა და თესალონიკეში. კონსტანტინოპოლში ილარიონ ქართველის ნაწილთა გადასვენება მოხდა მისი გარდაცვალების შემდგომ წელს, ვრცელი ათონური ორბელიანის მიხედვით — შვიდ დეკემბერს, ხოლო მეტაფრასული ორბელიანის მიხედვით — ცხრა ნოემბერს.

პ. პეტერსი განიხილავს, აგრეთვე, თარიღებს, რომლებსაც ადგენს მეტაფრასული ორბელიანის მიხედვით: ილარიონ ქართველი გარეჯის მონასტერში ჩავიდა თექვსმეტი წლისა, დაჰყო იქ ათი წელი, ბითვინიის ოლიმპზე გაატარა ხუთი წელი, რომში — ორი წელი, თესალონიკეში — სამი წელი.

ცხოვრების იგივე თარიღები აქვს მიღებული კ. კეკელიძესაც.²

ილარიონ ქართველი IX საუკუნის მოღვაწე იყო. 19 ნოემბერი შაბათ დღეს IX საუკუნეში მოდიოდა თოთხმეტჯერ (802, 813, 819, 824, 830, 841, 847, 852, 858, 869, 875, 880, 886, 897 წლებში).³ ამ ორი მომენტის გარდა გასათვალისწინებელია, აგრეთვე, ბასილ მაკედონელის მეფობისა და ეგნატე კონსტანტინოპოლელის პატრიარქობის წლები. ბასილ მაკედონელი მეფობდა 867 წლის 23 დეკემბრიდან 886 წლის 29 აგვისტომდე. ეგნატე კონსტანტინოპოლელი პატრიარქობდა ორჯერ: 847 წლის 3 ივლისიდან 858 წლის 23 ოქტომბრამდე და 867 წლის 23 ნოემბრიდან 877 წლის 23 ოქტომბრამდე.

ბასილ მაკედონელის მეფობისა და ეგნატე კონსტანტინოპოლელის პატრიარქობის თანხვედრი წლებია 867-877. 867 წლამდე ბასილ I მაკედონელი არ იყო იმპერატორი, ხოლო 877 წლის შემდეგ პატრიარქად ფოტიოსი იყო.

867 წლიდან 877 წლამდე 19 ნოემბერი შაბათს მოდიოდა ორჯერ:

¹ Peeters, "S. Hillarion d'Ibérie", p. 236.

² კეკელიძე, „ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან“, გვ. 152-154.

³ Grumel, *La chronologie*, pp. 316-317.

869 და 875 წლებში.¹ ასე რომ, მხოლოდ 875 წელს უცხოობლად ვერ მივიჩნევთ ილარიონ ქართველის გარდაცვალების თარიღად.

ვიღებთ საწყისად ორივე თარიღს, 869 და 875 წლებს და ვადგენთ ილარიონ ქართველის ბიოგრაფიის პარალელურ თარიღებს:

თუ ილარიონი გარდაიცვალა 869 წელს		თუ ილარიონი გარდაიცვალა 875 წელს
816 წელს (გარდაიცვალა 53 წლისა)	დაბადებულა.	822 წელს
831 წელს (15 წლისა)	გარეჯაში წასულა	837 წელს
841 წლამდე (10 წელი)	გარეჯაში დარჩენილა.	847 წლამდე
841 წელს	პალესტინაში წასულა.	847 წელს
848 წლამდე (7 წელი)	პალესტინაში დარჩენილა.	854 წლამდე
849 წელს	დაბრუნდა ქართლში.	855 წელს
849 წელს	გარეჯაში წავიდა მეორედ (წრედაქციის მიხედვით).	855 წელს
848-858 წწ.	კონსტანტინოპოლში წავიდა მიქაელის მეფობის დროს.	854-859 წლებში
858-863 წლები	ბითვინიის ოლიმპზე გაატარა.	864-869 წლები
864-866 წლები	რომში დაყო ორი წელი.	870-872 წლები
866-869 წლები	თესალონიკეში გაატარა (წრედაქციის მიხედვით) სამი წელი.	872-875 წლები
869 წელს	თესალონიკეში გარდაიცვალა	875 წელს

¹ Grumel, *La chronologie*, pp. 316.

აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი რამ: Ⴕ რედაქციის მიხედვით, ილარიონმა თესალონიკეში გაატარა სამი წელი, ხოლო Ⴖ რედაქციის მიხედვით — „ჟამი რაჟოდენიმე“. პ. პეტერსის დაკვირვებით, ილარიონის თესალონიკეში ჩასვლის ჟამს ქალაქის მთავრის ვაჟი, პროკოპი, ბავშვი ყოფილა, ხოლო წმინდანის გარდაცვალების მომენტში ის უკვე ახალგაზრდა ვაჟია.¹ ამის შედეგად პეტერსი ასკვნის, რომ ილარიონს თესალონიკეში უნდა გაეტარებინა 10 წელი, ე. ი. 865-875 წლები, რომში — 863-865 წლები, ოლიმპზე — 858-863 წლები.

პ. პეტერსის ამ შენიშვნის გათვალისწინებით, Ⴖ რედაქციის მიხედვით, ილარიონ ქართველს თესალონიკეში გაუტარებია 865-875 ან 859-869 წლები; რომში — 863-865 ან 857-859 წლები; ოლიმპზე – 858-863 ან 853-858 წლები.

აგიოგრაფთა გადმოცემით, ილარიონ ქართველი დაიბადა კახეთის სამთავროში, მდიდარ და წარჩინებულ აზნაურთა ოჯახში. მისი დაბადების ზუსტი ადგილი უცნობია.

მ. საბინინის ვარაუდით, მისი გვარი უნდა იყოს დონაური — ვაჩნაძე.² პირველწყაროებში ამის შესახებ არას ამბობენ. ამ გვარს (ვაჩნაძე) ილარიონ ქართველის ცხოვრების ბოლოს ვხვდებით ერთადერთ გვიანდელ (1815 წ.) ხელნაწერში,³ გადამწერის, დავით-გარეჯის მღვდელმონაზვნის გრიგოლ ვაჩნაძის ანდერძში. მაგრამ ამ ცნობას არავითარი საფუძველი არ აქვს. არსებული მასალის მიხედვით, IX საუკუნეში ვაჩნაძის გვარის არსებობა საერთოდ არ დასტურდება.

ილარიონ ქართველის სახელზე დანერილი საგალობლები

ილარიონ ქართველის სახელზე დანერილია სამი დიდი ფორმის საგალობელი (კანონი). ერთის ავტორია XI საუკუნის ათონელი მოღვაწე ზოსიმე. საგალობელი მოღწეულია ჩვენამდე ათონის 1074 წლის

¹ Peeters, "S. Hillarion d'Ibérie", p. 241.

² საქართველოს სამოთხე, გვ. 372.

³ საქართველოს ცეტრალური არქივის ხელნაწერი ფონდი 1446, N 402.

ალაპებიანი ხელნაწერით.¹

მეორე საგალობლის ავტორი უცნობია. ყველაზე ადრეული ხელნაწერი, რომელშიაც მოთავსებულია ეს საგალობელი, არის ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებული Jer. georg. 71.²

მესამე საგალობლის ავტორია ანტონ I კათალიკოსი. საგალობელი შედის ანტონის „სადღესასწაულოში“.³ იგი არ შეიცავს რაიმე დამატებით მასალას ილარიონ ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. შექმნილია გვიან, XVIII საუკუნეში, ამიტომ მასზე საგანგებოდ არ შევჩერდებით.

გარდა ამისა, ილარიონ ქართველის სახელზე ნიკოლოზ თბილელს (1672-1732 წწ.) დაუწერია ხუთსტრიქონიანი იამბიკო ცისკრის „აქებდითსა ზედა დასდებელთა“ უკანასკნელი მუხლი, რომელსაც „დიდება“ ეწოდება⁴. ეს მცირე ფორმის გალობა — ტროპარი მოთავსებულია შემდეგ ხელნაწერებში: ხეც S-1454 (1760 წ., 211v), ხეც A-1360 (1792 წ., გვ. 668); ხეც H-1415 (XIX ს., 66v), ხეც H-40 (1892 წ., გვ. 195) და სხვ. გამოქვეყნებულია ოთხჯერ.⁵

უცნობი ავტორის საგალობელი

უცნობი ავტორის „დასდებელი წმიდისა ილარიონ ქართველისა“ ჩვენამდე მრავალი ხელნაწერითაა მოღწეული.⁶ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ შორის ყველაზე ადრეულია Jer. georg. 71 (XI-XII საუკუნეები). ხელნაწერი შეიცავს სექტემბერ-თებერვლის საგალობლებს.⁷

¹ ხეც A-558, 15/r-162v. საგალობელი გამოქვეყნებულია: ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპებით, გვ. 177-186.

² Jer. georg. 71, 112 v.

³ სადღესასწაულო, გვ. 338.

⁴ კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 346-347.

⁵ სადღესასწაულო (ნუსხური), გვ. 303; სადღესასწაულო (ნუსხური), გვ. 345; საქართველოს სამოთხე, გვ. 371; ანტონ კათალიკოსი, ნიკოპოლისიტიკაობა, გვ. 133. წინამდებარე გამოცემაში ნიკოლოზ თბილელის იამბიკოს ვაქვეყნებთ ლიტერით Iamb. (გვ. 115).

⁶ Jer. georg. 71 (XI-XII სს.); Jer. georg. 24 (XI-XII სს.); Jer. georg. 33 (XIII-XIV სს.); ცენტრ. არქივის №94 (XVIII ს.); ხეც A-111 (XVIII ს.); ხეც A-130 (1713 წ.); ხეც A-170 (1733 წ.); ხეც A-176 (1743 წ.); ხეც A-1401 (XVIII ს.); ხეც H-970 (1742 წ.); ხეც H-2077 (1736 წ.); ხეც H-1672 (1740 წ.); ხეც S-1454 (1760 წ.); ხეც S-3269 (XVIII ს. I ნახ.); ხეც Q-627 (XVIII ს.); ხეც Q-661 (XVI ს.).

⁷ Blake, Catalogue des manuscrits géorgiens ... Jerusalem, III, p. 403.

ილარიონისადმი მიძღვნილი „დასდებელნი“ წარმოადგენს რვა გალობისაგან შემდგარ დიდი ფორმის საგალობელს, რომელსაც თავსა და ბოლოში ერთვის მცირე ფორმის ორი გალობა: „უფალო, ღალატყავსა“ და „აქებდითსა“. საგალობელი დაწერილია მეოთხე (დ) ხმაზე. გამოქვეყნებულია სამჯერ.¹

იმისათვის, რომ მიახლოებით მაინც შემოიფარგლოს ამ საგალობლის შექმნის ქრონოლოგიური საზღვრები, საჭიროა გაირკვეს ხელნაწერის Jer. georg. 71 ადგილი X-XI საუკუნეების ჰიმნოგრაფიული კრებულების (Jer. georg. 42, იელისა და წვირმის იადგარები) ჯგუფებში.

შედარებამ შემდეგი სურათი მოგვცა:

1. Jer. georg. 71-ის კალენდარი არ არის სრული, ე. ი. არ არის ყოველდღიური ხსენებები.

ეს ნიშანი Jer. georg. 71-ს აახლოებს X საუკუნის იადგარებთან (იელის, წვირმის) აგრეთვე, თვენის პირველ რედაქციასთან² (Jer. georg. 42) და განასხვავებს მას გიორგი მთაწმინდლის თვენისაგან, რომლის კალენდარი სრულია, ყოველდღიური და დღეზე ზოგჯერ რამდენიმე ხსენებაა დადებული.

2. Jer. georg. 71-ის კალენდარი განსხვავებულია გიორგი მთაწმინდლის თვენის კალენდრისაგან და დგას თვენის პირველი რედაქიის (Jer. georg. 42) კალენდართან.

გიორგი მთაწმინდლის თვენი	Jer. georg. 71	Jer. georg. 42
5/01: წმ. მამათა, თეოქტისტესი და ფოსტირისი.	5/01: წმ. მამისა ამბა პავლესი.	5/01: წმ. მამისა ამბა პავლესი.
7/01: წმ. იოანე წინამორბედისა და ნათლისმცემელისაჲ.	7/01: ნათლისღებისანი და ამბოჲსი.	7/01: ნათლისღებისანი და ამბოჲსი.

¹ სადღესასწაულო (ნუსხური), გვ. 294, სადღესასწაულო (ნუსხური), გვ. 335; დოლაქიძე, „ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილი საგალობლები“, გვ. 177-179.

² ჯღამაია, XI საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან, გვ. 92.

21/01: წმ. მაქსიმე აღმ-სარებელისაჲ და წმ. ალაჰისი.	11/01: წმ. მაქსიმე აღმ-სარებელისაჲ.	21/01: წმ. მაქსიმე აღმ-სარებელისაჲ.
22/01: წმ. ტიმოთე მო-ციქულისაჲ და წმ. ანას-ტასი სპარსისაჲ.	22/01: წმ. ტიმოთე მო-ციქულისაჲ.	22/01: წმ. ტიმოთე მო-ციქულისაჲ.

3. Jer. georg. 71-ის საგალობლებს თითქმის ყოველთვის აქვთ „აქებდითსა“ „ადიდებდითსა“-ს შემდეგ. ესეც აახლოებს Jer. georg. 71-ს ადრეული პერიოდის ჰიმნოგრაფიულ კრებულებთან (იელისა და წვირმის იადგარები და Jer. georg. 42), რომლებშიაც „აქებდითსა“ სისტემატურად ერთვის დიდი ფორმის საგალობელს.

გიორგი მთანმინდლის თვენში „აქებდითსას“ სახელწოდებით არც ერთი გალობა არ გვხვდება. გიორგი მთანმინდელი ზოგჯერ იყენებს იადგარებისეულ „აქებდითსას“ ტექსტს, მაგრამ შეცვლილი სახელწოდებით. მას ან „სტიქარონს“ უწოდებს, ან „უფალო, ღალატყავსას“. სხვა შემთხვევებში კი იადგარისეული „აქებდითსას“ არც სახელწოდება და არც ტექსტი გიორგი მთანმინდლის თვენში არ დასტურდება.

ამ ნიშნითაც Jer. georg. 71 განსხვავებულია გიორგი მთანმინდლის რედაქციის თვენისაგან და დგას თვენის პირველ რედაქციასა (Jer. georg. 42) და იადგარებთან.

გიორგის თვენი Jer. georg. 12, ხეც H-2338	Jer. georg. 42	იელის იადგარი	წვირმის იად-გარი
8/09: შობაჲ წმ. ღმრთისმშობე-ლისაჲ (უფალო, ღალატყავსა) სხუანი.			
ბ. „გიხაროდენ და მხიარულ იყავ, ქალაქო ღმრთი-საო, სიონ“.	აქებდითსა. გ. მამისაგან შობ. „გიხაროდენ და მხიარულ იყავ, ქალაქო ღმრთი-საო, სიონ“...	აქებდითსა. „გიხაროდენ და მხიარულ იყავ, ქალაქო ღმრთი-საო, სიონ“...	აქებდითსა. „გიხაროდენ და მხიარულ იყავ, ქალაქო ღმრთი-საო, სიონ“...

20/09: წმ. ევსტათისი (უფალო, ლალატყავსა) სხუანი, მოგიცემიეს, „რაჟამს ნოდებულ იქმენ ზეგარდამო, მჴნეო ევსტათი“...			
28/09: ხარიტონ აღმსარებლისაჲ (სტიქარონი)	აქებდითსა. მოგიცემიეს, ღმერთო, „რაჟამს ნოდებულ იქმენ ზეგარდამო, მჴნეო ევსტათი“..	აქებდითსა. მოგიცემიეს, „რაჟამს ნოდებულ იქმენ ზეგარდამო, მჴნეო ევსტადი“...	აქებდითსა. მოგიცემიეს, „რაჟამს ნოდებულ იქმენ ზეგარდამო, მჴნეო ევსტადი“...
სხუაჲ, დ. „ცხოვრებაჲ შენი, ღირსო, უბინოებით აღასრულე“...	აქებდითსა. „ცხოვრებაჲ შენი, ღირსო, უბინოებით აღასრულე“...	აქებდითსა. „ცხოვრებაჲ შენი, ღირსო უბინოებით აღასრულე“...	აქებდითსა. „ცხოვრებაჲ შენი, ღირსო, უბინოებით აღასრულე“:...

4. ნიშანდობლივია შემდეგიც: იმ შემთხვევაში, როდესაც თვენებსა და იადგარებში შესული წმინდანთა სახელზე დაწერილი საგალობლები მხოლოდ ნაწილობრივ (ერთი გალობით ან სტიქარონით) სხვაობენ ერთმანეთისაგან, მაშინაც Jer. georg. 71 დგას თვენის პირველი რედაქციისა და იადგარების ჯგუფთან.

გიორგის თვენი ხეც H-2338	Jer. georg. 42	Jer. georg. 71	იელის იადგარი	წვირმის იადგარი
6/01: განცხადებაჲ და ნათლისღებაჲ. უგალობდითსა, ბ. განაპო სიღრმე, „აჲდამ განხრწნილი განაახლა დღეს“...	6/01: უგალობდითსა, ბ. განაპო სიღრმე, „ნათელს იღებს ქრისტე, ნათელი ვიღოთ“.	6/01: უგალობდითსა, ბ. განაპო სიღრმე, „ნათელს იღებს ქრისტე, ნათელი ვიღოთ“...	6/01: უგალობდითსა, ბ. განაპო სიღრმე, „ნათელს იღებს ქრისტე, ნათელი ვიღოთ“...	6/01: უგალობდითსა, ბ. განაპო სიღრმე, „ნათელს იღებს ქრისტე, ნათელი ვიღოთ“...

14/01: მს- გეფსი. განცხადები- საჲ. უფალო ლაღატყავსა დ. გი. ვითარმედ გხად. „ძრწოდა ჯელი ნათ- ლისმცემლი- საჲ, ემინოდა შეხებად უზრწნელსა თავსა საღმ- როთსა“...	უფალო, ღა- ღატყავსა დ. გი.	უფალო, ღა- ღატყავსა დ. გი.	უფალო, ღა- ღატყავსა დ. გი	უფალო, ღა- ღატყავსა. დ. გი
„უფალო, დაღაცათუ ვითარცა კაცი წინაშე იოვანესსა სდეგ“...	უფალი, დაღაცათუ ვითარცა კაცი წინაშე იოვანესსა სდეგ“...	„უფალო, დაღაცათუ ვითარცა კაცი წინაშე იოვანესსა სდეგ“...	„უფალო, დაღაცათუ ვითარცა კაცი წინაშე იოვანესსა სდეგ“...	„უფალო, დაღაცათუ ვითარცა კაცი წინაშე იოვანესსა სდეგ“...

5. Jer. georg. 71-ის ადრინდელობაზე უნდა მიუთითებდეს შემდე-
გი გარემოებაც: გიორგი მთაწმინდლის ანდერძში, რომელიც ახლავს
მის მიერ შედგენილ სექტემბრის თვენს, აღნიშნულია, რომ 3, 5 და 7
სექტემბერს შეტანილია ექვთიმე მთაწმინდლის მიერ თარგმნილი „გა-
ლობანი“.¹

Jer. georg. 71-ს 3 და 7 სექტემბრის ხსენებები არა აქვს, ხოლო 5
სექტემბერს შესულია არა ექვთიმე მთაწმინდლის მიერ თარგმნილი
„გალობანი“, არამედ სხვა, უცნობი მთარგმნელისა.

გიორგი მთაწმინდლის თვენი Jer. georg. 124	Jer. georg. 71
5/09: წმ. ზაქარიაჲსი უგალობდითსა, გი. ქუეყანასა მწყ. „ჯსენებასა შენ ზედა, წინას- წარმეტყუელო, უგალობ და ვითხ- ოვ სულისა წმიდისა მადლსა შენე- ნად“...	5/09: ზაქარიაჲსი უგალობდითსა, ზღვსა მის მიერ. „პირველად შევწიროთ დიდებაჲ მა- მისა, ძისა და წმიდისა სულისა, რომ- ლისა მიერ განძლიერდეს წმიდანი“...
(ექვთიმე მთაწმინდლის თარგმანი)	(უცნობი ავტორის თარგმანი)

¹ ჯღამაია, XI საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან, გვ. 170.

Jer. georg. 71-ის შემდგენელს ხელთ რომ ჰქონდა ექვთიმე მთაწმინდლის თარგმნილი მასალა, არა გვგონია, მას უგულებელყო იგი და შეეცვალა სხვა, უცნობი მთარგმნელის საგალობლით.

ეს არგუმენტიც აშკარად მიუთითებს Jer. georg. 71-ის ადრინდელობაზე.

6. Jer. georg. 71-სა და თვენის პირველ რედაქციას (Jer. georg. 42) აახლოებს საგალობლების გარეგნული მხარეც: მეტრული პუნქტუაციისათვის Jer. georg. 71-ში, ისევე როგორც Jer. georg. 42-ში, გამოყენებულია ორი წერტილი (ქვევით — მახვილი, ხოლო ზევით — მომცრო), გიორგი მთაწმინდლის თვენისაგან განსხვავებით, სადაც მეტრული პუნქტუაციისათვის გამოყენებულია ერთი წერტილი.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ Jer. georg. 71 გიორგი მთაწმინდლის თვენზე ადრინდელია და დგას თვენის I რედაქციასთან. Jer. georg. 42-ის ერთ-ერთი წყაროა იადგარები (წვირმისა და იელის), ხოლო Jer. georg. 71-ის უშუალო წყაროდ იადგარები არ ჩანს. Jer. georg. 71-ის მასალა მთლიანად არის წარმოდგენილი Jer. georg. 42-ში, Jer. georg. 42-ს კი დამატებით აქვს იადგარებისეული მასალა, რომელიც მხოლოდ იმდენად არის მოცემული Jer. georg. 71-ში, რამდენადაც ის Jer. georg. 42-შიცაა შესული. ამის გამო სავსებით შესაძლებელია, Jer. georg. 71 მივიჩნიოთ Jer. georg. 42-დან გამონაკრებად.

სამწუხაროდ, Jer. georg. 42-ს ჩვენთვის საინტერესო ნოემბრის თვის მასალა აკლია, მაგრამ ის ფაქტი, რომ Jer. georg. 71-ის მასალა მთლიანად არის წარმოდგენილი Jer. georg. 42-ში, უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ Jer. georg. 42-ის დაკარგულ ნაწილში შეტანილი იქნებოდა ილარიონის ეს საგალობელი.

ილარიონ ქართველის აღნიშნული საგალობელი გიორგი მთაწმინდელს უმნიშვნელო ცვლილებებით შეუტანია თავის „თვენში“.

ფაქტობრივი მასალა ილარიონის „ცხოვრებისა“ ანონიმურ საგალობელში შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ილარიონმა კეთილად „განაგო სიმდიდრე — მამული“ და „ყოველივე მიავასხა“ დამბადებელს. შემდეგ ილარიონი „მიიწია წმიდად ქალაქად“ (იერუსალიმი) და დაემკვიდრა საბანშიდის ლავრაში. იერუსალიმიდან სამშობლოში დაბრუნებულ ილარიონს, საგალობლის მიხედვით, აუშენებია ექვსი მონასტერი. მონასტრების აშენების შემდეგ „მცის განეშორა საყოფელთა თქსთაგან“ და წავიდა „ქალაქად სამეუფოდ“ (კონსტანტინოპოლში).

მოღვაწეობდა ილარიონი ბითვინიის ოლიმპის მთაზე.

საგალობელში ილარიონი შედარებულია ელიასთან, მოსესთან, სამოელთან, პეტრესთან, პავლესა და იობთან.

აღნიშნულია საგალობელში, აგრეთვე, ილარიონის სასწაულებრივი საქმიანობა: „ეშმაკთა განსდევნიდი და სენთა განჰკურნებდი, ბრძენო მკურნალო სულთა და ჯორცთაო“.

პეტრე და პავლე მოციქულების სამარტვილოს სანახავად ილარიონი რომში ჩასულა, სადაც სახელი გაუთქვამს სასწაულებით: „ყრმანი მხედველ ჰყვენ და ღრეკილნი განჰკურნენ“.

საგალობლის ავტორმა იცის, რომ ილარიონი გარდაიცვალა თესალონიკეში: „მიხუედ თესალონიკედ და მუნ შეჰვედრე სული შენი წმიდაჲ ჯელთა მაცხოვრისათა“.

უცნობი ავტორის საგალობელში მოხსენიებულია ილარიონის მიერ აშენებული ექვსი მონასტერი, მაგრამ არ ჩანს, სახელდობრ, რომელ მონასტრებს გულისხმობს ავტორი: „გამოხუედ წმიდით ქალაქით და მოხუედ ქუეყანად თჳსა განბძნობილი საღმრთოჲთა და მით მოძღურებითა და სავსე სულიერითა მით სწავლითა, ილარიონ, და აღაშენენ ექუსნი მონასტერნი დიდებულნი, სადიდებელნი სამებისა წმიდისანი“.

უცნობმა ავტორმა იცის თესალონიკედან კონსტანტინოპოლში ილარიონის „ნაწილთა მიცვალების“ (ადგილის მოცვლა, გადატანა) ფაქტი: „ჯერ-იყო მიცვალებაჲ ნაწილთა მათ შენთაჲ, სანატრელო, ქალაქად სამეუფოდ, რაჲთა ღირსად პატივცემულ იყო მეფეთა და მთავართაგან და ყოვლისა ერისა მორწმუნისაგან“. ამრიგად, უცნობი ავტორისათვის ცნობილია არა მარტო გადასვენების ფაქტი, არამედ ის დიდი პატივიც, რომელიც მეფემ, მთავრებმა და ხალხმა მიაგეს ილარიონის ნეშტს. ეს ფაქტი მოხდა მას შემდეგ, რაც აშენდა რომანას ქართველთა მონასტერი, სადაც ბასილ მაკედონელმა ბრძანა ილარიონის ნეშტის გადასვენება.

მაშასადამე, თუ უცნობმა ავტორმა იცოდა თესალონიკედან ილარიონის „ნაწილთა“ გადასვენების ფაქტი, ეს იმას ნიშნავს, რომ მან იცოდა რომანას მონასტრის აშენების ამბავიც, ოღონდ ეს არ ასახულა ტექსტში.

უცნობი ავტორის საგალობლის „ცხოვრებებთან“ და ზოსიმეს საგალობელთან შედარების შედეგად დაიძებნა დეტალები, რომელთა მიხედვითაც ანონიმური საგალობელი სრულიად ცალკე დგას, ხოლო ერთ ჯგუფშია მოქცეულია ყველა სხვა წყარო.

მოგვყავს ნიმუშები:

ზოსიმეს საგალობე- ლი	ვრცელი ათონური რედაქცია	მეტაფრასუ- ლი რედაქცია	მოკლე ათონური რედაქცია	სვინაქსა- რული რე- დაქცია	უცნობი ავტო- რის საგალობელი
არა უგულუბ- ელს-ჰყავ ტკივნეული ფერჯითა და ლოცვი- თა შენითა, ღმერთშე- მოსილო, მკელობელსა სლვაჲ მიან- იქე.	პოვა... კარსა მის სამოთხ- ისასა მკელო- ბელი ერთი მჯდომარჳ... შეენყალა წმიდასა კაცი იგი და სულთ-ითქუ- ნა სიღრმითა გულისაჲთა და აღიხილ- ნა თუალნი გონებისანი ღმრთისა მიმართ.. და მუნთქუესვე განემართნეს ფერჴნი.	და ვითარცა თესალონიკედ მივიდა, შენყნ- არებულ იქმნა გლაზაკისა ვისმე მიერ... ხოლო იყო იგი კოჭლ ორი- თავე ფერჴი- თა... სასწაული ჯუარისაჲ გამოსახა კაც- სა მას ზედა... მრავალჴამისა იგი მდებარე წამსა შინა განკურნებუ- ლად ქმნა.	პოვა სამოთხე გარეშე ქა- ლაქისა და კარსა მისსა მკელობელი ერთი მდ- ჯომარე... სულთ-ითქუ- ნა წმიდამან ილარიონ და ჰრქუა მას: „აღდეგ, ძმაო, უფალსა უბრძანე- ბიეს“ და მეყსეულად განემართნ-ეს ფერჴნი მისნი.	ვითარცა მიინია თე- სალონიკედ, მკელობელი იგი წლისაჲ განკურნა.	
სრულ-ჰყავ რაჲ სრბაჲ შენი, ღმერთ- შემოსილო მამაო, და მიიცვალე წი- ნაშე უფლი- სა, ადიდა განსლვაჲ შენი მეუფე- მან, სას- წაულთა მიერ და ნიშთა შეგამკო, რაჴამს შეჰყ- რობილნი სულთაგან არანმიდათა შეხებითა შენითა გან- თავისუფლ- დეს.	და ვითარცა ეგულეობდა დამარხვაჲ მის, მეყსეუ- ლად მოვ- იდეს ორნი ეშმაკეულნი და იტყოდეს: „ილარიონ ქართველო, რაჲსათჳს გან- გუასხამ ჩუენ საყოფელთა- გან ჩუენთა“. და ვითარცა მიეახლნეს წმიდასა მას გუამსა მისსა, მუნთქუესვე განიკურნეს იგინი.	მრავალნი უკუე სნეულნი და ეშმაკეულ- ნი განიკურნეს ჴამსა მას, რა- მეთუ ჴმობდეს ეშმაკნი იგი სახელსა წმიდ- ისასა და გან- ვიდოდეს მიერ ღაღადებით და ვაებით.	მაშინ, ვითარ- ცა ეგულეობ- და დამარხვაჲ მისი, მოვ- იდეს ორნი ეშმაკეულნი და იტყოდეს: „ილარიონ ქართველო, რაჲსა გან- გუასხამ“. და ვითარცა მიეახლნეს წმიდასა მას, მსწრა- ფლ უჩინო იქმნნეს.	ორნი ეშ- მაკეულნი შემდგომად მიცვალები- სა განკურ- ნა, შეეხნეს რაჲ გუამსა მისსა.	ხედვიდეს რაჲ ეშ- მაკთა სიმრავ- ლენი გუამსა შენსა, ილარიონ, შემოსილ- სა მამისა სამოსლ- ითა და სირცხ- კლეულნი გლოვით განგე- მორეს შენგან, ნეტარო.

ამ დეტალშიაც უცნობი ავტორის საგალობელს განკერძოებული ადგილი უკავია დანარჩენ ძეგლებთან შედარებით („ხედვა“ და არა „შეხება“, „განშორება“ და არა „განკურნება“).

ზოსიმეს საგალობელი	ვრცელი ათონური რედაქცია	მეტაფრასული რედაქცია	მოკლე ათონური რედაქცია	სვინაქსარული რედაქცია	უცნობი ავტორის საგალობელი
იხილე ჩუენებით დედოფალი ყოველთა დაბადებულთა და გიბრძანებდა წარსლვად ქუეყანად თჳსად.	ჰრქუა მას წმიდამან დედოფალმან: „ჟილარიონ, წარვედ და მიისწრაფე სახედ შენდა, დაუმზადე სერი უფალსა და ძესა ჩემსა“.	სწრაფით აღასრულე, რომელი წარსრულსა მას ღამესა გებრძანა ჩუენებით ანგელოზისა მიერ, ვითარმედ: „მსწრაფლ აღდეგ, ილარიონ, და წარვედ ქუეყანად შობისა შენისა“.	ღამესა ერთსა იხილა ჩუენებაჲ ... იხილა წმიდა დედოფალი ღმრთისმშობელი, მარადის ქალწული მარიამ ... ჰრქუა მას წმიდამან დედოფალმან: „ილარიონ, მიისწრაფე სახედ შენდა და განუმზადე სერი უფალსა“.	ჩუენებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა წარვიდა ქუეყანად თჳსა.	

მოტანილი ნიმუშების გარდა, დაიძებნა სხვა დეტალებიც: ილარიონი გარდაცვალების შემდეგ ჩვენებით მოევლინება ბასილ მაკედონელს და სთხოვს მას სამეფო პალატაგან შორს, ბასილის მიერ დაფუძნებულ მონასტერში წაყვანას. ეს დეტალი დაცულია ზოსიმეს საგალობელში, აგრეთვე „ცხოვრების“ Ը, Կ და Լ რედაქციებში, უცნობი ავტორის საგალობელი ამ ფაქტის შესახებაც დუმს.

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ Լ რედაქციაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ილარიონის მიერ რომში აღსრულებულ სასწაულებზე, ვრცელ ათონურ Ը რედაქციაში კი აღნიშნულია: „მუნცა [რომში] მრავალნი სასწაულნი და კურნებანი აღასრულნა უფალმან მის მიერ“.

სახელდობრ, რა სასწაულები, „ცხოვრება“ ამის შესახებ არაფერს ამბობს. ასევეა მოკლე და სვინაქსარულ რედაქციებში — რომში უსინათლოთათვის მხედველობის დაბრუნება და ღრეკილთა განკურნება „ცხოვრებათა“ ტექსტმა არ იცის. აქაც უცნობი ავტორის საგალობელი განკერძოებით დგას „ცხოვრებებისაგან“: „ბრმანი მხედველ ჰყვენ და ღრეკილნი განჰკურნენ“. ორიოდ სიტყვით აღნიშნულია ილარიონის ჩასვლა სხვადასხვა ქალაქში (რომი, თესალონიკე), ზოგჯერ ქალაქის დაუსახელებლადაც: წმიდად ქალაქად (იერუსალიმი), ქალაქად სამეუფოდ (კონსტანტინოპოლი), მისი დამკვიდრება სხვადასხვა ადგილას (საბანშიდა, ოლიმპი).

საგალობელში არ არის ნახსენები არც გარეჯის მონასტერი, სადაც დიდხანს მოღვაწეობდა ილარიონი, არც რომანას ქართველთა მონასტერი, რომელიც ბასილ მაკედონელმა აუშენა ილარიონის მოწაფეებს, არც კახეთში ილარიონისა და მისი მამის მიერ აშენებული მონასტრები.

ტექსტების შედარების შედეგად მიღებული შთაბეჭდილება მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ უცნობი ავტორის საგალობელი ილარიონ ქართველის სახელზე შექმნილი ყველაზე ადრეული ძეგლია.

ჩვენი აზრით, საგალობელი უნდა შექმნილიყო ილარიონ ქართველის სახელთა მჭიდროდ დაკავშირებულ რომელიმე მონასტერში, უპირველეს ყოვლისა, კონსტანტინოპოლის მახლობლად მდებარე რომანას ქართველთა მონასტერში, რადგან მონასტერი საგანგებოდ იყო აშენებული ილარიონის მოწაფეებისათვის. რომანას ქართველთა სავანე იყო ილარიონის ნეშტის საბოლოო დასვენების ადგილი. პირველი, რაც გაკეთებოდა რომანას მონასტრის ლიტურგიკულ პრაქტიკაში, ეს იქნებოდა ილარიონ ქართველის ხსენების დადება. მოსალოდნელია, იქვე შექმნილიყო „შესხმაც“. მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს საგალობლის ორიოდ ადგილი:

1. „გამოხუედ წმიდით ქალაქით (იერუსალიმი) და მოხუედ ქუეყანად თჳსა“.

2. „წარხუედ ქალაქად სამეუფოდ“ (კონსტანტინოპოლი).

რომანას მონასტერში მყოფი ავტორი ვერ იხმარდა ამ ზმნისწინიან ფორმებს.

ილარიონის „ცხოვრებებიდან“ ცნობილია, რომ იგი ხანგრძლივად მოღვაწეობდა იერუსალიმში და მის მიდამოებში (ბეთლემი, საბანში-

და, იორდანის უდაბნო). IX საუკუნეში იერუსალიმში მძლავრი ჰიმნოგრაფიული კერა იყო, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ილარიონის სახელზე აქ დაწერილიყო საგალობელი.

მაგრამ საგალობლის იერუსალიმში დაწერას ეწინააღმდეგება შემდეგი:

1. „გამოხუდ წმიდით ქალაქით (იერუსალიმი) და მოხუდ ქუეყანად თჳსა“.

2. „მიიწიე წმიდად ქალაქად და დაემკდრე დიდსა ღავრასა შინა“. მართალია, ამ საგალობლის შემცველი უძველესი ხელნაწერი იერუსალიმური კოლექციიდან მომდინარეობს, მაგრამ ეს არ მიუთითებს მის იერუსალიმურ წარმოშობას.

მესამე პუნქტი, სადაც მოსალოდნელი იყო ილარიონის სახელზე საგალობლის დაწერა, საქართველოშია საძიებელი.

საგალობლის საქართველოში შექმნას მხარს უჭერს შემდეგი:

1. საქართველოში შედგენილ და გადაწერილ ქართველ წმინდანთა „ცხოვრებათა“ კრებულებში ყველგან შეტანილია უცნობი ავტორის საგალობელი, მხოლოდ ერთგან გვხვდება უცნობი ავტორის საგალობლის გვერდით ზოსიმეს საგალობელიც. ეს არის ხელნაწერი ხეც A-176, მაგრამ აქაც უცნობი ავტორის საგალობელი ზოსიმეს საგალობელზე ადრე ყოფილა შეტანილი. ეს საგალობელი (ანონიმური) საქართველოში გიორგი მთაწმინდლის „თუენის“ მეშვეობით გავრცელდა.

2. ერთი ადგილი უცნობი ავტორის საგალობლისა („გამოხუდ წმიდით ქალაქით და მოხუდ ქუეყანად თჳსა“) თითქოს მიუთითებს, რომ იგი საქართველოშია დაწერილი.

საქართველოს რომელ მონასტერშია სავარაუდო საგალობლის დაწერა? ჩვენ ასეთად გარეჯის მონასტერი მიგვაჩნია. ილარიონ ქართველი საკმაოდ დიდხანს მოღვაწეობდა გარეჯაში (ლ. რედაქციით ათი წელი),¹ სადაც მისი შექმნილი სენაკებისა და სათავსოების მთელი კომპლექსია შემორჩენილი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ილარიონ ქართველის ფილიალის სახელით ცნობილი.²

ამრიგად, დადგენა იმისა, თუ სახელდობრ რომელ მონასტერში

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, გვ. 214.

² Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид-Гареджи*, стр. 38; კეკელიძე, „ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიიდან“, გვ. 154.

შეიქმნა ეს საგალობელი, ჯერჯერობით არ ხერხდება.

როგორც აღვნიშნეთ, უცნობი ავტორის საგალობელი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა საქართველოში. საქართველოში გადანერილ ხელნაწერებში XVIII საუკუნემდე არ ჩანს ათონზე შექმნილი არც ზოსიმეს საგალობელი და არც ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ვრცელი ათონური Ⴀ რედაქცია.

ილარიონ ქართველი იმდენად პოპულარული წმიდანი იყო ქართული ეკლესიისათვის, რომ საქართველოში მოსალოდნელი იყო მისი „ცხოვრებისა“ და საგალობლის შექმნა.

ილარიონ ქართველის სახელზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებები ორ ჯგუფად წარმოგვიდგება:

1. არაათონური წარმოშობისა — Ⴀ რედაქცია ილარიონის „ცხოვრებისა“ და ანონიმური საგალობელი, რომელთა გავრცელების სფეროს ძირითადად საქართველო წარმოადგენდა;

2. ათონური წარმოშობისა — ვრცელი ათონური Ⴀ, მოკლე ათონური Ⴁ რედაქციები ილარიონის „ცხოვრებისა“ და ზოსიმეს საგალობელი, რომელთა გავრცელების სფერო მათი შექმნის ადგილით (ათონი) შემოიფარგლა.

ვინ უნდა იყოს საგალობლის ავტორი? მასალის უქონლობის გამო ავტორის ვინაობის შესახებ გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია.

ავტორის განწყობილებიდან ირკვევა, რომ საგალობელი ქართველის მიერ არის დაწერილი. ილარიონს იგი უწოდებს „ქართველთა სიქადულს“. ავტორი აღფრთოვანებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მთელი დასავლეთი, რომი და ევროპა აღიარებს ილარიონის ღვაწლს: „ბრწყინვალედ დღესასწაულობს ჰრომი, ევროპი და ყოველი სოფელი დასავალისაჲ ქადაგებს ღუანლთა შენთა, სანატრელო ილარიონ, და იმუებენ საწსენებელსა შენსა, ღირსო“.

საგალობელში გამახვილებულია ყურადღება ილარიონის საზღვარგარეთ მოღვაწეობაზე. სამშობლოში მისი მოღვაწეობა ორიოდ ფრაზით არის გადმოცემული. სახელდობრ: „მოხუედ ქუეყანად თჳსა... და აღაშენენ ექუსნი მონასტერნი დიდებულნი, სადიდებელნი სამებისა წმიდისანი და შეჰკრიბე მას შინა კრებული ღირსთაჲ, რომელნი ან პატივს-გცემენ შენ“.

ანალოგიური მდგომარეობაა ზოსიმეს საგალობელშიც.

საგალობლის ორი ადგილის მიხედვით შეიძლება დავუშვათ, რომ საგალობელი დაწერილია ილარიონის მოწაფის მიერ:

1. „ვითარცა სახედ ეგვპტის საზრდელისა მომცემელად ჩუენდა ნან-ილნი შენნი გუქონან, ღირსო, სარწმუნოებით ჩუენ, მოწაფეთა შენთა, და მოვიღებთ მათგან მადლსა სასწაულთასა დღითი-დღე, ბრძენო“.

2. „ვითარცა ზღუდე მტკიცე და ნავთსადგური მყუდროჲ, ნეტარო მამაო ილარიონ, გვაქუ მოწაფეთა შენთა მფარველად“.

ორივე მაგალითში ავტორი თავის თავს ილარიონის მოწაფეს უწოდებს, ხოლო პირველ მაგალითში ისიც უნდა იგულისხმებოდეს, რომ ეს მოწაფე (საგალობლის ავტორი) იქვე იმყოფება, სადაც ილარიონის ნეშტია დასვენებული და რომ ილარიონის მოწაფეები ყოველ-დღიურად იღებენ მის „ნაწილთაგან“ სასწაულთა მადლს.

თუ საგალობელი ილარიონის მოწაფის მიერ არის დაწერილი, მისი შექმნის დრო IX-X საუკუნეებით უნდა განისაზღვროს.

ერთი კი ცხადია — უცნობი ავტორის საგალობელი ზოსიმეს საგალობელზე ადრეულია. ეს უკანასკნელი კი დაწერილია გიორგი მთაწმინდლის გარდაცვალებიდან ათიოდე წლის შემდეგ (ამაზე ქვემოთ).

ზოსიმეს საგალობელი

ზოსიმესეული ილარიონის „დასდებელნი“¹ წარმოადგენს რვა გალობისაგან შემდგარ დიდი ფორმის საგალობელს.

დასაწყისსა და ბოლოში საგალობელს ერთვის ხუთი მცირე ფორმის გალობა: უფალო, ღალატყავისაჲ, აქებდითსაჲ, სტიქარონი, სხუანი სტიქარონნი — 2.

დაწერილია საგალობელი მერვე ხმაზე. მოღწეულია ზოსიმეს საგალობელი ორი ხელნაწერით.²

იმის გასარკვევად, თუ რა მიმართებაა ზოსიმეს საგალობელსა და ილარიონის „ცხოვრების“ რედაქციებს შორის, ზოსიმესეული ილარიონის საგალობელი შევუდარეთ „ცხოვრების“ ტექსტებს.

¹ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, გვ. 177-186; დოლაქიძე, „ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილი საგალობლები“, გვ. 180-185.

² ხეც A-558 (1074 წ.); ხეც A-176 (1743 წ.).

ვრცელი ათონური Ⴎ რედაქცია	მეტაფრასული Ⴎ რედაქცია	ზოსიმეს საგალობელი
ჟ ილარიონ, წარვედ და მიისწრაფე სახედ ჩუენდა, დაუმზადე სერი უფალსა.	სწრაფით აღასრულე, რომელი წარსრულსა მას ღამესა გებრძანა ჩუენებით ანგელოზისა მიერ.	აღასრულე, მამაო, ბრძანებული შენდა, ვითარცა სარწმუნო მან და გონიერ მან მწემან უფლისა თჳსისა მან, დაუმზადე თავადსა სერი სულიერი.
მოგეცინ შენ უფალ მან სასყიდელი სიყუარული-საჲ, რომელ მან-იგი უცხოქმნულნი ესე უცხოებითა თჳსითა დამაგნა ღმერთსა და მამასა.		უცხო იქმენ მისთვის, რომელი ჩუენთვის უცხო იქმენა, რაჲთა მცა უცხო-ქმნულნი მამასა წყალობით დამაგნა.
პოვა... კარსა მის სამოთხისასა მკელობელი ერთი მჯდომარე.	ხოლო იყო კოჭლ ორითავე ფერჯთა.	ლოცვითა შენითა, ღმერთ შემოსილო, მკელობელსა სლვაჲ მიანიჭე.
მოვიდეს ორი ეშმაკეულნი... და ვითარცა მიეახლნეს წიდასა მას გუამსა მისსა, მუნთქუესვე განიკუნნეს იგინი.	მრავალნი უკუე სნეულნი და ეშმაკეულნი განიკურნნეს ჟამსა მას, რამეთუ ჳმობდეს ეშმაკნი იგი სახელსა წმიდისასა და განვიდოდეს.	შეპყრობილნი სულთაგან არაწმიდათა შეხებ-ითა შენითა განთავისუფლდეს.
წარმიყვანე მე უდაბნოსავე ადგილსა	ახალშენსა მას შენ მიერ მონასტერსა ბრძანე წარყვანებაჲ ჩემი.	ჩუენებით აუწყე მეფესა სანადელი შენი უდაბნოჲ, რომელსა შინა სულნელებად სულისა გამოსჩნდი.
წმიდაჲ ესე აღთქმულ იყო ღმრთისადა.	—	აღთქუმით იშევ, ღმერთ-შემოსილო მამაო.

შედარების შედეგად გამოჩნდა, რომ ზოსიმეს საგალობელი ახლოს დგას ვრცელ ათონურ Ⴎ რედაქციასთან.

შეინიშნება ორად-ორი შემთხვევა, როდესაც საგალობელი მხარს უჭერს მეტაფრასულ Ⴎ რედაქციას და სხვაობს ვრცელი ათონური Ⴎ რედაქციისაგან.

ვრცელი ათონური Ⴀ რედაქცია	მეტაფრასული Ⴀ რედაქცია	ზოსიმეს საგალობელი
	გამოვიდა ქუეყანისაგან თჳსი- სა და ნათესავისაგან თჳსისა, ვითარცა ოდესმე მამათმთა- ვარი აბრაჰამ. ღმრთისმოყუარეთა კაცთა- გან იშვა რტო ესე ღმრთისმ- სახურებისა და მსგავსადვე სამოელისა პირველ შობასავე შენირული ღმრთისაჲ.	ემსგავსე შენ, ღმერთშემოსი- ლო მამაო, დიდსა აბრაჰამს და დაუტევე ქუეყანაჲ შენი. მსგავსადვე სამოელისა... სი- ყრმითგანვე შეიწირე ყოველ- თა შემწირველისა.

არის თუ არა ეს ორი მაგალითი საკმარისი იმის მტკიცებისათვის, რომ ზოსიმეს საგალობელი ვრცელი ათონური Ⴀ და მეტაფრასული Ⴀ რედაქციების მიხედვით დაიწერა? იქნებ ორივე მაგალითი ზოსიმეს მეტაფრასული „ცხოვრების“ გაუცნობლადაც მოეთანა?

როგორც ეტყობა, ეს ორი მაგალითი მხედველობიდან გამორჩა კ. კეკელიძეს, როდესაც ზოსიმეს საგალობელსა და მეტაფრასულ რედაქციას შორის მსგავსება ვერ შეამჩნია.¹ ათონურ Ⴀ რედაქციასთან მსგავსებისა და მეტაფრასული Ⴀ რედაქციისაგან განსხვავების ნიმუშად მას მოტანილი აქვს ერთი ადგილი ზოსიმეს საგალობლიდან – „შეპყრობილნი სულთაგან არანმიდათა შეხებითა შენითა განთავისუფლდეს“. შესაბამისი ადგილი მეტაფრასულ Ⴀ რედაქციაშიც არის: „მრავალნი უკუე სნეულნი და ეშმაკეულნი განიკურნნეს ჟამსა მას, რამეთუ ჳმობდეს ეშმაკნი იგი სახელს წმიდისასა და განვიდოდეს მიერ ღალადებით და ვაებით“. განხილული მაგალითი არ გამოდგება ათონური რედაქციისა და საგალობლის ნათესაობის დასამტკიცებლად.

ზოსიმეს საგალობლის რამდენიმე ადგილი აშკარად ეხმიანება ანონიმურ საგალობელს, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ანონი-

¹ კეკელიძე, „ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან“, გვ. 149.

მური საგალობლის ავტორი ვერ ისარგებლებდა ბევრად უფრო გვიან შექმნილი ზოსიმესეული საგალობლით. პირიქით კი მოსალოდნელია — ზოსიმე საგალობლის წერის დროს ისარგებლებდა არა მარტო „ცხოვრებებით“, არამედ უცნობი ავტორის საგალობლითაც.

ზოსიმე ათონის ჰიმნოგრაფიული სკოლის წარმომადგენელია, ამ სკოლაში აღზრდილია მთელი თაობა ბრწყინვალე ჰიმნოგრაფებისა, რომელთა შორის ერთ-ერთი ღირსეული „უღირსი“ ზოსიმეა. ბუნებრივია, იგი იცნობდა გიორგი მთაწმინდელის „თუნეს“, ¹ რომელშიც თვით გიორგი მთაწმინდლის მიერ შეტანილი იყო ილარიონის საგალობელი უცნობი ავტორისა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზოსიმეს საგალობელი დაინერა 1066-1074 წლებში.²

ზოსიმე არის ილარიონ ქართველისა და ექვთიმე მთაწმინდლის საგალობლების ავტორი. ექვთიმეს საგალობელს ერთვის ზოსიმეს მინაწერი: „ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, იაკობ მღდელისათჳს, რომელმან აიძულა უღირსი ენაჲ ჩემი გალობად წმიდისა ეფთჳმესა“.³

იაკობ მღდელი იხსენიება, აგრეთვე, ილარიონის საგალობლის ბოლოს დართულ ზოსიმეს მინაწერშიც: „წმიდაო ილარიონ, შეიწყალე მონაჲ შენი იაკობ, მღდელი ქრისტესი, და მწერალიცა შეიწყალე“.⁴

როგორც ამ მინაწერებიდან ირკვევა, ზოსიმეს ილარიონისა და ექვთიმეს საგალობლები დაუწერია იაკობის დეკანოზობის დროს.

მიქელ დაღალისონელის ანდერძის თანახმად კი ეს იაკობ მღდელი დეკანოზად ყოფილა გიორგი ოლთისარის მამასახლისობის პერიოდში: „მე... მიქელ დაღალისონელმან... ავნერე ცხოვრებაჲ განმანათლებლისა ჩუენისა ეფთჳმი ქართველისა, ახლისა ოქოპირისაჲ.... მამასახლისობასა გიორგი ოლთისარისასა, დეკანოზობასა იაკობ მღდელისასა განზრახვითა მისითა“.⁵

კ. კეკელიძის თანახმად, გიორგი III ოლთისარი „ივერიის წინამძღვარი იყო დაახლოებით 1065-1077 წლებში. მის დროს, 1071 წლამდე, დეკანოზად ყოფილა ევსტრათი, რომელსაც გიორგი ოლთისარის მა-

¹ Jer. georg. 124, 291r – 292v.

² კეკელიძე, „ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან“, გვ. 149.

³ ხეც A-558, 176v.

⁴ ხეც A-558, 162v.

⁵ ხეც A-558, 155r-v.

მასახლისობის დროს გადაუწერია გიორგი მთაწმინდლის სვინაქსარი: „განსრულდა სვინაქსარი ესე ახლად თარგმნილისაგან წმიდისა მამისა ჩუენისა გეორგისითა ჴელითა ჩემ გლახაკისა და ფრიად ცოდვილისა ევსტრატი დეკანოზისაჲთა ბრძანებითა მამისა გიორგი ოლთისარისაჲთა, რამეთუ მან დამაწერია მამასახლისობასა მისისა“¹.

ეს ხელნაწერი აღ. ცაგარელსა² და რ. ბლეიკს დათარიღებული აქვთ 1062 წლით, თ. ჟორდანიასა და კ. კეკელიძეს — 1071 წლით.³ რადგან 1071 წელს დეკანოზად ჯერ ისევ ევსტრატია, იაკობი დეკანოზად უნდა ვივარაუდოთ 1072 წლიდან. 1077 წელს არის გადანერილი გიორგი მთაწმინდლისეული პარაკლიტონი (გიორგი ოლთისარის წინამძღვრობის დროს).

ამრიგად, გიორგი ოლთისარი წინამძღვრობდა ათონზე 1065-1077 წლებში, ხოლო იაკობ მღვდელი დეკანოზობდა 1072 წლიდან.⁴

მაშასადამე, ზოსიმეს საგალობელი დაუწერია არა უადრეს 1072 წლისა, ვინაიდან 1071 წელს დეკანოზად ჯერ კიდევ ევსტრატი ჩანს და არა იაკობი; და არა უგვიანეს 1077 წლისა (გიორგი ოლთისარის წინამძღვრობის ზედა საზღვარი).

ზოსიმეს საგალობლის დაწერის დრო შეიძლება კიდევ უფრო დავიწროვდეს: ზოსიმეს საგალობელი შესულია ათონის 1074 წლის ალაპებიან ხელნაწერში (ხეც A-558).

მაშასადამე, ზოსიმეს საგალობელი დაუწერია არა უადრეს 1072 წლისა (იაკობ მღვდლის დეკანოზობის დროს) და არა უგვიანეს 1074 წლისა, როდესაც გადანერილია ათონის ალაპებიანი ხელნაწერი.

ზოსიმეს საგალობელი საქართველოში არ გავრცელებულა — საქართველოში გადანერილ მრავალ ხელნაწერში (ერთის გარდა) ვხვდებით მხოლოდ უცნობი ავტორის საგალობელს. ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო გიორგი ათონელის თვენის პოპულარობით.

ზოსიმეს საგალობელი, უცნობი ავტორის საგალობელსა და „ცხოვრების“ ო. რედაქციასთან ერთად, შეტანილია 1743 წელს გადანერილ წმინდანთა „ცხოვრებებში“ (ხეც A-176). ზოსიმეს საგალობელი

¹ კეკელიძე, „ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან“, გვ. 234; Blake, *Catalogue des manuscrits géorgiens ... au Mont Athos*, p. 148.

² Цагарели, *Сведения памятниках грузинской письменности*, стр. 79.

³ ჟორდანია, *ქრონიკები*, I, გვ. 213.

⁴ კეკელიძე, „ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან“, გვ. 234.

დანერილია სხვა ხელით, განსხვავებული ზომის ფურცლებზე. როგორც ჩანს, საგალობელი ჩაურთავთ მოგვიანებით უკვე გამზადებულ ხელნაწერში.¹

ზოსიმეს საგალობელს დართული აქვს ანდერძი,² საიდანაც ირკვევა, რომ დომენტი კათალიკოსს ის უპოვია და გადაუწერია საბერძნეთში, ტენედოში, 1736 წელს. საქართველოში დაბრუნების შემდგომ დომენტის ეს საგალობლები (ილარიონ ქართველისა და იოანე ათონელისა), როგორც დამატებითი მასალა, შეუტანია ქართველ წმინდანთა ცხოვრება-წამების კრებულში.³ ამგვარი კრებულების უფრო ადრეულ ნუსხებში⁴ ილარიონ ქართველისა და ექვთიმე ათონელის ეს საგალობლები შესული არ არის.

ამრიგად, საქართველოში გადანერილი ხელნაწერებიდან ხეც A-176 პირველი ნუსხაა, რომელშიც ჩართულია ზოსიმესეული ილარიონის საგალობელი, ხოლო მასზე უფრო ადრე ამ კრებულში შეტანილი ყოფილა უცნობი ავტორის საგალობელი.

დასკვნები

1. უცნობი ავტორის საგალობელი განკერძოებით დგას ილარიონ ქართველის სახელზე შექმნილი ნაწარმოებების ციკლში. ის არ უნდა იცნობდეს „ცხოვრებათა“ ტექსტებს და დანერილი უნდა იყოს მათ შექმნადმე.

2. საგალობლის შემცველი უძველესი ხელნაწერი არის საგალობელთა კრებული Jer. georg. 71 (XI-XII სს.), რომელიც გიორგი მთაწმინდლის რედაქციაზე ადრინდელი აღმოჩნდა.

3. გიორგი მთაწმინდელს ეს საგალობელი უმნიშვნელო ცვლილებებით შეუტანია „თუნში“ (Jer. georg. 124).

4. საგალობელი შექმნილი ჩანს IX-X საუკუნეებში ილარიონ ქართველის მონაფის მიერ ილარიონის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ

¹ მეტრეველი, „ქართული აგიოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი“, გვ. 419.

² ხეც A-176, 250r.

³ მეტრეველი, „ქართული აგიოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი“, გვ. 420.

⁴ ხეც A-136, ხეც A-170, ხეც H-1672, ხეც H-2077.

რომელიმე მონასტერში.

5. ზოსიმეს საგალობელი შედგენილია ვრცელი ათონური Ⴀ და მეტაფრასული Ⴁ რედაქციების მიხედვით. სავარაუდოა, რომ ზოსიმე სარგებლობდა, აგრეთვე, ანონიმური საგალობლით.

6. ზოსიმეს საგალობელი დანერილი ჩანს 1072-1074 წლებში ათონის ჰიმნოგრაფიულ წრეში.

7. ზოსიმეს საგალობელი საქართველოში არ ყოფილა გავრცელებული XVIII ს-მდე, სახელდობრ, 1743 წლამდე, როდესაც დომენტი კათალიკოსს ის შეუტანია ქართველ წმინდანთა ცხოვრება-წამების კრებულში (ხეც A-176).

სამონასტრო კოლონიზაციის საკითხები

გარეჯის მრავალმთის მონასტერში, VI საუკუნეში დაარსებულ დავით-გარეჯის ლავრაში, შემორჩენილია შედარებით გვიანდელი სენაკები, რომელთაც სამეცნიერო ლიტერატურაში უწოდებენ ილარიონ ქართველის ფილიალს.¹

ილარიონ ქართველის ცხოვრებაში დავით-გარეჯის უდაბნო ასეა აღწერილი: „და განიზრახა წარსლვაჲ უშინაგანესსა უდაბნოსა და აღდგა და წარვიდა უდაბნოსა გარეშჯისასა“ (ვრცელი ათონური Ⴀ რედაქცია); „ხოლო ადგილი იგი უდაბნო და ყოვლითურთ განშორებული სოფლისაგან, ფიცხელი ფრიად და უნუგეშინისცემო, სადა-იგი არცა თუ ყოვლად სენაკებსა აშენებს მუნ მყოფნი იგი მოღუანენი, არამედ ქუაბთა შინა და ნაპრალთა კლდეთასა მკჳდრ არიან. არათუ ოდენ გემოთაგან და საშუებელთა სოფლისათა განუშორებიან თავნი თჳსნი, არამედ თჳთ საჭიროსა მისგანცა ჳორცთა საჳმრისა, რომელ არს პური და წყალი, ფრიად ნაკლულევან არიან და უნუგეშინისცემო“ (მეტაფრასული Ⴁ რედაქცია).

ბიოგრაფების ცნობით, ილარიონი 15-16 წლისა მოსულა და-

¹ კეკელიძე, „ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან“, გვ. 154; Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид-Гареджи*, стр. 38.

ვით-გარეჯის უდაბნოში. ილარიონ ქართველის გარდაცვალების თარიღად სავარაუდებელია ორი წელი — 869 და 875. მაშასადამე, იგი გარეჯაში მისულა 831 ან 837 წელს, გაუტარებია იქ ათი წელი, ე. ი. დარჩენილა 841 ან 847 წლამდე.

გარეჯაში ილარიონს დახვედრიან მოღვაწე ბერები: „პოვნა მუნ მრავალნი კაცნი მოღუანენი და მახლობელად მათსა — ქუაბი ერთი მცირე. განიხარა სიხარულითა დიდითა და შევიდა და დაემკვდრა მას შინა“ (ვრცელი ათონური Ⴀ რედაქცია).

მოკლე ხანში ილარიონს ისეთი სულიერი სრულყოფისათვის მიუღწევია, რომ მისაბაძი გამხდარა სხვა მონაზვნებისათვის: „და აღეშენებოდეს ყოველნი იგი ძმანი სწავლითა მისითა და შეუვრდებოდეს მას, რაჟთა იყოფოდინ მის თანა. და შეიწყნარნა მან მის თანა ვითარ ათერთმეტნი ძმანი, მოღუანენი მშვდნი და მდაბალნი“ (ვრცელი ათონური Ⴀ რედაქცია).

ილარიონს გარეჯის უდაბნოში ჩამოუყალიბებია თერთმეტი კაცისაგან შემდგარი, „მოღუანეთა“ პატარა ჯგუფი, შეუქმნია მართლად-ცა ფილიალი გარეჯის მონასტრისა.

ასეთი იყო ამ მონასტრის წყობა — აქ იყვნენ სრულიად განმარტოებული განდეგილნიც და ჯგუფ-ჯგუფად მობინადრე ბერებიც.¹

გარეჯის უდაბნოდან ილარიონი მოდის იორდანის უდაბნოში. შემდეგ, ჩვენების თანახმად, ბრუნდება სამშობლოში. მეტაფრასული რედაქციის მიხედვით, დედის აღსრულებისა და დის მონაზვნად აღკვეცის შემდეგ ილარიონი კვლავ გარეჯის უდაბნოს უბრუნდება: „კუალად უდაბნოდ გარეჯისა მივიდა, სადა-იგი დაეტევნეს ძმანი პირველ, ხოლო წმიდისა მამისა დავითის სამარტკლოსა შინა ეკლესიად შექმნა და შეწირა საჭმარი, რაოდენი იპოვა მის შორის“ (მეტაფრასული Ⴀ რედაქცია).

ილარიონმა დიდი შესანიშნავი მიუძღვნა გარეჯის მონასტერს და დავითის სამარტკილო ეკლესიად აქცია. ეს მომენტი — „დავითის სამარტკლოსა შინა ეკლესიად შექმნა“ — აღნიშნულია დავით გარეჯელის ცხოვრებაშიც.

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ათონურ რედაქციაში არ არის აღნიშნული, რომ ილარიონი ხელმეორედ ეწვია გარეჯას. იქ ნათქვამია,

¹ Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид-Гареджи*, стр. 38.

რომ დედისათვის მონასტრის აშენების შემდეგ ილარიონმა „კუალად ალაშენა სხუაჲ მონასტერი მამათათჳს და შეკრიბნა მას შინა ძმანი ვითარ სამოცდაათექსუმეტნი, ღირსნი და მოღუანენი“. ამ ადგილას მოთხრობილი ამბები კი ზედმინვენით უდგას გვერდით *ქ* რედაქციის ცნობებს ილარიონის გარეჯაში ხელმეორედ ყოფნის შესახებ. უნდა ვიფიქროთ, რომ მეტაფრასული *ქ* რედაქციის ავტორი უკეთ ყოფილა ინფორმირებული ამ საკითხში.¹

ილარიონის „ცხოვრების“ ვრცელ ათონურ *ჯ* რედაქციაში მითითებულია, რომ ილარიონმა იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ, დედათა მონასტრის გარდა, ააშენა მამათა მონასტერიც, სადაც შეკრიბა სამოცდაათექსუმეტი ძმა. ავტორი „ამ მონასტრის ადგილად დავით-გარეჯას არ ასახელებს, მაგრამ მისი წარმოდგენით დავით-გარეჯა, სადაც ის პირველად დამკვიდრდა 11 ძმითურთ, დასავანე, რომელიც მან იერუსალიმიდან ჩამოსვლის შემდეგ „ააშენა“ (76 ძმითურთ), სხვადასხვა სავანეებია“:² გ. ჩუბინაშვილისა და ბ. ლომინაძის ვარაუდით, ამ უკანასკნელში იგივე დავით-გარეჯის ლავრა იგულისხმება, სადაც ილარიონი ადრევე დამკვიდრდა.³

ეს მართლაც ასე უნდა იყოს. ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ მეტაფრასულ *ქ* რედაქციაში შესაბამის ადგილას ლაპარაკია დავით-გარეჯაში ილარიონის მეორედ მოსვლის შესახებ, ნათქვამია, რომ ილარიონმა „დავითის სამარტკლოსა შინა ეკლესიად შექმნა და შეწირა საჴმარი“.

შემდგომი ამბები ორივე რედაქციაში თანხვდება (უკეთური სულით შეპყრობილი ნათესავის, დედის ძმის ამხედრება ილარიონის წინააღმდეგ, მონასტრის დაწვისა და წმინდანის მოკვლის განზრახვა, ილარიონის ლოცვით მისი განკურნება და სხვ.).

დავით გარეჯელის „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის მიხედვით, ილარიონმა „განავრცელა და აკურთხა“⁴ დავით გარეჯის მონასტრის მთავარი ეკლესია, სადაც დაკრძალულნი არიან დავითი და ლუკიანე. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება,

¹ Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид-Гареджи*, стр. 38.

² ლომინაძე, *ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან*, I, გვ. 14.

³ Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид-Гареджи*, стр. 38.

⁴ აბულაძე (გამოც.), *ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები*, გვ. 175.

რომ „კურთხევა“ ტექსტში ნახმარია „სახელის მიცემის“ მნიშვნელობით, და რომ ამ ეკლესიას ილარიონის მიერ კურთხევის დროიდან ეწოდა ფერისცვალების ეკლესია.¹

ეს ფერისცვალების ეკლესია, რომელიც თავდაპირველად (VI ს.) გამოუკვეთია დავით გარეჯელის მიერ მოქცეულ წარმართ ბუბაქარს რუსთავიდან, დღემდეა შემონახული და მას, გ. ჩუბინაშვილის აზრით, დიდი მნიშვნელობა ჰქონია ამ კომპლექსის სავანეთა შორის.² ფერისცვალების ეკლესია დავითის მონასტერში იქცა ნიმუშად, რომლის მიხედვითაც ქმნიდნენ მონასტრის ყოველი განშტოების მთავარი ტაძრის ფორმებს.

ბუნებრივია, რომ სწორედ ამ ეკლესიაში იყვნენ შემდგომ დაკრძალულნი დავითი და ლუკიანე. ეკლესიის გამოკვეთის ადგილი, გ. ჩუბინაშვილის აზრით, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მთელი სამონასტრო ჯგუფის ჩანასახი სწორედ იქ იყო, სადაც მოგვიანებით შეიქმნა მისი ცენტრი — ლავრა³ და რომ სწორედ შემორჩენილ, ბუნებრივ გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ მონასტრის ფუძემდებელნი. გ. ჩუბინაშვილი ვარაუდობს, რომ დავითის ლავრის ქვედა ეზოში, სამხრეთის მხარეს დავითისა და ლუკიანეს სენაკებია, ხოლო ჩრდილოეთის მხარეს, ეკლესიის შესასვლელში — მათი საფლავები. ილარიონ ქართველი აფართოებს ეკლესიას და მონასტრის ფუძემდებელთა საფლავებს საგანგებო აკლდამებით ამკობს.

ფერისცვალების ეკლესია ილარიონის შემდგომ ეპოქებში ხელუხლებელი არ დარჩენილა, მან განიცადა შეკეთება, დამატება, გადაკეთება, მაგრამ ძირითადად ეს ეკლესია ილარიონის ეპოქის უეჭველი პროდუქტია.⁴

ამრიგად, ფერისცვალების ეკლესია დავით-გარეჯის ლავრაში ილარიონ ქართველის ქტიტორული მოღვაწეობის ერთ-ერთი ნიმუშია. ამას მხარს უჭერს, ერთი მხრივ, აგიოგრაფთა ცნობები (დავით გარეჯელის „ცხოვრებისა“ და ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციები) და, მეორე მხრივ, გ. ჩუბინაშვილის არქიტექ-

¹ ლომინაძე, *ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან*, I, გვ. 14.

² Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид-Гареджи*, стр. 38-39.

³ იქვე, გვ. 30.

⁴ Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид-Гареджи*, стр. 38.

ტურული ანალიზი და პარალელური შესწავლა გარეჯის მრავალმთის მონასტრების მთავარი ეკლესიების ფორმებისა.

დავით-გარეჯის მონასტერს იმდენად დიდი მნიშვნელობა მოუპოვებია, რომ მას კახეთში, თელავის ახლოს ჰქონია მეტოქი, ქვე-მონასტერი, სახელდობრ, მამა-დავითის მონასტერი სოფელ აკურას ზემოთ. ეს მონასტერი, რომელშიც შემორჩენილია დიდი ბაზილიკური ეკლესია და დიდი „ნამარნევი“ (ორმოცი ქვევრი ღვინისა) ეკუთვნოდა მრავალრიცხოვან საძმოს. მისი დაარსების დროს შენირული ყოფილა დიდძალი ქონება. მონასტრის ეკლესია აშენებულია IX საუკუნეში: ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ მონაცემთა მიმოხილვის შემდეგ უნებურად იბადება ვარაუდი, რომ ხომ არ არის აკურის მამა-დავითის მონასტერი ილარიონის ქმნილება.¹ სამწუხაროდ, არ არის ცნობილი ილარიონის მიერ კახეთში დაარსებულ მონასტერთა სახელწოდებები.

ილარიონის „ცხოვრება“ პირდაპირ არაფერს ამბობს აკურის დედათა მონასტრის ილარიონის მიერ აშენების შესახებ. ნათქვამია მხოლოდ, რომ ის წარმოშობით კახეთიდან იყო, ააშენა მონასტერი თავის საგვარეულო მამულებთან ახლოს და იქვე დამკვიდრდა. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ აკურა არის გარეჯის უდაბნოს დაქვემდებარებული მონასტერი (подворье), რომ ის დედათა მონასტერია და IX საუკუნეშია დაარსებული, მაშინ აღარავითარი საფუძველი არ დარჩება ეჭვისათვის.²

ალექსანდრე მეფის 1597 წლის სიგელიდან ნინოწმინდის ეპისკოპოსის სახელზე ვგებულობთ, რომ აკურის მონასტერი, დავით-გარეჯის უდაბნოს მეტოქი, იყო დედათა მონასტერი: მას აქ განუწესებია ტყვეობიდან გამოხსნილი თავისი და, ქეთევანი: „მივეციტ მონასტერი მეტოქი და სახიზარი თქუენი და უდაბნოს (ეგრეა) გარეშჯისა და დაყაყენეთ მონასტერსა მას შინა აკურისასა“.³

ნალისებური თაღების დეკორატიული ფორმები ნიშანდობლივია დავით-გარეჯისა და აკურის მამა-დავითის ეკლესიისათვის. ეს კი მიუთითებს, რომ როგორც ფილიალი, ასევე აკურის მამა-დავითი ილარი-

¹ Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид-Гареджи*, стр. 40; ლომინაძე, *ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან*, გვ.15.

² Чубинашвили, *Архитектура Кахетии*, стр. 121.

³ ჟორდანი, *ქრონიკები*, II, გვ. 430.

ონ ქართველის ქტიტორულ მოღვაწეობას ეკუთვნის.¹

თვით ფაქტი გარეჯის მონასტერთა მეტოქის არსებობისა შიდა კახეთის ცენტრში ჯერ კიდევ IX საუკუნეში ნათელყოფს, თუ რა დიდ-ზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მათ იმდროინდელი კახეთის ცხოვრებაში.²

გ. ჩუბინაშვილის ცნობით, 1929 წელს გარეჯის ყოფილმა ხაზინადარმა გიორგი აბაშიძემ კითხვაზე, ხომ არ გაუგონია, სად ცხოვრობდა ილარიონ ქართველი, განაცხადა, რომ გადმოცემის თანახმად ზემოთ აღწერილი კომპლექსი (ილარიონ ქართველის ე. წ. ფილიალი) ითვლებოდა ილარიონ ქართველის საფანედ.

ქრისტესია გარეჯელის „ცხოვრების“ ავტორის, XIX საუკუნის ბერის, სპირიდონ გრძელიცკის მიხედვითაც: „ბენაკი (!) მისი იხილვების ზემორე ხევისა შინა, პირისპირ ცრემლის წყლისა“.³

ამრიგად, აგიოგრაფთა მონაცემებისა და გ. ჩუბინაშვილის არქიტექტურული ანალიზის საფუძველზე, კახეთში სავარაუდებელია ილარიონ ქართველის ქტიტორულ მოღვაწეობასთან დაკავშირებული სამი ძეგლი:

1. ფერისცვალების ეკლესია დავით-გარეჯის ლავრაში;
2. ილარიონ ქართველის ე. წ. ფილიალი იმავე დავითის ლავრაში;
3. აკურის მამა-დავითის დედათა მონასტერი.

ილარიონის ზედწოდება „ქართველი“ მიუთითებს სწორედ იმაზე, რომ ილარიონს დიდი ნაწილი თავისი ცხოვრებისა საზღვარგარეთ გაუტარებია. ამ ზედწოდებაში აქცენტირებულია სწორედ საზღვარგარეთ მოღვაწეობის მომენტი.

იმ ცენტრების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ილარიონის უშუალო მოღვაწეობასთან (პალესტინა, ულუმბო), ან მის სახელთან და მისი მოწაფეების სამონასტრო მოღვაწეობასთან (რომანა), ქართული წყაროები ძლიერ მცირე ცნობებს გვანვდიან.

ულუმბოზე X საუკუნეში ქართველთა მოღვაწეობას გაკვრით ეხება იოანესა და ექვთიმეს „ცხოვრება“, საიდანაც ირკვევა, რომ ათონზე მისვლამდე იოანეცა და ექვთიმეც ულუმბოზე მოღვაწეობდნენ.

¹ Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид-Гареджи*, стр. 42.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 41; ხეც A-1036, 8r.

IX საუკუნეში ულუმბოზე ქართველთა მოღვაწეობის შესახებ ჩვენი ძეგლი ერთადერთი წყაროა. ულუმბო ილარიონ ქართველის სამოგზაურო მარშრუტის უბრალო პუნქტი კი არ ყოფილა, არამედ მისი საკმაოდ ხანგრძლივი სამონასტრო მოღვაწეობის ადგილი.

კონსტანტინოპოლის შემდეგ ბიზანტიის იმპერიის არც ერთ ოლქში არ იყო ისე მრავლად მონასტრები, როგორც ბითვინიის ოლიმპზე. სატახტო ქალაქის გადატანასთან ერთად კონსტანტინემ გადაიტანა რელიგიური ცხოვრების ცენტრიც. გაჩნდა ახალი რომი — კონსტანტინოპოლი, გაჩნდა ბითვინიის ოლიმპი. წარმართული თესალიის ოლიმპი შეცვალა ქრისტიანულმა, ბითვინიის ოლიმპმა.¹

„წმინდა მთა“ – ასე ეწოდებოდა VIII-IX საუკუნეებში ბითვინიის ოლიმპს (ულუმბო) და მხოლოდ XI საუკუნის ნახევრიდან წაართვა მას ეს სახელწოდება ათონმა (კონსტანტინე მონომახმა ათონს მისცა ოფიციალური სახელწოდება Ἁγιον ὄρος).

ოლიმპზე ქართული მონასტრის არსებობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა.

კირიონ ეპისკოპოსის აზრით, ოლიმპზე VI საუკუნეში ქართული მონასტერი არსებობდა. მონასტრის სახელს იგი არ ასახელებს.²

ქრ. ლოპარევი აღნიშნავს, რომ ბოლანდისტ ვან დენ ტეინის, ივ. სოკოლოვისა და ლუი პტის მიერ დაზუსტებული ოლიმპის მონასტერთა სიიდან τὸν Ἀγῶσαν და Τελάον, მართალია, ქართულად ჟღერს (არაგვი, თელავი), მაგრამ არავითარი მონაცემი არ არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ IX საუკუნეში ოლიმპზე ქართული მონასტერი არსებობდა.³

ილარიონ ქართველის „ცხოვრებიდან“ ჩანს, რომ იგი ოლიმპზე ყოფნის დროს დასახლდა პატარა ეკლესიაში დიდი ლავრის მახლობლად.

ვრცელ ათონურ რედაქციაში ვკითხულობთ: „მიიწია წმიდა ილარიონ წინამძღურობითა სულისა წმიდისაჲთა მთასა ულონბოჲსასა და პოვა მცირე ეკლესიაჲ ადგილსა უდაბნოსა, შევიდა და იყოფებოდა მას შინა“. მეტაფრასული რედაქციიდან კი ირკვევა, რომ ეს „მცირე

¹ Лопарев, *Греческие жития святых VIII-IX веков*, стр. 291.

² Еп. Кирион, *Культурная роль Иверии в истории Руси*, стр. 7.

³ Лопарев, *Греческие жития святых VIII-IX веков*, стр. 291.

რაჲმე ეგუტერი“ „სამით მილიონით შორს იყო ლავრისა ერთისა დიდი-საგან და ერმრავლისა“.

ილარიონ ქართველს გარეჯის უდაბნოდან წაუყვანია ორი მოწაფე (ერთ-ერთი მათგანი ისაკი ყოფილა). მათთან ერთად დამკვიდრებული იგი ულუმბოს ეკლესიაში, რომელიც ბერძენთა გამგებლობაში ყოფილა. მახლობელი მონასტრის ბერძენ მამასახლისს ილარიონისა და მისი მოწაფეების გაძევება განუზრახავს, მაგრამ ღვთისმშობლის გამოცხადების შემდეგ მოუწანიებია თავისი შეცდომა.

ულუმბოს მთაზე ყოფნის დროს ილარიონ ქართველი არ იფარგლებოდა მხოლოდ თავისი მოწაფეების დამოძღვრით: იგი მოძღვრავდა ულუმბოს მთის სხვა მონასტერთა ბერ-მონაზვნებსაც: „აქუნდა იგი ყოველთა, ვითარცა მოციქული და მწყემსი საკრველებისა მისთვის და მოვიდოდეს გარემოჲსათა მონასტერთა ხილვად მისა და მოღებად წმიდისა ლოცვისა მისისა. და განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა მას მთასა ულონბოჲს[ა]სა და მოვიდოდეს და აღივსებოდეს სწავლითა მისითა და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან მოსცა ესევეითარი მნათობი“ (ათონური ვრცელი Ⴀ რედაქცია).

ამ ადგილიდან ჩანს, თუ რაოდენ ფართო იყო ილარიონ ქართველის მოღვაწეობის სფერო ულუმბოზე: ქართველების გარდა, ის ვრცელდებოდა ბერძნებზეც.

ულუმბოს მთაზე ილარიონ ქართველს დახვედრია სამი ქართველი ძმა, რომელთაგან ერთ-ერთს ბერძნული კარგად სცოდნია: „მაშინ მოვიდეს მისა სხუანი სამნი ძმანი ქართველნი და შეიწყნარნა იგინი ნეტარმან ილარიონ. ხოლო ერთი მათგანი იყო კეთილად მეტყუელ ბერძულითა ენითა“.

ამრიგად, ილარიონ ქართველის „ცხოვრებებიდან“ ირკვევა, რომ ულუმბოზე IX საუკუნეში არსებობდა ქართველთა ქრისტიანული ძმობა. ქართველთა ეს პატარა ჯგუფი ექვსი კაცის შემადგენლობით (ილარიონ ქართველი, ისაკი, გარეჯიდან წაყვანილი მეორე მოწაფე და ულუმბოზე დახვედრილი „სხუანი სამნი ძმანი ქართველნი“) წარმოადგენდა ულუმბოს ქართველთა სამონასტრო კოლექტივის ჩანასახს ილარიონ ქართველის წინამძღვრობით. როგორც ცნობილია, ლეონ VI ბრძენის მე-14 ნოველის თანახმად, მონასტერში უნდა ყოფილიყო

არანაკლებ სამი მონაზვნისა.¹

ულუმბოს მთაზე ილარიონ ქართველი გვევლინება არა „დაყუდებულის“ — განდევილის როლში, არამედ როგორც ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი ქართული სამონასტრო კოლექტივისა.

ულუმბოს მთაზე ილარიონმა ხუთი წელი გაატარა, შემდეგ გადაწყვიტა თაყვანი ეცა კონსტანტინოპოლის ძელი-ცხოველისათვის. მას დაუტოვებია ოთხი ქართველი ძმა ულუმბოზე. უსწავლებია მათთვის, როგორ უნდა აეშენებინათ „სენაკი ყორისაჲ ქვათაგან“, თან წაუყვანია ისაკი და ჩასულა კონსტანტინოპოლს (ისაკი თან ახლავს ილარიონს გარეჯასა და ულუმბოზე, რომსა და კონსტანტინოპოლში და მის უკანასკნელ სამკვიდრებელში — თესალონიკეში).

ქართველთა სამონასტრო მოღვაწეობა ულუმბოზე ილარიონის ნასვლისა და მისი გარდაცვალების შემდეგაც არ ჩამქრალა. ბასილ მაკედონელმა ილარიონის გარდაცვალების შემდეგ ულუმბოს მამასახლისთა შეკრებაზე კონსტანტინოპოლში შეიტყო, რომ ულუმბოს მთაზე „არიან სამნი მოხუცებულნი მონაფეთა მისთაგანნი, ღირსნი და სათნონი ღმრთისანი“. როგორც ეტყობა, ილარიონის მეოთხე მონაფე ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო (ილარიონმა ულუმბოზე ოთხი ქართველი ძმა დატოვა). სწორედ მათთვის ააშენა ბასილ მაკედონელმა კონსტანტინოპოლის მახლობლად რომანას ქართველთა მონასტერი. სწორედ აქ, მოციქულთა სახელობის რომანას ქართველთა მონასტერში დამკვიდრებულან ილარიონის ულუმბოელი მონაფეები და ახალ კერაში გაუჩაღებიათ სამონასტრო საქმიანობა.

ჩვენი ძეგლიდან ირკვევა აგრეთვე, რომ ულუმბოზე, ისევე როგორც ათონზე და თითქმის ყველგან, სადაც ქართველები ბერძნებთან კონტაქტში იმყოფებოდნენ, ილარიონსა და მის თანამოღვაწეებს უხდებოდათ ბერძნების უნდობლობისა და არასტუმართმოყვარეობის გადალახვა.

უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო გარემოებაც. როგორც ჩვენი ძეგლიდან ირკვევა, ბასილ მაკედონელისათვის ილარიონის შესახებ ქება-დიდება მიუწერია „დაყუდებულ“ ექვთიმე თესალონიკელს — ოლიმპის, ათონისა და თესალონიკის ცნობილ მოღვაწეს, ილარიონ

¹ *Les nouvelles de Léon VI le Sage*, p. 57. იხ. სტატიაში: Каждан, “Византийский монастырь XI-XII вв.”, стр. 51.

ქართველის თანამედროვეს. ექვთიმე თესალონიკელს თუ პირადი ნაცნობობა არ ჰქონია ილარიონ ქართველთან, ბევრი რამ მაინც სმენია მის შესახებ. ულუმბო და თესალონიკე იქნებოდა ექვთიმე თესალონიკელის ცნობების სათავე, ულუმბო და თესალონიკე აკავშირებს ამ ორი მოღვაწის სახელს.

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ათონურ რედაქციებში აღნიშნულია, რომ „მრავალნი დამკვდრებად არიან მთასა ამას მათისა ენისა მეტყუელნი“. აქედან ირკვევა, რომ ილარიონის ჯგუფის გარდა, ქართველები ულუმბოზე მომრავლებულნი ყოფილან IX საუკუნეში, მაგრამ პირდაპირი ცნობა „ცხოვრებაში“ ულუმბოზე ქართული მონასტრის არსებობის შესახებ არ გვაქვს. უნდა ვიფიქროთ, რომ თუ მონასტერი არა, ულუმბოზე არსებობდა მრავალრიცხოვანი ძმობა ქართველთა, რომელიმე ეკლესიას ან ქვაბს შეფარებული. ქრისტიანული კოლექტივის ეს ბირთვი შეიძლება ქართული მონასტრის ჩანასახად მივიჩნიოთ.

თ. ჟორდანიას აღნიშნავს, რომ ულუმბოზე ყოფილა სამი მონასტერი, სადაც ქართველები მოღვაწეობდნენ: კრანია, ქვაბი და კოზმან-დამიანესი.¹

ამ აზრს იზიარებს კ. კეკელიძეც: „ოლიმპოს მთაზე ქართველებს ჰქონიათ სამი ეკლესია: ქუაბი ან ეკლესია წმიდისა ღვთისმშობლისა, კოზმან-დამიანე და ლავრა კრანია“.²

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა „სამოციქულოს“ ერთი ქართული ხელნაწერი, რომელიც გადაიწერა ნიკოფორე ფოკას მეფობის დროს (963-969 წწ. ესბროკის³ მიხედვით, ბლევით — 959-969 წწ.) ულუმბოზე, კოზმან და დამიანეს მონასტერში.⁴ ხელნაწერს ახლავს ანდერძი: „მე, მიქაელ გლახაკმან სახელად, ხუცესმან უნარჩევესმან ყოველთა მღვდელთამან, მოვიგე წმიდაჲ ესე პავლე განზრახვითა მოძღურისა ჩემისა გიორგისითა და შეწევნითა იოვანე კახისათა... დაიწერა წმიდასა მთასა ოლინბოხსასა, საყოფელსა წმიდათა კოზმან-დამიანეთასა, პატრიარქობასა კონსტანტინეპოვლეს პოლიოკტოხსა, მეფობასა ნიკი-

¹ ჟორდანი, *ქრონიკები*, I, გვ. 171.

² კეკელიძე, *ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, გვ. 90.

³ van Esbroeck, „Une liste d'apôtres dans le codex géorgien 42 d'Ivion“, pp. 138-150.

⁴ Blake, *Catalogue des manuscrits géorgiens ... au Mont Athos*, p. 237; Цагарели, *Сведения памятниках грузинской письменности*, стр. 76-77.

ფორესა... მე, მიქელ მღდელმან, ზეკეპე ბერმან ქუაბისა შვილმან, ბერთას აღზრდილმან, ესე წმიდაჲ პავლე მოვიგე“.¹

ბელგიელი ორიენტალისტის, მ. ვან ესბროკის აზრით,² ანდერძში მოხსენიებული იოვანე კახი არის გადამწერი ამ ხელნაწერისა, ხოლო კოზმან და დამიანე მეტოქი აგავრის (Αγάρου) მონასტრისა. მკვლევარი იმონმებს წმ. იოანიკის³ პეტრესეული ცხოვრების ერთ ადგილს: ἐν τῷ μετοχίῳ τοῦ Ἀγάρου ἔνθα τιμᾶται πάνσεπτος ναὸς τῶν θαυματουργῶν Κοσμά καὶ Δαμιανοῦ⁴ („აგავრის მეტოქეში მაშინ (IX ს.) თაყვანს სცემდნენ საკვირველთმოქმედთა — კოზმან და დამიანეს დიდად საპატიო ტაძარს“), ამასვე ამბობს იოანიკის საბასეული ცხოვრებაც: εἰς τὸ τοῦ Ἀγάρου μετόχιον τοῦ ἁγίου Κοσμά καλοῦμενον⁵ („აგავრის მეტოქეში, რომელიც წმ. კოზმანის სახელს ატარებდა“).

ამ ციტატებიდან აშკარაა, რომ კოზმან-დამიანეს საყოფელი არის აგავრის მონასტრის მეტოქი. ბ. მენტონსაც, რომელმაც შეისწავლა ბითვინიის ოლიმპის მონასტრების ადგილმდებარეობა, აგავრის მონასტერი და კოზმან-დამიანე ერთ სამონასტრო ორგანიზმად მიაჩნია.⁶ ამავე აზრისაა ვან დე გეინიც.⁷

მაშასადამე, კოზმან-დამიანეს მონასტერი წარმოადგენდა ძირითად (τῶν Ἀγάρου) მეტოქს. მდებარეობდა ოლიმპის მთის ძირას, ბრუსის დასავლეთით 2 კმ-ზე.

მ. ესბროკის აზრით, ზემოთ დასახელებული სამოციქულო (Ivir. georg. 42) განსხვავდება ბერძნული ნუსხებისაგან და ამჟღავნებს ნათესაობას ლათინურ ნუსხებთან.⁸

მ. თარხნიშვილის აზრით, ასევე ლათინური ნუსხიდან უნდა მომდინარეობდეს პეტრეს ლიტურგიის ქართული თარგმანი,⁹ რომელიც ილარიონის ეპოქას მიეკუთვნება.¹⁰ მკვლევარი ფიქრობს, რომ ილარი-

¹ Ivir. georg. 42, 234r.

² van Esbroeck, “Une liste d’apôtres dans le codex géorgien 42 d’Ivireon”, pp. 143-144.

³ წმ. იოანიკის სახელზე არსებობს „ცხოვრება“ ორი ავტორისა: პეტრესი და საბასი.

⁴ van Esbroeck, “Une liste d’apôtres dans le codex géorgien 42 d’Ivireon”, pp. 143-144.

⁵ იქვე, გვ. 144.

⁶ Menthon, *L’Olympe de Bithynie*, pp. 52,54.

⁷ van Esbroeck, “Une liste d’apôtres dans le codex géorgien 42 d’Ivireon”, p. 144.

⁸ იქვე, გვ. 146-147.

⁹ Tarnishvili, *Liturgia ibericae antiquiores*, pp. 84-92.

¹⁰ Tarnishvili, *Geschichte der kirchlichen georgischen Literatur*, s. 39.

ონის ორწლიანი ყოფნა რომში კავშირში უნდა იყოს პეტრეს ლიტურგიის ქართული თარგმანის წარმოშობასთან და ეს თარგმანი, შესაძლებელია, თვით ილარიონსაც მიეწეროს.

მ. ესბროკის აზრით, ილარიონის ულუმბოზე მისვლის ჟამს და შემდგომ პერიოდშიც პეტრე და პავლე მოციქულთა კულტი ძლიერ იყო ფეხმოკიდებული. ამის გამო ქართველი მთარგმნელები ადვილად მიაგნებდნენ ოლიმპზე პეტრეს ლიტურგიისა და სამოციქულოს ლათინურ ნუსხებს.¹

ულუმბოს მთაზე გადანერილია კიდევ ერთი ხელნაწერი 978 წლისა ხეც H-1346 (იოანე ღვთისმეტყველის „გამოცხადება“ და მისი თარგმანება). ხელნაწერს ახლავს ანდერძი, რომელშიც ნათქვამია, რომ იგი „დაინერა საბერძნეთს, მთასა წმიდასა ოლიმპოს, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა, ლავრასა შინა სახელით კრანისა“² ბარდასკლიაროსის ამბოხების დროს. გადამწერია საბა კუტი (ქრ. შარაშიძის წაკითხვით).³ მომგებელნი ანუ დამკვეთნი არიან გრიგოლ და იოვანე, შემმოსველია იოვანე, მთარგმნელია ექვთიმე მთაწმინდელი.

XI საუკუნეში, 1030 წელს, ბითვინიის ოლიმპზე გადაინერა მაკარი მეგვიპტელის თხზულებათა ექვთიმესეული თარგმანი (Ivir. georg. 21). ანდერძში ნათქვამია, რომ ეს ხელნაწერი „დაინერა მთასა წმიდასა ოლიმპოს საბერძნეთისასა, ქუაბსა საყოფელსა“⁴ (ბლეიკით — იოფელსა)⁵ ქართველთასა, ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობლისასა, ბრძანებითა მამისა გრიგოლისითა, ჯელითა გლახაკისა და ფრიად ცოდვილისა ისაკისითა“.⁶

ხელნაწერის გადამწერია ისაკი, დამკვეთი — მამა გრიგოლი. ამრიგად, ორივე შემთხვევაში ნახსენებია ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. ხომ არ შედიოდა ეს „ქუაბი — საყოფელი ქართველთა“ ღვთისმშობლის ეკლესიაში, ე. ი. ქუაბი და ლავრა კრანია იქნებ ერთი სამონასტრო ერთეული იყო?

¹ van Esbroeck, “Une liste d’apôtres dans le codex géorgien 42 d’Ivireon”, p. 146.

² ხეც H-1346, 208v-209v; იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება, გვ. 126.

³ აღწერილობა (H კოლექცია), III, გვ. 292.

⁴ სწორია ა. ცაგარლის წაკითხვა: „ქუასა იოფელსა ქართველთასა“ ნაცვლად უნდა იკითხებოდეს „ქუაბსა საყოფელსა ქართველთასა“; Цагарели, *Сведения памятниках грузинской письменности*, стр. 84; ჟორდანიას, *ქრონიკები*, I, გვ. 170.

⁵ Blake, *Catalogue des manuscrite georgien ... au Mont Athos*, p. 131.

⁶ Ivire. georg. 21, 237v; Gippert et al., *Catalogue*, p. 236 (რედ.)

ულუმბოზე ქართველთა მოღვაწეობის შესახებ ცნობებს ვხვდებით ათონელების „ცხოვრებებში“, ულუმბოზე მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა ექვთიმე ათონელი: „არა თუ ულუმბათა და მთაწმიდას ოდეს თარგმნა, რაჟთამცა აღვრიცხუენით თითოეულად, არამედ სამეუფოსცა და გზასა და სხუათა ესევეთართა ადგილთა“.¹

ამრიგად, თ. ჟორდანიას მიერ დასახელებული მონასტრები ქართული თუ არ იყო, ქართველების ადგილსამყოფელს მაინც წარმოადგენდა.

X საუკუნეში ულუმბოზე ქართველთა მოღვაწეობის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვანვდის „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“, საიდანაც ვგებულობთ, რომ იოანე ათონელი „მთასა ულუმბოსასა მიიწია და მონასტერსა ერთსა შინა ჟამთა არამცირედთა ჯორთა მსახურებისა ღუანლი ახოვნად თავს-იდვა“.² რამდენიმე ხნის შემდეგ მან ულუმბოზე მიიყვანა თავისი შვილი, ექვთიმე ათონელი. ულუმბოზე იოანე ათონელის საძებნელად მისულა დიდი თორნიკე ერისთავი, „თჳსი მისი“, მაგრამ იოანე ათონელი იქ ვეღარ უპოვია, ვინაიდან ეს უკანასკნელი იმ დროს უკვე ათონზე იყო გადასული, ათანასეს ლავრაში.³

ძალზე საინტერესო ცნობას გვანვდის ნ. მარი ულუმბოს ქართული მონასტრის ამშენებელთა შესახებ. ნ. მარის ცნობით, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ეტრატის თეენის აღაპებში (Jer. georg. 104) 3 მაისს იკითხება, რომ მიქელმა და არსენმა ააშენეს ულუმბო და იერუსალიმის პატრიარქის, სერგის ნებართვით მირონით კურთხევა იერუსალიმიდან მცხეთაში გადმოიტანეს.⁴

ნ. მარს იმონმებს კ. კეკელიძე, როდესაც წერს: „საყურადღებოა ამ მხრივ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპები, სადაც მაისის სამს დადებულია „წსენება წმიდათა მამათა ჩუენთა მიქელ და არსენისი, რომელთა აღაშენეს ულუმბო“⁵.

სამწუხაროდ, ეს ცნობა არ გვინახავს ხელნაწერის უქონლობის გამო.

¹ „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“, გვ. 62.

² იქვე, გვ. 43.

³ იქვე, გვ. 44.

⁴ Март, *Предварительный отчет о работах на Синае*, стр. 48; მისივე, *Исторический очерк грузинской церкви*, стр. 126.

⁵ კეკელიძე, „ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან“, გვ. 156.

ნ. მარის ცნობაში აღნიშნულია, რომ მიქელ და არსენი იერუსალიმის პატრიარქის, სერგის თანამედროვენი იყვნენ. სერგი I იერუსალიმელი პატრიარქობდა 843-859 წლებში.¹ მაშასადამე, IX საუკუნის შუა ხანებში მიქელსა და არსენს საფუძველი ჩაუყრიათ ოლიმპის სამონასტრო კოლონიზაციისათვის. ჩვენი ვარაუდით, სწორედ IX საუკუნის 50-60-იან წლებში მისულა ილარიონი ულუმბოზე.

კ. კეკელიძის აზრით, თუ სერგის პატრიარქობას 851-867 წწ. დავდებთ, „მაშინ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მიქელ და არსენი იყვნენ ის „ორნი ძმანი“, რომლებთან ერთად ილარიონი ოლიმპზე მოვიდა. სამი წლის განმავლობაში (864-867 წწ.) იმათ შეეძლოთ ოლიმპზედაც მოენესრიგებინათ ილარიონთან ერთად სამონასტრო ცხოვრება და იერუსალიმშიაც წასულიყვნენ იმ კრებაზე დასასწრებად, რომელმაც, პატრიარქი სერგის თავმჯდომარეობით, ქართველებს ნება მისცა წმინდა მირონი თვითონ მოემზადებინათ საქართველოში. ამ შემთხვევაში ილარიონი მართლაც პირველ ქართველად უნდა ჩაითვალოს ოლიმპის მთაზე“.² მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ძეგლიდან ცნობილია ილარიონის თანმხლები ერთ-ერთი მონაფის სახელი: მას ერქვა ისაკი. იგი ილარიონის განუყრელი თანამგზავრი იყო პალესტინასა, საბერძნეთსა (ულუმბო, თესალონიკე, კონსტანტინოპოლი) თუ რომში, ილარიონს კი სულ ორი მონაფე გაჰყვა თან. ამრიგად, მიქელისა და არსენის ძებნა ილარიონის თანმხლებ მოწაფეებში საფუძველს მოკლებული ჩანს.

იქნებ მიქელ და არსენი იყვნენ იმ სამ ქართველთა შორის, რომლებიც ულუმბოზე დახვდნენ ილარიონს და დაემონაფნენ? ამ შემთხვევაში მიქელ და არსენი ილარიონზე ადრე მისულან ულუმბოზე. ასეა თუ ისე, მიქელ და არსენი ულუმბოს მაშენებლად ითვლებიან დღეს არსებული მასალის მიხედვით.

ამრიგად, ულუმბოს ქართულ სამონასტრო კერაში გაჩაღებული ყოფილა სამონასტრო და სამწიგნობრო საქმიანობა.

ულუმბოზე მოღვაწე ქართველების ჯგუფი მიკვლეული მასალის მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

¹ Grumel, *La chronologie*, p. 452.

² კეკელიძე, „ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან“, გვ. 156.

IX საუკუნე	ილარიონ ქართველი; ილარიონ ქართველის მოწაფე ისაკი; ილარიონ ქართველის მეორე მოწაფე, გარეჯიდან წაყვანილი; სამი ქართველი, რომლებიც დახვდნენ ილარიონს ულუმბოზე; მიქელ და არსენი, „რომელთა აღაშენეს ულუმბო“.
X საუკუნე	მიქელ მღვდელი-ზეკეპე ბერი, ბერთის მოღვაწე, კოზმან და დამიანეს მონასტერში გადანერილი „სამოციქულოს“ მომგებელი (Ivir. georg. 42). იოვანე კახი (მ. ვან ესბროკის აზრით, ამ „სამოციქულოს“ გადამწერი, Ivir. georg. 42). გიორგი მოძღვარი („სამოციქულოს“ გადანერის განმზრახველი, Ivir. georg. 42). საბა კუტი (ხეც H-1346-ის გადამწერი), იოანე ათონელი, ექვთიმე მთანინდელი, იოანე (ხეც H-1346-ის შემმოსელი), გრიგოლ და იოვანე (ხეც H-1346-ის მომგებელნი ანუ შემკვეთნი).
XI საუკუნე	ისაკი — მაკარი მეგვიპტელის თხზულებათა ექვთიმესეული თარგმანის გადამწერი (Ivir. georg. 21), მამა გრიგოლი — Ivir. georg. 21 ხელნაწერის მომგებელი.

ზემოთ განხილულ ხელნაწერებში (Ivir. georg. 21, Ivir. georg. 42, ხეც H-1346) და ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ რედაქციებში პირდაპირი ცნობა იმის შესახებ, რომ ულუმბოზე ქართული მონასტერი არსებობდა, არა გვაქვს, მაგრამ ერთი რამ ნათელია: ულუმბოზე, კოზმან-დამიანეს მონასტერში, ლავრა კრანიაში ღვთისმშობლის ეკლესიაში (ქვაბში) ცხოვრობდნენ და სამწიგნობრო მოღვაწეობას ეწეოდნენ ქართველები. ამ სამ ზემოაღნიშნულ მონასტერში ქართული საქმე კეთდებოდა. იმის თქმა, რომ ეს მონასტრები ქართული იყო, ძნელია.

ჩვენი ძეგლის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ჯერჯერობით ერთადერთი წყაროა, რომელიც შეიცავს ცნობებს IX საუკუნის ულუმბოზე ქართველების მოღვაწეობის შესახებ.

ჩვენი ძეგლი შეიცავს ფასდაუდებელ ცნობებს კონსტანტინოპოლის მახლობლად ილარიონის მოწაფეთათვის რომანას ქართველთა მონასტრის აშენების ისტორიიდან. ეს ძეგლი რომ არა, არაფერი გვე-

ცოდინებოდა ამ მონასტრის დაარსების მიზეზისა და ვითარების შესახებ.

ბასილ მაკედონელმა ექვთიმე თესალონიკელის ეპისტოლის გავლენით უღუმბოდან გაიწვია ილარიონის სამი მონაფე და შესთავაზა მათ აერჩიათ სამოღვაწეოდ რომელიმე მონასტერი, მაგრამ ილარიონის მონაფეებმა უარი თქვეს სხვების მიერ აშენებული მონასტრის დასაკუთრებაზე და უდაბნო ადგილას მათთვის მონასტრის აშენება ითხოვეს.

ტყიან და დაუსახლებელ ადგილას, წყარომრავალ რომანას ღელეში აირჩიეს ილარიონის მონაფეებმა სამონასტრო ადგილი. მონასტრის აგებაში მონაწილეობას იღებდა თვით მეფეც („მოაქუნდა ქვაჲ თვთ მეფესა და ყოველსა ერსა მის თანა“). ეკლესიისა და მონასტრის აშენება შვიდ თვეში დასრულდა: ცხრა ოქტომბერს შედგა ეკლესიის სატფურება (ათონური რედაქციით), რომელსაც ესწრებოდნენ მეფე ბასილ მაკედონელი და პატრიარქი ეგნატე კონსტანტინოპოლელი. მეფემ მონასტერს შესწირა ოქროს და ვერცხლის ჭურჭელი, სოფელნი, ქულბაგნი და მეტოქი ქალაქში, ტყეები და მონასტრის შესაფერი „ყოველივე საჭმარი“. მონასტერში მეფემ გამოჰყო თავისთვის სენაკი, დადგა ლოგინი საგებლითურთ, საწიგნეები წიგნებით (სახარება და პავლე), ხოლო მონასტერს უწოდა რომანას ქართველთა მონასტერი. მოჰგვარა ილარიონის მონაფეებს თავისი ვაჟიშვილები, ლეონ და ალექსანდრე და სთხოვა, ესწავლებინათ მათთვის ქართული ენა და მწიგნობრობა.

შემდეგ ბასილ მაკედონელმა თესალონიკიდან კონსტანტინეპოლში და იქიდან რომანაში გადმოასვენა ილარიონის ნეშტი. ეს მოხდა 7 დეკემბერს. ამასთან დაკავშირებით მეფემ ეკლესიას შესწირა ყოველთვიურად 12 დრაჰკანი, რათა ჩაუქრობლად ყოფილიყო ანთებული ექვსი კანდელი წმ. მოციქულთა ნაწილებთან და სამი კანდელი წმ. ილარიონის ნაწილებთან, და ყოველდღიურად ორი სეფისკვერი მიეცათ მონასტრის ბერებისათვის. მონაზვნებს სასამოსლედ დაუწესა ორი ლიტრა ოქრო.

რომანას ქართველთა მონასტრის შესახებ არცთუ ისე ბევრი მასალაა შემორჩენილი. ამ ხარვეზს ერთგვარად ავსებს რომანას ქართველთა მონასტერში გადანერილი „ვანის სახარება“ (XII-XIII სს.). გადამწერია იოვანე უღირსი, საპყარი. გადამწერის ანდერძიდან ირკვევა, რომ ზაქარია ბერის მიერ ათონზე მოძიებული ათონური სახარებიდან გადა-

ნერილი სტეფანე შატბერდელის ნუსხა მოხვდა რომანაში, კონსტანტინოპოლის მახლობლად. ამ ნუსხიდან გადაუწერია იოანე უღირსსა და საპყარს თამარის კუთვნილი ე. წ. ვანის სახარება.¹

რომანას ქართველთა მონასტერში უნდა იყოს გადაწერილი 1066 წელს ხელნაწერი ხეც A-134. ამ კრებულს ბაგრატ ტავრომენიელის „ცხოვრების“ ბოლოს დართული აქვს ტექსტისავე ხელით შესრულებული ანდერძი გელასი წინამძღვრისა,² საიდანაც ირკვევა, რომ ხელნაწერი „ჰრომანას“ მონასტერში (თ. ჟორდანიას ვარაუდით, ხორას მონასტერში)³ მონასტრის წინამძღვარს, გელასის გადაუწერინებია სიმეონ დვალისათვის.

წყაროსთავის XI საუკუნის ხელნაწერს (ხეც A-136, იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტების ქართული თარგმანი) ახლავს იოანე ათონელის ანდერძი, რომელშიაც წერია: „ჟამსა სიბერისა და უძღურებისა ჩემისასა ბრძანებითა ღმერთშემოსილისა მამათმთავრისა ილარიონისითა წარვჰმართე შვილი ჩემი ეფთჳმე და ვიხარკე, რაჟთა თარგმანებაჲცა მათეს თავისა წმიდისა სახარებისაჲ დაწეროს ეგრეა ენასა ჩუენსა“.⁴

აქ მოხსენიებული მამათმთავარი ილარიონი, თ. ჟორდანიას აზრით, არის ილარიონ პროტი. ეს „ილარიონი უნდა იყოს წინამძღვარი ქართველი რომანაჲს მონასტერისა (კონსტანტინოპოლის ახლო), ილარიონ მამათმთავარი, რომელიც სწანს 1030 წ.“⁵

ილარიონ მამათმთავარი და ილარიონ პროტი ორი სხვადასხვა პიროვნებაა. ილარიონ პროტი არის ათონელი მოღვაწე, ათონის მონასტერთა საერთო გამგეობის თავი. იგი იხსენიება ათონის აღაპებში (№16) 21 ოქტომბერს.⁶ დასადგენია ილარიონ მამათმთავრის პიროვნება.

არ არსებობს არავითარი ცნობა იმის შესახებ, რომ ამ ანდერძში მოხსენიებული ილარიონ მამათმთავარი არის რომანას ქართველთა მონასტრის წინამძღვარი.

¹ ხეც A-1335, 256v, 272v.

² ხეც A-134, 296 r-v.

³ Жордания, *Описание рукописей Тифлисского церковного музея*, стр. 140.

⁴ ხეც A-20; *აღწერილობა* (A კოლექცია), I, გვ. 75.

⁵ ჟორდანია, *ქრონიკები*, I, გვ. 142.

⁶ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით, გვ. 245.

საძიებელი პიროვნების დასადგენად ამ ხანის (X ს.) ცნობილ მოღვაწეთაგან ორზე შეიძლება შევაჩეროთ ყურადღება. ესენი არიან ილარიონ თუალელი და ილარიონ იშხნელი.

ილარიონ თუალელი, გიორგი მთაწმიდლის მოძღვარი და მასწავლებელი, მოღვაწეობდა ჯერ თუალის მონასტერში, შემდეგ კი ხაზულში. იგი „ვითარცა მთიები ბრწყინვიდა კრებულსა შორის მამათასა“.¹ მაგრამ ილარიონ თუალელი არსად არ იხსენიება როგორც მამათმთავარი. მაშასადამე, ის არ შეიძლება იგულისხმებოდეს ანდერძისეულ ილარიონ მამათმთავარში.

მეორე პიროვნება, ილარიონ იშხნელი, X საუკუნის მოღვაწე, არის მომგებელი ხეც A-35 ნუსხისა. ზედწოდება იშხნელი გულისხმობს ან იშხნის ეპისკოპოსს, ან იშხნის მონასტრის წინამძღვარს: „იშხანში ეპისკოპოსი იჯდა, მაგრამ ის ამავე დროს მონასტრად ითვლებოდა“.² ილარიონ იშხნელს „ერთგვარი ლიტერატურული კავშირი ჰქონია ექვთიმესთან“.³ საკვებით გასაზიარებელი ჩანს ვარაუდი, რომ იოანე ათონელს, ილარიონ იშხნელის ბრძანებით, „წარუმართნია“ ექვთიმე, ეთარგმნა მათეს თავის სახარების იოანე ოქროპირისეული თარგმანება.⁴

ამგვარად, წყაროსთავის ხელნაწერის (ხეც A-136) იოანე ათონელისეულ ანდერძში მოხსენიებული ილარიონ მამათმთავარში, ჩვენი ვარაუდით, იგულისხმება ილარიონ იშხნელი.

უნდა ითქვას, რომ არ გვეგულება სხვა მონასტერი, რომელიც უცხო ქვეყნის მესვეურს დაუარსებია ქართველი მოღვაწისათვის. ეს, რა თქმა უნდა, ზრდის რომანას ქართველთა მონასტრის მნიშვნელობას და ხაზს უსვამს მის თავისებურ წარმოშობას.

თ. ჟორდანიას აზრით, „ეს დიდებული მონასტერი ეხლამდი მთელია და დაწვრილებით აღუწერია რუსის არქეოლოგს კონდაკოვს“.⁵ ნ. კონდაკოვთან⁶ ასეთი ცნობა არ არის დაცული. ქრ. ლოპარევი შენიშნავს, რომ მ. საბინინი რომანას ხეობას შეცდომით აიგივებს წმ. რომა-

¹ „ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ“, გვ. 116.

² კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, გვ. 94.

³ იქვე, გვ. 194.

⁴ იქვე, გვ. 195.

⁵ ჟორდანია, *ქრონიკები*, I, გვ. 142.

⁶ Кондаков, *Византийские церкви и памятники Константинополя*.

ნის ჭიშკართან. რომანის კარიბჭე თვით კონსტანტინოპოლშია, ხოლო რომანას ხეობა ოქროს რქის გადაღმა, პერში.¹

ბასილ II ბულგართმეფეის 960 წლის ქრიზოპულში² აღნიშნულია, რომ იოანე ათონელის თხოვნით ორი ქართული მონასტრის — ტრაპეზუნტის წმ. ფოკას და კონსტანტინოპოლის ივერის მონასტრების ნაცვლად ქართველებს მიეცათ სამი მონასტერი: იოანე კოლოფუსი ერისოში, ლეონტიასი თესალონიკეში და კლიმენტისა ათონზე.

ზემოთ აღნიშნულ ორ ქართულ მონასტერზე იოანე ათონელს უარი უთქვამს.

კონსტანტინოპოლის ივერის მონასტერში, ეჭვი არ არის, რომ რომანას ქართველთა მონასტერი იგულისხმება. მაშასადამე, 980 წლის შემდეგ რომანას ქართველთა მონასტერი ქართული აღარ ყოფილა, ამიტომაც არის გამქრალი მისი კვალი ლიტერატურაში.

ანტონი ნოვგოროდელმა 1200 წელს კონსტანტინოპოლის ახლოს, ტყიან ადგილას მოინახულა ივერის მონასტერი, სადაც ინახებოდა ილარიონის ნაწილები.³ ქრ. ლოპარევი აღნიშნავს, რომ ივერის მონასტერი მოციქულთა სახელობისა მდებარეობდა კონსტანტინოპოლის გარეთ, ოქროს რქის გადაღმა, ქალაქის ახალ, ევროპულ ნაწილში, გალატის ჩრდილოეთით, პერში, პირველი მსოფლიო კრების 318 მამის სახელობის ეკლესიის შემდეგ, ტყეში, სოსთენის მიხეილ მთავარანგელოზის ტაძრის მახლობლად, რომანას ღელეში (ხევში) (ანტონი ნოვგოროდელის მარშრუტის მიხედვით).⁴

არქეოლოგიური გათხრების შედეგად არსად ჩანს რაიმე მინიშნება რომანას ქართველთა მონასტერზე. ამის გამო მისი ადგილმდებარეობის დასაზუსტებლად ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სოსთენის მდებარეობის განსაზღვრას.

ამ თვალსაზრისით ფრიად საგულისხმოა პ. პარგუარის გამოკვლევა სოსთენის ლოკალიზაციის შესახებ.⁵ სოსთენი არის პუნქტი, რომლის მახლობლად დაარსდა ახალი (რომანას) მონასტერი.

¹ Лопарев, *Греческие жития святых VIII-IX веков*, стр. 62.

² Успенский, *История Афона*, III, стр. 109, 333; *გეორგიკა*, გვ. 169.

³ *Книга Паломник*, стр. 36, 66, 92.

⁴ იქვე, გვ. XIII.

⁵ Pargoire, “Anaple et Sosthène”, стр. 60-97.

სოსთენი, პ. პარგუარის მიხედვით, არის იგივე სტენია,¹ რომელიც მდებარეობს ბოსფორის სრუტის ევროპული სანაპიროს ცენტრში, კონსტანტინოპოლის ჩრდილოეთით. სტენია Σαθηνιον-ის ძველი სახელწოდების შემოკლებას წარმოადგენს. მიქელ მთავარანგელოზის სახელზე აქ ძველთაგანვე აშენებული იყო ტაძარი, რომელიც ყურადღებას იპყრობს იმპერატორ კონსტანტინეს დროიდან (306-324 წწ.).

პ. პარგუარს საბოლოოდ გარკვეულად მიაჩნია სოსთენისა და სტენიას იდენტიფიკაცია წყაროებიდან ამოკრეფილი შემდეგი ფაქტების საფუძველზე:

1. სოსთენი მდებარეობდა ბოსფორის ევროპულ სანაპიროზე.

2. სოსთენი მდებარეობდა სოსთენის ყურის სანაპიროზე. აქ პ. პარგუარი იმონებებს თეოფანეს: 717 წელს, ლეონ III ისავრიელის მეფობის პირველ წელს, არაბთა ფლოტმა თავი შეაფარა ἐν τῇ κίλπῃ τοῦ Σαθηνίου (სოსთენის ყურეში).²

3. სოსთენი მდებარეობდა რუმელი-ჰისარის ჩრდილოეთით.

4. სოსთენი მდებარეობდა ბოსფორის სანაპიროს შუა ნაწილში.

დღევანდელი სტენია ასრულებს ყველა ამ პირობას: სოსთენის მსგავსად, ის გაშლილია ბოსფორის ევროპულ სანაპიროზე, გაჭიმულია ყურის გარშემო, დაფუძნებულია რუმელი-ჰისარის ჩრდილოეთით და უკავია სრუტის შუა ადგილი.

ამრიგად, სოსთენი არის დღევანდელი სტენია. მდებარეობს იგი კონსტანტინოპოლ-არნაუტ-კეუი-რუმელი-კისარი-სტენიას ხაზზე და წარმოადგენს ამ ხაზის საბოლოო პუნქტს.

ილარიონ ქართველის „ცხოვრებაში“ რომანას ქართველთა მონასტრის ადგილმდებარეობა სწორედ სოსთენის მეშვეობით არის განსაზღვრული.

¶ რედაქციაში ვკითხულობთ: „ხოლო იგინი გამოვიდეს და ძიება ყვეს და მიემთხვნეს ღელესა რასმე, რომელსა ერქუა ჰრომანა, ზემო

¹ Du Cange-ის ლექსიკონის მიხედვით (*Glossarium ad scriptores mediae et infimae Graecitatis*, II, p. 1440), Στενόν არის სრუტე კონსტანტინოპოლსა და მცირე აზიის ნაპირს შორის. ე. ი. დღევანდელი ბოსფორი. რეისკეს თანახმად, Στενόν ეწოდება ამ სრუტის ორივე ნაპირს, როგორც ევროპულს, ასევე აზიურს და თვით კონსტანტინოპოლის ნაპირსაც. ბერძნული ნომოკანონის ბალზამონის კომენტარში (I ტიტლოსი, მე-3 თავი) სწორედ ამ მნიშვნელობით არის ნახმარი ეს სიტყვა.

² Pargoire, “Anaple et Sosthène”, pp. 60-97.

კერძო ადგილსა, რომელსა სოსთენ ეწოდების“.

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ათონურ რედაქციებში (C და Գ) შესაბამის ადგილას, ე. ი. მონასტრის ასაშენებლად ადგილის ძიების დროს, სოსთენი არ არის ნახსენები. ამ გეოგრაფიულ სახელწოდებას C რედაქციაში ვხვდებით მოგვიანებით, ილარიონის ნაწილთა კონსტანტინოპოლიდან რომანაში გადმოსვენების ჟამს: „შევიდა პირველ (ბასილ I მაკედონელი) ეკლესიასა მთავარანგელოზისა მიქაელისსა სუსთენს და შეიყვანნა ნაწილნიცა წმიდისანი... გამოვიდა მიერ ... და მივიდა ჰრომანად“.

როგორც ვხედავთ, ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია პირდაპირ განსაზღვრავს რომანას ადგილმდებარეობას სოსთენის მეშვეობითა და მეზობლობით, ხოლო ვრცელი ათონური რედაქციიდან ჩანს, რომ რომანაში მიმავალი გზა გაივლიდა „სუსთენს“, ე. ი. რომანა სუსთენის მიდამოებში, მის მახლობლად მდებარეობდა.

პ. პარგუარის გამოკვლევის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ რომანას ქართველთა მონასტერი დღევანდელი სტენიას მიდამოებში მდებარეობდა. „ახლა, როდესაც მთავარანგელოზის ცნობილი ტაძრის მდებარეობა განსაზღვრულია განსვენებული პ. პარგუარის გამოთვლის წყალობით, შესაძლებელი გახდა რომანას მონასტრის მდებარეობის მოძებნა. თუკი მისგან დარჩა რაიმე ნანგრევი, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათ აღმოაჩენენ ერთ მშვენიერ დღეს“.¹

ი. მარტინოვის აზრითაც, „გეოგრაფიული სახელი არის არა სტენუმი, როგორც ამას ხმარობს ბერძნული ტრადიცია, არამედ სოსთენი“.²

რომანას მონასტრის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის საინტერესოა ჩვენი წყაროს ორი ადგილი:

1. „მახლობელად სადა ქალაქისა სამეუფოსა, ადგილსა უდაბნოსა და უვალსა, გამოგკსახე მცირე საყოფელი“ (I რედაქცია).
2. „განვიდეთ ადგილსა უდაბნოსა და ვიძიოთ ადგილი მყუდროჲ, სადა ჯერ-იყოს აღშენებაჲ მონასტრისაჲ“ (C რედაქცია).

¹ Peeters, “S. Hilarion d’Iberia”, p. 242.

² Annus ecclesiasticus Graeco-Slavicus, p. 263.

როგორც ვხედავთ ორივე რედაქციის ამ ადგილებიდან, ილარიონ ქართველის მონაფეებისათვის სამონასტრო ადგილის ძიება მოხდა კონსტანტინოპოლის მახლობლად, უვალ და უდაბნო ადგილას.

ამრიგად, რომანას ქართველთა მონასტერი საძიებელია არა შიგ კონსტანტინეპოლში, არამედ მის გარეთ, იქვე, დედაქალაქის მიდამოებში.

აღმოსავლეთის ქალაქებს შორის ცოტაა ისეთი, რომელიც თავისი ისტორიული როლითა და შემონახული ძეგლებით მეტოქეობას გაუწევდა ბიზანტიური პერიოდის თესალონიკეს.¹

წმ. დიმიტრის სასწაულებში, რომელთა უდიდესი ნაწილი დაწერილია VII საუკუნის შუა ხანებში, თესალონიკე მოხსენებულია „დიდი ქალაქის“ სახელწოდებით. დიდ ქალაქებად კი იხსენიება რომისა და კონსტანტინოპოლის დარი ქალაქები“.²

მონასტერთა მრავალრიცხოვნობის გამო თესალონიკემ მიიღო მეორე ათონის (δέντερις Ἄθως) და პატარა ბიზანტიის (μικρὸν Βυζάντιον) სახელწოდება.³

თესალონიკე იყო ილირიის რომაული პროვინციის (Illyricum) მეტროპოლია.

მაკედონიის დასავლეთით, დუნაისა (ჩრდილოეთით) და ეპირს (სამხრეთით) შორის, ადრიატიკის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა ილირია. ამ ტერიტორიაზე სახელმწიფო წარმოიშვა ჩვ. წლ.-მდე III საუკუნეში. ჩვ. წლ.-მდე I საუკუნეში რომაელებმა დაიპყრეს ილირიის უდიდესი ნაწილი და შექმნეს ილირიკიის პროვინცია (Illyricum).

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ვრცელ ათონურ ო რედაქციაში მოხსენებულია ილურიკიის ქვეყანა: „მაშინ განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა მას ქუეყანასა ილურიკიისასა“. სხვა რედაქციებში ილურიკიის ხსენება არ არის. „ქუეყანაჲ ილურიკიისაჲ“, ეჭვს გარეშეა, ენოდებოდა ილირიის რომაულ ნაწილს (Illyricum). ამ ქვეყნის სახელწოდების შეხვედრა ილარიონ ქართველის „ცხოვრებაში“ სავსებით მოსალოდნელი და გასაგებია: ილარიონ ქართველი დიდი ხნის განმავლობაში (ო რედაქციით — „ჟამი რაჲოდენიმე“; ო რედაქციით – მეორედ ყოფნის

¹ Tafrali, *Topographie de Thessalonique*, p. 1.

² იქვე, გვ. 8.

³ Соколов, *Состояние монашества в византийской церкви*.

დროს სამი წელი) ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თესალონიკეში, რომელიც მდებარეობდა მაკედონიის ტერიტორიაზე და წარმოადგენდა ილირიკიის დედაქალაქს.

ილირიის რომაული ნაწილის შემადგენლობაში შედიოდა: დალაცია (ზემო ილირიკი) და პანონია (მორავია, ქვემო ილირიკი).

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ ვრცელ ათონურ რედაქციაში აღნიშნულია, რომ რომიდან კონსტანტინოპოლში წასვლის ჟამს ილარიონ ქართველმა გზად შეიარა თესალონიკეში და თაყვანი სცა „სამარტკლოსა ძლევაშემოსილისა დიდებულისა მონამისა დიმიტრისა“.

თესალონიკეში ილარიონმა განკურნა მთავრის მხევლის ძე († რედაქციით — მთავრის ძე). მადლობის ნიშნად თესალონიკის მთავარი ევედრება მას, „რათა გამოირჩიოს ადგილი, რომელიცა ინებოს ... და აღუშენეს ეკლესიაჲ შუენიერი ადგილსა მას“.

ამრიგად, ილარიონ ქართველისათვის თესალონიკეში აუშენებიათ სპეციალური ეკლესია, მალე მისი სახელი მთელ ილურიკიას მოედო. ილარიონმა თესალონიკეში დაყო დიდი ხანი (დაახლოებით ათი წელი) და აქვე გარდაიცვალა.

ილარიონის სახელი იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული თესალონიკესთან, რომ ბეკი საძიებელში ილარიონ ქართველს იხსენიებს ილარიონ თესალონიკელად (Hilarion von Thessalonike).¹

ილარიონის სახელთან დაკავშირებულია თესალონიკეში აღსრულებული მრავალი სასწაული. ამის გამო „აღასრულებდეს წლითი-წლად ჴსენებასა მისსა მკჳდრნი ქალაქისანი“.

თესალონიკის მთავარმა და მთავარეპისკოპოსმა იმპერატორ ბასილ მაკედონელს მისწერეს წერილი, რომელშიც აუწყებდნენ მას „გარდაცვალებასა წმიდისასა და კურნებათა და სასწაულთა მისთა, რომელნი აღესრულებოდეს წინაშე სამარხვოსა მისსა წმიდასა“.

რომანას ქართველთა მონასტრის აშენების შემდეგ ბასილ მაკედონელმა დაიბარა თესალონიკელი ეპარხოსი, რომელმაც აცნობა მას ილარიონის გარდაცვალება, და „წარავლინა თესალონიკედ, რათა დიდი პატივითა მოჰგუარნეს ნაწილნი ნეტარისა მამისა ილარიონისი“.

¹ Beck, *Kirche und theologische Literatur in Byzantinischen Reich*, s. 816.

თესალონიკეში მივლინებულ პირთ ბასილ მაკედონელმა გაატანა წერილი, რომელშიაც ბრძანებდა, რომ „სწრაფითა დიდითა და დიდებითა სამეუფოთა წარმოჰზავნნეთ ნაწილნი წმიდისა ილარიონ ქართველისანი თვნიერ ყოვლისა მიზეზისა და წინააღდგომისა და ცოცხლებით იყვნით!“.

ილარიონის სახელზე გაგზავნა მეფემ ეპისტოლე: „აღმოვედ ქალაქად სამეუფოდ, დაღაცათუ არა ღირს-ვიქმენ პირისპირ ხილვად შენდა, გარნა ან ღირს-მყავ ამბორის-ყოფად წმიდათა ნაწილთა შენთა და იხარის ქალაქმან ამან სამეუფომან შემთხუევეთა მათითა და მადლი შენი იყავნ ჩუენ თანა, ამენ“.

როდესაც მივლინებულებმა მიაღწიეს თესალონიკეს და ხალხის წინაშე წაიკითხეს სამეფო ბრძანება, ქალაქში დაიწყო შფოთი და ამბოხი. გადანყვიტეს, ქვა „დაეკრიბათ“ სამეფო კაცთათვის. ქალაქის მთავარმა ძლივს დააცხრო ერის აღშფოთება. ანთიპატრიკმა მივლინებულთ უბრძანა, ღამით წამოესვენებინათ წმიდანის ნეშტი ხალხისაგან მალულად. ღამით ილარიონის ნაწილნი მოათავსეს ლუსკუმაში, ხოლო ღარნაკი, რომელშიაც მანამდე წმ. ილარიონის ცხედარი იყო, დაკრძალეს და გაეცალნენ იქაურობას „უცნაურად ყოველთა“.

გამთენიის ხანს თესალონიკის მკვიდრთ შეიტყვეს ეს ამბავი „და იწყეს მწუხარებად და ურვად განშორებისათჳს წმიდისა მის, რომელნიმე ღარნაკსა მას ცალიერსა მოეხუეოდეს, რომელნიმე ზღუად მიმართ ხედვიდეს და რეცა ჰგონებდეს წუთ არა წარსლვად მიერ, სხუანი, ვითარცა ცხოველსა, აბრალეზდეს და ეშჯოდეს დატევებისათჳს ქალაქისაჲ მის“. ამდენად დიდი იყო ილარიონისადმი თაყვანისცემა და სიყვარული საბერძნეთის ამ უმნიშვნელოვანეს ქალაქში.

საინტერესოა, აისახა თუ არა ქალაქის ყოფაში ილარიონის სახელი?

მ. საბინინის აზრით, თესალონიკეში წმ. დიმიტრის ეკლესიაში იყო ილარიონ ქართველის პორტრეტი.¹

პ. პეტერსს სარწმუნოდ არ მიაჩნია მ. საბინინის მოსაზრება: „ილარიონის პორტრეტი მიიზიდავდა იმ მეცნიერ არქეოლოგთა ყურადღებას, რომელთაც გამოიკვლიეს და შეისწავლეს სალონიკის წმ.

¹ საქართველოს სამოთხე, გვ. 37.

დიმიტრის ახლახან აღმოჩენილი მოზაიკები. არც უსპენსკის, არც დილს არ შეუმჩნევიათ მსგავსი რამ. ტაფრალი, რომელსაც ეკუთვნის საინტერესო გამოკვლევა თესალონიკის ტოპოგრაფიისა და ისტორიის შესახებ, არც ერთხელ არ ასახელებს ილარიონს იმ თავში, რომელსაც ეწოდება „წმიდანთა კულტი“.¹ მართლაც, არც შ. დილთან² და არც თ. უსპენსკისთან³ არ ვხვდებით არავითარ მასალას ილარიონის პორტრეტის შესახებ.

საოცარია, ასეთი პოპულარობის მიუხედავად რომ არ შემორჩა ამ ქალაქს ილარიონის კვალი და ბერძნულ ლიტერატურაში არ აისახა მისი ხსენება.

ილარიონ ქართველის „ცხოვრებაში“ შემონახულია საქართველოდან იერუსალიმში მოგზაურობის აღწერა.

გარეჯის უდაბნოდან წასვლის განზრახვის მიღების შემდეგ ილარიონ ქართველმა „ადგილსა თქსსა“ წინამძღვრად დაადგინა ერთ-ერთი ძმა, „რომელი იყო უვადრეს ყოველთაჲსა სათნოებისა და შემძლებელი წინამძღვრობად და მწყსად სულთა“, წაიყვანა „ძმაჲ ერთი“ და გაემართა იერუსალიმისაკენ. შამის ქვეყანაზე (ასურასტანი) გავლის ჟამს მათ თავს დაესხნენ „ბარბაროზნი ავაზაკნი“ („არაბნი ავაზაკებად გამოსრულ იყვნეს“ — მეტაფორასული რედაქციით). სასწაულის ძალით მათ ვერაფერი ავნეს ილარიონსა და მის მოწაფეს. ერთ-ერთი მათგანი წაჰყვა წმიდანს თაბორის მთამდე. ილარიონმა მოილოცა პალესტინის წმინდა ადგილები — გოლგოთა და ცხოველმოყვით სოფლავი, ბეთლემი, წმ. მდინარე იორდანე, იორდანის უდაბნოს მონასტრები, საბანშიდის ლავრა. „დაყო ყოველთა მათ უდაბნოთა შინა შუდი წელი ღუაწლითა და შრომითა“ (წ. რედაქცია).

წ. რედაქციის თანახმად, ილარიონ ქართველი „უდაბნოთა მათ შთავიდა იორდანისათა და ქუაბსა მას მიემთხვა, სადა-იგი ელია თეზბიტელი — პირველ, და უკუანაჲსკნელ მკვდრ იყო იოანე წინამორბედი და ნათლისმცემელი ქრისტესი“. წ. რედაქციის თანახმად, ამ „ქუაბში“ გაუტარებია ილარიონ ქართველს „ათშუდმეტი წელი“.

ილარიონ ქართველის „ცხოვრება“ არ გვაძლევს მასალას იერუ-

¹ Peeters, „S. Hilarion d'Iberie“, p. 242.

² Diehl, Le Tourneau, „Les mosaïques de Saint-Démétrius de Salonique“, pp. 225-248.

³ Успенский, „О вновь открытых мозаиках в церкви Димитрия в Солуни“, стр. 1-61.

სალიმში ქართველთა სამონასტრო კოლონიზაციის შესახებ.

მხოლოდ ზემოთ მოტანილი ცნობებით ამოიწურა ილარიონის იერუსალიმში მოღვაწეობის აღწერა.

დასასრულ, ილარიონ ქართველის „ცხოვრება“ რამდენადმე ავსებს ან აზუსტებს მასში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა შესახებ არსებულ უცხოური წყაროების ცნობებს.

ილარიონ ქართველის „ცხოვრებაში“ მოხსენიებულნი არიან ბიზანტიის იმპერატორები და ცნობილი ისტორიული პირები: მიქაელ III (842-867 წწ.), თეოფილე (829-842 წწ.), დედოფალი თეოდორა (842-856 წწ.), ბასილ I მაკედონელი (867-886 წწ.), ეგნატე კონსტანტინოპოლელი პატრიარქი (847-858 — 867-886 წწ.), ეგნატე თესალონიკელი (824-889 წწ.), ბასილ I მაკედონელის ვაჟები — ლეონ VI ბრძენი (886-912 წწ.) და ალექსანდრე (912-913 წწ.).

ლეონ VI ბრძენისა და მისი ძმის ალექსანდრეს ბიოგრაფიებს ჩვენი ძეგლი ავსებს იმ საინტერესო ფაქტით, რომ ისინი რომანას ქართველთა მონასტერში სწავლობდნენ და იზრდებოდნენ ილარიონ ქართველის მოწაფეებთან.

ბასილ I მაკედონელი ცნობილია, როგორც ათონის მონასტრების მფარველი და კეთილისმყოფელი. მის დროს მოხდა ათონის მესამედ დასახლება.¹ მან განაახლა და შეამკო მრავალი ტაძარი და მონასტერი.

ბასილ I მაკედონელის „ცხოვრებებში“ არსად აღნიშნული არ არის, რომ იგი იყო ინიციატორი რომანას ქართველთა მონსტრის აშენებისა. ჩვენს ძეგლში დაწვრილებით არის მოთხრობილი ილარიონის მოწაფეთათვის „ადგილსა ტყეანსა და უდაბნოსა“ მონასტრის აშენების ამბავი, აღნიშნულია თვით იმპერატორის უშუალო მონაწილეობა მშენებლობაში („მოაქუნდა ქვაჲ თჳთ მეფესა“).

ჩვენს ძეგლში მოხსენიებული ექვთიმე შეყენებული არის IX საუკუნის ცნობილი მოღვაწე, მონაზონი ექვთიმე თესალონიკელი, რომელიც მოღვაწეობდა ბითვინიის ოლიმპსა, ათონსა და თესალონიკეში.

მ. საბინინი ექვთიმე შეყენებულს ქართველად თვლის. მას „ცხოვრების“ ტექსტში შეუტანია სიტყვები „ქართველთა მონაზონ-მან“,² რაც არც ერთ ხელნაწერში არ დასტურდება და არ შეესაბამება

¹ Успенский, *История Афона*, III, стр. 35, 42.

² *საქართველოს სამოთხე*, გვ. 391.

სინამდვილეს (ექვთიმე თესალონიკელი იყო გალატიის დაბა ოფსიდან).

ილარიონ ქართველის „ცხოვრებაში“ იხსენიება თესალონიკის მმართველი პრეტორის პრეფექტი. პრეტორთა პრეფექტი თავდაპირველად წმინდა სამხედრო თანამდებობა იყო და მდგომარეობდა პრეტორთა კოჰორტების ხელმძღვანელობაში. რომში მილიტარიზმის გაძლიერებასთან დაკავშირებით ამ ხელისუფლებას თანდათანობით მიუერთდა სამოქალაქო ხელისუფლების ფუნქციებიც.

პრეტორთა პრეფექტის სახელქვეშ იგულისხმებოდნენ, აგრეთვე, უმაღლესი სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლები იმპერიის ოთხ მთავარ ნაწილში (*Oriens, Illyricum, Italia, Galliae*).

დაბოლოს, პრეტორთა პრეფექტები წარმომადგენდნენ, აგრეთვე, სასამართლო სააპელაციო ინსტანციას და მათი გადაწყვეტილებები შემდგომ გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. ალექსანდრე სევეროსის დროს (III ს.) პრეტორთა პრეფექტებს მიეცათ უფლება, გამოეცათ დადგენილებები, რომელთაც კანონის ძალა ჰქონდა. იუსტინიანეს დროს (VI ს.) ისინი დარჩნენ მხოლოდ უმაღლეს სამოქალაქო დიდებულებად, რომელთაც ხელთ ჰქონდათ სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლო და ფინანსთა გამგებლობა.

